K 200 501 / 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგზიზ ნესინი

ფეხბურთის თეთე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიზ ნესინი

ფეიგპარის მეფე

რომანი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1987

894.35-31

84 Tur/1
ნ. 534

Aziz Nesin
Iol - krali
Bilgi yayievi
Ankara 1979

„ფეხბურთის მეფე“ ცნობილი თურქი მწერლის აზიზ ნესინის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. რომანში ავტორი ამხელს ბურჟუაზიულ მორალს, მოგვითხრობს სიყვარულის ყოვლისშემძლეობაზე, როგორ შეუძლია მას ადამიანის გარდაქმნა.

თურქულიდან თარგმნა
გურამ გათიაშვილმა

АЗИЗ НЕСИН

Король футбола

Роман

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5 1987

რედაქტორი **მ. რუხაძე**, მხატვარი **ა. თევზაძე**, მხატვრული რედაქტორი **თ. შარიფაშვილი**, კორექტორები **ზ. მამასახლისი**, **ი. სალარაძე**, გამომშვები **ნ. თათარაშვილი**.

ს. ბ. 4338

გადაეცა წარმოებას 13.06.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.04.87 წ. საბეჭდი ქაღალდი № 2 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირ. ნაბ. თაბახი 10,93. პირ. საღ.-გატ. 11,28. საღრ.-საგამომც. თაბახი 9,97. ტირაჟი 20.000, შეკვ. № 6245.

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, მარჯანიშვილის 5.

სპეც-2000
შეკვეთილია

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33

საქ
ბ.
К 200.501
3

Н $\frac{4703000000-101}{М\ 601\ (08)-87}$ 319—87

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორიოდე სიტყვა აზიზ ნესინზე

. 1973 წლის ოქტომბერში, თბილისში, ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, გალაკტიონ ტაბიძის ძეგლს საძირკველი რომ ჩაეყარა, მიტინგზე მოსულ ხალხში ყველა გამოარჩევდა ერთ შავგვრემან, საშუალოზე ოდნავ დაბალ კაცს. ეს იყო სახელგანთქმული თურქი მწერალი აზიზ ნესინი. მას ძალიან უყვარს საქართველო, და იქაც, იმ დღეს გულითადად მიესალმებოდა ყველას, ვისაც კი წარუდგენდნენ და გააცნობდნენ.

იმ დღეს აზიზ ნესინი მიტინგზე სიტყვით გამოვიდა. მისი სიტყვიდან დამამახსოვრდა ორი ფრაზა.

პირველი: „გალაკტიონ ტაბიძეს თურქეთში არ იცნობენ, მაგრამ გალაკტიონი ამით არაფერს ჰკარგავს; ჰკარგავს მხოლოდ თურქეთი, რომელიც არ იცნობს ესოდენ დიდ პოეტს".

მეორე ფრაზა ასეთი იყო:

„საქართველოში მე შევამჩნიე, რომ ხალხი აქ ნამდვილ პოეტს სიკვდილის ნებას არ აძლევს; უკვე ცხოვრებიდან წასულსაც ცოცხლად მიიჩნევს და როგორც ცოცხალს, ისე ელაპარაკება. ეს შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე გალაკტიონის იუბილემ".

აზიზ ნესინზე ბევრი რამ დაწერილა. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ადგილს წერილიდან, რომელიც თურქული ჟურნალის „დოსთის" ფურცლებზე დაიბეჭდა:

„თურქული ლიტერატურის ისტორიაში აზიზ ნესინი შევა, როგორც უდიდესი იუმორისტი. იგი ხოჯა ნასრედინის გვერდით დადგება".

აზიზ ბეის ხშირად უთქვამს: იუმორისტი სიმწარემ გამხადა. იუმორისტი სწორედ იმიტომ ვარ, რომ სასაცილოდ არა გვაქვს საქმეო. ალბათ, ამის გამოც მხიარული იშვიათად მინახავს. იმ დღეს კი, როცა ერთ სუფრაზე შეიკრიბნენ ბესო ქლენტი, ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ივანე თარბა და აზიზ ნესინი, რაღაც ათ-თხუთმეტ წუთში ისეთი მეგობრული ატმოსფერო დამყარდა, რომ ნოდარ დუმბაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის და აზიზ ბეის ლაღობას, მახვილსიტყვაობას დასასრული არ ჰქონდა და ვერა ფერონოვა — აზიზ ბეის მთარგმნელი — ვერც აუდიოდა თავის საქმეს. ზოგჯერ თარგმანი თითქმის არც იყო საჭირო, ისე იტაცებდნენ ერთმანეთის ნათქვამს სტუმარი თუ მასპინძლები. მას უყვარს ქართველები, საქართველო. უყვარს არა ზედაპირულად, აპრიორულად, როგორც უცხოელს, პატივი რომ მიაგეს, არამედ ადამიანს, რომელიც ჩასწვდა ერის სულიერ ფასეულობებს. აი, რას წერდა იგი ქართულ ენაზე თავისი მოთხრობების პირველი გა-

მოცემის წინასიტყვაობაში: „როცა მეკითხებიან, თბილისი ასე ძლიერ რამ შეგაყვარაო, დავფიქრდები ხოლმე. ნუთუ იმიტომ, რომ თბილისი ლამაზი და საამო სანახავი ქალაქია, ან იქნებ იმიტომ, რომ დიდი ისტორიული წარსულის მქონეა? დამერწმუნებით, მსოფლიოში დღეს ბევრია ისეთი ადგილი, დანახვისთანავე რომ ატყვევებს ადამიანს, მაგრამ ჩვენთვის ესოდენ საყვარელი წუთისოფლის დამამშვენებელი მაინც თვითონ ადამიანია.

თბილისში მე ადამიანი შევიყვარე, ქართველი კაცი შევიყვარე, გარდა ამ სიყვარულისა, ქართველებთან რაღაც სულიერი სიახლოვეც ვიგრძენი".

მის ნოველებში, მოთხრობებში თანამედროვე ადამიანის ბუნებას კითხულობენ — სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანისა. აზიზ ნესინმა კარგად იცის: ადამიანი სხვადასხვაგვარია; იგი განუყრელი ნაწილია იმ საზოგადოებისა, რომელსაც ეკუთვნის, რომლის ბუნებას, ფსიქოლოგიას, ცხოვრებისეულ მრწამსს გამოხატავს.

მაგრამ ყველაფერი ეს მისი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი კრედოა. მთავარი კი ის გახლავთ, რომ აზიზ ნესინი ოსტატია, სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი. მან იცის სიუჟეტის ჩინებული აგება, ფლობს ფრაზას, იცის ერთი სხარტი, მოქნილი ფრაზით როგორ გამოხატოს ადამიანის სულიერი მდგომარეობა.

ამის დასტურია მისი მრავალი მოთხრობა, პიესა და დღეს ქართველი მკითხველი პირველად ეცნობა მას, როგორც რომანისტს. ამ რომანს დედანში „კარის მეფე" ჰქვია, და ვინაიდან ქართულში კარი მხოლოდ ის საფეხბურთო ობიექტი არ არის, რომელსაც ასეთი თავგამოდებით უტევენ ხოლმე ტყავის ბურთის ოსტატები და ბევრ სხვა რამესაც იტევს, ქართულ გამოცემაში რომანს სათაური შევუცვალეთ.

აზიზ ნესინის ეს რომანი, ისე როგორც ბევრი მისი სხვა ნაწარმოები, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიცა, მრავალ ქვეყანაში კითხულობენ დღეს სათისა და ლევიმის ამბავს.

აზიზ ნესინს ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო, ამაში თურქეთში ყოფნის დროსაც დავრწმუნდით, უყვარს და ამიტომაც დასცინის, აბიაბრუებს, იმას, რაც ადამიანს ამცირებს, აკნინებს. ეს წიგნი კი ნათელი დასტურია იმისა, თუ რაგვარი ყოფა ამცირებს ადამიანს. რომ არ უყვარდეს, გული არ ეტკინებოდა, გული რომ არ ტკენოდა, ამგვარ მკაცრ სიმართლეს ვერ ეტყოდა თავის ერს. სიმართლეს იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს დღეს სტამბულის ე. წ. მაღალი საზოგადოება. ისიც, რომელიც ერთ დროს მართლა ეკუთვნოდა რჩეულთა წრეს და ის სულიერად მდაბიო ადამიანებიც, დრომ რომ გააზნაურა.

რომანი კი მჭიდროდ არის დასახლებული ამგვარი ადამიანებით.

აზიზ ნესინს მძიმე ბავშვობა ჰქონდა, ძალიან მძიმე — უპატრონო ბავშვთა ინტერნატში იზრდებოდა. ამ გარემოებამ თავისი კვალიც დააჩნია მის სულს.

შემდეგ იგი მსოფლიოში აღიარებული მწერალი გახდა — საბჭოეთი, საფრანგეთი, ინგლისი, აშშ, იტალია — სად არ თარგმნიან მის წიგნებს, სად არ გამოდის, და როდესაც ძალიან სახელმოხვეჭილი და მდიდარი გახდა, სწორედ მაშინ გაახსენდა თავისი მძიმე ბავშვობა, უფრო სწორად, არ დაავიწყდა ის პატარები, რომლებიც დღეს ასეთსავე მძიმე მდგომარეობაში არიან, როგორც თავად იყო ერთ დროს და თავისი ლიტერატურული შემოსავალი ერთ საქმეს მოახმარა — სტამ-

ბულთან ახლოს გახსნა უპატრონო ბავშვთა სახლი, სადაც ბედშავი ბავშვები ადამიანურ სითბოს იგრძნობენ, „სწავლა-განათლებას მიიღებენ და, ყმაწვილობის ასაკს მიღწეულნი, უკვე მომზადებულნი გადიან ცხოვრების გზაზე. „საბავშვო სახლის შენახვას ბევრი ფული სჭირდება, ამიტომ აზიზ ნესინი იძულებულია ბევრი წეროს. სტამბულის გაზეთ „აშქამს“ („საღამო“) ყოველდღე თითო მოთხრობას, ფელეტონს თუ ჩანახატს აძლევდა, ამას ითვალისწინებდა გაზეთსა და მწერალს შორის დადებული ხელშეკრულება. ამგვარ კაბალურ ვალდებულებას ზოგჯერ უცნაური შედეგიც მოსდევს. ამის მოწმე თავად გავხდი: სტამბულში ყოფნისას იოსებ ნონეშვილი, ნოდარ დუმბაძე და მე აზიზ ნესინმა ღამის სტამბულის სანახაობების გასაცნობად მიგვიპატიჟა. გამთენიის ხანს რომ უკან ვბრუნდებოდით, აზიზ ბეის ვუთხარი, ყველაფერი ისეა, როგორც თქვენს ერთ მოთხრობაში-მეთქი.

— რომელ მოთხრობაში?

— „გასაღები“.

— ეგ რომელია?

— აი, სალქიმსაჩაქის ქუჩაზე რომ ათი კაცი ერთი ქალის მიერ მიცემული გასაღებით ხელში ერთსა და იმავე ბინას დაეძებს და ვერა პოულობს, რადგან ასეთი სახლი ამ ქუჩაზე არ არის.

— ეგ მოთხრობა რომ არ მახსოვს? ჩემია?

უფრო დაწვრილებით ვუამბე მოთხრობა, ბევრი იცინა, მაგრამ მაინც ვერ გაიხსენა. მერე თქვა, ყოველ დღე რომ თითო რამე უნდა მისცე გაზეთს, რაღა დაგამახსოვრდებაო.

ჟოგვიანებით, 1962 წელს დაიწყო პიესების წერა. სულ მოკლე ხანში ეს პიესები წარმატებით იდგმება ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, აშშ თეატრების სცენებზე.

ზემოთ ვთქვი, რომ იგი სატირის ბასრ მახვილს გაჰკრავს იმას, რაც უყვარს, რაც მშობლიურად და თავისი არსების განუყოფელ ნაწილად მიაჩნია. მთავრობას კი არ დასცინის, ნიღაბს ხდის მას. ერთხელ პირად საუბარში თქვა კიდეც: „ჩემთვის მწერლისა და მთავრობის ურთიერთმიმართება შემდეგნაირად გამოიხატება. მწერალი მუდამდღე უნდა ებრძოდეს მთავრობას, რომ ხალხისათვის რაიმე სასარგებლო გამოსტაცოს ხელიდან“.

იქ, სადაც ეს აუცილებელია, ასე იქცევიან ჭეშმარიტი მწერლები.

ასე ცხოვრობს და იღვწის აზიზ ნესინი.

ამისათვის იგი მოკლებულია ცხოვრების მრავალ სიამეს, მაგრამ ჭეშმარიტი მწერალი თავისი მწერლური ვალის ასრულებაში პოულობს ნამდვილ სიამეს — როცა ერთის ტანჯვა მილიონობით ადამიანის ბედნიერებას განაპირობებს, იგი ტანჯვად არც მიიჩნევს თავის ყოფას.

აი, ასე შეეგება აზიზ ნესინი თავისი დაბადების 70 წლისთავს, ასევე იცხოვრებს მომავალშიც, რადგან სხვა ცხოვრება მისთვის უკვე ძნელი წარმოსადგენია.

გურამ გათიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფერფერიკთა დიდად პატივსაცემი ოჯახი

ფეხბურთის გულშემატკივრობაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ თუ სპორტის ამბებისათვის შორიდან მაინც მოგიკრავთ ყური, არ შეიძლება არ იცოდეთ, ვინ არის სევიმი, ჭორიკნებმა გაუმაძღარი სვავიც რომ შეარქვეს. მაგრამ თუ თქვენ არა მარტო სპორტით გატაცებული პიროვნება ბრძანდებით, არამედ მაღალ საზოგადოებაშიც გიდგათ ფეხი, მაშინ სევიმიც კარგად გეცნობებათ და ფერფერიკთა მთელი ოჯახიც. ეს სწორედ ის სევიმია, რომელმაც შარშან მეიალქნეთა შეჯიბრის დაწყებისას საქვეყნოდ განაცხადა: შეჯიბრებაში გამარჯვებულს მე ჩემს სიურპრიზს ვუმზადებო. მეორე დღეს ამ სიურპრიზის თაობაზე გაზეთები არა მარტო სპორტულ ქრონიკაში, არამედ იმ განყოფილებაშიც კი წერდნენ, მაღალი წრის სალონების ყოფას რომ აშუქებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება ყარაჩა სუათმა მოიპოვა.

— აბა, ჰე, — უთხრა სუათმა სევიმს, — რა სიურპრიზს მიმზადებდი, მიჩვენე!

ცხადია, ეს ამბავი პლაჟზე ხდებოდა. აქ მუდამ უამრავი ხალხი იყრის თავს და ყველას ეგონა, სევიმის სიურპრიზი ის იქნება, რომ ეს ღმერთების დარი ლამაზი გოგო სუათს აკოცებსო. მათი ღარიბი ფანტაზია ამის იქით ვერ მიდიოდა. სევიმს კი სულ სხვა რამ ედო გულში — მან თამამად გადაიხსნა კაბა, ხელის ერთი მოქნევით, თითქოს პარაშუტის რგოლი მოჰქაჩაო, თავისი ბრიალა ალისფერი ლიფი შეიხსნა და დიდის ამბით, ვითომდა რწმუნების სიგელს გადასცემსო, ლიფი სუათს ჩააბარა. ყარაჩა სუათი ერთი წამით შეყოვნდა, მერე ქალიშვილს ხელი მოხვია, აიტაცა და იმავე წამში ორივენი იახტაზე აღმოჩნდნენ. ღრმად პატივცემული დამსწრე საზოგადოება გონს ვერ მოეგო, რომ იახტის ანძაზე გამარჯვების მაუწყებელი წითელი ლიფი აფრიალდა. იახტამ ყველა აფრა გაშალა და მარმარილოს ზღვის

შუაგულისაკენ გაუტია, რათა რაც შეიძლება მალე განშორებოდა ათას ცნობისმოყვარე თვალს.

მეორე დღეს ამ ამბავს კიდევ ათასი ჭორი მიუმატეს და ბევრ ... სიფ ფერფერიკს ჩაუკაკლეს. ეს უკანასკნელი, სევიმის მამა, უკეთილშობილესი ოჯახის თავი და მაღალ საზოგადოებაში დიდად პატივცემული კაცი გახლდათ.

შური არასოდეს არ არის ძუნწი. არავის ისე არ ძალუძს ბუზი აქლემად წარმოგიდგინოთ, როგორ ამბის შემსწრეს. სწორედ ამ ამბის შემსწრეები შეეცადნენ დაერწმუნებინათ უკეთილშობილესი ოჯახის მამა, საკუთარი თვალით დავინახეთ, როგორ აფრიალდა იახტის ანძაზე... არა, მისი ძვირფასი ქალიშვილის ლიფი კი არა, ლიფი რომ იყოს, სიტყვას ვინ დასძრავდა... არამედ სწორედ ის საცვალი, რომლის ხსენება ხმამაღლა უხერხულიც კიაო...

სევიმის მამიკო შემწყნარებლურად ეკიდებოდა ქალიშვილის ყოველ საქციელს, მაგრამ ამჯერად ვეღარ მოითმინა და აფეთქდა:

— სირცხვილი... თავის მოჭრა... ეს როგორ გაბედა... ოჯახის ღირსება...

და ჰასიფ ბეი დაფიქრდა, თუ როგორ მიეცა პირველი სერიოზული გაფრთხილება თავისი ქარაფშუტა ქალიშვილისათვის, რომელიც ქალწულურ სიამაყესა და ოჯახის ღირსებას არ უფრთხილდებოდა, მაგრამ ამ დროს, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ჩვენს ოჯახებში, კონფლიქტში დედა ჩაერია:

— ყველაფერი სასიკეთოა, — თქვა მეჰჯურე ხანუმმა, — ჩვენი ქალიშვილის საქციელი მხოლოდ სარგებლობას მოუტანს ფერფერიკების ფირმას, რომელიც ქალის საცვლებით ვაჭრობს. ეს ხომ ნამდვილი რეკლამაა ფირმისათვის.

სევიმის ლიფი, ისევე როგორც ქალის ის საცვალი, რომლის ხსენება უხერხულია, ფირმამ ახლახან მიიღო ამერიკიდან.

— მექოთნემ იცის ქოთნის საქმისა, — იარაღი დაყარა ოჯახის თავმა, — შენ მართალი ხარ, რეკლამა საჭიროა.

მაგრამ ჰასიფ ბეი მაინც შეეცადა გაეგო, თუ რა კაცი იყო სუათი. მეიალქნეთა შეჯიბრში გამარჯვებული სუათი კი ორმოციოდე წლის ახალგაზრდა, ათლეტური აგებულების კაცი გახლდათ, მას ზურმუხტისფერი თვალები და შავი, სქელი თმა ჰქონდა. სუათზე ტკბილად ოხრავდნენ სხვადასხვა ასაკის ქალები. ეს იყო საყოველთაო გატაცება, რომელსაც ვერც ერთმა ქალმა ვერ დააღწია თავი. მთელი წელიწადი

იახტას დაარბენინებდა, ზღვაზე კი, მოგეხსენებათ, მზე ეკიდება ცაცხ. ამის გამოც შეარქვეს ყარაჩა სუათი, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ქალები ძალიან ცოტა ხანს უჩერდებოდნენ მას. ვნებას გულგატეხილობა სცვლიდა, ზოგჯერ — ზიზღი და სიძულვილიც კი. რა იყო ამის მიზეზი? გულახდილად რომ ვთქვა, ყველაფრის მიზეზი ისევ და ისევ ყარაჩას ცხვირი იყო — ამხელა ცხვირი მთელს ჩვენს ქვეყანაში არავის ჰქონდა, მაგრამ ვიტრინაში სულ სხვა საქონელი გამოეფინათ და დახლში კიდევ სულ სხვა იყო. გულუბრყვილო ქალები მოტყუებულნი რჩებოდნენ, რადგან სუათის ცხვირს მისი ნამდვილი მამაკაცური ღირსების უტყუარ დადასტურებად მიიჩნევდნენ.

ამ დაბნეულობის მსხვერპლი გახდა სევიმიც. ოი, როგორ მონუსხა სუათის ცხვირმა, რას არ პირდებოდა ეს ცხვირი სევიმს! მაგრამ როგორ გაუცრუვდა იმედი, როცა იახტაზე შავტუხასთან მარტოკა დარჩა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ამდენი პატიოსანი ხალხის წინაშე სევიმმა სუათს ცხვირზე წკიპურტი გაჰკრა და ეშმაკურად ჩაილაპარაკა:

— მატყუარა ყოფილხარ და მეტი არაფერი!

ასე დაიმსხვრა ლეგენდა ყარაჩა სუათზე. ხოლო იმედგაცრუებულმა სევიმმა საბოლოოდ გადაწყვიტა თავი დაენებებინა ზღვისთვის და ხმელეთზე დასადგურებულიყო. გადაწყვიტა მილიონების საყვარელ სპორტში, ფეხბურთში ეპოვნა ნამდვილი შვება. უფრო სწორად, არა იმდენად ფეხბურთში, რამდენადაც საყოველთაოდ ცნობილ საკლუბო გუნდის „თოზქოფარანის"[1] წევრებს შორის. სევიმის გულისათვის რას არ მოიმოქმედებდა გუნდის თერთმეტი მოხერხებული მოთამაშე. ისინი მზად იყვნენ საფეხბურთო ჩემპიონატშიც კი გაემარჯვნათ. ასეთი იყო ჩვენი სევიმი — მაღალსა და პატივცემულ საზოგადოებაში მიღებული ფერფერიკების ოჯახის შვილი.

ფერფერიკები მთელ ზაფხულს ზღვისპირას ატარებდნენ. ზღვა კი ყურის ძირში ჰქონდათ. ისეთი კვირა როგორ გამოერეოდა, რომ ფერფერიკების სამეულს პლაჟისაკენ არ აეღო გეზი. წინ მუდამ ჰასიფ ბეი მიდიოდა, მას მეჰჯურე ხანუმი მისდევდა, ხოლო ბოლოს კი მშვენიერი სევიმი. მაგრამ ამ კვირას კეთილშობილი ოჯახის ბოლოში სევიმი კი არა, ვიღაც ახალგაზრდა კაცი მოქცეულიყო. იგი ისე დაჟინებით მისდევდა ფერფერიკებს, რომ თვით ოჯახის თავმაც კი შენიშნა, თუმცა, ჩვეულებისამებრ ასეთ ყოფაცხოვრებით დეტალებს არ აქცევდა

[1] თოზქოფარან (თურქ.) — კუდიანი ქარი.

ხოლმე ყურადღებას. მართლაცდა, რა სერიოზული ბიზნესმენის, ქალის ამერიკული საცვლებით მოვაჭრე კაცის საქმე იყო, შეემჩნია თავისი ქალიშვილის თაყვანისმცემლები.

— სევიმ! — გადმოსძახა ყმაწვილმა ქალიშვილს, — ეს ბებერი შენი წინაპარია?

— ეგრეა და... — ღიმილით უპასუხა სევიმმა.

ოჯახი რომ პლაჟს მიუახლოვდა, სევიმი მშობლებს ცოტათი ჩამორჩა, მერე გაჩერდა და ფეხსაცმელების ზანტად გახდას შეუდგა. სევიმის აზრით, ამგვარ მოქმედებას ყმაწვილისათვის უნდა ეკარნახა, უფრო თამამი იყავიო, ყმაწვილმაც გონიერება გამოიჩინა.

— სევიმ, ჩემო ძვირფასო, ახლა ხომ ჩრდილში ორმოცდასამი გრადუსი სიცხეა, აგერ ამ გასახდელში არა სჯობია? — და ორივენი გასახდელში მიიმალნენ.

ჰასიფ ბეის მიხვედრილობასაც უნდა მიეგოს თავისი — იგი უმალ აფორიაქდა, რადგან მიიჩნია, რომ უცნობი ყმაწვილი უტაქტოდ მოიქცა.

— ვინ არის ეს ყმაწვილი? — მკაცრად ჰკითხა მან ცოლს.

— რომელი?

— დაიწყებ ახლა, რომელი? რომელი? რომელი და უკან რომ მოგდევდა. იცნობ?

— ვისა?

— ალაჰ... რა დღეში ვარ, აი, ისა, რომელიც ახლა გასახდელშია ჩვენს ქალიშვილთან ერთად.

— როგორ, ნუთუ მართლა არ იცნობ „თოზქოფარანის" ცენტრალურ დამცველს, ეს ხომ საქვეყნოდ ცნობილი აჰმედია, გვერდაუვლელი აჰმედი, ტყუილუბრალოდ კი არ შეარქვეს „აჰმედ კედელა".

ჰასიფ ბეი დაბნეულობისაგან დუმდა. ვაი, სირცხვილო? არ იცნობდე ასე საქვეყნოდ ცნობილ, თითქმის ერთვნულ გმირად ქცეულ კაცს!

— აა... მაშ, ეგ არის? როგორ არა... როგორ არ ვიცნობ... ეგეთი ფეხბურთელია! რა დარტყმა აქვს, რა ძლიერი... მაგრამ მაინც... ერთი შეხედე... მე კი მეგონა, ვიღაც უცხომ აგვაცალა ქალიშვილი.

— შენ რომ არ გაიფიქრებ, ისეთი რა არის... მეტისმეტს უშვრები მაგ გოგოს, ასეც არ იქნება.

— შენ თუ შენი არ ჰქენი, შენს ქალიშვილს სხვა ისეთ რამეს უზამს რომ... — შეგონებით წარმოთქვა ჰასიფ ბეიმ და მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი გასახდელისაკენ.

მშობლებმა უკვე იბანავეს, სილაზე გაწოლილები შეშრნენ კიდეც, რომ გასახდელის კარი გაიღო და სევიმი გამოჩნდა.

— შეხედე, ერთი შეხედე, ამდენი ხანი გასახდელში, ეყო შენი ქალიშვილი, — აღშფოთებით ჩაილაპარაკა ჰასიფ ბეიმ.

მეჰჯურე ხანუმი არც შერხეულა.

— როცა მოესურვება, მაშინ შევა და გამოვა, უკვე სრულწლოვანი გოგოა და შენ თავი გაანებე!

მეჰჯურე ხანუმი გონიერი ქალი იყო და თავისი შეხედულება ჰქონდა იმაზე, თუ როგორ უნდა ეჭიროს თავი მოკრძალებულ ქალიშვილს, რადგან მოკრძალებულობასაც თავის საზღვარი აქვს. გასათხოვარ გოგოს ბევრი ნაცნობ-მეგობარი უნდა ჰყავდესო. თუ მაგას ეს უბრალო ჭეშმარიტება არ ესმის, ისა სჯობია, ენა მუცელში ჩაიგდოს და ქალიშვილს ხელი არ შეუშალოს ბედნიერების პოვნაშიო.

ჰასიფ ბეის არ უნდოდა ცოლთან ჩხუბი, ამიტომაც ზურგი აქცია მეჰჯურე ხანუმს, თუმცა, მის გასაგონად მაინც ჩაილაპარაკა:

— კარგი მოკრძალებულიც ეგა გყავს. ნაცნობ-მეგობრებიო... რაც შეიძლება მეტიო... გასათხოვარიო... მასეთ გოგოებზე ამბობენ, თავის კერიას შეაბერდაო.

ცუდი აზრები რომ გაეფანტა და დამშვიდებულიყო, ჰასიფ ბეი წამოჯდა და უაზროდ მიაჩერდა ზღვას. სხვა დროს რამდენიმე ღერ თმას ისე მოხერხებულად დაივარცხნიდა, რომ ქაჩალი არც გამოუჩნდებოდა, მაგრამ ახლა, ეტყობა, დავარცხნა ვერ მოეხერხებინა და ბანაობის შემდეგ მელოტი თავი მზეზე ბზინავდა.

ზღვის ცქერამ ავი ფიქრები ვერ გაუფანტა. თავის ქალიშვილზე ცუდს არასოდეს გაივლებდა გულში, მაგრამ ამ ბოლო დროს სევიმის მუცლისა და წელის მოყვანილობა აშფოთებდა. საქმე ის არის, რომ სევიმის მუცელი რაღაც ავისმომასწავებელ მოხაზულობას ღებულობდა.

— რას იზამ! — შიში განუქარვა ცოლმა, — ასეა, წლებთან ერთად სიმსუქნეც გვემატება.

— მაპატიე, მაგრამ ჩვენი სევიმი მხოლოდ ერთი მიმართულებით სუქდება, — გაუბედავად შენიშნა მამიკომ.

— გადამრევს ეს კაცი, სიცილით სულს ნუ კი ამომხდი. სიმსუქნე და სიგამხდრე რომ ჩვენს ხელთ იყოს და გვემორჩილებოდეს, კარგია, მაგრამ... გოგო ყოველთვის ჰარმონიული ხომ არ იქნება. ყველაფერი ეს კონსტიტუციაზეა დამოკიდებული და...

კონსტიტუციაო?!

ამ სიტყვის გაგონებაზე ჰასიფ ბეიმ ენას კბილი დააჭირა, რადგან სულაც არ ეწადა ოჯახური საუბარი საშინაო პოლიტიკის საკითხებზე დისკუსიად გადაექცია.

ბიბლიოთეკა

მომხიბლავი სევიმის დედა კი მტკიცედ იყო დარწმუნებული, ჩემი ქმარი სულ ტყუილუბრალოდ აფორიაქდაო. მისი ფიქრით, აუცილებელი არ არის ყოველდღე უჩიჩინო ბავშვებს ფრთხილად იყავითო, რადგან თანამედროვე მედიცინა ყოვლისშემძლეა. ესეც არ იყოს, ჩვენი დროის გოგონები კარგად ერკვევიან სექსუალურ საკითხებში და იციან თავისი საქმისა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და პლაჟზე საუბრის შემდეგ თავისი ქალიშვილი ერთ ცნობილ ექიმთან მიიყვანა. ეს სწორედ ის ექიმი იყო, რომელსაც არაერთი სამსახური გაუწევია ფერფერიკთა დიდად პატივცემული და მაღალ საზოგადოებაში მიღებული ოჯახისათვის.

— ოი, ექიმო... ეს არის თქვენი ღირსების... თქვენი ღირსების... მისი და თვით ფირმის ღირსების საქმე...

ამ ცნობილმა ექიმმა. რომლის ჩინებულ ხელშიც სტამბულის უდიდესი პლაჟის მთელმა ქალთა პერსონალმა გაიარა, საქმიანად დაადასტურა სევიმის მდგომარეობა და უბრალოდ, თითქოს ხელში გაფუჭებული საათი უჭირავსო, თქვა:

— იმდენი არაფერია, შევაკეთებთ.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ექიმმა ყველაფერი იცოდა ფერფერიკთა ოჯახის მემკვიდრეზე. სევიმს უყურადღებოდ არავინ ტოვებდა — არც ჭორიკნები და არც გაზეთების ის განყოფილება, რომელიც მაღალი წრის სალონების ყოფას აშუქებს. ყველამ იცოდა, რომ შავტუხა სუათის ცხვირით იმედგაცრუებულმა სევიმმა უახლოესი მეგობრობა დაუმარცხებელ გუნდ „თოზქოფარანთან" დაამყარა. ამ მეგობრობამ თავისი ლაქაც გააჩინა და შესაძლებელი იყო, ჭუჭყიან ლაქას ჩირქი მოეცხო ფირმისა და ოჯახისათვის. კიდევ კარგი, ექიმი თავისი საქმის ოსტატი იყო, მან ისე გამოიყვანა ლაქა, რომ კვალი თითქმის დაიკარგა. მოგეხსენებათ, სამუშაოს სწრაფად და ჩინებულად შესრულებისათვის ორმაგ გასამრჯელოს თხოულობენ. ასე რომ, ლაქის მომსპობმა ფული იშოვნა — მან ხომ ღირსება იხსნა — ფირმამ კი გასავალი უმალ ჩამოწერა.

არც სენსაციებზე მონადირე ქრონიკიორებს დაუტოვებიათ ეს ოპერაცია უყურადღებოდ და მას გესლიანად პლასტიკური უწოდეს. ერთი

საძაგელი მჯღაბნელი იმასაც კი წერდა: „ასეთი ოპერაციები ქრისტეს დაბადებამდე რომ სცოდნოდათ, ყველა იტყოდა, უცოდველ გოგონებს წმინდა სული აცთუნებსო, მადლობა შევწიროთ ღმერთს, რომ ასეთი პლასტიკური ოპერაციის ოსტატებმა ვერ მოასწრეს იმ შორეულ წარსულში გამოეჩინათ თავიანთი ხელოვნება, თორემ კაცობრიობა ხომ ვერასოდეს ეღირსებოდა იესო ქრისტეს დაბადებას“.

მეჰჯურე ხანუმი შინ თუ გააფთრდებოდა ამგვარი ნაჯღაბნის გამო, თორემ ფერფერიკთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ საზოგადოებაში შესაშურ სიმშვიდეს იჩენდნენ, ხოლო რაც შეეხება ჰასიფ ბეის, იგი მოხერხებულად ფარავდა თავის აღშფოთებას — სარკის წინ იდგა და მელოტ თავს ლიდის სიფრთხილით აფარებდა თმას.

აჰმედ „კედელა“

ვინ იტყვის, რაზეა დამოკიდებული ფეხბურთელის სპორტული ფორმა? ზოგჯერ მას ისეთი რამ განაპირობებს, რასაც არაფერი საერთო სპორტთან არა აქვს.

ასე მაგალითად, მთელ ქვეყანაში ცნობილი ფეხბურთელი „თოზ-ქოფარანის“ გვერდაუვლელი ცენტრალური დამცველი აჰმედი, რომელსაც მეტსახელად „კედელა“ შეარქვეს, საპასუხისმგებლო მატჩის წინ ხშირად ევაჭრებოდა ხოლმე სტამბულის ერთ-ერთ ულამაზეს ქალს სევიმს.

— მაშ, თუ წავაგეთ, არ იზამ?

— ახლოს არ გაგიკარებ, — დაბეჯითებით პასუხობდა სევიმი.

— ყაიმი თუ იქნა?

— მეც სანახევროდ...

— თუ კი მოვიგეთ, მაშინ ხომ ნაღდად...

ამ დროს სევიმი თვალებს მოწკურავდა და ჩაილაპარაკებდა: „თუ მოიგეთ, კი“. ამის შემდეგ აჰმედ „კედელას“ მოედანზე ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ უტოლდებოდა, ქარივით დაქროდა, მოწინააღმდეგეს ფეხსაც კი დაუდებდა, ხელსაც ჩაავლებდა, ტრუსსაც კი ჩახდიდა და, თუ საჭირო იყო, ბურთს ისეთი ძალით დაარტყამდა, რომ ტრიბუნებში ძლივს პოულობდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით, აჰმედ „კედელას“ მუდამ შეეძლო გამარჯვება მოეტანა თავისი გუნდისათვის. სევიმი კი პატიოსანი სიტყვის გოგო იყო და თავის პირობას არასოდეს გადავიდო-

და. სიტყვისადმი ასეთი ერთგულებაც იყო იმის მიზეზი, რომ ასე მოუხშირა პლასტიკურ ოპერაციებს. შექმნილ მდგომარეობას პრესამაც კი მიაქცია ყურადღება — კალმოსნებმა მოახერხეს დაედგინათ, რომ „თოზქოფარანის“ ცენტრალური მცველის ყოველ ბოლო ყინვალე თამაშს სევიმის პლასტიკური ოპერაცია მოსდევდა ხოლმე. სწორედ ამიტომ ულამაზესი სევიმის მშობლებმა საპასუხო ღონისძიებას მიმართეს — ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ „თოზქოფარანის“ თამაშინ დროს სახლიდან არ გაეშვათ სევიმი ან თუ გაუშვებდნენ, ისიც სტადიონზე კი არა, ქალაქიდან შორს, სასეირნოდ. დასაფიქრებელიც ჰქონდათ — სევიმის ასეთი გატაცება ფეხბურთით დღითი დღე ართულებდა ხეირიანი სასიძოს პოვნას. ამით კი ფერფერიკთა ოჯახსა და ფირმას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.

ერთ ხანს სევიმის მშობლების ეშმაკობამ გასჭრა, მაგრამ ამით ცუდ დღეში ჩავარდა „თოზქოფარანის“ გვერდაუვლელი მცველი — მოდუნდა, ჩვარივით გახდა. ამან კი უმალ მთელი გუნდის თამაშზე იქონია გავლენა. გუნდი ზედიზედ აგებდა, „თოზქოფარანის“ საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელები ნათლად ხედავდნენ, რომ გუნდის მოგება-წაგების, სატურნირო მდგომარეობის საქმე მათს ხელთ აღარ იყო და განიზრახეს სასწრაფოდ მიეღოთ გადამწყვეტი ზომები. კიდევ ერთი პლასტიკური ოპერაციის გაკეთება რა ბედენაა, ბოლოსდაბოლოს „თოზქოფარანის“ კლუბის ხელმძღვანელობა მზად არის გარკვეული ხარჯებიც კი გაიღოს, როცა საქმე გუნდის ღირსებას ეხებაო, სევიმის ღირსება ოჯახის საქმეა, გუნდი კი საზოგადოებრივი და უფრო მეტიც — სახელმწიფოებრივი ღირსების საქმეაო.

ამიტომაც ახლავე უნდა გავმართოთ მოლაპარაკება სევიმის მშობლებთან, სევიმი თუ გვიხსნის, თორემ ჩვენი საქმე წასულიაო. ეს საკმაოდ საჩოთირო მისია კლუბის გენერალურმა თავმჯდომარემ დუნდარ დუბარა ბეიმ იდო თავს. დუბარა ბეი ჰასიფ ბეის ახლო მეგობარი იყო და ძალიან თავაზიანად აუხსნა მეგობარ კაცს, თუ რაოდენ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდებოდა საკლუბო გუნდი უსევიმოდ.

— თუ ასე გაგრძელდა, ჩემო ძვირფასო ჰასიფ ბეი, „თოზქოფარანი“ სატურნირო ცხრილის ბოლოში აღმოჩნდება. განა შენ ამას აიტან? აჰმედ „კედელა“ გუნდის ცხრა მეათედია, მე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეგ „კედელა“ სამასი ათასი ლირა დაგვიჯდა, გამოუშვი სევიმი ფეხბურთზე. შენი გოგო რომ ტრიბუნაზეა, აჰმედი მიუვალ ციხე-

სიმაგრედ იქცევა ხოლმე, თუ შენი გოგო სტადიონზე არ არის, ეგ ციხესიმაგრე იშლება და ინგრევა.

დუნდარ დუბარა ბეის მგზნებარე სიტყვამ უდიდესი [illegible] იქონია სევიმის მამიკოზე. განა სახუმრო საქმეა „[illegible] ცხრა მეათედი იყო და სამასი ათასი ლირა ღირდე?

— შექმნილი სიტუაციიდან ყველაზე ჩინებული გამოსავალი ის იქნებოდა, — ცხარედ დაასრულა დუბარა ბეიმ, — რომ დროულად დაგვექორწინებინა სევიმი და აჰმედ „კედელა“.

სიხარულით ათრთოლებულმა ჰასიფ ბეიმ ლამის არ იკითხა: მერე და, რას უყურებს ეგ შენი აჰმედ „იატაკა“, რატომ არ ქორწინდებაო, მაგრამ უცებ მოეგო გონს და კრინტი ალარ დასძრა. რა ჭირად უნდოდათ ფერფერიკებს ეგ ქორწინება — აჰმედს არც ფული გააჩნდა, არც საზოგადოებრივი მდგომარეობა და არც ინტელექტუალთა შორის მოსახსენიებელი კაცი გახლდათ. მით უმეტეს, რომ ერთი ლოთი-შფოთი და ბანქოს მოთამაშე ვინმეა. მაგრამ ასეა თუ ისე, ჰასიფ ბეი მაინც ძალიან ნასიამოვნები დარჩა, როცა გაიგო, თუ რა როლს ასრულებდა მისი ქალიშვილი სპორტულ ცხოვრებაში. კაცმა გულახდილად რომ თქვას, ეს ოხრობა ბანქოს თამაში რომ არა, შეიძლებოდა აჰმედისა და სევიმის ქორწინებასაც დაყაბულებოდი და ერთი პატარა სპორტული მალაზიაც გაგეხსნა სიძე კაცისათვის, მაგრამ...

დუნდარ დუბარა ბეიმ ასეთი პასუხი მიიღო: მზადა ვარ ამ საკითხზე ცოლს მოველაპარაკო. ასევე უთხრა ჰასიფ ბეიმ გამოთხოვებისას გენერალურ თავჯდომარეს დუნდარ დუბარა ბეის.

იმ ღამეს ცოლ-ქმარმა ფერფერიკებმა პირველად ითათბირეს ასე სერიოზულად ქალიშვილის მომავალზე. საუბარი არც ისე ხანგრძლივი გამოდგა.

— სასწრაფოდ უნდა გავათხოვოთ სევიმი, — თქვა დედიკომ და დასძინა, — მთავარია გათხოვდეს, მერე რაც უნდა, ისა ქნას...

— რასაკვირველია, — დაეთანხმა მამიკო, — ქორწილის მერე ქმარმა სდიოს, მერე, უნდა შავტუხა სუათის შთაგონება იყოს და, უნდა აჰმედ „კედელასი“, ჩემთვის სულ ერთია.

— აბა!

მზრუნველმა მშობლებმა მეორე დღესვე დაიწყეს სასიძოს ძებნა.

სამართლიანობის გულისთვის კაცმა ერთი რამ უნდა აღნიშნოს — ფერფერიკთა ოჯახის ხელმძღვანელ ორგანოებში აჰმედ „კედელას“

სიძეობაზე იმიტომ კი არ იკავებდნენ თავს, რომ ეგ ჩვენი „ოჯდელა“ ყეყეჩი იყო და ჭკუა მხოლოდ ფეხებში ჰქონდა, კაცმა რომ თქვას, ჰასიფ ბეი მის შესაფერის საქმესაც გამონახავდა ქალის თეორიულ გასაღების სისტემაში. უბედურება ის გახლდათ, რომ თვითონ „ჰქონდა ფელას“ ჭირის დღესავით არ უნდოდა სევიმზე დაქორწინება. სევიმმა უკვე „თოზქოფარანის“ ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი გამოიცვალა. ზოგიერთი სათადარიგო მოთამაშეც გასინჯა. ამიტომ ამ ჩვენმა სვავმა ერთმანეთთან დაანათესავა, თითქოს ზეციურ ძმებად გახადა ყოველი ფეხბურთელი. აჰმედიც ძმასავით ექცეოდა სევიმს, ხშირად ისიც კი უთქვამს: ჩემო ძვირფასო, რაც შეიძლება მალე უნდა გათხოვდე, გათხოვების შემდეგ კი აღარ ილაყბებენ შენი და ჩემი ურთიერთობის თაობაზეო.

სვავი სევიმიც თანახმა იყო — გათხოვება, მართლაც, კარგი იქნებოდა, მაგრამ სასიძო საიდან მოეყვანათ? ნაცნობ-მეგობართა ფართო წრე იმდენად ვიწრო აღმოჩნდა, რომ ერთი საქმრო ვერ მოინახა. საქმეს კი ძალიან აგვიანდებოდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს მეჰჯურე ხანუმმა ქალიშვილს გამოუცხადა: ქვეყანა რომ დაიქცეს, ფეხბურთის სეზონის დამთავრებამდე უნდა გათხოვდეო.

სარიოღლუთა ოჯახი

სასიძო თვითონ გამოჩნდა. ვიდრე ფერფერიკები ცით მოვლენილ ანგელოსს დაეძებდნენ, სასიძო აგერ, ამ ცოდვილ მიწაზე დააბიჯებდა და იმის ბაიბურშიც კი არ იყო, თუ რა ამბები ელოდა. ეს უიღბლო კაცი საით სარიოღლუ იყო. საითი თავისი ბუნებითა და ტემპერამენტით ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ სევიმისათვის. ეს სწორედ ის იყო, რაც სევიმს სჭირდებოდა. სხვა დროს ამაყი ქალიშვილი უბრალო მზერასაც კი არ მიაპყრობდა საითისნაირ ყმაწვილებს, მაგრამ ახლა ცუდი დრო დადგა — ამას წინათ დედიკომ მაგიდას .დაჰკრა ხელი და დაბეჯითებით მოითხოვა:

— თუ თვითონ მონახავ საქმროს, ხომ კარგი, არადა, სწორედ იმას გაჰყვები, ვიზეც მე და მამაშენი დაგნიშნავთ.

საბრალო სევიმი თავის ოთახში ჩაიკეტა, იტირა, იტირა და ოთახიდან რომ გამოვიდა, განაცხადა: პირველსავე შემხვედრ მამაკაცს გავუ-

ვები, ოღონდ ჩემს საქმეებში არ ჩაერიოს და ჩემი პირადი ბედნიერება ფეხქვეშ არ გათელოსო.

საითი სარიოღლუ[1] კი იყო, მაგრამ თავისი გვარისაგან განსხვავებით თმაც თეთრი ჰქონდა, წვერიც, წამწამებიც და კანიც. ერთი სიტყვით, მას რომ დაინახავდით, ასე გეგონებოდათ, თეთრ პურის ფქვილში იწვა და ეს-ეს არის წამოდგაო. თვალები მუდამ ეცრემლებოდა, რადგან თეთრი წამწამები შუქისაგან ვერ იცავდა. შავ სათვალეს კი ატარებდა, მაგრამ თვალებს მაინც მუდამ ჭუტავდა, გამუდმებით აწუხებდა გლეფარიტი, ორმხრივი ასტიგმატიზმი, მაღალი წნევა, ხოლო რაც შეეხება ახლომხედველობას, მთლად სულსა ხდიდა — მუდამ რაღაცას წააწყდებოდა და ზედ ეცემოდა ხოლმე, ამიტომაც იყო, რომ მისი სათუთი და ძალზე ნაზი სხეული სხვადასხვაფრად იყო აჭრელებული. სიგრძე კარგა ასოთხმოცდაოთხი სანტიმეტრი ჰქონდა, მაგრამ წონას არ იკითხავთ? ქარიც კი წაიღებდა, რადგან 51 კილოგრამს იწონიდა. დედამიწაზე კაცი არ მოიძებნებოდა, რომ ზუსტად ამოეცნო მისი ხნოვანება. ერთნი ამბობდნენ, ორმოცზე ნაკლების არ იქნებაო, მეორენი კი ირწმუნებოდნენ, თექვსმეტი წელი ახლახან გაათავაო. მხოლოდ საითმა თუ იცოდა, რომ ამას წინათ გახდა ოცდაოთხი წლისა. საითი ჯერ კიდევ სკოლაში იძლეოდა საიმისო იმედებს, რომ უდიდესი მათემატიკოსი გახდებოდა, რადგან გარდა მათემატიკისა, ვერც ერთი საგნის ინჩიბინჩი ვერ გაიგო. მასწავლებლები არაფერს ზოგავდნენ ბეჯითი მოსწავლისათვის, ბრმად სჯეროდათ, მათემატიკაში უდიდესი აღმოჩენებით ჩვენს სახელს უკვდავყოფსო. ალბათ, ამიტომაც გაგზავნეს სკოლის დამთავრებისთანავე პარიზში, რათა ასტრონომია შეესწავლა, მაგრამ აქ მხედველობიდან გამორჩათ ერთი სამწუხარო გარემოება — ვიდრე საითი ასტრონომიის საიდუმლოებებს ეუფლებოდა, ცაზე ერთი აღმოუჩენელი ვარსკვლავიც აღარ დარჩა.

მაგრამ პარიზი მაინც პარიზია და მან გული როდი ატკინა საითს — ასტრონომია რომ მოითავა, ასტროლოგიას მიჰყო ხელი და თავის თავში აღმოაჩინა საოცარი უნარი — ზუსტად გამოეცნო, თუ სად ინახებოდა მოპარული საქონელი, მოეძებნა ქურდები. ნათელმხილველობის ეს უიშვიათესი თვისება საითმა ერთი ბნელით მოცული პიროვნებისაგან შეითვისა. ის კაცი ამბობდა, ინდოელი სასწაულმოქმედი და ეინშტეინის ბიძაშვილის მამიდაშვილი ვარო.

---

[1] სარი ქართულად ნიშნავს წითურს.

. საითს უკვე შეეძლო გამოეცნო ადამიანთა წარსული და აწმყო. ახლო თუ შორი მანძილიდან გაეგო მათი აზრები. ასე რომ, თუ თვითონ არ მოიტყუებდა თავს, საითის გაცურება არავის შეეძლო.

ნათელმხილველობის ნიჭი საითს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ძალიან ეხმარებოდა. ასე მაგალითად: დილას რომ გაიღვიძებდა, თავის წინდებს თუ ვერ იპოვნიდა, მისი ძებნით თავს არ იკლავდა. მიუჯდებოდა მაგიდას, აიღებდა ფურცელს, ფანქარს და გამორიცხვის მეთოდით მათემატიკურად გამოიანგარიშებდა, მოცემულ ეტაპზე სად უნდა ყოფილიყო ესა თუ ის წინდა. თუ მათემატიკური ანალიზი მიახლოებით აჩვენებდა წინდების მდებარეობას, ისიც ადგებოდა და ახალთახალ წინდას ამოიღებდა ჩემოდნიდან. ასე გრძელდებოდა თითქმის ყოველ დილას და მთელი მისი ოთახი წინდებით იყო მოფენილი. წინდები წიგნების კარადაზეც ეყარა და ბალიშის ქვეშაც, მაცივარშიაც და ჭიქაშიაც.

ხოლო ასტროლოგიური ანალიზის მეთოდმა იგი მოულოდნელ დასკვნამდე მიიყვანა: არ არსებობს ქალი, რომელსაც მასზე დაქორწინება არ სწადია. მერე ვარსკვლავების მოძრაობას დააკვირდა და დაინახა, რომ ვარსკვლავები უიღბლოდ იყვნენ განლაგებულნი და დაცოლშვილება მას არაფერს სასიკეთოს არ მოუტანს. ამ დღიდან ქალებს სათოფეზე არ ეკარებოდა. ალბათ, თქვენთვისაც ცხადი გახდა, რომ საითი თავისი ძლიერი ინტელექტით კი არ იზიდავდა ქალებს, არამედ ზღაპრული სიმდიდრით. ქონება კი დიდძალი ჰქონდა, რადგან მისთვის მთელი 250 წელი აგროვებდნენ.

პარიზში ახალი ზეციური ვარსკვლავების აღმოსაჩენად გაგზავნილი საითი სტამბულში ხელცარიელი დაბრუნდა და აი, იღბალი! ამას ვინ იფიქრებდა! მან სწორედ სტამბულში აღმოაჩინა მშვენიერი ვარსკვლავი. ეს ვარსკვლავი კი ჩვენი სევიმ ფერფერიკი გახლდათ.

სარიოღლუთა მრავალრიცხოვან ოჯახს არაფერი ჰქონდა იმის საწინააღმდეგო, რომ საითი დაქორწინებულიყო და სწორედ მისი მეოხებით გაგრძელებულიყო ეს დიდებული შტო, მაგრამ სევიმთან ქორწინებას ყველა ნათესავი აუმხედრდა. სევიმი შეუფერებელია ისეთი საპასუხისმგებლო საქმისათვის, როგორიც უძველესი და უკეთილშობილესი შტოს მომავლის შექმნაა. თავგამოდებით გაიძახოდნენ, რომ სევიმი ზედგამოჭრილი დედამისია, დედამისს კი თავისი უბნის არც ერთი მამაკაცი დაუტოვებია, ამნაირ ქალს რა მოერევა, გაძლება ხომ უნდა, იგი ყველას გაგვაცურებსო.

ნათესავების ყოველ მოსაზრებაზე საითი თავდაჯერებულად პასუხობდა:

საქ. ... კ. მარქსის
სა... ... რესპუბ.
ბიბლიოთეკა

— განა შეიძლება ვინმემ გააცუროს კაცი, რომელმაც იცის, რა იქნება ხვალ? კაცი, რომელიც სხვათა აზრებს კითხულობს? არა. ჩემი მოტყუება შეუძლებელია!

რასაკვირველია, საითი თავისებურად მართალი იყო, რადგან ხევიმის გაცნობამდე მისი მოტყუება მხოლოდ ერთმა ქალმა შეძლო, ესეც რაღა მოტყუება იყო, საითმა ყველაფერი ადრევე იცოდა.

აი, როგორ მოხდა ეს ამბავი:

ამ გათახსირებულსა და მანკიერ პარიზში, ქალაქში, რომელშიც ყოველ კაცს შეუძლია ისეთი ფერისა და ზომის საყვარელი გაიჩინოს, როგორიც მას მოეპრიანება, საითს ბედი არ სწყალობდა — ქალები სათოფეზე არ ეკარებოდნენ ამ აყლაყუდა, მოუხერხებელ და გაუბედავ ბიჭს. ფულმაც კი არაფერი სამსახური გაუწია საითს და ვერ მოახერხა, დამტკბარიყო პარიზელი ქალების მომხიბლაობით. ღმერთო ჩემო, ამის მერე კიდევ იტყვიან, რომ პარიზი ამნაირი და ამნაირი ქალაქიაო...

საცოდავი სარიოლლუ ძალიან ცუდ დღეში ჩავარდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ინდოელი სასწაულმოქმედის სახლში, სწორედ იმ ინდოელისა, რომელიც ეინშტეინის ბიძაშვილის მამიდაშვილი იყო, საითს მოულოდნელად ეწია ბედნიერება — აქ ერთ ალჟირელ ქალს გაეცნო. ალჟირელი ქალი და საითი მალე შენობით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თუმცა მათ შორის არაფერი არ მომხდარა. ქალი დედობრივი მზრუნველობით მოეკიდა საითს, იგი უმალ მიხვდა, თუ რაოდენ უბადრუკ დღეში იყო ბიჭი და თანაგრძნობით უთხრა:

— მე შენ დიდ სიკეთეს გწევ, მაგრამ ეგ ამბავი ათასი ფრანკი დაგიჯდება. — საითი სიხარულისაგან აცახცახდა, გონი მაინც არ დაჰკარგა და მიუგო:

— კი ბატონო, მხოლოდ ფულს მერე ჩაგაბარებ, რადგან ქალები ფულს რომ ჩაიჯიბავენ, ხელსაც არ დაგიქნევენ ხოლმე.

ალჟირელმა ქალმა ჩვენი საითი ერთ ფოტოგრაფთან მიიყვანა. იქ მადლენი გააცნო. ეს სწორედ ის მადლენია, რომლის ფოტოსურათიც ყოველი კონტინენტის მამაკაცს უდევს საფულესა თუ პორტფელში, როგორც დამხმარე თვალსაჩინო მასალა სექსუალური საკითხების შესწავლის საქმეში. ამ ფოტოსურათებში მადლენი ყოველთვის ჩაცმული როდი იყო, უფრო სწორად, ტანსაცმელი ყოველთვის როდი სჭიროდა. ან თქვენ გგონიათ, იგი მარტო იყო ფოტოსურათზე? რასაკვირველია,

არა! მუდამ ვიღაცასთან ერთად იყო გამოსახული და ეს ორნი მუდამ რაღაცას სჩადიოდნენ.

რასაკვირველია, საითმა ვერ გაიგო სად მოიყვანეს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ფოტოსალონში იდგა სავარძლები, იდგა ტახტი, ტახტზე კი ბალიშები ეყარა, კედელზე სარკე ეკიდა, საითმა იფიქრა, პირდაპირ საწოლ ოთახში შემომიყვანესო.

ალეირელი ქალი არც გაჩერებულა, მალე გაბრუნდა, მადლენი კი უმალ ქალური თანაგრძნობით აღივსო ამ თითქოსდა თეთრი პურის ფქვილიდან ახლახან ამოსული ყმაწვილისადმი. მას საუბარი დიდხანს არ გაუგრძელებია, თავისი ქალწულებრივი მოკრძალებულობა დაიოკა და უმალ გააშიშვლა რესპუბლიკური თურქეთიდან ასტრონომიის დასაუფლებლად ჩამოსული ყმაწვილი. იმ დღეს ფოტოგრაფმა საკმაოდ ბევრი სურათი გადაიღო. ამ სურათებზე ასახული იყო, თუ როგორ სექსუალურ აღზრდას ღებულობდა საითი. გადაღება პროგრესული მეთოდით, ე. ი. ფარული კამერით მიმდინარეობდა, მაგრამ სამსახური მაინც სამსახურია, საქმეს სიზუსტე უყვარს და მადლენი დროდადრო გადასძახებდა ხოლმე ფარდის მიღმა მდგარ ფოტოგრაფს:

— ასე კარგია, მუსიე?

საითი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ მას ეკითხებოდნენ. ამიტომაც პასუხს არ აყოვნებდა:

— ოი, და მერე როგორ, მადმუაზელ...

— მოგწონთ, მუსიე?

— მომწონს რომელია!.. ვგიჟდები და ეგაა.

— ასე?

— ასეც, მადმუაზელ...

თუმცა, ერთხელ ფოტოგრაფმაც გასცა პასუხი.

— აქ კიდევ არის ვინმე? — შიშით იკითხა საითმა და სირცხვილისაგან სიწითლე მოერია.

— ოი, მონ ამურ, აქ ვინ უნდა იყოს, უბრალოდ აკუსტიკაა ასეთი მძლავრი.

მადლენი რომ „მონ ამურს“ ეტყოდა, საითს ამ ქვეყანაზე აღარაფერი უნდოდა.

ეს ფოტოგრაფი სექსუალური რევოლუციისათვის თავგამოდებული მებრძოლი იყო და აი, ერთ დღეს გადაწყვიტა სამთა სიყვარული აღებეჭდა ფირზე. ამიტომ ფოტოსალონში ერთი ულვაშებიანი ახმახიც

მოიწვია. იუპიტერების დაუნდობელი შუქით თვალმოჭრილმა საითმა ვერ შეამჩნია, მადლენის გვერდით კიდევ ერთი კაცი რომ მოთავსდა და როცა მადლენმა ჩვეულებისამებრ ფოტოგრაფს ჰკითხა: „ასე კარგია, მუსიე?“ ხოლო ფოტოგრაფმა მიუგო, გადასარევიაო, ულვაშებიანმა ჩაიბუტბუტა, დიდი ვერაფერი შვილი გახლავთო.

საითმა რომ რამდენიმე კაცის ხმა გაიგონა, იკითხა:

— აქ კიდევ არის ვინმე?

— ოჰ, მონ ამურ, ჩვენ გარდა ვინ უნდა იყოს?

მაგრამ ამავე წამს ულვაშა ახმახს ხველა აუტყდა.

— ვილაც რომ ახველებს? — დაიჩივლა საითმა.

— ხომ იცი, აქ ასეთი აკუსტიკაა. ეს შენ ახველებ და ასე ჩაგესმის, ძვირფასო, — დაამშვიდა მადლენმა.

— მე რომ არ დამიხველებია?

— განა შენ ამ წუთში არ დაახველე, მონ ამურ?

საითს მოუნდა, მადლენს მოხვეოდა, მაგრამ ვილაცის ულვაშები შერჩა ხელთ.

რა მადლიერი დარჩა თავისი შორსმჭვრეტელობისა! მას ხომ მადლენის ცოლად შერთვა სურდა და ის-ის იყო წინადადების მიცემასაც აპირებდა, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ულვაშიანმა ახმახმა ერთი-ორი მოსცხო საითს, ხოლო მადლენმა კი კინწისკვრით გამოაგდო. ეს იყო და ეს, ერთადერთი შემთხვევა, როცა ქალმა შეძლო საითის მოტყუება, თუ შეიძლება ამას მოტყუება დავარქვათ.

მოგვიანებით, სტამბულში ჩამოსვლის შემდეგ, საითი თავს იწონებდა ხოლმე ამ სამიჯნურო თავგადასავლებით და ყველას არწმუნებდა, წინასწარ ვიცოდი ყველაფერი, მაგრამ არაფერს ვიმჩნევდიო. თითქოს საითს ძალიან სჭიროდა იმის მტკიცება, რომ ბრიყვი იყო.

საითი სტამბულში სწორედ მაშინ დაბრუნდა, ფერფერიკთა ოჯახში ჭექა-ქუხილი რომ იწყებოდა: პლასტიკური ოპერაციები ერთიმეორეს მისდევდა. ამან საქვეყნოდ ცნობილი ექიმიც გააღიზიანა. გამუდმებულმა ოპერაციებმა ჩემი მეცნიერული შრომა მიმავიწყაო და სამმაგ ჰონორარს ითხოვდა. თვით მეჰჯურე ხანუმმაც ვერ აიტანა ეს ამბავი და ერთხელ ასეთი რამ უთხრა სევიმს:

— ჩემო შვილო, ყოველი ქალის ვალია, თავის შვილს მამა მოუნახოს. ამის მერე სხვა მამაკაცებთან საქმის დაჭერაც იოლია — შენც ენდობი და ისინიც გენდობიან. უკვე დროა, ამაზე იფიქრო, ჩვენში დარჩეს და, დაბადების მოწმობის მიხედვით 29 წლისა ხარ.

— ოცდაცხრისა კი არა, ოცდარვისა, — შეუსწორა სევიმმა.

— ეგ თერთმეტი თვეც მალე გაივლის და ოცდაცხრისა გახდები, დროა ჭკუა ისწავლო, ჩვენ დაგვაკვირდი, დედაშენსა და მამაშენს, ხომ ხედავ რა ბედნიერები ვართ. მე მესმის შენი — ფეხბურთი გიყვარს, მაგრამ ახლა პირველ რიგში შვილს მამა უნდა გამოუძებნო. რასაკვირველია, იგი უნდა იყოს კეთილი და მდიდარი. ალაჰისაც უნდა მოგერიდოს, საკმარისია ეს პლასტიკური ოპერაციები. შენ თუ არაფერს იტყვი, მე თვითონ გიშოვი ქმარს.

— მომეცით სამი დღის ვადა, — მშვიდად უპასუხა სევიმმა, — თუ ამ სამ დღეში ვერაფერი სახეირო ვერ ვიპოვე, მაშინ თქვენს ამორჩეულზე შევჩერდები.

— ეჰ, რატომ მე არ დამემსგავსე, შვილო, სამ დღეში გამოშტერებული კაცის პოვნა იოლი საქმე გგონია?

— დედი, ბევრი კაცი ვიცი, თავს ძალათი რომ იშტერებს, თორემ ისეთი არაფერი სჭირს, — დამრიგებლურად თქვა ქალიშვილმა. — მე ახლა სამი დებილი მყავს აყვანილი, მაგრამ ჯერ სამივე უნდა გამოცადო, რა ვიცი, იქნებ სულაც არ არიან ისეთი, როგორც თავს მაჩვენებენ, მერე არ გინდა გაძლება? აიღუ ხომ გახსოვს, მისი ქმარი პირველ ხანებში სულელად ასაღებდა თავს, მაგრამ ახლა სახლიდან ერთ ნაბიჯზე არ უშვებს ცოლს. ეგ კი არა, ამას წინათ „ჰაჯეთბაბას“ ფორვარდთან კადრისთან რომ შეუსწრო ცოლს, ლამის გაეყარა.

— მერე? რა ქნეს? — იკითხა დედიკომ.

— მადლობა ღმერთს, „ჰაჯეთბაბას“ კლუბის ხელმძღვანელობამ დაიყოლია, ამ საქმეზე აურზაურს ნუ ატეხო. რა მოხდა მერე, ერთხელ შეუსწრო. ამისათვის ყელი უნდა გამოსჭრა? — გაბრაზდა სევიმი. — მეც არ მინდა, რომ ამგვარი რამეებით გავიმწარო ცხოვრება. მე სავსებით დარწუნებული უნდა ვიყო, ქორწინების შემდეგაც სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიქნები, რაც მომეპრიანება, იმას გავაკეთებ. ამიტომ გთხოვთ, სამი დღე მაცალოთ... მე ხომ სამი კაცი უნდა გამოვცადო.

და აი, დადგა ის დღეც, როცა სვავმა სევიმმა თავისი მსხვერპლი იპოვა. იპოვა საით სარიოღლუ, ხოლო საითმა კი ბოლოს და ბოლოს აღმოაჩინა თავისი ვარსკვლავი.

დიდებულ სარიოღლუთა ნაშიერი თავად გამოვიდა თავისი ვარსკვლავის საძებნელად. საითი ისთიქლიალის პროსპექტზე დასეირნობდა

და ერთ მეგობარ კაცს პარიზის შთაბეჭდილებებს უზიარებდა. რა ფიქრები წამოეშლება ნამდვილ მამაკაცს პარიზის ხსენებაზე? რასაკვირველია, უმალ ქალებს მოიგონებს და რახან სიტყვა ქალებზე ჩამოვარდა, ბუნებრივია, რომ საითი მადლენზე ალაპარაკდა. სხვა ქალს ეგი არც იცნობდა.

— მე, რასაკვირველია, თავი მოვიკატუნე. შენ კარგად იცი, ჩემი გაცურება არც ისე იოლი საქმეა.

ეს მეგობარი საითს სულ ახლახან ხუთას ლირას დაესესხა და ყველაფერზე კვერს უკრავდა.

— ეგღა გაკლდა, მისამართი შეშლიათ, რა შვილთან ჰქონდათ საქმე?!

— აბა! არა და, მადლენს ნაღდად ის უნდოდა, რომ რჩები დაედგა ჩემთვის!

— მეც მაგას არ ვიძახი? მისამართი შეშლიათ-მეთქი!!

— ჯერ კაცს ჩემთვის თითი არ დაუკარებიაო, მეფიცებოდა.

— აბა, როგორაო?

— როგორაო და, თურმე ქმარიც კი ჰყოლია.

— არ გადამრიო! ამას როგორღა მიხვდი, ჰა?

— ლოგინში რომ ჩავიგორებდი, მუდამ ვიღაც მამაკაცის ხმა მესმოდა, ამას რაღა მიხვედრა უნდოდა — ქმრის გარდა, ვინ შეიძლება ქალის საძინებელ ოთახში იყოს?

— რასაკვირველია, არავინ!

— ჩვენში დარჩეს და, იმ ინდოელ სასწაულმოქმედთან რომ არ მესწავლა, ამ ამბავს ვერც მივხვდებოდი. თუმცა, მე რა მენაღვლებოდა. ქმარი იყო თუ არა, მე ხომ ჩემს საქმეს ვაკეთებდი, არა?

— აბა რა...

— ჰოდა, ეგ ქმარი შეუმჩნევლად სურათს გვიღებდა — ამას პირველსავე დღეს მივხვდი, მაგრამ გავყუჩდი, გადამიღე, მერე რა, ფეხებზეც არ მკიდია-მეთქი. ასე არ არი?

— შენ ის მითხარი, მხოლოდ სურათს გიღებდათ თუ ფილმიც გადაიღო?

— რაო, აქ აჩვენეს თუ? — აფორიაქდა საითი.

საითის მეგობარ კაცს ძალიან უყვარდა ამგვარი რამეები და უკვე ორჯერ ნახა საითისა და მადლენის მიერ ფოტოსალონში გატარებულ წუთებზე გადაღებული ფილმი.

— არა, არ ვიცი, მე ისე გკითხე, სხვათა შორის, — უპასუხა მან.

საითი სულმოუთქმელად ლაპარაკობდა ქალაქთა ქალაქის თაობაზე. მეგობარს უკვე მოყირჭდა საითის ნაამბობი და ჯერ რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩა, მერე კი სულაც მოუსვა. სწორედ ამ დროს სადღაც მიიჩქაროდა ჩვენი სევიმი. იგი საითს წამოეწია, ჯერ იყო და სევიმმა საითი იმ ბიჭად მიიჩნია, ქუჩაში რომ აეკიდებიან ხოლმე ქალიშვილებს, ამიტომაც უნდოდა უმალ ექცია გვერდი, მაგრამ პროსპექტზე იმდენი ხალხი მიდი-მოდიოდა, რომ ვერაფრით ვერ გასცდა საითს, ვერ გავარდა წინ. საითი კი კვლავ პარიზის ამბებს ყვებოდა, სევიმმა ყური მიუგდო და უმალ მიხვდა, შევცდიო. იგი დააინტერესა კიდეც საითის ლაპარაკმა.

— აზრზე ხარ? მე ხელი გავიშვირე და იცი, რა მოხდა? — გატაცებით ლაპარაკობდა საითი, — მამაკაცის ულვაშები შემრჩა ხელთ. „მადლენ. — ვიყვირე მე, — ეს რა არის, რა ულვაშებია-მეთქი და, თუმცა, შენ მაინც იცი, მე უმალ მივხვდი, რომ ეს მამაკაცის ულვაშები იყო. მე რომ არ მეყვირა და ნაზად შევკითხოდი, მადლენი უსათუოდ მეტყოდა, ჩემი ულვაშებიო.

სევიმმა გულიანად გადაიხარხარა, საითმა ახლალა შეამჩნია, რომ გვერდით მეგობარი კი არა, ულამაზესი გოგო მოჰყვებოდა.

— მაპატიეთ, — შეცბუნდა იგი, — მეგობარი მომდევდა ერთი... როგორც ჩანს, ჩამომრჩა.

— საპატიებელი რა გაქვთ... ძალიან საინტერესოდ ლაპარაკობდით, ბეი ეფენდი, — სიცილს ძლივს იკავებდა სევიმი, — რით დამთავრდა ეს ამბავი?

— თუ გნებავთ, ბოლომდე გიამბობთ.

რასაკვირველია, საითს არაფერი უთქვამს იმაზე, თუ როგორ მიტყიპა ულვაშიანმა ახმახმა, — პირიქით — კუდით ქვა ვასროლინეო, უთხრა სევიმს. სევიმი მიხვდა, საითი ის კაცი არ იყო, სხვებს კუდით ქვას რომ ასროლინებდა, ალბათ ცემა-ტყეპით მას უფრო უსიებენ ცხვირ-პირს.

— ძალიან მწყინს, რომ თავიდანვე ვერ მოგისმინეთ.

— თუ თქვენ გნებავთ, ყველაფერს ხელახლა დავიწყებ. მაპატიეთ, ჯერ არ გაგცნობივართ: მე საით სარიოღლუ გახლავართ.

— სევიმ ფერფერიკი.

— უკაცრავად ვარ, ვერ გავიგე.

— ფერფერიკი.

— ძალიან სასიამოვნო. ღვთის გულისათვის, არაფერი ცუდი ჩემზე

არ იფიქროთ, მაგრამ ისე მინდა კაფეში მიგიწვიოთ და იქ გიამბოთ ყველაფერი, ისე მინდა, რომ...

— ო'კეი, თუმცა... კინოში მივდიოდი. მაგრამ ეგ არაფერი, ფილმის დაწყებამდე კიდევ არის დრო. თქვენ ხომ არსად მიგეჩქარებათ?

— არა, არსად! — აღფრთოვანებით წამოიძახა საითმა.

კაფეში შევიდნენ. საითმა თავისი პარიზული ამბები წამოიწყო, სევიმი უსმენდა და გულიანად ხარხარებდა. იგი თანამედროვე კეკლუცი ქალი იყო, ამნაირმა გოგოებმა კი კარგად იციან, თუ როგორ დაიჭირონ თავი მამაკაცებთან. ამიტომ საუბრის დროს უნებურად ან ხელს შეახებდა ხოლმე ან კიდევ ფეხზე ფეხს გაუხახუნებდა. რა არ ხდებოდა ამ დროს საითის თავს. ეს უნებური შეხება დენივით დატრიალდებოდა მთელ სხეულში. აცახცახდებოდა, ენა ებმოდა, წითლდებოდა, თავში ყველაფერი ერეოდა და კარგა ხნით დადუმებული დასცქეროდა იატაკს.

სვავი სევიმი, თითქოს ნადავლი ჩაიგდოო ხელთ, ბატაცებლურად ათვალიერებდა საითს. გულით ეწადა გაეგო, ნუთუ მართლა ის ყეყეჩი ჩაიგდო ხელთ, რომლის თაობაზეც დედიკოს ელაპარაკა?

— აი, ვინ მჭირდება მე, — სიხარულით აცახცახებული ფიქრობდა იგი. — აი, ამას ვაქცევ ჩემი ბავშვის მამად, ნამდვილად ყეყეჩი რომ არ იყოს ასე ვერ მომაჩვენებდა თავს, არასოდეს შევხვედრივარ ასეთ სულელს.

— კინოში რომ არ მაგვიანდებოდეს... — ანკესი გადაისროლა სევიმმა, — აბობენ, კარგი ფილმიაო, თორემ...

— განა მარტო მიდიხართ კინოში? — გაუბედურებული კაცის ხმით იკითხა საითმა.

— სხვა რა გზა მაქვს, — ოხვრით თქვა სევიმმა და განიზრახა ციხესიმაგრე შეტევით აეღო, — თქვენ უსათუოდ უნდა ნახოთ ეგ ფილმი.

— სიხარულით წამოვიდოდი, მაგრამ ისეთი მხედველობა მაქვს, რომ...

— რა საწყენია, — ამჯერად დაბნეული ადამიანის სახე უნდა მიეღო სევიმს და ასეც მოიქცა.

— პირველი რიგიდანაც კი ვერაფერს ვხედავ.

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მზადა ვარ ყველაფერი, რაც ეკრანზე იქნება, თვითონ აგიხსნათ, — სევიმი კვლავ იერიშზე გადავიდა, — მე ხომ დავალებული ვარ თქვენგან, ისეთი საინტერესო რამ მიამბეთ.

გაოგნებულმა საითმა რამდენიმე წუთის შემდეგ ამოიღო ხმა:

— არ მინდა თქვენი შეწუხება...

— როგორ გეკადრებათ, დიდად ნასიამოვნებიც დავრჩებ... ეგ ჩემ-თვის იოლი საქმეა. ბილეთი უსათუოდ ლოჟაში აიღეთ, იქ სხვებს არ შევუშლით ხელს.

სევიმს გულით ეწადა გაეგო, ვინ იყო ეს აყლაყუდა, — ყეყეჩი, თუ თვალთმაქცი?

ლოჟაში საითი სევიმის უკან მოკალათდა. დარბაზში შუქი რომ ჩაქრა და ფილმი დაიწყო, სევიმი ნელ-ნელა საითისაკენ იწევდა, მაგრამ საითიც არ ჩერდებოდა ადგილზე და უკან იხევდა. „ნაღდად თვალთმაქცია“, გაიფიქრა სევიმმა და კვლავ საითისკენ გაჩოჩდა. საით-მა ადგილი შეიცვალა. ბოლოს, როცა გადასანაცვლებელი ადგილი აღარ დარჩა და საითი მეზობელი ლოჟის ბარიერს მიაკრა, სევიმი თითქმის ჩაეკრა და კვნესით წარმოთქვა:

— აღარ შემიძლია, ზანგის წამებას აჩვენებენ.

მახეში გამომწყვდეულ საბრალო საითს აღარაფერი ესმოდა. სევი-მის სხეულის სიახლოვემ, მისი თმის სურნელმა ისე დაათრო, რომ გონწართმეული იყო. ისიც აღარ იცოდა, რას სჩადიოდა. თითქოს სიზ-მარში იყო და ჯადოქრულმა ნდომამ ერთმანეთს გადააჭდო მათი ხელე-ბი, ერთმანეთს მიაკრა მათი ღაწვები, აჰა... ბაგეებიც კი მიუახლოვეს ერთიმეორეს, მაგრამ ილბალი არ გინდა?! უცებ დარბაზში შუქი აანთეს, ვის სჭიროდა ახლა ეს ანტრაქტი! დიდებულ სარიოღლუთა ნაშიერი ალმოდებული იჯდა. თავის წამოწევაც ვერ გაბედა და მთელი ანტრაქტის განმავლობაში ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს.

სევიმი ისე ათვალიერებდა, თითქოს მართლა სვავია და ეს-ეს არის, ბრჭყალები უნდა ჩასჭიდოს თავის მსხვერპლსაო.

ბოლოს დარბაზში შუქიც ჩაქრა. ახლა საითი მიიწევდა სევიმისაკენ, ჯერ გაუბედავად, ნელ-ნელა, შემდეგ კი თანდათან გათამამდა და სულ ახლოს რომ მივიდა, ზედ რომ მიეკრო, ვნებით წარმოთქვა:

— მიყვარხართ, მიყვარხართ.

— რა იყო, ზექერია, გადაირიე? — მოესმა საითს პასუხად.

„ზექერია, ზექერია, — აეკვიატა ეს სახელი საითს. — ნუთუ, ასე უცებ დაავიწყდა ჩემი სახელი? მე ამას ვერ ავიტან, არ შემიძლია, სე-ვიმმა რომ მიმატოვოს, თავს აღარ ვიცოცხლებ“.

— მე სავსებით სერიოზულად გელაპარაკებით, პირველი დანახვის-

თანავე შემიყვარდით, უთქვენობა არ შემიძლია, — და წელზე გაუბედავად მოუსვა ხელი.

— რა მოგდის, ზექერია, სახლამდე ვერ მოგითმენია?

— ნუთუ ჩემი არა გჯერათ, სევიმ ხანუმ?

— სევიმიოო! — აყვირდა მეზობელი და მერე ისე იკივლა, ზექერია, ზექერიაო, რომ მთელ დარბაზს მოედო მისი ხმა!

— რა გაყვირებს, — ზანტად გამოეპასუხა ვიღაცის უხეში ხმა.

ამას სილის გალაწუნება მოჰყვა. ფილმი შეწყვიტეს და დარბაზში შუქი აანთეს

სინამდვილეში აი, რა მოხდა. თავისი სიბეცის გამო საითმა ლოჟის ხავერდის ფარდა სევიმის კაბად მიიჩნია. ხავერდს მიკრული, მძიმედ სუნთქავდა და აღსარებას ჩურჩულით წარმოთქვამდა. ამასობაში უცხო ქალს გადაუსვა ხელი. როცა ქალმა გაიგო, ასეთ ცხარე მოუთმენლობას ჩემი ქმარი კი არა, სულ სხვა იჩენსო, საითს სილა გააწნა. ყვირილზე პოლიციელმა მოირბინა და ყველა ლოჟიდან გაიყვანა. იმ ქალის ქმარი, მაღალ-მაღალი ზექერია, მთიელი კაცი იყო და ძალიან კარგად იცოდა, თუ როგორ უნდა გამასპინძლებოდა თავხედს, რომელიც სხვის ცოლს ეკურკურება.

— ეს გარყვნილი ჩემს ცოლს არ ასვენებს, ახლავე ვაჩვენებ, როგორ უნდა...

საითი ახლალა მიხვდა, რაც მოხდა.

— პარდონ, მუსიე, — ასლუკუნდა საითი. დაბნეულობის გამო მხოლოდ ფრანგული სიტყვები ადგებოდა ენაზე... — მე პირადად ვიცნობ ეინშტეინის ბიძაშვილის მამიდაშვილს... ფარდობითობის თეორია... და, რაც მთავარია... მთავარი კი ის არის, რომ... რომ მთავარი...

არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, სევიმს ზექერიასთვის რომ არ გაეყარა ხელი და ტკბილად არ აჭიკჭიკებულიყო:

— თქვენ სცდებით, ბეი ეფენდი. ჩემი საქმროს ეს სიტყვები მხოლოდ მე მეხებოდა და მხოლოდ ალაჰმა თუ იცის, რატომ მიიღო თავის თავზე თქვენმა ცოლმა... ეს გულსატკენი შეცდომაა და მეტი არაფერი... ვის არ მოსვლია ასეთი რამ? ჩემი საქმრო იმ მამაკაცებს კი არ ჰგავს, საცოლის თვალწინ რომ...

„საქმროო! მან ჩემზე თქვა საქმროო! — საკუთარი ყურებისა აღარ სჯეროდა საითს. ოი, ჩემო ბედნიერებავ, კურთხეულ იყოს დღევანდელი დღე!“

სევიმის ტაბლამ ხმამ, მისი ხელის ალერსიანმა შეხებამ დააცხრა ზექერია და მანაც უმალ დაივიწყა მთიელი კაცის ჩვეულება.

— უკაცრავად ვარ, ხანუმ ეფენდი, ახლა მეც ვხედავ, რომ ისეთი არაფერი მომხდარა...

— ზექერია! — ალარ დაამთავრებინა ცოლმა სიტყვა, — რას უდგახარ, წამოდი, თორემ დამთავრდა ფილმი. ტყუილად დავხარჯეთ ფული?

ცოლ-ქმარი დარბაზში შებრუნდა, სევიმი და საითი კი ფოიეში დარჩნენ.

— ისე უხერხულად ვგრძნობ თავს, — მორიდებულად თქვა სევიმმა, — ყველაფერი ჩემ გამო მოხდა.

— თქვენთვის თავსაც კი დავდებ, — წამოიძახა საითმა, ამ ორიოდე წუთის წინ შიშით ლამის სული რომ დალია.

ქუჩაში გამოვიდნენ და ტაქსი გააჩერეს. საითს ეჭვები არ ასვენებდა: „ჩემი საქმროაო, ალბათ, იმიტომ თქვა, რომ არ უნდოდა, პოლიციამდე მისულიყო საქმე. სინამდვილეში რას ფიქრობს ჩემზე?“

სევიმმა კი ვერაფრით გაიგო, რატომ არაფერს ამბობდა საითი და აფორიაქდა: ნუთუ ხელიდან გაუსხლტება საქმრო, ასე მოხერხებულად რომ მოიგდო ხელთ? არა, სევიმი ჯერ არ მომკვდარა! რაღა სხვის საქათმეში მირბოდა ეს დაბრმავებული მამალი. ან მე რაღას მოვშორდი, იქვე უნდა ჩავჯდომოდი მუხლებში.

— თუ თქვენ გგონიათ, რომ მე ცუდი ქალი ვარ, — ხმადაბლა, ნაზი ხმით თქვა სევიმმა, — სცდებით!

ფიქრებში გართულმა საითმა ვერც გაიგო სევიმის ნათქვამი და დაბნეულად უპასუხა:

— არ ვიცი, არ ვიცი.

— არა, მე ვგრძნობ, რომ ცუდი ქალი გგონივართ, — ნაღვლიანად ამოიოხრა სევიმმა, საითს მიეკრო და ჩაიჩურჩულა, — თუ გინდათ, დაგიმტკიცებთ, რომ...

ამ დროს ტაქსი ფერფერიკთა სახლთან გაჩერდა და სამწუხაროდ, სევიმმა ვერაფრის დამტკიცება ვერ მოასწო.

მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, სევიმმა უკანასკნელი ცდაც ჩაატარა.

— გინდათ, დედაჩემს გაგაცნობთ.

— უხერხული არ იქნება?

— დედაჩემი ყველაზე დემოკრატიული ქალია მსოფლიოში.

— მე მინდა, რომ ჯერ დეიდაჩემი მოვიდეს დედათქვენთან. თქვენ რას იტყოდით?

სევიმმა, თითქოს ვერაფერი გაიგო, კითხვას კითხვით უპასუხა.

— რატომ უნდა მოვიდეს?

სარიოღლუ პამიდორივით გაწითლებულიყო, თავი ჩაექინდრა და ფეხსაცმლით მიწაზე რაღაც-რაღაცებს ხაზავდა.

— იმიტომ, რომ... რადგანაც... საჭიროა... დედათქვენს მოელაპარაკოს ჩვენი...

— რატომ დეიდა? განა დედა არა გყავთ?

— არა მყავს, დეიდა ცხოვრობს ჩემთან.

— მაშ, კარგი... შევხვდებით, არა?

— ნახვამდის.

და ერთმანეთს დაშორდნენ. სევიმმა სიმღერით და ცეკვა-ცეკვით აირბინა კიბე და კარის ზღურბლისთვის არც გადაებიჯებინა, რომ გამარჯვებული კაცის ხმით იყვირა:

— დედა! დედიკო... ვიპოვე, ჩემი ბავშვის მამა ვიპოვე! ვაშაა!

დეიდა ბერინი

სევიმს დამშვიდობებული საითი ისე მიჰქროდა შინ, თითქოს ფრთები გამოესხაო. ეს, რასაკვირველია, სიყვარულის ფრთები იყო. კარის ზღურბლზე არც კი გადაედგა ფეხი, რომ თავისი კეთილი დეიდა, ყოვლად პატივცემული ბერინ ხანუმ ეფენდი ახალი ამბით გააოგნა. ძალიან მალე, სულ რამდენიმე დღეში ცოლს ვირთავო. ესე იგი, კანონიერად ვქორწინდებიო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოჯახური ბუდე უნდა მოვწნა, რადგან ამ ბუდისათვის მერცხალი უკვე ვიპოვეო. ამ მერცხალს სევიმი ჰქვია, მისი მზეთუნახავი, მისი ვარსკვლავი... სწორედ ასეთ გოგოზე ოცნებობდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ჯერ ის ნახეთ, როგორი სახელი ჰქვია — სევიმი! სე-ვი-მი! სევიმი — განსახიერება სათნოებისა და სიყვარულისა. გვარიო? არა, გვარი არ ახსოვს. გვარიშვილობა რა სახსენებელია. მალე ისიც სარიოღლუ გახდება. სად გაიცანიო? უჰ, ამოგხდიან სულს. ქუჩაში გაიცნო, ქუჩაში, ბატონო! აბა, სად უნდა გაეცნო. ქუჩაში გაიცნო, კინოში შეუყვარდა და სახლამდე გაცილებისას დარწმუნდა, ასეთ ადამიანს შეიძლება თამამად ანდო საკუთარი ბედი.

დეიდა ბერინი დიდი ხანია საითის დაოჯახებაზე ფიქრობდა. სარი-

ოღლუების მრავალ ნაშიერსაც იმის იმედი ჰქონდა, რომ სწორედ საითი უშველიდა მათს გვარს, რადგან სხვებზე იმედი გადაიწურეს — ვერც ერთი ძე ვერ გაიჩინეს. საითი იყო ამ უძველესი და უდიდესი ხის ერთადერთი ყლორტი, რომელსაც კიდევ შეიძლებოდა რაიმე ნაყოფი გამოელო. ამიტომაც მისი დაოჯახება ყველას გულით ეწადა, თორემ ხომ შეიძლებოდა გამხმარიყო იმ ხის ფესვები, რომელიც აგერ 250 წელი იდგა ფეხზე. ეს კი ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, დეიდა ბერინს მტკიცედ სწამდა, რომ საითის საცოლე დიდებულთა და საყოველთაოდ პატივდადებულთა ნაშიერი უნდა ყოფილიყო. სწორედ ასეთი ქალი იქნებოდა მათი გვარის შესაფერი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვინმე შარახვეტიას გადაეყაროს ბიჭი, თორემ მერე მორჩა, ხელზე დაიხვევს ამ ანგელოსს; არა და, საითის ქონების გულისათვის რას არ იზამს ქალი.

საითმა დეიდა დაამშვიდა, ეგ ყველაფერი ტყუილი შიშიაო.

— თქვენ ხომ მაინც იცით, დეიდა... რამდენი ქალი მყოლია, მაგრამ იმაზე ღირსეული არავინ შემხვედრია.

— ასე უცებ, ერთი ნახვით როგორ მიხვდი რანაირიც არის, შვილო.

— დეიდა, თქვენ გავიწყდებათ, რომ მე პარიზში ვსწავლობდი, კაცს შევხედავ თუ არა, იმ წუთში მივხვდები, რა შვილიც არის. ხოლო სევიმს წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, თუ რა ქონების პატრონი ვარ.

— ძალიან ბიმნდობი ხარ, შვილო!

— დიახ, მე ღრმად მწამს, რომ სევიმი წესიერი ოჯახის შვილია. გაიკითხ-გამოიკითხეთ და თქვენც დარწუნდებით.

დეიდა ბერინმაც არ დააყოვნა და მეორე საღამოს უკვე ყველაფერი იცოდა ფერფერიკთა ოჯახის თაობაზე, ზოგი ისეთი რამეც კი გაიგო, რაც არ უნდა სცოდნოდა.

. მან შეიტყო, რომ ფერფერიკები სტამბულში საპატიონი, ცნობილნი და მდიდარნი არიან (ქალის საცვლებით ვაჭრობა სარფიანი საქმეა). ამიტომაც საითს უთხრა:

— ყველაფერი გამოვიკითხე იმ გოგონას ოჯახზე, ვერაფერ ცუდს ვერ ვიტყვი.

— ხომ გეუბნებოდით, ჩემო ძვირფასო დეიდა.

— ოჯახი საკმაოდ ცნობილია, მაგრამ ის გოგო მაინცდამაინც თვალში არ მომდის.

— როგორ, ნახეთ? იმათ სახლში იყავით?

— სახლში არ ვყოფილვარ, მაგრამ ხალხმა ყველაფერი იცის.

— რაო, რა იცის ხალხმა? — გაბრაზდა საითი.

— გაუხედნავი კვიცივით არის, ერთ ადგილზე არასოდეს ჩერდება. მაგას კარგი მხედარი უნდა, თორემ... მეშინია, შვილო, ვაითუ ლაგამი ვერ ამოსდო მაგ კვიცს და...

— დარდი ნუ გაქვთ, დეიდა, ისე მოვათვინიერო, რომ... ძალიან გთხოვთ, ხვალ დედამისს ეახლოთ და მზეთუნახავი სევიმის ხელი თხოვოთ.

— არა, შვილო, ასე არ იქნება, ხელის სათხოვნელად თვითონ უნდა მიხვიდე. აი, თუ გოგომ უარი გითხრა, მე მერე მივალ.

— კარგით, ყველაფერს ისე მოვაწყობ, რომ გაგიკვირდებათ.

საითი ხელის სათხოვნელად მიდის

საითი რამდენიმეჯერ მიუახლოვდა ფერფერიკების სახლს, მაგრამ კიბეზე ასვლა და ზარის დარეკვა ვერ იქნა და ვერ გაბედა. მართალია, სევიმმა კი მიიპატიჟა, მაგრამ ვერაფრით მოეგონებინა, თუ რა უნდა ეთქვა, კარს რომ გაუღებდნენ. სევიმმა უთხრა, დედაჩემი დემოკრატიული ბუნების ქალია, მამაჩემი კი დიდი ლიბერალი კაციაო, მაგრამ რას გაიგებ ამ დემოკრატებისა და ლიბერალების? დღეს რომ ამ ჭკუაზე არიან, ხვალ რა წამოუფრენთ, არავინ იცის. საითი ერთ ადგილს ტკეპნიდა და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

კარგა საათნახევარი იტრიალა სახლთან, ბოლოს, როგორც იქნა, გაბედულად შევიდა სადარბაზოში. ზარის დასარეკად ხელიც კი ასწია და... ამ დროს კარი მოულოდნელად გაიღო და ოთახიდან ვიღაც ახალგაზრდა გამოვარდა. საითმა ახლაც არ იცის, ასე უცებ როგორ ავარდა ზედა სართულზე, „ეს ალბათ, სევიმის უფროსი ძმა იყო“, გაიფიქრა საითმა. ცოტა ხანი დაიცადა და უხმაუროდ დაეშვა კიბეზე. ისევ გაიღო სევიმის სახლის კარი და ახლა ორი მამაკაცი გამოვიდა. ის მამაკაცები სევიმის მამის ტოლნი იქნებოდნენ. საითი ტყვიასავით გავარდა ქუჩაში და გაოგნებული დადგა. დადგა თუ არა, სახლის კარი კვლავ გაიღო, დიდხანს არ გაევლო, რომ კვლავ მამაკაცები გამოვიდნენ სევიმის სახლიდან, რამდენიმე წუთში იგივე განმეორდა.

მთელი ერთი საათი, ვიდრე გაბედულება კვლავ არ დაუბრუნდა, უაზროდ წრიალებდა სახლის ირგვლივ. ისევ შევიდა სადარბაზოში,

ზარისაკენ ხელი გაიშვირა, რომ დაერეკა, მაგრამ ვილაცამ დაასწრო და ზარს თამამად დააჭირა თითი. საითმა შიშით მოიხედა. სამი კუნთებდაბერილი ყმაწვილი შემოხვეოდა გარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პიჟონ, შენ აქ რაზე მოსულხარ?

— უკაცრავად, თქვენ მე ვილაცას მიმამსგავსეთ.

— შენ რომელი გუნდიდან ხარ? — ჰკითხა მეორემ.

— რომელი გუნდიდან? არც ერთი... მე ჩემთვის ვარ. მარტოკა, რომელიმე გუნდში უნდა იყო? ვისთან მაქვს საუბრის პატივი?

ამ დროს კარიც გაიღო, თვალის დახამხამებაში სამივე ოთახში შეცვივდა და კარი კვლავ მოიხურა.

ახლა სულ დაიბნა საითი. ქუჩაში გამოვიდა და ბოლთის ცემას მოჰყვა. თან მათემატიკურად აანალიზებდა ნანახს. „სამი საათის განმავლობაში ფერფერიკთა ოჯახში შევიდა ექვსი კაცი, იქიდან კი სამი გამოვიდა. ამოცანა გვეკითხება, რამდენი კაცი შეიძლება შევიდეს დღე-ღამის განმავლობაში? მოიცა, რატომ? რატომ მხოლოდ მამაკაცები შედიან ფერფერიკების სახლში? არა, შეუძლებელია მისი სევიმი ასეთ სახლში ცხოვრობდეს. ამოცანა ამოუხსნელი დარჩა.

საითმა პასუხის მოლოდინში მიმოიხედა, მაგრამ ირგვლივ არავინ იყო. ახლოს საბაყლო იდგა და იქითკენ გაემართა:

— მაპატიეთ, — მიმართა მან ბაყალს, — სევიმ ხანუმი რომელ სახლში ცხოვრობს, ხომ ვერ მიმასწავლიდით?

— თქვენ რომელი სევიმი გინდათ, სვავი? თუ ყოვლისმცოდნე სევიმი? იქნებ ფაშფაშა სევიმი გინდათ? ან ქურთების სევიმი? აქ მღეჭავა სევიბიცა გვყავს, მეაფთიაქის ცოლიც, ჩვენს ქუჩაზე ძალიან ბევრი სევიმია. აბა, რა ვიცი, თქვენ რომელს ეძებთ?

— თუ ეს ტიპი ფეხბურთელია, ნაღდად სვავ სევიმს დაეძებს, — უთხრა გამყიდველმა მებაყლეს.

საითმა ფერფერიკების სახლზე მიუთითა.

— თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამ სახლში უნდა ცხოვრობდეს.

— მეც ეგ არა ვთქვი? სვავ სევიმს დაეძებს თურმე.

— არა, არა, სვავი კი არა, მისი გვარი მგონი ფე-ზე უნდა იწყებოდეს.

— ფერფერიკი, არა?

— ჰო, ფერფერიკი!

— თქვენ რომელი გუნდიდანა ხართ?

საითს გაახსენდა, ერთხელ უკვე ჰკითხეს, რომელი გუნდიდანა ხარო და გაუკვირდა.

— ყველას რატომ ჰგონია, რომ მე გუნდში უნდა ვიყო?

— მაშ, ის მაინც გვითხარი, რომლის გულშემატკივარი ხარ?

— ალბათ, ეგეც იმ გუნდისთვის იკლავს თავს, რომლისთვისაც სევიმი, — თავისი მოსაზრება გამოთქვა გამყიდველმა.

მეორე გამყიდველმა საგულდაგულოდ შეათვალიერა საითი და თქვა:

— ეს ტიპი არც ანკარის გუნდებში თამაშობს, არც სტამბულისა და არც იზმირისა, მე ყველას კარგად ვიცნობ და, საერთოდ, ეგ ფეხბურთელი არ არის.

საითმა მადლობა გადაიხადა და ქუჩაში გამოვიდა. ამ დროს, სწორედ ამ წუთში აივანზე სევიმი გადმოდგა.

— დედა, დედა, — დაიძახა სევიმმა, — ჩქარა გამოდი აივანზე, ჩქარა. აი, ის ბიჭი გაჩვენო, ჩემი ცოლად შერთვა რომ უნდა.

სწორედ იმ დროს, როცა მეჰჯურე ხანუმი აივანზე გამოგორდა, საითმა ფეხი ფეხს წაჰკრა და ლამის ამხელა აყლაყუდა ასფალტზე გაიშოტა.

— კარგია, კარგი ბიჭი ჩანს... ჩვენ რომ გამოგვადგება, ისეთი, — თქვა მეჰჯურე ფერფერიკმა.

სევიმმა ოთახში შესძახა:

— ბიჭებო, ჩქარა აქეთ მოდით, ჩემი საქმრო გაჩვენოთ.

აივანზე ის სამი დაკუნთული ბიჭი გამოვიდა.

— ამ სულელს შენი ცოლად შერთვა უნდა? — ახარხარდა გუნდის მეკარე ნაჯი.

— ეგლა გვაკლდა, — ცხვირი აიბზიკა აჰმედმა.

— მაგას ყურს ნუ უგდებ, სევიმ, ეჭვიანობა ალაპარაკებს, — წამოიწყო მეკარე ნაჯიმ, — კარგი ბიჭი ჩანს, მაგრამ მჭლე კატასავით კი არის. თუმცა, ამბობენ, გამხდარნი ვნებიანნი არიანო.

— არა უშავს რა, გამოდგება. ისეთი დრო დადგა, რომ საქმროები ქუჩაში არ ყრია. — თავისი სიტყვაც დაატანა საუკეთესო ბომბარდირმა მუსტაფამ.

სასწრაფო საქმეები რომ არა, სევიმი სახლში მოიწვევდა საითს, ან თვითონ ჩავიდოდა ქვევით, მაგრამ თითქოს ბედს მისი ჯიბრი აქვსო, სწორედ დღეს უნდა შეხვედროდა „თოზქოფარანის“ მოთამაშეებსა და გუნდის გენერალურ თავჯდომარეს დუნდარ დუბარა ბეის. დღეს უნდა შეემუშავებინათ იმის გეგმა, თუ როგორ გადმოებირებინათ „თოზქოფარანის“ მოქიშპე „ჰაჯეთბაბადან“ ყველაზე საუკეთესო თავდამსხმელი ქაზიქ იოზერი. ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს მხოლოდ სე-

ვიმი თუ მოაბამდა თავს, თორემ სხვა რისი შემძლე იყო. დუბარა ბერ-საც მისი დიდი იმედი ჰქონდა. რამდენიმე ხნის წინათ სწორედ სევიმმა შეძლო „თოზქოფარანში“ გადმოებირებინა ახლა საქვეყნოდ ცნობილი ეროვნული ნაკრების იმედი აჰმედ „კედელა“.

ვიდრე აქ სევიმი საიდუმლოდ ბჭობდა, საითს მობეზრდა ამ სახლის წინ წაღმა-უკუღმა წრიალი. იმაშიც დარწმუნდა, რომ ამ სახლში შესასვლელ ძალას ვერასოდეს მოიკრებდა. ამიტომაც გადაწყვიტა ტელეფონით დავურეკავო. ტელეფონი საქმესაც გამიიოლებს, — უფრო თავისუფლად გადავუხსნი გულს, ყველაფერს ვუამბობ, იმასაც ვეტყვი, თუ როგორ მიყვარს და უმალ მივახლი, თანახმაა თუ არა ცოლად გამომყვესო, ფიქრობდა საითი, — ხოლო თუ თანახმა არ იქნებოდა, საითს თავი უნდა ჩამოეხრჩო.

ქუჩის ტელეფონ-ავტომატების ამბავი ყველას კარგად მოეხსენება. ამას გარდა, ასე სახალხოდ ვერც გადაუხსნიდა გულს, ამიტომ სასწრაფოდ ტაქსი დაიჭირა და სახლში გაქანდა. მადლობა ღმერთს, სახლში არავინ იყო.

ტელეფონის წიგნში ფერფერიკების ტელეფონის ნომერი მონახა და აცახცახებული ხელით ნომერი აკრიფა.

— გისმენთ, — გამოეპასუხა საითს მამაკაცის სასიამოვნო ხმა.

— მაპატიეთ, თუ შეიძლება, სევიმ ხანუმს სთხოვეთ.

— ერთი წუთით მოითმინეთ!

საითს მალე ქალის ხმა მოესმა.

— გისმენთ!

— გამარჯობათ, სევიმ!

— გამარჯობათ!

— როგორა ხართ?

— მადლობთ, კარგად.

ჩვენში ერთ ამბავს ასტეხენ, ქუჩის ტელეფონ-ავტომატები წესიერად არ მუშაობენო, ვითომ ბინიდან კი შეგიძლია სადმე შენ გემოზე დარეკვა. სევიმი, რომელსაც ახლა საითი ელაპარაკება, ერთ-ერთი იმ ქალიშვილთაგანია, წინდის ფაბრიკაში რომ მუშაობენ, ასე რომ, საითი სევიმის სახლის ნაცვლად, წინდის ფაბრიკაში მოხვდა. სევიმს ძალიან ხშირად ურეკავდნენ მამაკაცები, ამაზე ფაბრიკის პატრონი ბრაზობდა, დღე და ღამე ტელეფონზე არის ჩამოკიდებულიო. ახლა ფაბრიკის პატრონი გასული იყო და სევიმს სული ელეოდა, ვაითუ, შემომისწროსო, ამიტომაც არ უნდოდა საუბარი გაება.

— მე იმიტომ გაწუხებთ, სევიმ ხანუმ, რომ... — შორიდან დაიწყო საითმა.

— უცებ მითხარით, რა გინდათ, ძალიან მეჩქარება.

საითს ყელში რაღაც მოაწვა და ენას ვერ აბრუნებდა.

— საქმე იმაშია, რომ... მე... იმიტომ შეგაწუხეთ, რომ...

— ჰო, მერე?

— მე მინდა, ჩემი ცოლი გახდეთ, — უცებ წამოიძახა საითმა და გაინაბა.

სევიმ მეორემ ღრმად ამოისუნთქა და დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ ვინ, რომელი მეგობარი იქნებოდა ახლა ამ თამაშის წამომწყები. ან იქნებ, სულაც ის ტიპი ურეკავდა, ამ ორი დღის წინ რომ აეკიდა ქუჩაში და სახლამდე მისდია? ჰა? ვინ იცის, რომელი იყო.

— არ მეხუმრებით?

— ამას, ამას... არც ვიფიქრებ... აბა, რა საკადრისია...ამე ყველაფერს გავაკეთებ, სევიმ ხანუმ, რომ თქვენ ბედნიერი იყოთ...

— ყველა კაცი ასე ლაპარაკობს, არ ვიცი, გენდოთ თუ არა?

— მენდეთ, სევიმ ხანუმ, მენდეთ, — ციებიანივით ლაპარაკობდა საითი.

— არ გადაიფიქრებთ?

— არასოდეს, სევიმ ხანუმ, არასოდეს.

— სხვებიც ასე ამბობდნენ. ადრე დალაქმა სულეიმანმა შემომთავაზა ცოლად გამომყევიო, მერე შოფერმა ნურიმ, ამას წინათ კი, ოფიცერმა ჰამდიმ, მაგრამ სამივე ისე აორთქლდა, კვალს ვერსად მივაგენი.

— მე სერიოზულად განვიზრახე, — ენას ვერ იბრუნებდა საითი, — მე ხომ მიყვარხართ.

— მართალი მითხარით, დიდ ხანია გათხოვება მინდა. მთავარია, წესიერი კაცი შემხვდეს. ექიმი ან ინჟინერი, ბოლოს და ბოლოს, ლეიტენანტი მაინც უნდა იყოს.

საითს მხედველობა არ უვარგოდა, თორემ სმენა ჩინებული ჰქონდა, საუბრის დასაწყისშივე უცნაური ეჩვენა სევიმის ხმა.

— ხომ კარგადა ხართ, სევიმ ხანუმ?

— მაგას რაზე მეკითხებით?

— ხომ არ გაცივდით-მეთქი.

— ცოტა კი შემამცივნა, მაგრამ ახლა ისე ვღელავ...

„ღმერთო დიდებულო, ნუთუ ასე ააფორიაქა ჩემმა წინადადებამ?“ — გაუელვა თავში საითს.

— ამ დილით მარცხენა თვალი მითამაშებდა, ეს კარგად მაქვს დაცდილი, — განაგრძობდა სევიმ ხანუმი, — მე თანახმა ვარ თქვენი ცოლი გავხდე, მაგრამ მინდა კიდევ დავფიქრდე. ამ საღამოს უნივერსიტეტის ერთ სტუდენტთან მაქვს პაემანი (სინამდვილეში ის ბიჭი სტუდენტი კი არა, მეჯღანე იყო). კარგა ხანია ერთმანეთს ვხვდებით. იმასაც უნდოდა ჩემი ცოლად შერთვა, მაგრამ ახლა რაღაც იგრიხება და... მინდა საბოლოოდ გავარკვიო...

„ცოტა უხეშად ხომ არ ველაპარაკები?“ გაიფიქრა ცრუ სევიმმა და იყო თუ არა საჭირო, წინადადებაში „მაპატიეს“ ურთავდა.

— ამ საღამოს, მაპატიეთ, პაემანი მაქვს იმ, მაპატიეთ, ბიჭთან. თუ ის, მაპატიეთ, მოვა, მაშინ კი, მაპატიეთ, ხოლო თუ არ მოვა, მაპატიეთ და...

— მაშ, დღეს ერთმანეთს ვერ ვნახავთ? — წყალწაღებული კაცივით ამოიგმინა საითმა.

— დღეს, მაპატიეთ, ვერა, ვერ, მაპატიეთ, გნახავთ... ის ბიჭი, მაპატიეთ, ძალიან ეჭვიანია, იმან რომ დაგვინახოს, მაპატიეთ, მაშინ თქვენ, მაპატიეთ და, კარგ დღეში არ, მაპატიეთ, ჩავარდებით.

— თქვენთან რომ მოვიდე, სახლში? — გაბედა საითმა.

ცრუ სევიმს სულაც არ უნდოდა, რომ კაცს, რომელსაც მისი შერთვა ეწადა, ენახა, თუ რა საძაგელ ბინაში ცხოვრობდა იგი.

— არა, მაპატიეთ, ხვალ საღამოს, მაპატიეთ, „ეტუალის“ საღვეზელეში დაგელოდებით, მაპატიეთ, ექვს საათზე, მაპატიეთ.

ამ დროს ოთახში ფაბრიკის პატრონი შემოვიდა და სევიმს საუბრის გაგრძელება აღარ ეწადა.

— მაშ, ასე, მაპატიეთ, შევთანხმდით, ხომ?

— ჰო, შევთანხმდით.

— ნახვამდის, მაპატიეთ.

— ხვალამდე, — საითმა ყურმილს აკოცა.

მთელი საღამო და მომდევნო დღე საითი აფორიაქებული იყო. ადგილი ვერსად ეპოვნა, „მალე შევხვდები და ცოლობაზე თანხმობას გამომიცხადებს“, სიხარულით აღტყინებული ფიქრობდა, მაგრამ უმალ შუბლი შეეჭმუხნებოდა, რადგან ახსენდებოდა: „მაპატიეთ, მაგრამ არის ერთი სტუდენტი, რომელსაც ვერაფრით, მაპატიეთ“... ამის გახსენებისთანავე სევიმის ქუჩაზე გავარდებოდა, გარს უვლიდა სახლს, შესცქეროდა მის ფანჯრებს, რომელშიც უამრავი ადამიანის სილუეტი ჩანდა... ნეტა სევიმი რომელია? იქნებ აი, ის?

მთელი ღამე უძილოდ გაატარა, ამიტომ მეორე დღეს ძლივს წამოდგა ლოგინიდან და დაიწყო იმის გამორკვევა, თუ სად მდებარეობს ეტუალის საღვეზელე. ასეთი საღვეზელე კი სამი ყოფილა სტამბულში, მოდი და მიხვდი, რომელ მათგანში უნდა შეხვდეს სევიმს, დაეთქვაო მაინც.

— ალბათ, სწორედ იმ საღვეზელეში უნდა მივიდე, რომელიც მის სახლთან ახლოსაა, — ჩვეული მიხვედრილობით დაასკვნა საითმა, — თუ იქ არ იქნება, ტაქსს დავიქირავებ და სხვებს დავათვალიერებ.

საითი ხუთ საათზე საღვეზელეში იყო. სევიმთან მარტოკა შეხვედრისას ნება-ნება საუბარზე ოცნებობდა, ამიტომ მაგიდა კუთხეში, მყუდრო ადგილას ამოარჩია. ამოარჩია და სევიმის მოლოდინში გაუნძრევლად იჯდა, ექვსი საათიც გახდა, სევიმი არ ჩანდა, ათი წუთი გადასცილდა, მაგრამ სევიმი არ მოვიდა.

ამ დროს ცოტა მოშორებით მაგიდასთან იჯდა წინდების ფაბრიკის თანამშრომელი სევიმი და ელოდა ყმაწვილს, რომელმაც დაურეკა და ცოლად გამომყევიო, სთხოვა. საითსა და სევიმს შორის სამი ცარიელი მაგიდა იდგა. სასიძო კაცი აგვიანებდა, საპატარძლოს ბრაზი ერეოდა, რადგან საღვეზელეში მოსული ყაყანა მამაკაცები უკვე მუშტრის თვალით შესცქეროდნენ. მაგრამ სევიმმა მაინც მოათვალიერა მაგიდებთან მსხდომი მამაკაცები. საითისათვის კი ყურადღებაც არ მიუქცევია, რადგან ვერაფერი საინტერესო მასში ვერ დაინახა.

საითი აფორიაქდა. სევიმი აგვიანებდა. რა ხანია შვიდი საათი დაიწყო და საპატარძლო არ ჩანდა. სხვა საღვეზელეებში ჩამოვლის დრო იყო, მაგრამ ამასობაში რომ სევიმი აქ მოსულიყო?

საითმა ოფიციანტს უხმო:

— აქ ერთი ახალგაზრდა ქალი უნდა მოვიდეს, გამხდარი, შავთმიანი, თხელ-თხელი წარბები აქვს... თუ ასეთი ხანუმი დაინახოთ, სახელი ჰკითხეთ, თუ იმ ხანუმს სევიმი ერქვას, სთხოვეთ, რომ დაიცადოს, მე ახლავე დავბრუნდები.

— აქ არის ერთი გოგო, შავთმიანია, თხელ-თხელი წარბები აქვს, გამხდარია, სახელადაც სევიმი ჰქვია, იქნებ ის არის, უკვე კარგა ხანია მოვიდა.

— მე იმაზე გელაპარაკები, რომელიც აწი მოვა.

საითმა ტაქსი გააჩერა და ათ წუთში მეორე „ეტუალში" იყო. სევიმი ვერც აქ ნახა, ერთ-ერთ ოფიციანტს სთხოვა, ასეთი და ასეთი ქალი უნდა მოვიდეს, სახელად სევიმი ჰქვია და დამიცადოსო. კიდევ ერ-

თი „ეტუალი“ იყო სტამბულში და ახლა იქ გავარდა. სევიმი არც იქ დახვდა, იქაც დაიბარა ამნაირი და ამნაირი ქალი თუ გამოჩნდეს, ასე და ასე მოიქეცითო და გავარდა, ასე დარბოდა სამ „ეტუალს“ შორის, რომელიმე „ეტუალში“ შევიდოდა თუ არა, მიმტანები იქვე მიახლიდნენ, ამნაირი და ამნაირი სევიმი არ გამოჩენილაო. ერთ-ერთ მიმტანს შეებრალა და უთხრა:

— სხვა გოგო რომ იყოს? იმასაც სევიმი ჰქვია, ეგერ ზის, შეხედეთ, თუ გნებავთ, გაგაცნობთ, ისეთია, რომ... ნამდვილად ისიამოვნებთ.

მღელვარებისაგან აწითლებული საითი სარიოღლუ სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. როგორც ჩანს, სევიმი იმ სტუდენტთან დარჩა... მაშ, რაღა საჭირო იყო დაპირება? როგორ შეიძლება ქალმა ასე უცებ დაივიწყოს კინოთეატრის ლოჟაში გატარებული ნეტარი წუთები? ეჰვი... ეჰვი... გულს უკლავდა.

საითი ყველაფრისათვის მზად იყო, თუ საჭირო იქნება, მთელ თავის ქონებას გაიმეტებს, ოღონდ... ეს არის, რომ თავადაც არ იცის, რა ქონების პატრონია, რა გააჩნია — სარიოღლუების ქონებას მორჭმულთა საოჯახო საბჭო განაგებდა.

საითმა ველარ მოითმინა და ფერფერიკების ბინაში დარეკა. შუაღამის პირი იქნებოდა. ყურმილი მეჰჯურე ხანუმმა აიღო, საითი დაბნეულობისაგან გაუგებრად ლუღლუღებდა.

— ვერაფერი გავიგე, ვინ გნებავთ? — გაბრაზდა სევიმის დედა.

— მაპატიეთ, რომ ასე გვიან გაწუხებთ, ისა... თუ შეიძლება, შეიძლება, სევიმ ხანუმს სთხოვეთ.

— სევიმი ანკარაში წავიდა, ხვალ იქ „თოზქოფარანი“ თამაშობს. რა გადავცე?

— ძალიან გთხოვთ... ისა, გთხოვთ, საითმა დარეკა-თქო.

— კი ბატონო.

— მადლობთ, ღამე მშვიდობისა.

დედიკომ ყურმილი რომ დასდო, მერე მიხვდა, ეს სწორედ ის საითი იყო, რომელზე ლაპარაკითაც ყურები გაუხერიტა სევიმმა. საითმაც დასდო ყურმილი და ეს ფერადოვანი სამყარო მისთვის შავით მოსილი გახდა. დედამიწაზე სიცოცხლეც მოკვდა. თავის ოთახში ჩაიკეტა და ვისაც არ უნდა დაეკაკუნებინა, ხმას არ სცემდა.

საით სარიოლლუსა და აჰმედ „კედელას“ პირველი შეხვედრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა შეეძლო საითს დაევიწყებინა კინოთეატრის ლოჟაში სევიმთან გატარებული ის უტკბილესი რამდენიმე წუთი? მეხსიერებაში კიდევ და კიდევ აღიდგენდა ხოლმე იმ წუთებს, იხსენებდა ყოველ უმნიშვნელო დეტალს და რამდენადაც ტკბილი იყო იქ, ლოჟაში გატარებული ყოველი წუთი, იმდენად მწარე იყო ახლა ყოველი წამი — სევიმმა მოატყუა! ეჭვიანობისაგან გამოწვეული სულიერი ტანჯვა აუტანელი რომ ხდებოდა, უმალ პარიზს გაიხსენებდა და განა მხოლოდ პარიზს, მადლენასაც! თქვენ წარმოიდგინეთ და, სწორედ იმ მადლენს იხსენებდა, რომელიც ასე მწარედ მოატყუა საითმა. დეიდა ბერინი ნაღვლიანად შესცქეროდა, რამდენიმეჯერ გამოსაუბრება სცადა, მაგრამ ამაოდ, ბოლოს დეიდამ იფიქრა, ვინ იცის, რა დარდი აწუხებს ბიჭსაო და თავი ანება.

სევიმი კი უწინდებურად ფიქრობდა, სასიძო არსად დაიკარგებაო. რა მოხდა, რომ ერთხელ დარეკა და მერე ისევ გაქრა, უსათუოდ გამოჩნდებაო. ყოველ ცისმარე დღეს მადლობას სწირავდა ალაჰს, რომ შეიწყალა და სწორედ ისეთი გამოუგზავნა საქმროდ, როგორიც მას სჭიროდა, მაგრამ საყურადღებო ის იყო, რომ სევიმის მუცელი დღითიდღე საგანგაშო მოხაზულობას ღებულობდა. ფერფერიკების ოჯახში კვლავ ქარიშხალი უნდა ატეხილიყო.

ამიტომ იყო, რომ საქმეში თვით აჰმედ „კედელა“ ჩაერია — გადაწყვიტა, თვითონვე ეზრუნა თავისი საყვარელი მეგობრის გათხოვებაზე. ტაქტიკური მოსაზრებებით სევიმის გათხოვება აჰმედ „კედელას“ უფრო სჭირდებოდა, ვიდრე თვით სევიმს..

— გახსოვს, ვილაც დებილზე რომ მელაპარაკებოდი? — ჰკითხა აჰმედ „კედელამ“ სევიმს, — მგონი, შენი შერთვაც უნდოდა, სად დაიკარგა?

— აზრზე არა ვარ, — მხრები აიწურა სევიმმა.

— სახელი რა ჰქვია?

— საითი უნდა ერქვას.

— რა გვარია?

— მეტი ხომ არაფერი გინდა?.. რა ვიცი, რა გვარია?

— როგორ შეიძლება საქმროს გვარი არ იცოდე! — გაბრაზდა აჰმედ „კედელა“.

— სევიმი კაცს მიჰყვება ცოლად და არა გვარს, — სცადა ქალიშვილის მდგომარეობის გამოსწორება მეჰჯურე ხანუმმა.

იმ დღიდან ერთ თვეზე მეტი გავიდა. საითის კვალიც არსად ჩანდა. ამას ვერავინ იტყოდა სევიმის მუცელზე, იგი დღითიდღე ადიოდა და სევიმის მდგომარეობას. სვავი სევიმი სულაც დაივიწყებდა საითის არსებობას ამქვეყნად, მაგრამ სავსებით მოულოდნელად... შეიტყო, რომ საითი ზღაპრული სიმდიდრის კაცი ყოფილა თურმე.

აბა, ვინ არ იცნობს სტამბულში სარიოღლუთა საპატიო და საპატივცემულო ოჯახს?

— აჰ, ეგრეა? მაშ, გვარსაც კი მნიშვნელობა აქვს?

ასეთი ნადავლი როგორ უნდა გაუშვა ხელიდან. ერთხელ მაინც გადაეყრებოდეს სადმე საითს. ოღონდ გადაეყრებოდეს და მერე სევიმს სევიმი აღარ დაუძახოთ, თუ ოდესმე მისგან პირი იბრუნოს საითმა. ამისათვის საჭიროა მჭრქალი შუქი ოთახში და სულ რამდენიმე წუთიანი გულითადი საუბარი. „ჩემო ძვირფასო, ჩვენ მალე პაწია ბარტყიც გაგვიჩნდება“, — ეტყვის მერე ჩურჩულით. ყოველი პატიოსანი, უფრო სწორად, გულუბრყვილო და მიმნდობი მამაკაცი, მამაკაცები კი მეტწილად ასეთნი არიან, ამნაირ ამბავს რომ შეიტყობს, სიხარულით ცას ეწევა. თანაც სევიმი ხომ სიმართლეს ეტყვის — მას ხომ მართლაც მალე გაუჩნდება ბავშვი. სწორედ საითი უნდა გახდეს ამ ბავშვის მამა.

სევიმი მოუთმენლად ელოდა ასეთ შემთხვევას და ოცნებაც აუხდა — დილაადრიან, ფანჯარა რომ გააღო და ქუჩაში გადაიხედა — კურთხეულ იყოს დიდებული და ყოვლისშემძლე ალაჰის სახელი! — ქუჩაში საითი მიდი-მოდიოდა.

უცებ ტანთ ჩაიცვა და ორიოდე წუთში ქუჩაში გაჩნდა. არასოდეს ასე არ უჩქარია სევიმს. რამდენიმეჯერ ჩაუარა, არ უნდოდა თვითონ გამოლაპარაკებოდა, იქნებ საითმა მიცნოსო. საითს კი ერთხელაც არ გაუხედავს თავისი ბედნიერებისაკენ, დასეირნობდა და არაფერს არ ამჩნევდა. ამიტომ სევიმი იძულებული გახდა მხარი გაეკრა საბრალო ყმაწვილისათვის. საითი ლამის წაიქცა.

— პარდონ, — ჩაილაპარაკა მან ფრანგულად.

და რადგან საითმა ვერც ახლა იცნო თავისი გულისსწორი, სევიმმა აღარ დააყოვნა:

— აჰ, ეს თქვენა ხართ... რა მოულოდნელი შეხვედრაა... საქმეზე გავრბოდი ჯდა...

საითს გული შეუქანდა. ხმაზე იცნო საოცნებო ქალი და სმენა ხომ არ მატყუებსო, სულ ახლოს მივიდა სევიმთან, ლამის ცხვირზე მიადო ცხვირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, მე ვარ... — მღელვარებისაგან ხმა უთრთოდა.

— მაშ, თქვენ სტამბულში ხართ? — გაიკვირვა სევიმმა.

— დიახ, სტამბულში ვარ.

— რატომ ერთხელაც არ შემოიარეთ ჩვენთან? მე ისე გელოდით. „ოი, ღმერთო! მოდი და ნუ გადაირევი ‚კაცი“.

— მართლა? კი მინდოდა მოსვლა, მაგრამ... დამავიწყდა... თქვენს სახლს ვეღარ მოვაგენი...

— აგერ, ეს არის ჩემი სახლი.

— ესა? ეს არის?

— თუ სადმე არ მიგეჩქარებათ, გავისეირნოთ, — სევიმი შეშინდა, ხელახლა არ დავკარგო ნაპოვნი საქმროო.

სევიმი საკმაოდ გამოცდილი ქალი გახლდათ და ეს გამოცდილება კარნახობდა, რომ მოკრძალებულ მამაკაცებს ალერსიანად უნდა ელაპარაკო. ამით თუ დასძლევენ ისინი თავიანთ მოკრძალებულობას. ამიტომ ერთი წუთითაც არ გაუჩერებია ყბა. ბოლოს თითქოს საითიც გამოცოცხლდა, გაბედულებაც შეემატა:

— ერთხელ მოვედი კიდეც თქვენთან... მაგრამ... მაპატიეთ, შეიძლება, ერთი რამ გკითხოთ?

— რასაკვირველია! მკითხეთ, რაც გინდათ, მკითხეთ!

— იმ დღეს რა ხდებოდა თქვენს ოჯახში, წინცვეთა გქონდათ, თუ სხვა რაიმე საოჯახო დღესასწაული?

— რატომ წინცვეთა? ჩვენ ხომ სამნი ვცხოვრობთ: დედა, მამა და მე. ყველანი მონათლულები ვართ.

— აა... მივხვდი.

— რატომ მკითხეთ?

— იმ დღეს თქვენს სახლში დაუსრულებლივ შემოდიოდნენ კაცები.

— და თქვენ იფიქრეთ, რომ წინცვეთა აქვთო? — სევიმს ეჭვიც ეპარებოდა, იქნება ამხელა რეგვენი არ იყოს და თავს მაჩვენებდესო.

— აჰ, ალბათ, „თოზქოფარანის“ ბიჭები იყვნენ, მე ძალიან მიყვარს ფეხბურთი. თქვენ?

— მე მიყვარს ის, რაც თქვენ გიყვართ, — წამოიძახა საითმა და გაწითლდა. „ალბათ, რაღაც სისულელე ვთქვი“, გაიფიქრა მან.

— გმადლობთ. თქვენ ძალიან კეთილი ხართ, რომელ გუნდზე შევტკივათ გული?

— ახლა არც ერთზე, მაგრამ რომელიმეს უსათუოდ შევარჩევ, თქვენ რომელი გუნდი გიყვართ?

— „თოზქოფარანი“.

საითმა რამდენიმეჯერ ნერწყვი გადაყლაპა და ამოღერღა:

— სევიმ ხანუმ, მე მინდა... თუ თქვენ ნებას დამრთავთ, მინდა ერთ ძალზე მნიშვნელოვან და სერიოზულ საკითხზე მოგელაპარაკოთ.

სევიმი უმალ მიხვდა, თუ რა „მნიშვნელოვანსა და სერიოზულ საკითხზე“ ეწადა საუბარი საითს. როცა მისი მშობლები „მნიშვნელოვან საკითხზე“ საუბრობდნენ, სიტყვა მის გათხოვებაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე.

— წავიდეთ, სადმე დავსხდეთ. დრო ხომ გაქვთ?

— რამდენიც გენებოთ, — სიხარულით წამოიძახა საითმა.

უახლოეს ყავახანაში შევიდნენ. თეთრწვერა, საამო შესახედაობის კაცი შეეგებათ. იგი პროფესორს უფრო ჰგავდა, ვიდრე ოფიციანტს. ეს კაცი კარგად იცნობდა სევიმს და ამიტომაც მყუდრო ადგილზე მიუთითა სტუმრებს. აქ ყოველი შემოსული ვერც დაინახავდა მათ. სევიმი მაგიდას მიუჯდა, საითი კი ლაბადის გასახდელად წავიდა. ჯერ არ გათენებულა ისეთი დღე, რომ საითი ულაბადოდ გამოსულიყო სახლიდან. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, პაპანება სიცხე იყო თუ წვიმა.

დარბაზში რომ მობრუნდა, თვალმოჭუტულმა ხალხი მოათვალიერა და ერთი მაგიდისაკენ გაემართა. მისი ვარაუდით, სწორედ აქ უნდა მჯდარიყო სევიმი. მივიდა, დაჯდა და ეს გაბედულება არ გამიქრესო, უმალ დაიწყო:

— ხანუმ ეფენდი, საკითხი, რომლის თაობაზეც თქვენთან საუბარი მსურდა, იმდენად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რომ...

ოჰ, ეს გული... როგორ ძლიერად უძგერს... ენა ვერ მოაბრუნა, ამიტომ თავდახრილი იჯდა, ცოტა სული მოვითქვაო.

ცოტა მოშორებით, მეორე მაგიდასთან, სევიმი ტუჩებზე პომადას იცხებდა და არც შეუნიშნავს, როგორ შემოვიდა დარბაზში საითი.

— სადაცაა ჩემი ქმარი შემოვა, — ღიმილით თქვა ქალმა, რომელთანაც საითი დაჯდა, — მაგრამ თუ თქვენ ასე ძალიან გინდათ ჩემთან... ერთი სიტყვით, ხვალ ამ დროს, აქვე შევხვდეთ...

გაოცებულმა საითმა თავი ასწია და მოულოდნელობისაგან გაშრა, მას წინ სრულიად უცხო ქალი იჯდა.

— ო... პარდონ... მაპატიეთ... შემეშალა... მე სხვა მეგონეთ...

დარბაზის შუაგულში გამოვიდა და უმწეოდ იყურებოდა ირგვლივ. საით წასულიყო? სად იჯდა სევიმი?

— აქა ვარ, საით! — ტუჩების შელამაზებას მორჩა სევიმი.

ისე დაიბნა, რომ ახლა ენაჩაგდებული იჯდა, არ იცოდა, რა ეთქვა. კვლავ სევიმი მიეშველა.

— თქვენ, მგონი, მოლაპარაკება გინდოდათ.

— ჰო, მინდოდა, ძალიან მინდოდა... მინდა რჩევა გკითხოთ, რომელი გუნდის გულშემატკივარი უნდა იყოს კაცი?

— და ამისათვის მომიყვანეთ აქ? ეს არის ის სერიოზული საკითხი? — ბრაზი მოერია სევიმს.

ამასობაში გლიასეშერეული ყავაც მოიტანეს. სევიმი უხმოდ იჯდა. ყავა დალიეს. მერე ქალმა თქვა:

— წავიდეთ.

— როგორც გენებოთ.

ტაქსში არც ერთს ხმა არ ამოუღია. სევიმი ისე იყო გაბრაზებული, რომ ერთი სული ჰქონდა, როდის მოსცილდებოდა ამ ტიპს. გადაუდებელი საქმეები მაქვსო, თქვა და მანქანა გააჩერებინა. ახლა მის წინ იდგა გაუბედურებული და საბრალო საითი. ქალმა კიდევ ერთხელ ყურადღებით შეათვალიერა საითი და მიხვდა, რომ საითის ხელიდან გაშვება არ იქნებოდა. ამიტომაც ტონი შეიცვალა და უთხრა:

— იქნებ შემოიაროთ ჩემთან?

საითმა სლუკუნით გადაუხადა მადლობა და როცა სევიმმა დამშვიდობებისას ხელი გაუწოდა, ისეთ ბედნიერ კაცად იგრძნო თავი, რომ ლამის გრძნობა დაჰკარგა. სახლში მობრუნებული სევიმი აქვითინებული დაეცა ტახტზე. მეჰჯურე ხანუმი გაოცებული შესცქეროდა შვილს და ბუტბუტებდა: „ალაჰ, ალაჰ, სევიმი და ტირილი? ეს რა მოხდა?“ მეჰჯურე ხანუმს არ ახსოვს, რომ მის ქალიშვილს მამაკაცების გამო ცრემლი გადმოვარდნოდეს.

— შვილო, ნუთუ შეგიყვარდა ის დებილი? თუ ასეა, უფლებას არ მოგცემ ცოლად გაჰყვე. თუ ქალს ჭკუა აქვს, მისთვის ძვირფას და საყვარელ კაცს არ უნდა გაჰყვეს ცოლად, თორემ უბედური იქნება. დაიმახსოვრე ეს.

ამ დროს აჰმედიც მოვიდა.

— დამცინის, დამცინის, ჯერ არც ერთ მამაკაცს ასეთი რამ არ გა-
უბედნია ჩემთვის, — ყვიროდა სევიმი.

აჰმედს გულწრფელად შეებრალა ძვირფასი სევიმი.

— აბა, შენ ტირილს შეეშვი, იმ ცალტვინას კი მე მივხედავ, ვაჩვენებ, როგორ უნდა უმწეო ქალის გამასხარავება.

სევიმი კვლავ ცრემლებად იღვრებოდა.

— ჯერ მითხრა, ძალიან სერიოზულ საკითხზე უნდა მოგელაპარაკოთო და ყავახანაში წამიყვანა. ისიც კი არ უფიქრია, ცოლად გამომყევიო, რომ ეთქვა. ვიცი, თავს იკატუნებს. სინამდვილეში კი ჩემი გამასხარავება უნდა.

აჰმედი სიბრაზემ ლამის დაახრჩო.

— ეგ პარაზიტი, ვირისთავი, ოჰ, ერთი სტადიონზე შემხვდებოდეს, ვაჩვენებდი რა ბიჭიც არის. მომეცი მისი მისამართი!

— მე რა ვიცი, სად ცხოვრობს.

— გვარი მისი არ იცი და მისამართი, აბა რაზე ფიქრობდი? იქნებ, ის მაინც იცი, რისი მოხელეა, რას აკეთებს.

— მათემატიკოსი უნდა იყოს.

— მასწავლებელია?

— არ ვიცი.

— საიდან გამოტყვრა?

სევიმმა სიცილითა და ცრემლების ღვრით უამბო აჰმედ „კედელას", როგორ გაიცნო საითი, როგორ შევიდნენ კინოში და ლოჟაში როგორ აკოცა.

— შენ ცუდი არაფერი იფიქრო, მე უბრალოდ გამოვცადე... იქნებ, ცოლად შემირთოს-მეთქი... ეერთხელ ვაკოცე... ეგ იყო და ეგ... ისეთი ყეყეჩი სახე ჰქონდა, რომ...

სევიმი ცდილობდა, აჰმედისათვის ეჭვიანობის საბაბი არ მიეცა.

— მაშ, ამბობ, დამცინისო?

— ჯერ მითხრა, სერიოზულად უნდა მოგელაპარაკოთო, — გაიმეორა სევიმმა, — გავიხარე, ვიფიქრე, რაიმე საქმიანს იტყვის-მეთქი. თურმე ყავახანაში იმიტომ მიმიწვია, რომ ეკითხა, რომელი გუნდის გულშემატკივრობა ჯობიაო. ასე ამბობს, ყველაფერი ის მეყვარება, რაც შენ გიყვარსო.

— დებილი! მაცალე, მე მოვნახავ და ვაჩვენებ, როგორ უნდა პატიოსანი გოგოების მოტყუება, შენ ნუ ტირი, გეთაყვა, ნუ ტირი, ჩემო პაწიავ...

გავიდა ორი დღე. საითს კვლავ დაუბრუნდა იმედი, რომ სევიმს შეირთავს და როგორც იქნა, დეიდა ბერინი გაგზავნა ფერფერიკებთან, რომ რიგიანად გასცნობოდა მათ და ქორწინების დღეც დაენიშნათ. დეიდა ბერინი სიამოვნებით წავიდა ფერფერიკების სახლში, რადგან დარწმუნდა, საითი უჩემოდ ვერაფერს გააწყობსო, ამას გარდა, მას ძალიან ეწადა ქორწილი ძველებური ადათ-წესებით გადაეხადათ, ამიტომაც თვითონ უნდა ყოფილიყო მოვლენების შუაგულში.

საითი მოუთმენლად ელოდა ფერფერიკთა ოჯახიდან დეიდა ბერინის დაბრუნებას. მღელვარებისაგან ადგილი ვერ ეპოვა, ოთახებს შორის დარბოდა, ლექსებს კითხულობდა, მღეროდა, შემოსასვლელში რომ ზარი დარეკეს, სიხარულით მივარდა კარს.

— აბა, ჩქარა მითხარი, რა ამბავი მომიტანე? — მოუთმენლად ჰკითხა დეიდას.

— შენ დროზე გააღე ეგ კარი და ბევრს ნუ ქაქანებ მანდა, — მოესმა ვიღაცის ჩახრინწული ხმა.

კარი გააღო. საითის წინ უცხო კაცი იდგა.

— მაპატიეთ, თქვენ არ გელოდით.

— ეგ არაფერი, ახლავე გავიცნობთ ერთმანეთს, ჭკუა უნდა გასწავლო!

— მობრძანდით, ეფენდი.

ასე გაიცნეს ერთმანეთი აჰმედმა და საითმა. ჯერ დუმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს, მერე აჰმედი წამოდგა და კედელს მიუახლოვდა. კედელზე წვერმოშვებული, ორდენებით მკერდდამშვენებული ფესკიანი ძველი ფაშების სურათები მიემაგრებინათ. ჭერზე ძველებული ჭაღი ეკიდა. აივნის მილმა დიდი, მაგრამ მოუვლელი ბაღი ჩანდა.

— ეს შენი სახლია? — აჰმედი სულაც არ იყო უხეში კაცი, მაგრამ ფიქრობდა, საითთან ისე უნდა გეჭიროს თავი, როგორც ფეხბურთის მოედანზე მოწინააღმდეგესთანო.

— დიახ, ჩვენი სახლია, ეფენდი, — მორიდებით უპასუხა საითმა.

აჰმედი კვლავ დაჯდა.

— შენ, რასაკვირველია, კარგად იცი, ვინცა ვარ.

საითი, უფრო კარგად დავაკვირდეო, აჰმედს მიუახლოვდა.

— მაპატიეთ, ეფენდი, ვერაფრით ვერ გაგიხსენეთ. სად შეიძლებოდა გაგვეცნო ერთმანეთი?

— როგორ, მე ვერ მიცანი?

— მაპატიეთ, ვერ გიცანით.

— შენ სერიოზულად მელაპარაკები, თუ დამცინი? აბა, კარგად დამაკვირდი! ვისა ვგავარ?

საითი ისე მიუახლოვდა, რომ ლამის ცხვირი არ დაჰკრა აჰმედის ცხვირს.

— იქნებ, დურბინდით შემომხედო? გვერდით არ მიზიხარ? რა მოგვიდა, მოიხსენი ეგ სათვალე და ისე დამაკვირდი.

— ძალიან ცუდი მხედველობა მაქვს და...

— მაშ, ვერა მცნობ? — შეაწყვეტინა სტუმარმა.

— ხომ არ გაიხსენებდით, სად გავიცანით ერთმანეთი?

აჰმედი დაიბნა — პირველად შეხვდა კაცს, რომელიც ვერ ცნობდა მას, საქვეყნოდ ცნობილ ფეხბურთელს, არა და, სადაც არ უნდა ჩაევლო, მის ზურგსუკან ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა: „ნახეთ, აჰმედ „კედელამ“ ჩაიარა!“

— შენ რა, ფეხბურთზე არ დადიხარ?

— არა, ეფენდი.

— ფეხბურთის ამბებს არც გაზეთებში კითხულობ?

— არა, არ ვკითხულობ.

— მოდი და ნუ გაგიჟდები. ეს ბოლო ოთხი თვეა გაზეთები მხოლოდ ჩემზე წერენ...

— უკაცრავად ვარ, მაგრამ... ვინ ბრძანდებით, რა ხელობის კაცი ხართ?

— დაიმახსოვრე, შენ წინ ზის ფეხბურთის ვარსკვლავი. ნამდვილი ვარსკვლავი. ჯერ ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი, მერე სულ სხვა გუნდში გადავედი, შენ მაინც ვერაფერს მიხვდები, ბოლოს „თოზქოფარანმა“ მიყიდა. აჰმედი გატაცებით ჰყვებოდა, როგორ ამოვიდა მისი, როგორც საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელის, ვარსკვლავი, საითი კი წვალობდა მიმხვდარიყო, რატომ შოვიდა ეს კაცი მასთან. მერე აჰმედი მოჰყვა, თუ რას სწერენ გაზეთები მასზე. ერთ მატჩში სამი ფეხბურთელი დავასახიჩრეო, გვერდითი მსაჯი გავლახე, მთავარი მსაჯი კი მოედნიდან გავაგდეო.

ოთახში მოხუცი მსახური ქალი, მადამ ანჟელა შემოვიდა. ლანგრით შემოტანილი ყავა მაგიდაზე დადო და ერთი ფინჯანი აჰმედს მიაწოდა. აჰმედი რომ დაინახა, ფინჯანი ლამის ხელიდან გაუვარდა და იყვირა:

— თქვენ აჰმედ „კედელა“ არა ხართ?

— სწორია, აჰმედი ვარ, — კმაყოფილებით გაიღიმა აჰმედმა.

— მე იმდენი რამ წამიღიოლავს თქვენზე... ღმერთო, რა საინტერესო

ცღოლრებას ეწევით!.. — როგორც ჭეშმარიტი ფრანგი ქალი, მადამ ანჟელა ცოტას უქცევდა.

— მაშ, მადამ ანჟელა, თქვენ იცნობთ ამ ეფენდის? — იკითხა გაოცებულმა საითმა.

— აჰმედ „ღედელას“ ვინ არ იცნობს, ყოველ დილას, გაზეთებს რომ გავშლი, ჯერ აჰმედ „ღედელაზე“ ვღითღულობ.

— ახლა ხომ მაინც გაიგე, ვინცა ვარ, ჩვენში კაცი არ მეგულება, რომ არ მიცნობდეს.

— ან რა ფეღები გაღვთ, — განაგრძობდა მადამ ანჟელა, — რა ფეღები! სტამბულში რომ ბურთს დაარტღავთ, ყარსში ისმის.

საითი სირცხვილით იწვოდა, სირცხვილი თუ გინდა, ეს არის! მადამ ანჟელამ კარი მოიხურა თუ არა, საითი წამოდგა, აჰმედს თავი დაუკრა და მოახსენა:

— ეფენდი, მე ძალიან მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა, ასეთი ნაცნობობა დიდი პატივია ჩემთვის. თუ თქვენ რაიმე სათხოვარი გაქვთ, მოხარული ვიქნები გემსახუროთ.

ვიდრე საითი დაშაქრულ სიტყვებს წარმოთქვამდა, აჰმედი თვალს არ აშორებდა და ფიქრობდა: „სევიმი მართალია — ვერ გაიგებ, ეს კაცი მართლა ყეყეჩია თუ თავს იკატუნებს“.

— არ არის საჭირო ამდენი მადლობა, რახან კარგად გამიცანი, ახლა შეგვიძლია მოვილაპარაკოთ. შენ იცნობ სევიმს, ჩვენს სევიმზე ვამბობ, აბა, სხვა ვინ უნდა იყოს?

საითმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის თავი დააქნია.

— სევიმი ძალიან კეთილი გოგოა, ძმაკაცისათვის არაფერს არ დაიშურებს, პერანგსაც გაიხდის, შარშანწინ ცურვაში რომ პირველობა ტარდებოდა, მურად ბიროვმა სევიმის შემწეობით მოუგო მესუთს. ძალიან გულისხმიერი გოგოა ჩვენი სევიმი. ასე... მესუთი წინ იყო, ბარიერამდეც კი მიაღწია, მაგრამ წყლიდან ამოსვლა ველარ გაბედა. არ იკითხავ, რატომ ვერ გაბედა? სევიმმა წყალქვეშ ტრუსი გახადა და შეჯიბრი მურადმა მოიგო. შენ არც ეს ამბავი წაგიკითხავს გაზეთებში? ალაჰ, აბა რას კითხულობ? ჩვენს გაზეთებში ხომ მეტი არაფერი წერია!

სევიმის ხსენებაზე საითს ისე უფრთხიალებდა გული, თითქოს გალიაში მოხვედრილი ჩიტი ყოფილიყოს.

— რასაკვირველია, ეფენდი, მე ვიცნობ სევიმ ხანუმს.

— ჰოდა, მეც იმიტომ მოვედი, რომ სევიმზე გესაუბრო.

„ეს აჰმედი ვინ არის? — ფიქრობდა საითი. — იქნებ ნათესავია მისი, ან სულაც თვითონ უნდა ცოლად შეირთოს? რატომ მოვიდა ჩემთან საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი სწორედ მაშინ, როცა სევიმის ოჯახში დეიდა ბერინი გავგზავნე, რათა სევიმის ხელი ... მშობლებს, ღმერთო, შენ მიშველე!“

— თქვენ მისი ნათესავი ხართ?

— ნათესავი! მე უფრო ახლობელი ვარ სევიმისა, ვიდრე ყველაზე ძვირფასი ნათესავი. იმიტომაც მოვედი აქ.

— მე ყურადღებით გისმენთ, ეფენდი.

— ერთი მითხარით, არის თუ არა მამაკაცის საკადრისი საქმე, უმწეო ქალის დაცინვა? და საერთოდ, წესიერი კაცი ასეთ რამეს იზამს?

— რასაკვირველია არა, ეფენდი, — ამოილუღლუღა საითმა.

— მაშ, შენ რატომ იქცევი ასე? — იყვირა ცენტრალურმა მცველმა.

კაცმა რომ თქვას, აჰმედი არც აპირებდა ყვირილს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ოჯახში წყნარი, საგულდაგულო საუბრის ატმოსფერო უფრო იყო გამეფებული, ვიდრე ყვირილისა.

— ალაჰია მოწმე, რომ მე არასოდეს ამგვარი რამ არ მიკადრებია სევიმ ხანუმისთვის. ჩვენ ხომ ახლახან გავიცანით ერთიმეორე.

— ვინ ჭამს მაგას! ეგ ზღაპრები ბებიაშენს მოუყევი! ქალი უკვე დააფეხმძიმე და ახლახან გავიცანიო, იძახის.

— რაო, სევიმი ფეხმძიმედ არის?

—სევიმი — აბა, მე?

სიხარულისაგან ენა წაერთვა საითს. მალე მამა გახდება! და ეს პაწია ბალღი საითს მამიკოს დაუძახებს! ღმერთო, ეს რა ბედნიერება ეწია საითს! თუმცა... რამდენსაც არ უნდა ცდილიყო, სევიმი საითისაგან ვერ დაფეხმძიმდებოდა, რადგან საითმა მხოლოდ ერთხელ აკოცა მას, მაგრამ... მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ის არის, რომ ამის თაობაზე ხალხი ალაპარაკდა. ხალხს სჯერა, რომ საითი მამა გახდება.

აჰმედმა, ეს არის აფსაიდში მოვხვდიო და, ენაზე იკბინა, ამდენი რამ არ უნდა მეთქვაო, ამიტომაც თამაშგარე მდგომარეობიდან გამოსვლა ამჯობინა.

— თუმცა, ეგ ფეხმძიმობა სულ ახალი ამბავია, რამდენიმე დღისა, შენ ალბათ გამიგებ... ეკადრება შენისთანა შთამომავლობის კაცს ქალი ასეთ დღეში ჩააგდოს და მერე ფეხებზე დაიკიდოს? — ვიდრე საითი.

იტყოდა, დეიდა ბერინი ფერფერიკების ოჯახში სევიმის დასანიშნად გავგზავნეო, აჰმედი წამოდგა.

— მე მგონი, ჩვენ უკვე შევთანხმდით, ჩემს გაბითურებას ნუ ეცდები, თორემ ხომ იცი... ვინცა ვარ... თუ კიდევ კარგად ვერ გამიცანი, გადი ქუჩაში და პირველსავე გამვლელს ჰკითხე აჰმედ „კედელა“ ვინ არის-თქო. გამიგე? ეგრე. აბა, მე წავედი.

საითმა და მადამ ანჟელამ მოწიწებით გააცილეს ესოდენ საპატივცემულო სტუმარი. კარი მიიხურა თუ არა, საითი ადგილს მოსწყდა და ცეკვა-თამაში დაიწყო, თან გაიძახოდა „მამიკო, საით!“ „მამილო, საით!“ „ჩემო მამიკო!“

საითმა კარგად იცოდა სარიოღლუს მთელ საგვარეულოს ერთი შიში ჰქონდა, ვაითუ, ერთ მშვენიერ დღეს უძეოდ დავრჩეთ და სულაც შეწყდეს ამ დიდი გვარის სიცოცხლეო. დღეიდან ასეთი რამ სარიოღლუთა შთამომავლობას აღარ ემუქრება და მთელმა საგვარეულომ საითს უნდა დაუკოცნოს კალთები. დიახ, საითს, რომელმაც ათასი საშიშროების მიუხედავად, დადებითად გადაწყვიტა დინასტიის მომავლის საკითხი.

მადამ ანჟელამ ერთ ხანს უყურა საითს და მერე შებედა:

— მუსიე, აჰმედ ღედელა რადომ მოვიდა?

აჰმედ „კედელა“ ძალიან ახლო ნათესავია ქალის, რომელიც ცოლად უნდა შევირთოო.

— რა ფეღები]აქვს, რა ფეღები!

საითი მიხვდა, რომ მადამ ანჟელამ ბევრი რამ იცის აჰმედ „კედელას“ თაობაზე და სთხოვა, რაიმე მიამბეო.

აჰმედ „კედელა“ განსაკუთრებით ძლიერად მარცხენა ფეხით ურტყამსო; უამრავ ფინტს რომ ჩაატარებს და მარცხენა ფეხით ბურთს დაარტყამს, მოწინააღმდეგე მოცელილივით ეცემაო; ერთ დროს მარცხენა ფეხით თამაში სულაც აუკრძალესო. ოდნავი გაბრაზებაც საკმარისი იყო, რომ ფეხს წალმა-უკულმა იქნევდა და ჩემს მტერს, ვისაც ის მოხვდებოდაო; თამაშის შემდეგ რომ ეტყოდნენ, ღღეს ბარე ორ-სამ ფეხბურთელს ამოჰკარი წიხლიო, აჰმედ კედელა იტყოდა: „რა ვქნა, მე არაფერი მიქნია, ეს სულ ჩემი ფეხის ოინებია“.

საითი მადამ ანჟელას რომ უსმენდა, სიხარულით გული უთრთოდა, აჰმედ „კედელას“ მარცხენა ფეხს რა ბედზე გადავურჩიო. ვიღაცამ ზარი დარეკა. საითი შემოსასვლელში გავარდა.

— აბა, ყველაფერი უცებ მიამბეთ. — მიახალა მან დეიდა ბერინს.

საითის საყვარელი დეიდა წმინდა სისხლის ჩერქეზი ქალი იყო, ამასთან სახახლის კარზე აღზრდილი და, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხანუმ ეფენდი, აჩქარებას ვერ იტანდა.

— სული მომათქმევინე, შვილო, — მიუგო მან, — ანგელოზებს დამალევინე.

დეიდა ბერინმა აუჩქარებლად გაიხადა პალტო, თავსახვევი მოიხსნა და სავარძელში მოკალათდა. საითი მის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა.

— ღმერთო, როგორ დავიღალე.

საითს კი მოუთმენლობისგან სული მისდიოდა.

— დეიდა, სული ნუ ამომხადეთ, ჩქარა მითხარით, რა პასუხით გამოგისტუმრეს.

— მაცალე, შვილო, სული მომათქმევინე და ყველაფერს გიამბობ. ნუ ამაჩქარებ. ჰო, რას ვლაპარაკობდი?

— ჯერ არც არაფერი გითქვამთ.

— რაღაცას არ ვამბობდი?

— ღმერთო, როგორ დავიღალეო.

— არა, მაგის მერე უნდა მეთქვა რაღაც... ჰო... რამდენი ხალხია ქუჩებში... მე მგონი, სახლებში აღარავინ ჩერდება, ყველანი ქუჩაში გამოფენილან... ვერ გამიგია, რა მოსდით, სად გარბიან... ავტობუსშიც ვერ ჩამჯდარა ადამიანი.

საითმა მღელვარებისგან ფრჩხილების კვნეტა დაიწყო.

— სამარშრუტო ტაქსში ძლივს ჩავჯექი.

მერე იმას მოჰყვა, როგორ ეჩხუბა მძღოლს, რას ლაპარაკობდნენ მგზავრები.

— დეიდაჩემო, გული ნუ გამიწყალეთ. თქვენ ის მითხარით, რა პასუხი მიიღეთ.

— ნუ მაწყვეტინებ, შვილო, ყველაფერს თანდათანობით გიამბობ, ამბავი ისე უნდა მოჰყვე, რომ შენ თვითონ გსიამოვნებდეს, სად მიგეჩქარება?

საითმა ლამის წამოაყრანტალა, ქორწინებამდე მამიკოც გავხდებიო, მაგრამ დროულად შეიკავა თავი.

დეიდა კი ცდილობდა, არაფერი გამოჰპარვოდა. დაწვრილებით აღწერა, რა ავეჯი ეწყოთ სასტუმრო ოთახში, რაგვარი ხალიჩები ეკიდათ კედლებზე, ან ტახტებზე როგორი გადაეფინათ, რანაირი ბროლის ჭურჭელი იდგა მაგიდაზე.

დეიდა ბერინი ხალიჩებსა და ჭურჭელზე ლაპარაკობდა, საითაც კი ცდილობდა მიმხვდარიყო, რა პასუხით გამოისტუმრეს იგი. „თუ უარი უთხრეს, უნდა დავწერო ტრაგიკული პოემა „სევიმი და სარეხი", — ფიქრობდა იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბოლოს ყავის დალევის დროც დადგა. ყავა მსახურმა ქალმა მოიტანა. ვერ დაგიმალავ, შვილო, და ეს ამბავი არ მეჯაშნიკა. ჩვენში ასეა მიღებული: თუ ოჯახში მაჭანკლად მოვიდა ვინმე, ყავა გასათხოვარმა ქალმა უნდა მოართვას. ასეთია ჩვეულება და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას რამდენად მდიდარია ოჯახი.

— შეეშვით მაგ თქვენს წეს-ჩვეულებებს.

— შენ მაინც შენსას გაიძახი... ყავის სმა რომ დავამთავრეთ, მე ვთქვი, ხელის დაბანა მინდა-მეთქი.

— დეიდაჩემო, მე თქვენ ხელის დასაბანად გაგგზავნეთ თუ სევიმის ხელის სათხოვნელად?

— ასეთია წესი, შვილო, თუ გინდა სარძლოს ოჯახის ავკარგი გაიგო, ერთ ადგილასაც უნდა შედგა ფეხი. თუ იქ სისუფთავეა და ყველაფერი რიგზეა, შეგიძლია თამამად დაქორწინდე, ხოლო თუ ის ადგილი მოუვლელია, უხმოდ უნდა გამობრუნდე უკან.

— რატომ ადრევე არ უთხარით, ხელის დაბანა მინდა-თქო?

— სანიტარული ინსპექცია ხომ არ ვიყავი, შვილო, უხერხულია, ყველაფერს თავისი ადგილი და დრო აქვს.

— ჰო, კარგით, კარგით, მერე ჰასიფ ბეიმ რა თქვა?

— ჰასიფ ბეი ვიღაა?

— სევიმის მამა.

— იქ მე კაცი არ დამინახავს, სულ ქალები ისხდნენ. მეორე ოთახში ვიღაც ბიჭები კი დაბორიალებდნენ... რატომ შემაწყვეტინე... რაზე გავჩერდი?

— საჭირო ოთახში შეეედიო.

— ჰო, იქ დიდი ხანი არ გავჩერებულვარ, მოვათვალიერე და გამოვედი. აი, რას გეტყვი, შენი სევიმი ხელმომჭირნე გოგო არ არის.

— ვითომ რატომაო?

— ახლავე გეტყვი... კარგად იცი, რომ სტუმრად ხელცარიელი არ უნდა მიხვიდე. მეც ავდექი და დაშაქრული წაბლი ვიყიდე, მაღაზიაში შევეხვეწე, მაგრად შემიხვიეთ და შემიკარით-მეთქი.

— ეგ რილასთვის გინდოდა?

— რილასთვის გინდოდაო... თუ ქალმა თასმა ფრთხილად გახსნა,

ესე იგი, ხელმომჭირნეა, ხოლო თუ თასმა დასჭრა და კოლოფი დაგვ-
რიწა, ასეთი ქალის ქმარი საცოდავია.

საითმა კარგად იცოდა, როგორი თადარიგიანი ქალიშვილ[illegible]
ბერინი. იგი არაფერს არ გადაყრიდა — რაც არ უნდა, [illegible]
ხელში, სხვენზე თავის ადგილს მიუჩენდა, დრო მოვა და გამოგვად-
გებაო. რაღა არ ეყარა იქ: ცარიელი ხილის წყლის ბოთლები, სუნამოს
შუშები, მურაბისა და კონსერვის ქილები, დაჟანგული ქანჩები,
ლურსმნები, გასაღებები, დამტვრეული სათამაშოები.

— ასე რომ, ეგ შენი სევიმი ხელმომჭირნე სულაც არ არის.

— რაც არი, ეგ არი, თქვენ ის მითხარით, დედამისმა რა პასუხი გაგ-
ცათ, თანახმაა თუ არა?

— ახლავე გეტყვი, ძალიან კი მაჩქარებ... რაზე გავჩერდი?

დეიდა ბერინი ტყუილად როდი ღეჭდა სათქმელს. ფერფერიკებთან
წასვლამდე მან სარიოღლუების ყოველ ოჯახს ჰკითხა, ამ ქორწინებას
როგორ მოეკიდებითო. ერთნი ამბობდნენ, ოღონდ საითმა ცოლი შე-
ირთოს და სულ ერთია, ვინც იქნებაო. მეორენი კი სასტიკ უარზე იდგ-
ნენ. არავითარი ცოლის შერთვა არ გამაგონოთო. მართალია, საითი
ძალიან კარგი მათემატიკოსია, მაგრამ ფულის დათვლაც კი არ იცისო.
ამიტომაც საითზე მზრუნველი ნათესავები ფრთხილობდნენ, ვაითუ,
ოჯახში ისეთი ქალი შემოვიდეს, რომელსაც ფულის გემო ეცოდინება
და ყველაფერს ხელში ჩაიგდებსო, ან სულაც ისეთი შარახვეტია იყოს,
ამდენი ხნის ნაშოვნი მთლად ქარს გაატანოსო. ყველაფერი ეს საკმაოდ
გასაგებად უთხრეს დეიდა ბერინს, ამიტომაც დეიდამ გადაწყვიტა,
უმჯობესი იქნება საითს უარი ვათქმევინო თავის გადაწყვეტილებაზეო.
ამის მიღწევა კი საპატარძლოს ძაგებით შეიძლებაო, ფიქრობდა.

— დედამისმა ასე მიპასუხა, მადლობა ალაჰს, ჩემი სევიმი ძალიან
ბევრს მოსწონს, ბევრს უნდა იგი ცოლად შეირთოს, საკმარისია სევიმი
ერთხელ ქუჩაში გავიდეს და უამრავი ბიჭი აეკიდებაო.

— რაო? მართლა ასე თქვა? — გული შეუქანდა საითს.

— კი, ასე სთქვა, მერე კი დასძინა: თუ თქვენი დისწული და ჩემი
შვილი ერთმანეთისთვის არიან გაჩენილნი, იყოს ნება ღვთისაო.

— ვერაფერი გავიგე.

— რა არი გაუგებარი. იმას ხომ არ იტყოდა, მადლობა ღმერთს,
როგორც იქნა, მუშტარი გამოჩნდაო.

— ეჰ, დეიდაჩემო, — ვეღარ მოითმინა საითმა, — შენ არც კი იცი,

რომ სევიმი მალე დედა გახდება... უფრო სწორად, მე მალე მამაკაცი ვიქნები, ამიტომაც ეჩქარობ ასე.

დეიდა ბერინი ჩანთაში რაღაცას ეძებდა, საითის ასეთ აღსარებას, რასაკვირველია, არ ელოდა და დისწულის სიტყვები რომ გაიგონა, მოულოდნელობისგან ჩანთა ხელიდან გაუვარდა.

— ღმერთს ნუ სცოდავ, შვილო, აბა დაფიქრდი, რას ლაპარაკობ! — ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. მისი საითი, პაწია საითი მამა გახდება? — ღმერთო, ეს ხომ გაუგონარი ამბავია, როდის მოასწარით, შვილო.

— მოვასწარი კია და... მეც არ ვიცი, როდის მოვასწარი, — საითის ხმაში დაბნეულობა და სიამაყე იგრძნობოდა.

— შენ ხომ... მაპატიე, შვილო, ასეთი ლაპარაკი, მაგრამ... შენ ხომ არც ერთი ღამე არ გაგითევია სხვაგან?

— რაო, დღისით არ შეიძლება? მაგალითად, კინოთეატრში... ლოჟაში.

— აა! ალაჰ, ეს რა მესმის! არა, არა, ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს, არა! ნუ იტყვი მაგას!

— რატომაც არა, დეიდა. მე უკვე პატარა აღარა ვარ, — თავისი მამაკაცური ღირსება დაიცვა საით სარიოღლუმ.

— შენგან რა მამა უნდა გამოვიდეს, შვილო?

ამან სულ გაახელა საითი.

— ისე მექცევით, როგორც ბავშვს, მე კი ოცდაოთხი წლისა ვარ... ჩემს მეგობრებს უკვე ორ-ორი, სამ-სამი შვილი ჰყავთ. მე კი პირველს ველოდები! — ოი, როგორ ეწადა მამად გახდომა! გულახდილად რომ ითქვას, საითს ესმოდა, რომ იგი ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად ვერ იქნებოდა ამ ბავშვის მამა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. სხვებსაც მოსვლიათ ასეთი რამ, იგი არც პირველია და არც უკანასკნელი. საითს არ ეშინოდა ჭორებისა, ილაყბებენ, იყბედებენ და დაიღლებიანო. ერთ გარემოებას უფრთხოდა მხოლოდ — მტკიცედ სწამდა, რომ მისი ფარისეველი ნათესავები არ მოისურვებდნენ საითის დაქორწინებას ქალზე, რომელმაც ქორწინებამდე მოასწრო მუცლის წინ წაგდება. იგი კი უფროსების ნებას ვერ აღუდგებოდა ხოლმე. რა ღობალი აქვს! ერთხელ შეხვდა თავის საოცნებოს, თავის ერთადერთ მზეთუნახავს და იმანაც, არც აცია და არც აცხელა და, დაფეხმძიმდა. ბედი არ გინდა?!

საითმა დაიწყო იმის დაწვრილებით თხრობა, თუ როგორ შეხვდა სევიმს, მაგრამ ბერინ ხანუმმა შეაწყვეტინა.

— არ მინდა, ჩვენ ყველანი უნდა შევიკრიბოთ და ერთად გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ. არ უნდა დამეჯერებინა შენთვის, საჩ უნდა მივსულიყავი ფერფერიკების სახლში... ვნახოთ, სხვები რას იტყვიან.

— ცოლის შერთვას მე ვაპირებ და არა ჩემი ნათესავები, — თავის ცხოვრებაში პირველად აიმაღლა ხმა საითმა.

— ეგრეა, მაგრამ მაინც უნდა შევიკრიბოთ.

საითმა იცოდა, რომ დეიდასთან კამათი უაზრობა იყო.

— კი ბატონო, შევიკრიბოთ, იმსჯელონ, იფიქრონ, გადასწყვიტონ, მაგრამ თუ ისინი უარს იტყვიან, მაშინ მე ვიცი ჩემი საქმისა. შენ რომ ჩვენი ოჯახის წევრებს ეძახი, დეიდა, ეგენი მოფამფალებული, უკბილო და უაზრო ბებრუხანები არიან.

— ამას ვინ ამბობს, ნუთუ ეს შენ ხარ? ახლავე გაჩუმდი! — მართლაც გაუკვირდა ბერინ ხანუმს საითისგან. — ან ენა როგორ მოგიბრუნდა?

საითი თვითონვე შეუშინდა თავის სიმამაცეს და თავი იმართლა:

— ნუ გამიბრაზდებით, დეიდა... ხომ იცით სიყვარულის ამბავი, სიყვარული სიკვდილზე ძლიერია.

სიკვდილი რომ გაიგონა, დეიდა ბერინს ლამის გული შეუღონდა და იყვირა:

— ანჟელა, წყალი, ჩქარა! — და მაინც შეუღონდა გული, უგონოდ დაეშვა ტახტზე.

სარიოღლუეები თათბირად დასხდნენ

მადამ ანჟელამ საფეთქლები დაუზილა დეიდა ბერინს, ოდეკოლონი აყნოსინა და წვეთებიც გადააყლაპა. დეიდა ბერინი გონს რომ მოეგო, უმალ ტელეფონს მივარდა და ნათესავებს სათათბიროდ უხმო.

საითი ამ დროს ბაღში სეირნობდა და მღეროდა, სიყვარული სიკვდილზე ძლიერიაო. სეირნობით გული რომ იჯერა, სახლში შებრუნდა, თავის ოთახში ჩაიკეტა და კვლავ იმ მათემატიკური ამოცანის ამოხსნას მიჰყო ხელი, რომელსაც აგერ უკვე წელიწადია, ვერაფერი მოუხერხა.

მეორე დღეს სარიოღლუთა სასახლეში დიდი საოჯახო საბჭო თავის

საქმიანობას შეუდგა. საბჭოზე შეიკრიბნენ საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენლები. საითი კი კვლავ თავის ამოცანას უჯდა, არც ვახშმისთვის დაუკარებია ხელი და არც საუზმისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში ბერინ ხანუმი შემოვიდა:

— წავიდეთ, შვილო, ვიწყებთ.

— სადა? — ანგარიშმიუცემლად ჰკითხა საითმა, — რა უბედურებაა, საკმარისია მუშაობის ეშხზე მოხვიდე, რომ ვიღაცა უსათუოდ შეგიშლის ხელს.

— როგორ თუ სადა, უკვე ყველანი შეიკრიბნენ და შენ გიცდიან.

— ვინ მიცდის? ჩემგან რა უნდათ?

— ღმერთო, რა დაბნეული ხარ, — წამოიძახა ბერინ ხანუმმა.

მართლაცდა, საითი რომ თავის საყვარელ აბდაუბდას მიუჯდებოდა, ამ ქვეყნისა აღარაფერი ახსოვდა. ამ ცოდვილ დედამიწაზე მისი დაბრუნება არცთუ იოლი საქმე იყო.

— შვილო, ყური მიგდე... ყველანი შეიკრიბნენ უკვე, სევიმის თაობაზე უნდა მოვილაპარაკოთ.

— სევიმი? სევიმი! ახლავე, დეიდა, ახლავე-მეთქი. მოვდივარ!

სარიოღლუთა ნაშიერნი სასტუმრო ოთახში შეკრებილიყვნენ. ამ ოთახში საგვარეულოს თავი და თავის იუსუფ ფაშას სურათი ეკიდა. საითი ისე ჰგავდა თავის წინაპარს, გეგონებოდათ, სურათიდან თანამედროვე მათემატიკის ეს ამოუსვლელი ვარსკვლავი იმზირებაო. მხოლოდ ეს არის, რომ იუსუფ ფაშას წვერი და ჩინ-მედალი ამშვენებდა. სხვა კედელზე იუსუფ ფაშას შთამომავალთა პორტრეტები ეკიდა. ესენი უმთავრესად დიდებულნი, მხედართმთავრები იყვნენ და მუნდირები ეცვათ. ჩინ-მედალი ამათაც ბლომად ჰქონდათ. ბევრი ისეთი წინაპრის სურათიც ეკიდა, ჩვეულებრივი სერთუკები რომ ეცვათ. ზოგს წვერი მოეშვა, ზოგიც სუფთად იყო გაპარსული. ულვაშიანებიც იყვნენ და უულვაშონიც, ზოგიერთს გახამებული საყელო და ყელსახვევიც ეკეთა.

კაკლის ხის მასიურ მაგიდას თექვსმეტი ბებრუხანა ქალი და კაცი შემოჯდომოდა. სარიოღლუთა გვარში ყველაზე უფროსი 80 წლის აბდუშუქურ ბეი იყო, ხოლო ყველაზე ახალგაზრდას, გადამდგარ დიპლომატს ქისმეთ ბეის ახლახან შეუსრულდა 69 წელი.

საითი თავდაჯერებით შევიდა ოთახში და ბუხრის წინ გაჩერდა. მაგიდა მუდამ აქ იდგა.

— გამარჯობათ, — თავი დაუკრა ბუხარს საითმა, მან არ იცოდა, რომ დეიდა ბერინმა მაგიდა გადადგა.

— მადლობელი ვარ, შვილო, — ყველას მაგიერ უპასუხა ქისმეთ ბეიმ.

აბდუშუქურ ბეიმ საითს დაჯდომის ნება დართო.

დიდი საოჯახო საბჭო მუშაობას შეუდგა.

— ღრმად პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო, — მიმართა დამსწრეთ სარიოღლუთა თავკაცმა, — დღეს ჩვენ უნდა მივიღოთ ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — დავუჭიროთ თუ არა მხარი სარიოღლუთა საპატიო და დიდებული საგვარეულოს ერთადერთ იმედის — საითის ქორწინებას. ნება მომეცით ამ საკითხისადმი მიძღვნილი ოჯახური საბჭო გახსნილად გამოვაცხადო.

საითის მეორე ბიძამ ზიჰნი ბეიმ თითი ასწია და წარმოთქვა:

— ღრმად პატივცემულო თავჯდომარეო, ჩემს უწმინდესობას სურს, პატარა განცხადების უფლება მისცეთ.

სხდომის თავმჯდომარემ აბდუშუქურ ბეიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— საკითხი, რომლის გამოც ჩვენ აქ შევიკრიბენით, — თქვა ზიჰნი ბეიმ, — მოითხოვს ყოველმხრივსა და საგულდაგულო აწონ-დაწონვას. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი საბჭოს სხდომა დიდხანს გაგრძელდება... დიახ, გაგრძელდება და აი... სწორედ ამის გამო ვინებე განვაცხადო: მოგეხსენებათ, ყოველ ადამიანს მოსდის ხოლმე ასეთი რამ... დიახ, ცოტა... შეუძლოდ გახლავართ... რის გამოც ხშირად მომიწევს ოთახიდან სასწრაფოდ გასვლა და კრების მიტოვება. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, წინადადება შემომაქვს, ყოველ ათ-თხუთმეტ წუთში შევისვენოთ... დიახ, შევისვენოთ.

— გთხოვთ, ხელის აწევით დაგვიდასტუროთ, ვინ უჭერს მხარს ზიჰნი ბეის წინადადებას.

ორი თითის უმრავლესობით (ერთმა თავი შეიკავა) გადაწყდა, რომ ყოველ თხუთმეტ წუთში საბჭო შეისვენებდა.

— საქმე, რომლის გამოც დღეს შევიკრიბენით, — განაგრძო თავმჯდომარემ, — ფართო განხილვის საგანია. ამიტომ ქისმეთ ბეის ვთხოვ, დაწვრილებით გაგვაცნოს მიმდინარე მომენტი.

— ღრმადპატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო, — დაიწყო ქისმეთ ბეიმ, — როგორც თქვენთვის ცნობილია, დღეს ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ძვირფასი შვილის, საითის ქორწინების საკითხი. საითმა გამოთქვა სურვილი, ოჯახური კავშირით შეუერთდეს ფერფერიკების ქალიშვილს სევიმს. ჩვენმა დაიკომ და საითის დეიდამ ბერინ

ხანუმ ეფენდიმ ბევრი რამ გამოიკითხა იმ ქალზე, რომელსაც სარიოღლუთა რძლობა განუზრახავს. აქედან გამომდინარე, ბერინ ხანუმ ეფენდი მხარს უჭერს საითის კეთილშობილურსა და ბუნებრივ სურვილს. საითის მიზანია, რაც შეიძლება მალე შეუერთდეს ზემოთხსენებულ პიროვნებას. ამ სიჩქარის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საითი სულ მალე, რასაკვირველია, სევიმ ხანუმის უდიდესი და უაქტიურესი შემწეობით, ჩვენს დიდებულ საგვარეულოს კიდევ ერთ სარიოღლუს შესძენს.

საითის ერთ-ერთმა დეიდამ ზუბეიდ ხანუმმა, რომელიც სულ რაღაც 56 წლისაა და ჯერაც ვერ გათხოვდა, საკმაოდ უადგილოდ შენიშნა:

— თუ სწორად გავიგე, საითს ის ქალი ჯერ არ შეურთავს და უკვე შვილს ელიან?

მოხუცები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ და დაურიდებლად ხითხითებდნენ. უკვე შეირყა ის უდიდესი მოწიწება, რომელსაც საითი ამ მოხუცების მიმართ განიცდიდა.

— საით ბეი, თქვენ ღრმადპატივცემულ დეიდას აინტერესებს ასეთი რამ, როგორ მოახერხეთ და ქორწინებამდე... ჰმ... შვილს, როგორ ელოდებით? — იყო პირველი კითხვა.

— ძალიან უბრალოდ, — გამომწვევი ტონით თქვა საითმა.

— როგორ უბრალოდ, — კვლავ კითხვა მიაგება ორმოცდათექვსმეტი წლის ქალწულმა ზუბეიდ ხანუმმა.

— როგორ და ისე, სამწუხაროდ, ვერაფრით ვერ მოვახერხებ ჩემს პატივცემულ დეიდას ავუხსნა, თუ როგორ ხდებიან ადამიანები მამები. დეიდას ამას ვერ ავუხსნი, ვინაიდან მას ამ საქმეში არავითარი გამოცდილება არ გააჩნია. მაგრამ თუ ძალიან აინტერესებს ეს საკითხი, შეუძლია მიმართოს სპეციალისტებს ან ჩაიხედოს სათანადო ლიტერატურაში.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ასეთ გაბედულებას საითისგან არავინ მოელოდა. სარიოღლუთა ნაშიერმა უმალ იგრძნო გამარჯვება. გულმა სიამაყით იწყო ძგერა.

— ჩვენს დროში, — დუმილი ქისმეთ ბეიმ დაარღვია, — ასეთი ნაჩქარევი ქორწინება უხერხულად ითვლებოდა. რამდენი ხანია ერთმანეთს იცნობთ?

— ჩვენ ჯერ კიდევ მიმოწერით ვიცნობდით ერთიმეორეს, — საითმა გადაწყვიტა, მედგრად დაეცვა მიჯნურის შელახული ღირსება.

— ალაჰ, აი შენი პროგრესიც... დღედაღამ რომ აქებენ... შაშ, ახლა ქალის დაორსულება ფოსტის საშუალებითაც შეიძლება? — მწარედ ჩაილაპარაკა დეიდა ზუბეიდმა, რომელსაც შურისძიების სურვილმა მოსვენებას არ აძლევდა.

ერთმა დეიდამ გადაწყვიტა, საითი დაეცვა.

— დრო შეიცვალა, ჩემო ძვირფასო ხანუმ ეფენდი, ახლა ისეთი დრო დადგა, რომ აღარაფერი აღარ უნდა გიკვირდეს, მე, მაგალითად, სადღაც ისიც კი წავიკითხე, მაგ საქმისთვის მამაკაცი სულაც არ არის საჭიროო.

— მაპატიეთ, ბატონო ჩემო, — მოისმა ვიღაცის ხმა, — ეს ხომ ხელოვნური განაყოფიერებაა. თუ ბავშვი, რომელზეც აქ ლაპარაკია, ხელოვნური განაყოფიერების მეოხებით იქმნება, როგორ უნდა შემოვუშვათ ჩვენს ოჯახში? რა კავშირი აქვს ჩვენთან?

— განა თქვენ არ იცით, რომ ახლა ყველაფერი ხელოვნურია? — ჩაერია ვიღაცა. — ჩვენ სინთეტიკის ეპოქაში ვცხოვრობთ. არ გაგიგონიათ, ეს სინთეტური ტყავიო, სინთეტური ბეწვიო, სინთეტური ხიზილალაო...

— ჩემთვის გასაგებია, — ხმადაბლა წამოიწყო აბდუშუქურ ბეიმ, — რომ ჩვენს დროში შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ... როგორ შეიძლება ქორწინებამდე ჩაიდინო ასეთი რამ? — ამით მან დისკუსიის მონაწილეებს შეახსენა, დღის წესრიგს ნუ გადაუხვევთ და ამ საკითხზე ვიმსჯელოთო.

— უმორჩილესად გთხოვთ, გასვლის ნება დამრთოთ, — თითი ასწია ზიჰნი ბეიმ.

საოჯახო საბჭოს სხდომამ შუალამემდე გასტანა. ყველაფერი ზუსტად ისე მიდიოდა, როგორც პარლამენტში: ზოგს მაგიდაზე ჩამოედო თავი და ხვრინავდა, ზოგმა კიდევ კარგად გამოიძინა და ახლა თავთავიანთი გამოსვლის თეზისებს ჩაჰკირკიტებდნენ — მთელი სხდომის მანძილზე მხოლოდ ზიჰნი ბეის არ მოუხუჭავს თვალი, რადგან იძულებული იყო, ყოველ თხუთმეტ წუთში დაეტოვებინა დარბაზი.

ასაკმორეულმა ქალწულმა ზუბეიდ ხანუმმა სასტიკად გაილაშქრა ამ ქორწინების წინააღმდეგ. საბჭოს აზრი ორად გაიყო, რის გამოც შეიქმნა ორი ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ბანაკი. დებულებაში მონაწილე ნათესავებს ერთხელაც არ მოსვლიათ აზრად საითისათვის ეკითხათ, თუ რამდენად სერიოზული იყო მისი გრძნობა. ბოლოს საითმა ველარ მოითმინა და გაბედულად წამოიწყო:

— ბოდიშს ვიხდი, რომ ნებართვის გარეშე ჩავერიე თქვენს კამათში, ვერაფრით ვერ მოვახერხე ადრე ჩავწერილიყავ, მაგრამ იმედი მაქვს, მაპატიებთ. მე მინდა ერთადერთი კითხვა დაგისვათ: ცოლს ვინ ირთავს — მე თუ თქვენ? ძალიან დიდ პატივს გცემთ თქვენ, როგორც ჩვენი ოჯახისა და გვარის მეთაურებს, მაგრამ მინდა ვიცოდე — შეიძლია თუ არა შევირთო სწორედ ის ქალი, რომელიც მე მომწონს?

— ეგ კი, მაგრამ ხომ არის ოჯახური ტრადიციები? — ეს ქისმეთ ბეი იყო, მას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ საითმა აღარ დააცალა.

— უკაცრავად, ბიძაჩემო! თქვენ რამდენჯერ შეირთეთ ცოლი? და ყოველთვის უფროსებს ეკითხებოდით ჭკუას?

ქისმეთ ბეისთან ბრძოლა მოგებული იყო. იგი დადუმდა.

ქისმეთ ბეის ცოლების თაობაზე სარიოღლუთა საპატივცემულო გვარში ხშირად ჭორაობდნენ. თუ ანგარიშში არ ჩავთვლით მის ფრიად საეჭვო ურთიერთობებს უცხოელ ქალებთან, რვა ცოლი გამოიცვალა. დაქორწინებას ვერ ასწრებდა, რომ უკვე ახალ ქალებს დასდევდა და ცოლები თავად გაურბოდნენ. ქისმეთ ბეის ამგვარი ხასიათი სარიოღლუს გვარეულობას დიდძალი ფული დაუჯდა და ამან სარიოღლუთა რეპუტაციაც შეარყია. ქისმეთ ბეისაც საკმაოდ ავნო — ვერაფრით ვერ მიაღწია იმას, რომ ელჩი გამხდარიყო.

— შენი საქმე სულ სხვაა, საით, — შემრიგებლური ტონით წამოიწყო ვიღაცამ, — ჩვენ ყველას შენი იმედი გვაქვს, მხოლოდ შენ შეგიძლია სარიოღლუთა საგვარეულოს ძე აჩუქო, ამიტომ არა გვაქვს უფლება ზერელედ მოვეკიდოთ შენს ქორწინებას.

საოჯახო საბჭოს ყოველი წევრი კარგად ხედავდა, რომ არც ისე იოლი იყო საითის გადაბირება. როცა საითს სთხოვეს მეორე ოთახში გადი და იქ დაგველოდეო, ქისმეთ ბეიმ თქვა:

— ბატონებო, ცხადზე უცხადესია, რომ საითი უარს არ იტყვის იმ ქალის შერთვაზე და არაფრად ჩააგდებს ჩვენს გადაწყვეტილებას. თუ ჩვენ ჩვენს სიტყვას არ გადავალთ, ამით ჩვენსავე ავტორიტეტს ვავნებთ. ახლა ახალგაზრდობა არაფრად დაგიდევს უფროსების აზრს, ერთ აყალმაყალს ავტეხთ და მეტი არაფერი. თუ გვინდა ვიხსნათ ჩვენი ავტორიტეტი და ოჯახის ერთიანობა, ურომლისოდაც შეუძლებელია კეთილდღეობა და გაფურჩქვნა, საითს თანხმობა უნდა გამოვუცხადოთ.

ზრდილობისა და სოლიდურობის ხათრით ორიოდე წუთით ყველა ჩაფიქრდა, შემდეგ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ სევიმი ჩვენი შესაფერი სარძლოა და სხვა არც გვინდაო.

საითს დაუძახეს და აბდუშუქურ ბეიმ საზეიმოდ გამოუცხადა:

— შვილო ჩვენო, საით! დიდმა საოჯახო საბჭომ თავის საგანგებო სხდომაზე განიხილა შენი თხოვნა, რომ შეგერთო ფერფერიკთა ასული. საბჭომ აღნიშნა — სარიოღლუთა უკანასკნელი დასაყრდენისა და ერთადერთი იმედის — საითის არჩევანი, სწორედ იმ სარიოღლუთა ნაშიერისა, რომელიც ისტორიაში სიფრანზადეთა დიდებულ საგვარეულოდ იხსენიება და რომლის სათავეში ღირსსახსოვარი იუსუფ ფაშა დგას, გაუმართლებელი იყო, რადგან არ შეგითანხმებია უფროსებთან, რაც ოჯახური ტრადიციების დარღვევად იქნა მიჩნეული. ამასთან ერთად, დიდმა საოჯახო საბჭომ მხედველობაში მიიღო ჩვენი საუკუნის ის თვისება, რომ ყველაფერი უცებ იცვლება, გაითვალისწინა სარძლოსა და მის ოჯახის მდგომარეობისა და რეპუტაციის ყოველმხრივი შესწავლის შედეგები და მიიღო უაღრესად პრინციპული გადაწყვეტილება: ჩვენი მომავალი სარძლო სევიმი ჩაითვალოს ღირსეულად და ძეს ჩვენსას საითს დაერთოს ზემოთაღნიშნული ქორწინების ნება. ეს ფაქტი აღიარებული იქნას, როგორც უდიდესი მოვლენა სარიოღლუთა საგვარეულოში.

საითი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიგო, რას ლაპარაკობდა აბდუშუქურ ბეი. სიტყვების ნაკადი აბრუებდა მას და უმწეოდ აცეცებდა თვალებს. საითის გვერდით ერთი დეიდა იჯდა, იგი მიხვდა, რომ საითმა ვერაფერი გაიგო და თავმჯდომარის ნათქვამი მოკლედ გადასცა სასიძოს, თან დასძინა:

— ქორწინება შესდგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სევიმი იმ ბავშვს მოიშორებს.

საითი განაწყენდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— დეიდაჩემო, ჩემო ძვირფასო, ეს შეუძლებელია... მერე რომ ვეღარ მოვახერხო ეს ამბავი... ხომ იცით... ეს არცთუ ისე იოლი საქმეა და ღირს კი რისკი გასწიოს კაცმა.

დეიდას უკვე კარგად გაეგო, თუ რა ქალი იყო სევიმი და დაამშვიდა საითი, ამგვარი უბედურება არ გელის, სევიმი რაღაცას უთუოდ მოახერხებსო.

დიდი საოჯახო საბჭოს გადაწყვეტილება სიხარულს ჰგვრიდა —

ბედნიერებისკენ მიმავალი გზა ხსნილი იყო. მხოლოდ ერთი გარემოება აფიქრებდა მამიკოდ ქცეულ სასიძოს — სევიმის ფეხმძიმობა — არა, ღმერთმა დაიფაროს, რომ მან სევიმს დასდოს ბრალი, ალბათ, ასე იყო საჭირო და სევიმმა უკეთ იცის თავისი საქმისა! ეს კია, რომ ყოველ-გვარი შრომისა რა მეცადინეობის გარეშე ნამად გახდომა ცოტა საწყენი იყო — საითს სულაც არ უყვარდა მუქთახორობა, მართალია, მას არასოდეს არ უშრომია, მაგრამ ამჯერად კი ეწადა, შრომით საქმიანობაში ეცადა თავისი ძალები.

სვავი სევიმისა და საით სარიოლლუს ნიშნობა

და აი, ნიშნობის დღეც დადგა.

სათანადო მოლაპარაკების შემდეგ ფერფერიკებმა ოფიციალურად გამოაცხადეს ნიშნობის დღე, დრო და ადგილი. სტამბულის წარჩინებულთა საუკეთესო წარმომადგენლებს სთხოვეს ოტელ „დალტონის“ საბანკეტო დარბაზში გვეწვიეთო. ჰასიფ ბეიმ ქალიშვილი მკაცრად გააფრთხილა, ნიშნობამდე სასიძოს არ შეხვდეო. მეჰჯურე ხანუმი გონიერი ქალი იყო და ქმარს შხარი დაუჭირა, ვაითუ საითი სევიმზე გავრცელებულ ხმებს აჰყვესო, განშორება კი ვნებას ახელებსო. ეს ჭეშმარიტება საკუთარ თავზე გამოსცადა ჰასიფ ბეიმ — საცოლეს ქორწილამდე არ მიაკარეს და კარგად ახსოვს სიყვარულით რას არ ჩადიოდა.

— რაც უფრო შორიშორს იქნებიან ერთმანეთისაგან, უკეთესია, — ამბობდა ჰასიფ ბეი, — მე პატიოსანი კაცი ვარ და მშვიდად მინდა მოვკვდე. ცეცხლისა და თივის სიახლოვე ვის სმენია.

ჰასიფ ბეიმ ეს სიტყვები საითსაც უთხრა, საითი თავჩაქინდრული უსმენდა და ფიქრობდა, ჩემსა და სევიმს შორის ნეტა რომელია ცეცხლი და რომელი თივაო.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, ეფენდი, — თქვა დაბნეულმა საითმა, — მაგრამ ვერაფრით ვერ გავიგე, რა უნდა მოხდეს თუ ჩვენ ერთიმეორეს შევხვდებით?

ჰასიფ ბეი შეეცადა გადაკრულად მიენიშნებინა საითისათვის თავისი სათქმელი. სასიძომ თავაზიანად მოუსმინა და თავის მხრივ საჭიროდ ჩასთვალა ასევე საკმაოდ ზრდილობიანად მიენიშნებინა სასიმამროსათვის: ამას არაფერი მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან სევიმი მაინც გა-

ნაყოფიერებულიაო. ხოლო მე, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ არ გავრჯილვარ, მალე მამა გავხდებიო. სარიოღლუთა საგვარეულოში ამგვარი პარადოქსი გაუგონარია, და მართალია, სევიმი უწინდებურად მიყვარს, მაგრამ შექმნილი სიტუაციით გაოგნებულიყვარო.

ახლა უკვე ჰასიფ ბეი ისმენდა მოწიწებით სასიძოს სიტყვებს. საკმაო უხერხულობაც დაუფლებოდა და გრძნობდა, რომ მის წინ სულაც არ იდგა ყეყეჩი კაცი, როგორც ეს მის ცოლსა და ქალიშვილს მიაჩნდათ. ჰასიფ ბეი მკერდში მჯიღს იცემდა და გაიძახოდა, მე შენზე უფრო ვარ გაოგნებულიო და ნაადრევი ფეხმძიმობის გასამართლებლად შორეული ისტორიისა და ბიბლიურ სიუჟეტებს იშველიებდა. ხომ ხედავ, ჯერ კიდევ რომელ საუკუნეში სცოდნიათ ქორწინებამდე განაყოფიერებაო, ასე რომ, ნიშნობამდე დაიცადე, ამგვარი განშორება ბოლოს ორივეს უდიდეს სიამოვნებას მოგგვრითო. თავის მხრივ საითი სევიმს სიყვარულს ეფიცებოდა და განშორებას მედგრად ავიტანო, ირწმუნებოდა.

ბოლოს ნიშნობის დღეც დადგა. ოტელ „დალტონში“ საზეიმო ცერემონიალმა ჩინებულად ჩაიარა. წარჩინებულთა საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები დიდხანს იგონებდნენ იმ საღამოს. თუმცა, ზოგიერთი ისეთიც კი აღმოჩნდა, საითზე რომ ქირქილებდნენ. სიყვარულით დაბრმავებული საითი მათს ქირქილს ყურადღებას არ აქცევდა, ფეხებზეც ეკიდა ამ წარჩინებულთა ენების ტარტალი: საითის საცოლეს გაცილებით დიდი მუცელი აქვს, ვიდრე საპატარძლოს უნდა ჰქონდესო.

იმასაც ვერ იტყვი, რომ იმ საღამოს ყველაფერი რიგიანად იყო, ზოგიერთ უსიამოვნებას მაინც ვერ დააღწიეს თავი. ყველასთვის კარგად ცნობილმა ერთმა ოხუნჯმა სახალისოდ მოიგონა ერთი ასეთი ანეკდოტი:

— ერთმა მწყემსმა ცოლი შეირთო. მწყემსს უთხრეს, შენი ამორჩეული ქალი კოჭლიაო. მერე რა მოხდაო, თქვა მწყემსმა. მერე უთხრეს, შენი ამორჩეული ქალი ბრმა და კუზიანია, თანაც ცალ ყურში არაფერი ესმისო. მწყემსი მაინც გაიძახის, მერე რა მოხდაო. ბოლოს უთხრეს, ეგ ქალი სულელიაო. „ნუ გამიწყალეთ გული, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ის არის, რომ შვილებს გამიჩენს“.

ერთი ხარხარი ატყდა, სტუმრები საკმაოდ უზრდელად მოტრიალდნენ საითისკენ, საითი კი კიბოსავით გაწითლებულიყო, მადლობა ღმერთს, რომ სევიმი მის გვერდით არ იდგა. სარიოღლუთა ნაშიერის

თავშეკავებულობა, კეთილშობილება და გაზრდილობა რომ არა, ერთი ამბავი დატრიალდებოდა.

საითი მთელი საღამო ცდილობდა თავი შეეკავებინა და არავის საესაცილო არ გამხდარიყო, მაგრამ ამ ყეყეჩურმა ანეკდოტმა ისე აფორიაქა, რომ საცეკვაო დარბაზში გავარდა და ლამის უზარმაზარ, მთელი კედლის სიგრძე-სიგანის სარკეს არ შეასკდა, 180 გრადუსით მოტრიალდა და კვლავ წინ გავარდა, იქაც შუშის ბარიერს შეეხეთქა, დარბაზის ერთ ნაწილს მეორისაგან რომ ჰყოფდა.

შეძრწუნებული საითი გაუბედავი ნაბიჯებით გაემართა იმ მაგიდისაკენ, რომელსაც მისი მომავალი სიმამრი უჯდა, იგი სევიმად მიიჩნია, თავაზიანად დაუკრა თავი და საცეკვაოდ გაიწვია:

— გთხოვთ, ეს ტანგო მე მაჩუქოთ.

ჰასიფ ბეი წამოდგა, სასიძოს ხელი ჩაჰკიდა და თავის ქალიშვილთან მიიყვანა, შენ ეცეკვე შენს საქმროსაო, სევიმმა ცხვირი აიბზიკა და უგემურად წამოდგა.

ისინი პირველად ცეკვავდნენ. სევიმს მთელი საღამო საქმროსაგან შორს ეჭირა თავი, უბედური ქალის სახე ჰქონდა — განა ჩემი ნებით მივყვები ამ ფულიან ბედოვლათსო. იმდენად შესაბრალისი ჩანდა, რომ სტუმრებმა მართლაც შეიცოდეს, ეს ულამაზესი გოგო ვის მიჰყვებაო. საითი კარგად გრძნობდა ყველაფერ ამას და კიდევ უფრო მორცხვობდა. ორკესტრი საამო ტანგოს უკრავდა. სასიძომ იცოდა — ცეკვის დროს ქალს საალერსო სიტყვები უნდა უთხრა, მაგრამ ნაცვლად ამისა, უცებ ჰკითხა:

— გიყვართ თუ არა ბრამსი?

სევიმმა იფიქრა, ეჭვიანობით შეპყრობილი საითი ჩემს რომელიმე თაყვანისმცემელზე მეკითხებაო:

— ვინა, ვინა?

— ბრამსი.

— ეგ კიდევ ვილაა?

— გერმანელია, რომანტიკოსი!

სევიმმა ვერა და ვერ გაიხსენა, რომ ოდესმე გერმანელი ფეხბურთელები ჰყოლოდა და კიდევ ვილაც რომანტიკოსიო, არა, ნამდვილად ტყუილი ეჭვიანობაა, ეს უსამართლობაა საითის მხრივ.

— იგი დიდი მუსიკოსი იყო, — საითი ხვდებოდა, რომ ტყუილუბრალოდ ლაყბობდა, მაგრამ მაინც ვერ ჩერდებოდა. — გამოჩენილი კომპოზიტორია.

ბრამსი? არა, სევიმს მხოლოდ ფეხბურთელებთან ჰქონია საქმე. ამიტომ გულუბრყვილოდ ჰკითხა:

— ეს ტანგო იმან დაწერა?

— ბრამსი იყო მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი კომპოზიტორი, ზარზეიმით წარმოსთქვა საითმა.

მაგრამ სევიმი უკვე აღარ უსმენდა — მათ ახლოს აღმოჩნდა ჩვენი აჰმედ „კედელა“, რომელიც ჩაპუტკუნებულ ქერათმიანთან ცეკვავდა. „ეგლა მაკლდა, ნახეთ, რას ბედავს“, აწრიალდა საპატარძლო.

— ვერ გავიგე, რა შუაშია აქ გერმანელი?

საითი დაფიქრდა და გულღიად უპასუხა:

— ბრამსს ოცდაათ წლამდე წვერი არ აბოსვლია!

სევიმმა შეხედა საქმროს უფერულსა და უწვერო სახეს და გაიცინა. შემდეგ მკლავი გაუყარა და თავისუფალი მაგიდისკენ წაიყვანა. საითის უმწეობამ და გულღიაობამ იგი ააღელვა. საითის მოკრძალებულობაც თითქოს სადღაც გაქრაო, ალაპარაკდა იმაზე, რამაც საოცრად გაათბო მისი სული — ბავშვზე. სევიმმა აუხსნა, მაგ შენი მათემატიკის გამო ცხოვრებისა არაფერი გესმისო, მერე ხმადაბლა უჩიჩიკა:

— ძვირფასო, იქნებ რაიმე ეჭვი გაქვს გულში?

საითმა რომ „ძვირფასო“ გაიგონა, ლამის გული შეუღონდა და წამოიძახა:

— არა, არასოდეს!

მათ შავტუხა სუათი მიუახლოვდა და საითს ჰკითხა:

— თქვენი საპატარძლო რომ შემდეგი ცეკვისთვის მოგტაცოთ?

— რასაკვირველია, ძალიან ნასიამოვნებიც ვიქნები, — ამაყად გაიღიმა საითმა.

ძველი ნაცნობები სუათი და სევიმი საცეკვაოდ წავიდნენ. სევიმი ხან ერთთან ცეკვავდა, ხან მეორესთან, მერე სიამოვნებით ესაუბრებოდა სტუმრებს, მას სულაც დაავიწყდა საითი, თუმცა, სასიძო მარტო სევიმს კი არ დაავიწყდა, სტუმრებიც ისე იქცეოდნენ, თითქოს მაღალი წრის ჩვეულებრივ გასართობ საღამოზე მოსულიყვნენ: სვამდნენ, მხიარულებდნენ, ცეკვავდნენ.

მხოლოდ საითს არ დაავიწყდა, თუ რატომ იმართებოდა დღეს ასეთი ზეიმი. ჩემი მხრივ უხერხულია, ამდენი ხანი არ მივეკარო საპატარძლოსაო, გაიფიქრა და იმ მაგიდისკენ გაემართა, რომელთანაც სევიმი იჯდა, სევიმი აჰმედ „კედელას“ ჩახუტებოდა, თავიც მის მხარზე ჩამოედო. საითს უცებ თვალში მოხვდა, რომ აჰმედ „კედელას“ ცნობი-

ლი მარცხენა ფეხი მოუსვენრად ტოკავდა. სევიმი შეშინდა, რაიმე უსიამოვნება არ მოხდესო და კიდევ უფრო ახლოს მიეკრა „თობქრ-ფარანის“ ცენტრალურ მცველს.

— რა მოხდა? — ჰკითხა მან საითს.

ბოლოს საითმაც შეამჩნია, რომ მისი საპატარძლო ამ „კედელას“ ჩაკვროდა და დაბნეულმა ენის ბორძიკით უპასუხა:

— მმაპპატიეთ... მმაპპატიეთ... არაფერი არ მომხდარა... არ შეგაწუხებთ. — საითი გაოცებული გაშორდა მათ, იგი გააკვირვა იმან, რომ „კედელას“ შეეძლო მხოლოდ მარცხენა ფეხით ენერვიულა. ამგვარი ნევროლოგიური ანომალიის ახსნა უხუცეს აბდულშუქურ ბეის თუ ძალუძდა მხოლოდ, მაგრამ ვერსად იპოვა იგი. ალბათ, უკვე გაეცალა იქაურობას, ვერც ზიჰნი ბეი იპოვა ვერსად, ბოლოს გადაწყვიტა, ქისმეთ ბეის დავეკითხებიო და ბერინ ხანუმს მიუახლოვდა, რომელიც კუთხეში, სავარძელში იჯდა. საითი დაიხარა და დეიდას ჩასჩურჩულა:

— დეიდა, ქისმეთ ბეი სად არის?

— უკვე გვიანია, შვილო, ყველანი წავიდნენ.

— არც დაგვემშვიდობნენ?

— შენ სევიმთან ცეკვავდი და აღარ შეგაწუხეს. მე მთხოვეს, ჩვენი სახელით ბედნიერება უსურვეო.

დეიდა ბერინს გაშორდა და თავის შორეულ ნათესავს მუჰითინ ბეის მოჰკრა თვალი. მუჰითინ ბეის ერთხელაც არ გაუღიმა ბედმა კომერციულ საქმიანობაში და მთელი მემკვიდრეობა ქარს გაატანა. როგორც ყველა უიღბლო, ისიც უდიდეს კომერსანტად თვლიდა თავს, თუმცა, საქმემ არ გამიმართლაო. საითი რომ მისკენ მომავალი დაინახა, უცებ გაიაზრა, იქნებ ამ ბედნიერ დღეს სიძეკაცს ერთი-ორი კაპიკი დავცინცლოო.

რამდენიმე სრულიად უქმი ფრაზის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საითმა მუჰითინ ბეის ჰკითხა:

— ერთ საოცარ საქმეზე მინდა გესაუბროთ.

— მითხარი, შვილო.

— შეიძლება თუ არა კაცი ნერვიულობის დროს მარცხენა ფეხს ისე ათამაშებდეს, რომ ფეხის გაჩერება ვერ შესძლოს? შეიძლება, რომ ფეხი ადამიანს არ დაემორჩილოს?

მუჰითინ ბეი ყურადღებით დააკვირდა საითს. ნეტავი როგორი პასუხი ესიამოვნება, რომ მერე მე ჩემი საქმე გავაკვარახჭინოო.

იქნება საითი სულაც საკუთარ თავზე ლაპარაკობს? ახლა ისეთი პასუ-ხია საჭირო, რომ მერე სიძეს ფულის გაცემა არ დაეზაროს.

სწორედ ამან დააფიქრა მუჰითინ ბეი ასე მწარედ [illegible] მონახა გამოსავალი — ახლა იგი საითს უამბობს, პირველ [illegible] ომის დროს ერთ დაჭრილ ოფიცერს როგორ მიაკერეს ვიღაც უცხო კაცის ფეხი და ეს ფეხი როგორი ურჩი გამოდგა. მაგრამ ამ დროს საითს ვიღაც სოლიდური და საკმაოდ ჯიუტი კაცი მიუახლოვდა. ამ კაცმა სიძე არაფრით არ გააჩერა მუჰითინ ბეისთან და თავისი მაგიდი-საკენ წაიყვანა. საქმე ისაა, რომ მას გაკოტრებულ მუჰითინზე ნაკლებ არ აინტერესებდა სარიოღლუს ქისა.

ეს სოლიდური და ჯიუტი კაცი „თოზქოფარანის“ სპორტული კლუ-ბის გენერალური თავმჯდომარე დუნდარ დუბარა ბეი გახლდათ, დუნდარ დუბარა ბეის ძალიან ახარებდა ლამაზი სევიმისა და საითის მომავალი შეუღლება. თუ სევიმი მათი გუნდისათვის ზეციური ანგელოსი იყო, საითი ფულიან ანგელოსად ესახებოდა. კარგად იცოდა, რომ საითი ერთადერთი მემკვიდრე იყო სარიოღლუთა უზარმაზარი ქონებისა. ხო-ლო მდიდრებს კი გართობა უყვართ და ამ საქმისთვის სიძუნწეს იშ-ვიათად იჩენენ. პროფესიონალთა გუნდი „თოზქოფარანი“ შემოსავ-ლიანი ადგილი გახლდათ, მაგრამ ეს შემოსავლიანობა უმთავრესად ფეხბურთის მდიდარ მოყვარულთა შემონაწირებით განიზომებოდა. გუნდს რაც უფრო მეტი ჰყავდა ასეთი მოყვარული, მით უფრო პრო-ფესიულად თამაშობდა.

მდიდართა გადმობირება თავად თავმჯდომარის საქმე იყო. ამიტომაც მოვიდა დღევანდელ ნიშნობაზე. „თუ ეს ოთხთვალა ჩვენი კლუბის წევრი გავხადე, დიდებული საქმე იქნება“, ფიქრობდა დუნდარ დუბარა ბეი. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ფული არ იყო მთავარი ფაქ-ტორი: საჭიროა აგრეთვე კარგი ფეხბურთელები, მაღალი კლასის მწვრთნელი და, რაც მთავარია, კლუბის საპატიო პრეზიდენტი მეჯლი-სის რომელიმე გავლენიანი დეპუტატი უნდა გყავდეს. ამ თანამდებობა-ზე ძალიან სასარგებლო იქნებოდა აგრეთვე მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. თუ ეს გაკეთდა, კარგი ფეხბურთელებიც იოლად მოიძებნება და მაღალი კლასის მწვრთნელიც. ამას წინათ ბედმა გაუ-ღიმა დუნდარ დუბარა ბეის და თავისი კლუბის საპატიო პრეზიდენტად ძალზე გავლენიანი პარტიული ბოსი იშოვა. მართალია, ეს პარტიული ბოსი დაბადებიდან კოჭლი იყო და არასოდეს ბურთისთვის ფეხი არ

დაურტყამს, მაგრამ პოლიტიკაში ისეთი მგელი იყო, მისი ყველას ეშინოდა. ეს კი ცოტას როდი ნიშნავდა „თოზქოფარანის“ რეკლამისათვის. ბოსი კმაყოფილიც კი დარჩა დუნდარ ბეის წინადადებით, რადგან ფეხბურთელთა კლუბის საპატიო პრეზიდენტობა ამომრჩევლებს შორის პოპულარობის საუკეთესო საშუალება იყო. იგი ყოველ თამაშს ესწრებოდა და ისე ცხარედ ექომაგებოდა გუნდს, რომ ზოგჯერ სკამზეც შეხტებოდა და მთელი ძალით აქანავებდა თავის მოკლე ფეხს. ხოლო თუ რომელიმე ფეხბურთელი ბურთს კარს ააცილებდა, გაბრაზებული ყვიროდა: „ეს რა ბურთი გამაზე, მაგას ხომ მეც გავიტანდი“. ეს ფრაზა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ხშირად იმეორებდნენ ფეხბურთელები, გულშემატკივრები. ამ ფრაზაზე თურმე პარლამენტის წევრებიც კი ხითხითებდნენ ხოლმე.

ნაშუალამევს დუნდარ დუბარა ბეი ერთი წამითაც აღარ სცილდებოდა საითს. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ საითს ფეხბურთისადმი ინტერესი გაუჩნდა. ეს ერთადერთი საშუალებაა სევიმის გულის საბოლოოდ მოსანადირებლადო, ფიქრობდა იგი. მუდამ მათს შორიახლო ტრიალებდა ჟურნალისტი და სპორტული კომენტატორი ეროლ იფქირან ბეი. ეროლ იფქირან ბეი მკვირცხლი ბიჭი იყო. ადამიანებთან, რა ასაკისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, უმალ პოულობდა საერთო ენას და ძმაკაცურად ელაპარაკებოდა.

დუნდარ დუბარა ბეიმ საითს გააცნო მეგობარი.

— იცნობდეთ, ეს ჩვენი იფქირან ბეია, ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი მიუდგომელი კომენტატორი. — ცოტა შეყოვნდა და დასძინა, — მადლობა ღმერთს, ჩვენს გუნდს უჭერს მხარს.

ამაზე იფქირან ბეიმ მოკრძალებით შენიშნა:

— მე მხოლოდ პატიოსნად ვასრულებ ჩემს მოვალეობას. — მერე ხელი გულთან მიიტანა და დასძინა, — ეს გული „თოზქოფარანის“ სიყვარულით ძგერს.

— ამინ! ამან გახადა აჰმედი ვარსკვლავი, ამანვე შეარქვა მას „კედელა“, — არ ცხრებოდა დუნდარ დუბარა ბეი. — თუ ამან ვინმე შეიყვარა, მერე მორჩა...

საითი იფქირან ბეისადმი პატივისცემით განიმსჭვალა. აღტაცებული თვალს არ აცილებდა.

— აჰმედის ვარსკვლავად ქცევა როგორ მოახერხეთ?

— ყოველ პროფესიას თავისი საიდუმლო აქვს, ძმობილო, — უპასუხა კომენტატორმა. — ისა სჯობია, ცოტ-ცოტა გადავკრათ.

სტუმრებმა გამთენიის ხანს დაიწყეს დამშვიდობება. საითმა ფუნდარ ფუბარა ბეის სთხოვა, იფქირან ბეისთან ერთად შემომიარეთ, შინაურულად ვისაუბროთო. მთვრალი სევიმი აჰმედ „კედელას“ დაჯდომოდა მუხლებზე და ყველამ თავი გამანებეთო, გაიძახოდა, ხოლო „ცეცდელა“ კი მარცხენა ფეხს ატოკებდა და ყვიროდა: „სევიმს აქედან წასვლაზე ძალას ვინც დაატანს, ჩემთან ექნება საქმე“. ბერინ ხანუმ ეფენდის რომ საპირფარეშოში არ გაეყვანა სევიმი, არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს საზეიმო ცერემონიალი.

საითმა ფერფერიკები სახლამდე მიაცილა. მან, ცხადია, კარგად იცოდა, რომ დამშვიდობებისას საცოლეს ხელზე უნდა ემთხვიო, მაგრამ როცა ხელზე კოცნის ჯერი დადგა და სევიმის ხელი ხელში აიღო, აღარ იცოდა რა ექნა. სევიმმა გადაიხარხარა, უგერგილო, ბოთე საქმროს ლოყაზე აკოცა და სახლში მიიმალა.

თენდებოდა. თავის სიცოცხლეში საითმა პირველად დალია ამდენი. სახლამდე ფეხით გავისეირნებო, გაიფიქრა და ბედნიერი კაცის ნაბიჯებით გაუყვა გზას. უცებ ფეხებში რაღაც აებლანდა, დაიხარა, კარგად დააკვირდა და ბისკვიტის ჩასაწყობი მუყაოს კოლოფი დაინახა. „რა კარგ რამეს წავაწყდი!“ ფეხბურთელის ჟინმა გაიღვიძა მის სულში. — აბა, ჰე, ვითამაშოთ! — ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია, გამოექანა, ფეხი მოიქნია... დარტყმა! არის! საითი ასფალტზე გაიშხლართა.

ოხვრითა და ვაებით წამოდგა. სათვალე დამტვრეულიყო, ცხვირიდან სისხლი სდიოდა.

„ხვალ გელოდებით, უფრო სწორად, დღეს, უკვე თენდება... საღამოს მოდით... — გაახსენდა საცოლის სიტყვები. — მაგრამ ამგვარი ცხვირით სახლიდან როგორ გამოხვალ? — გაიფიქრა მან. — იქნებ დავიცადო მანამ, სანამ ბრამსივით წვერი არ წამომეზრდება?“

დანიშნულები შინ მარტონი რჩებიან

ნიშნობის შემდეგ ფერფერიკების კარი ღია იყო საითისათვის. როცა მოეპრიანებოდა, მაშინ შეეძლო მისვლა. მაგრამ იმ ნიშნობის შემდეგ სევიმს მშობლებმა განუცხადეს, რაც იყო, იყო, დღეიდან კი სტადიონზე ფეხს ვეღარ გადადგამო. აი, ქორწილს რომ მოვრჩებით და ქმარი წაგიყვანს, მერე რაც გინდა, ისა ჰქენიო, არიგებდნენ დაუშცხრალ სვავს. სევიმი რაღა სვავი იქნებოდა, რომ დედ-მამის სიტყვებს

დამორჩილებოდა, მაგრამ შიშობდა, სულ ტყუილუბრალოდ ეს საქმე არ ჩამეშალოს და მერე კი მე ვიცი. „თოზქოფარანის“ არც ერთ თამაშს აღარ ესწრებოდა, ეგ კი არა და, ერთ დღეს საითთან ერთად სეირნობისას ქუჩაში ზინრიქ ბექირს გადაეყარა, მაგრამ სევიმი არც გაუჩერდა, ორი-სამი სიტყვა უთხრა და ისე გაშორდა, ისიც არ უკითხავს აჰმედ „კედელა“ როგორ არისო. მაგრამ, რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა ასეთი ნებაყოფლობითი გარიყვა, მით უფრო აუტანელი ხდებოდა სევიმისათვის საქმროს ცქერა. ამიტომაც, ყოველდღიურად უფრო და უფრო ამრეზილი ეგებებოდა საითს. საბრალო სარიოღლუს კი სევიმი უყვარდა და ასეთი რამ სულსა ხდიდა, კარჩაკეტილი ხდებოდა, თუმცა ფერფერიკთა ოჯახში ყოველ ცისმარე დღეს მიდიოდა.

დღეს ერთმანეთს ხვდება ორი ძველი მეტოქე „თოზქოფარანი“ და „ჰაჯეთბაბა“. ეს უმნიშვნელოვანესი თამაშია, სევიმი კი შინ უნდა იჯდეს, ეს საითიც რომ ნერვებს უშლის, ყოველ წუთს ფეხებში ებლანდება, აღარ შეუძლია მეტი!

მშობლები საგანგებოდ შინიდან წავიდნენ, რათა ახლადდანიშნულებს თავისუფლად ეგრძნოთ თავი, მაგრამ ეს ზედმეტი და ფუჭი ექსპერიმენტი იყო. ასეთ მომენტებში საითს არა მხოლოდ საცოლისა ერიდებოდა, მას საკუთარი თავიც კი აფრთხობდა და მთელი საღამოს განმავლობაში ენაჩაგდებული იჯდა ერთ კუთხეში. კაცმა რომ თქვას, სევიმი არც ფიქრობდა, რომ მისი საქმრო დაუოკებელი და ძლიერი ცეცხლის მიჯნური იქნებოდა, მაგრამ საითის ასე უქმად ჯდომაც შეურაცხმყოფელი იყო მისთვის. სვავი სევიმისკენ მუდამ ისწრაფოდნენ, ეს კი... თუმცა აბა, ერთი გაბედოს, მიიღებს კიდეც საკადრის პასუხს.

სევიმმა გადაწყვიტა, მატჩის რადიოტრანსლაციას მოვისმენო, თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათი რჩებოდა. ღმერთო, კიდევ მთელი ნახევარი საათი ასე ენაჩაგდებულნი უნდა ისხდნენ.

— რა მოხდებოდა, — ფიქრობდა სევიმი, — რომ სტადიონზე ესეც წამეყვანა და წავსულიყავი? — სევიმს არ უყვარდა საქმროსთან ერთად ხალხში გამოჩენა, მაგრამ ამასთან აქ, ასე ენაჩაგდებული ჯდომა ვითომ ნაკლები სატანჯველი იყო?

სევიმი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, რით გაერთოს? და უცებ ჩინებული აზრი დაებადა — აბაზანას მიიღებს! და სევიმმა სასტუმრო ოთახში, საითის თვალწინ იწყო გაშიშვლება. „საინტერესოა, როგორ მოიქცევა?“ — ფიქრობდა სევიმი საქმროზე. საითი კი იჯდა, როგორც დამჯერე ბავშვი მკაცრი მასწავლებლის წინაშე და თავიც არ აუწევია.

„იქნებ ვერც შეამჩნია რომ ვშიშვლდები?“ სევიმი მიუახლოვდა, ზედ მიეკრო და უბრძანა:

— დუგმები შემიხსენი!

საითი წამოდგა, სევიმს ზურგი შეაქცია, რომ არ დაენახა ის, რისი დანახვის უფლებაც მას ჯერჯერობით არ ჰქონდა, ხელის ცეცებით მონახა დუგმები და შეხსნა.

— სწრაფად, სწრაფად.

— მოვრჩი, — ძლივს გაიგონა სევიმმა მისი ხმა.

— ახლა აი, ქვედაწელი შემიხსენი.

— ოი, — რა განსაცდელი არ უდევს წინ წმინდანობის გზაზე შემდგარ კაცს... — რა ჭირად მოიგონეს ჩვენი მარტო დატოვება, — გაუელვა საითს.

სევიმი აბაზანაში გავიდა. ორიოდე წუთში მისი ხმაც მოისმა.

— საით, სა-ი-თ!

— რა გნებავთ, სევიმ ხანუმ?

— აქ მოდი, ჩემო ძვირფასო!

საითი ბედნიერი იყო იმით, რომ ჩემო ძვირფასო დაუძახეს და ისეთი ამბით გავარდა სააბაზანოსკენ, რომ სკამები სულ მიჰყარ-მოჰყარა. სააბაზანოს კარი ღია იყო, იგი მაინც არ შევიდა.

— მოდი ჩემთან, საით!

— აქ ვარ, — მიუგო საითმა.

— შემოდი სააბაზანოში, ჩემო კარგო.

საითი შევიდა. სევიმი ქაფში ჩაწოლილიყო და ცალი ფეხი აბაზანაზე გამომწვევად გადაედო. დაბნეულმა საითმა თვალები მოხუჭა და სახეზე ხელი აიფარა.

— მე არ გიყურებთ, ხანუმ ეფენდი, არ გიყურებთ... — ალუღლუღდა იგი, — ნუ გერიდებათ...

— გაეთრიე, არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!.. — იყვირა სევიმმა.

საითი უცებ გამოვარდა სააბაზანოდან. „რა უცნაური არსებანი არიან ეს ქალები — ჯერ გეუბნებიან მოდი ჩემთან, ჩემო კარგოო, მერე კი გამოგაგდებენ. ვერ გაიგებ, რა უნდათ“. ან სხვანაირად როგორ უნდა მოიქცეს, როცა მშობლებმა შვილი მის ანაბარად დასტოვეს. იქნებ, სულაც საითის გამოცდაც მოინდომეს. მადლობა ღმერთს, რომ იგი პატიოსანი და წესიერი კაცია.

საბრალო საითი თავს იტყუებდა — სინამდვილეში კი ეშინოდა სევიმისა. სვავი სევიმი გააფთრებული გამოვიდა სააბაზანოდან. ბოლმა

ყელში აწვებოდა. სევიმი შიშველი ყოფილიყოს და ვინმეს თავი შეეკავებინოს?! ასეთი რამ არავის უნახავს და არ ახსოვს.

— სევიმ ხანუმ, — ამოიღო ხმა საითმა.

— რაო, რა გინდა?

— არაფერი, მე ისე...

— თუ არაფერი გინდა, ენა ჩაიგდე, სადაცაა თამაშიც დაიწყება.

— მე მინდოდა მეთქვა...

— რა უნდა გეთქვა?

— აი, იმ დღეს, ჩვენ რომ ერთმანეთი გავიცანით, გახსოვს, რა ტკბილი დღე იყო... კინოშიც კი ვიყავით.

საითი რომ სევიმთან მარტო დარჩებოდა, მუდამ იმ „მშვენიერ“ დღეს იგონებდა. სევიმს კი ისე მოყირჭდა იმ მშვენიერი დღის მოგონება, რომ ლამის არ მიახალა საითს: „შე საწყალო, შენ რა იცი, რას უნდა იგონებდნენ ნაღდი მამაკაცები“? მაგრამ თავი შეიკავა.

ამ დროს დიქტორის ხმაც გაისმა.

— პატივცემულო რადიომსმენელებო! ვიწყებთ ფეხბურთის მატჩის ტრანსლაციას. დღეს ერთმანეთს ხვდებიან „თოზქოფარანი“ და „ჰაჯეთბაბა“. რეპორტაჟი მიჰყავს კომენტატორ ეროლ იფქირან ბეის.

— ყურადღება, ყურადღება! — დაიწყო ეროლმა. — ჩვენ ახლა ვიმყოფებით „მითჰადფაშას“ სტადიონზე. რამდენიმე წუთში აქ დაიწყება სეზონის უმთავრესი მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან ძველი მეტოქენი „თოზქოფარანი“ და „ჰაჯეთბაბა“. ორივე გუნდი ჩვენი ეროვნული სპორტის სიამაყე და მშვენებაა. სადაცაა გუნდები მოედანზე გამოვლენ. ძვირფასო რადიომსმენელებო, დღეს ჩვენ გავხდებით ისტორიული მოვლენის მოწმენი. ვინ დაწინაურდება, რომელი გუნდი გაიმარჯვებს? ახლა ტრიბუნებზე... — საითს არაფერში ეპიტნავებოდა ამ გუნდების თამაში, მაგრამ ძალიან უნდოდა მოესმინა იფქირან ბეისათვის, რომელმაც აჰმედი ვარსკვლავად აქცია.

— დღემდე ეს გუნდები 128-ჯერ კი არა, 127-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ერთი თამაში გაასაჩივრეს.

— აქედან 54 გამარჯვება მოიპოვა „ჰაჯეთბაბამ“, ხოლო 48 „თოზქოფარანმა“.

— ეგ საიდან მოიტანე, შე უბედურო! — წამოენთო სევიმი.

საითი გაოცებული შესცქეროდა საცოლეს — გოგონა, რომელსაც ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდა ბრამსზე, თვით იფქირან ბეიზე უკეთ ერკვეოდა ფეხბურთში.

— გუნდები მოედანზე გამოდიან, თქვენ გესმით თუ როგორ ხვდებიან მაყურებლები ფეხბურთელებს. „ჰაჯეთბაბას“ მისთვის ჩვეული ფორმა აცვია, ზოლებიანი მაისურები და ღიაყავისფერი ტრუსები. „თოზქოფარანის“ ფეხბურთელებს კი მოყვითალო მაისურები აცვიათ. ამ გუნდის მთავარი ძალა, მთელი მისი ხერხემალი არის ეროვნული ნაკრების წევრი, გუნდის კაპიტანი აჰმედ „კედელა“.

სევიმმა რომ აჰმედის სახელი გაიგონა, სიხარულით გაიბადრა. თამაში დაიწყო.

— ბურთი აქვს „ჰაჯეთბაბას“. კადრიმ გადააწოდა ალის, მან კი ოსმანს, აი, ოსმანი „თოზქოფარანის“ საჯარიმო მოედანზეა. როგორ გავიდა, როგორ გავიდა! ოსმანმა კვლავ ალის ჩააწოდა, ალიმ — ოსმანს. ძლიერი შეტევაა „თოზქოფარანის“ კართან.

სევიმი ნერვულად იკვნეტდა ფრჩხილებს.

— ოსმანმა მოატყუა ერთი დამცველი, მოატყუა მეორე... აი, ახლა საუკეთესო პოზიციაშია, კიდევ მოატყუა, ბურთი წინ გაიგდო; აჰა, ალბათ, დაარტყამს კიდეც, დარტ... ო... ეს ნამდვილი კედელია; რა გვეშველება, აჰმედ „კედელა“ რომ არა გვყავდეს, როგორ მოასწრო! საჯარიმო მოედნიდან თავით გამოიტანა ბურთი კრიტიკულ მომენტში, „თოზქოფარანი“ ნამდვილ გოლს გადაარჩინა!

სევიმი წამოხტა და საითს მოეხვია, საითი არაფრით არ ელოდა ამას და ლამის მუხლებში ჩაიკეცა. სევიმი მალე მოეგო გონს და კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა. „თოზქოფარანმა“ რომ ბურთი გაიტანა, სევიმი საითს მივარდა და გემრიელად ჩაკოცნა საქმრო. საითი ვერც ახლა მოეგო გონს, ეს კია, რომ თითქოს გემრიელი ნაყინი შეჭამაო, ტუჩები მოილოკა.

„თოზქოფარანმა“ მეორე ბურთი გაიტანა და სევიმმა კვლავ გემრიელად აკოცა. საითი ახლალა მიხვდა საცოლის მღელვარების მიზეზს და ღმერთს იმას ევედრებოდა, „თოზქოფარანმა“ რაც შეიძლება მეტი ბურთი გაიტანოსო. იმ დღეს ალაჰი სწყალობდა საითს. „ჰაჯეთბაბამ“ რომ ბურთი გაიტანა, სევიმი მუხლებზე ჩამოუჯდა, გულში ჩაეკრა და აქვითინდა. საითს ბედნიერებისაგან თავბრუ დაეხვა.

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:1 „თოზქოფარანის“ სასარგებლოდ და საითმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ქალის ემოციებზე ფეხბურთი.

— ოდესმე თუ ყოფილხარ სტადიონზე? — ჰკითხა სევიმმა.

— მხოლოდ ერთხელ, ლიცეუმში სწავლისას.

— ვინ წაგიყვანა?

— კვირა დღე იყო, მე ლექციაზე მივდიოდი და სტადიონზე ამოვყავი თავი.

სევიმი უსმენდა და ბრაზობდა: „ნუთუ ამ ცალტვინას უნდა გავყვე ცოლად? რასაკვირველია, გონიერი ქალი ჭკვიან ქმარს არ დაუწყებს ძებნას, მაგრამ ასეთი უტვინო? მეტისმეტია!“

— მაინც, როგორ მოხვდი სტადიონზე? — სევიმს სულაც არ აინტერესებდა, როგორ მოხვდა საითი სტადიონზე, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ეთქვა?

— იმ დღეს რაღაც დიდი თამაში იყო, ხალხის ნაკადები სტადიონისაკენ მიეშურებოდა, მე შემთხვევით ამ ნაკადში მოვხვდი და მერე თავი ველარ დავაღწიე. აი, ასე მოვხვდი ტრიბუნაზე.

— რომელი გუნდები თამაშობდნენ?

— წარმოდგენა არა მაქვს, არც მაინტერესებდა, ორივე ტაიმის განმავლობაში ჩანთას ვეძებდი, ეგ ჩანთა ხალხის ბრბოში დავკარგე.

ამასობაში მეორე ტაიმიც დაიწყო. კვლავ ალაპარაკდა ეროლ იფქირან ბეი. სევიმი რადიომიმღებს მისჩერებოდა, ახლა იგი მთელი არსებით სტადიონზე იყო.

— აბა, ჰე, აჰმედ, მიდი, ჩემო კარგო, მიდი, მისცხე!

საითიც სევიმს აჰყვა, ისიც შესძახებდა ხოლმე აჰმედს. დღეს მისი ბედნიერება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენ გოლს გაიტანდა „თოზქოფარანი“, როცა ეროლ ბეიმ იყვირა: „არის!“ სასიძო და საპატარძლო ერთმანეთს მივარდა და ჩაეხვია.

თამაშის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, რომ კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს. კომენტატორს დიდი ზარზეიმით არ გამოუცხადებია ამ ბურთის გატანა. გახარებული საითი ადგილიდან წამოხტა, მაგრამ სევიმმა ბრაზით ჩილაპარაკა:

— დაჯე, ეს ჩვენ გაგვიტანეს.

— ჩვენ? ჩვენს კარში?

საითმა სევიმს თანაგრძნობის გამომხატველი მზერა მიაპყრო და რაღაცის თქმა მოინდომა.

— თუ ღმერთი გწამს, მომეშვი, თავი დამანებე, ეს რა მოგვივიდა?!

ვიდრე ეროლ ბეი „თოზქოფარანის“ დამცველთა შეცდომებზე ლაპარაკობდა, სევიმი თავის ოთახში გავიდა, რადგან წამწამებზე წასმულმა ტუშმა ცრემლმორეული თვალები აუწვა. საითი რომ მარტო დარჩა, დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლება მომხიბლავი სა-

ცოლის გულის დაპყრობა და ცნობილ ფეხბურთელად გახდომა? აი, ისეთად, როგორიც აჰმედ „კედელაა“?

საითი ოცნებამ წაიღო: აი, იგი ფეხბურთის მოედანზეა, ბურთ-ნაალმდეგეს ბურთი აართვა, დარტყმა, არის! დარტყმა, არის! დარტყმა, არის! ტრიბუნებზე ერთი ამბავია. სიხარულით ატაცებული ხალხი ერთიმეორეს ეხვევა.

ამ ოცნებაში იყო საითი, რომ კარი გაიღო და ოთახში მეჰჯურე ხანუმი შემოვიდა. სასიდედროს შემოსვლა საითს არ გაუგია. სწორედ ამ დროს ეროლ იფქირან ბეიმ წამოიძახა: „არის!!“ ამ შეძახილმა გამოაფხიზლა საითი.

— ვინ გაიტანა ბურთი? ჩვენებმა? თუ ჩვენებს გაუტანეს? — აწრიალდა საითი.

— ღმერთო, შემიწყალე, მგონი თავისთავს ელაპარაკება, — აქაქანდა სასიდედრო.

ამ დროს კომენტატორმა გამოაცხადა, ბურთი „თოზქოფარანმა“ გაიტანაო, საითი წამოხტა და მის უკან მდგარ მეჰჯურე ხანუმს ეცა:

— გავიტანეთ, გავიტანეთ! ვაშა!

სასიდედრომ ძლივს დააღწა თავი სასიძოს.

— თავი შეიკავე, რა მოგდის...

ამ დროს ოთახში სევიმმაც შემოირბინა და საბრალო სასიძოს ლამის მუხლები მოეკვეთა.

— გთხოვთ მაპატიოთ, ხანუმ ეფენდი, მე მეგონა, აქ სევიმი იდგა, — წამოილუღლუღა საითმა.

მეჰჯურე ხანუმმა დიდად გაიხარა: ძალიან კარგად ბოვიქეცით, რომ დანიშნულნი მარტონი დავტოვეთ, ყველაფერი რიგზეა, დიდია ალაჰი!..

სასიძომ კარი გაიჯახუნა

ფერფერიკების ოჯახში ყველას — საპატარძლოსაც, მის მეგობარ ფეხბურთელებსა და სტუმრებსაც კი, თავ-თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ სასიძოს გამაიმუნება. საითი მედგრად იტანდა დაცინვას, არაფერს იმჩნევდა, იყო საოცრად მშვიდი, დაბნეული და ძალიან უყვარდა სევიმი. საცოლესთან ყოველ დღე მიდიოდა, სევიმსა და მის მშობლებს ძვირფას საჩუქრებსაც მიართმევდა ხოლმე, მაგრამ ვერაფერს გახდა —

სევიმი საკმაოდ აშკარად აგრძნობინებდა ყველას, საქმრო მძულსო, ამიტომაც დასცინოდნენ მას. საითს კი, თუმცა, ასეთი რამ იშვიათად ხდება, უფრო და უფრო უძლიერდებოდა მისი სიყვარული.

ეს იყო ბრმა გაღმერთების გრძნობა. ფერფერიკების სახლიდან გამოსული საითი საკუთარ თავს ეფიცებოდა, ვიდრე სევიმი არ დამიძახებს, მე აქ მომსვლელი არა ვარო, მაგრამ მეორე დღეს კვლავ საჩუქრებით დატვირთული მორჩილად მიადგებოდა საცოლეს. ისე იყო, ვით უხსენებლის მიერ მონუსხული ბოცვერი. მაგრამ ერთხელ საითს გენიალური აზრი დაებადა: რა იქნება, რომ ფერფერიკები ჩემთან მოვიპატიჟო? ეს აზრი ბერინ ხანუმს გაუზიარა.

— ჩვენ ხომ ერთხელაც არ მოგვიწვევია საპატარძლო და მისი მშობლები, რას იფიქრებენ ჩვენზე?

— მართალი ხარ, შვილო. დავაგვიანეთ კიდეც, ადრე უნდა მოგვეწვია.

— უმჯობესია, შენ დაპატიჟო, დეიდა, ვაითუ, მე ხეირიანად ვერ მოვაბა თავი ამ საქმეს.

ბერინ ხანუმმა ოფიციალური მიწვევა გაუგზავნა თავის მომავალ მოყვრებს. ბერინ ხანუმს სარიოღლუთა მთელი საგვარეულოს შეყრაც ეწადა, მაგრამ საითმა არ ქნა, რადგან იცოდა: მისი პატივცემული დეიდები და ბიძები დასანახადაც ვერ იტანდნენ სევიმის მშობლებს. იქნებ, რომელიმე მათგანმა სევიმის მამას შიახალოს, უვიცი და უზრდელი ხარო, მის მომავალ სიდედრს კი ის უთხრან, წერა-კითხვის უცოდინარი ვაჭრუკანა ბრძანდებიო, ან სევიმი რას წამოაყრანტალებს, ვინ იცის... არა, ისევ ისა სჯობია, მხოლოდ სტუმრებმა და ჩვენ ვივახშმოთო.

საითი მთელი დღე ადგილს ვერ პოულობდა, ნერვიულობდა, არ იცოდა რა საქმისათვის მოეკიდა ხელი. რაც უფრო ახლოვდებოდა სტუმრების მოსვლის დრო, მით უფრო მეტი მოუთმენლობა ეუფლებოდა, დრო გადიოდა, სტუმრები კი არსად ჩანდნენ. საითი ცუდ გუნებაზე დადგა, დეიდა ბერინი ბრაზით ბუტბუტებდა: „ალაჰ, ეს რა ხალხია, ასეთი უპატივცემულობა?!“

ფერფერიკების მოსვლას 9 საათზე დაადგა საშველი, მაგრამ სევიმი არსად ჩანდა, მხოლოდ მშობლები მოვიდნენ. ამან სულ გააოგნა საითი. სასტუმრო ოთახში რომ დასხდნენ, ბერინ ხანუმმა, თითქოს სხვათა შორის იკითხა:

— განა სევიმ ხანუმი არ გვესტუმრება?

— ჩვენ გვეგონა, სევიმი აქ დაგვიხვდებოდა. — ყოვლად უსირცხვილოდ თქვა სასიდედრომ. — ალბათ, რაღაც გადაუდებელი საქმე თუ ჰქონდა.

ვიდრე სევიმი არ მოვიდა, სუფრას არ გაეკარნენ.

მეჰჯურე ხანუმმა ჩანთიდან რაღაცა ამოიღო, გაშალა — კორსეტი ალმოჩნდა.

— მოგწონთ? — მიმართა მან ბერინ ხანუმს.

ბერინ ხანუმს ფერი წაუვიდა, „ღმერთო, ეს კიდევ რა საჩუქარია! თავის მოჭრა! სირცხვილი!“ თავი ამაყად ასწია, რომ ამგვარი უტაქტო საჩუქარი არ მიეღო, მაგრამ მეჰჯურე ხანუმმა დაასწრო:

— ჩემთვის ვიყიდე, ძველი ისე დაიფხრიწა, რომ... ალარაფრად ვარგა.

— ჩემი ცოლი მუდამ ჩემი მოქიშპეებისაგან ყიდულობს კორსეტს. — ჩაერია საუბარში ჰასიფ ბეი, — თუმცა, მთელმა ქალაქმა კარგად იცის, რომ სტამბულში საუკეთესო კორსეტები მხოლოდ ფერ-ფერიკების ფირმას აქვს, თუ თქვენ რაიმე დაგჭირდათ, ხანუმ ეფენდი, მოხარული ვიქნები, გემსახუროთ.

შემოსასვლელში ზარის ხმა გაისმა. როგორც იქნა, სევიმიც გამოჩნდა. სასტუმრო ოთახი ხმაურმა, სიცილმა აავსო.

— სად იყავი, შვილო, ამ დრომდე, — ალერსიანად ჰკითხა ჰასიფ ბეიმ.

— იმედი მაქვს, უჩემოდ შიმშილით არ მოიკლავდით თავს. აქ რომ მოვდიოდი „თოზქოფარანის“ ბიჭები შემხვდნენ, რა ხანია არ მინახავს, ვიმასლაათეთ, ათასი ამბავი გავიხსენეთ.

ბერინ ხანუმმა ყველანი სასადილო ოთახში მიიპატიჟა. სტუმრების პატივსაცემად დიდებული სუფრა გაეშალათ. ხელით ნაქსოვი სუფრა და ხელსახოცები, მოვერცხლილი საგვარეულო ჭურჭელი, ყვავილები, სანთლები და ვერცხლის სასანთლეები.

სუფრას რომ მიუსხდნენ, სევიმმა საქმიანი ტონით იკითხა:

— რას დავლევთ?

პასუხი რომ არავინ გასცა, საითს მიუბრუნდა:

— რას დავლევთ-მეთქი, რომ ვიკითხე, ვერ გაიგე?

„ეგ შენობით მიმართვა რაღაა, სად გაიზარდა, ჩვენი გვარის ქალები ქმრებს ლოგინშიც კი არ ელაპარაკებიან შენობით“, გაიფიქრა ბერინ ხანუმმა და პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ ჰასიფ ბეიმ წარმოთქვა:

— ჩემი წინადადებაა, რაქი დავლიოთ... თავის ტკივილი არ იცის.

საითისათვის სულ ერთი იყო, რას დალევდნენ. იგი ოდნავ თუ მოსვამდა. სამაგიეროდ ფერფერიკებმა აუშვეს... ჭიქას ჭიქაზე ცლიდნენ.

ELIBRARY.GE

— ვერ ვიტან ასეთ ზარზეიმურ სადილებს. მთელ ევროპა ფურშეტზეა გადასული, — განაცხადა სევიმმა.

— თქვენ როგორ გიყვართ, ჩემო კარგო? — იკითხა დეიდა ბერინმა, რადგან ვერ გაიგო, თუ რით იყო უკმაყოფილო საპატარძლო.

— მიყვარს უბრალოება: ყოველი სტუმარი იმას გადაიღებს, რაც მოეპრიანება, იმას დალევს, რაც სურს, მაგიდასთან ჯდომა რა ბედენაა! აი, ეს არის თანამედროვეობა!

— არა, ჩემო კარგო, — გესლიანად მიუგო დეიდა ბერინმა, — ეგ თანამედროვეობის გამო კი არ არის, არამედ იმიტომ, რომ ადგილი არა ყოფნით, ახლა ხომ დიდ ბინებს აღარ აშენებენ, გიაურების სასტუმრო ოთახები ჩვენს საკუჭნაოზე მეტი არც არის, იქ როგორ დაეტევა ხალხი. აი, ამიტომაც მოიგონეს ფეხზე დგომელა ქეიფი.

— იქნება იმათთან მართლა სივიწროვეა, მაგრამ ვითომ ამგვარი ბოსელი სჯობია?

დეიდა ბერინს ლამის ლუკმა არ გადასცდა, ბოღმა ყელში მოაწვა, საგვარეულო სახლი ასე რომ შეუგინეს. მადლობა ღმერთს, მადამ ანჟელა დროულად ჩაერია საუბარში:

— თქვენ, ალბათ, ამ სახლს გაათანამედროვებთ.

და ყველამ სიამოვნებით შეცვალა საუბრის თემა.

სტუმრები რომ წავიდნენ, ბერინ ხანუმი და შინამოსამსახურე კარგა ხანს ოხრავდნენ: „საბრალო საითი, რა ეშველება, რა წყალში უნდა ჩავარდეს, ამ საქმეში ეშმაკის ხელი ურევია, თორემ საითს ამ გაუზრდელსა და უვიც, თანაც ფეხმძიმე ქალთან რა ესაქმებოდა?“

მეორე დღეს საითმა მთელი ბღუჯა წითელი ვარდები იყიდა და საცოლეს მიადგა. აქ აუარება უცნობი დაუხვდა. ყველა ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ ოჯახში. ზოგი ვისკს წრუპავდა, ზოგიც ტახტზე გაშოტილიყო და ხვრინავდა. ვინ რით იქცევდა თავს და ვინ — რით. საითი კი მხოლოდ თავის გულისსწორზე ფიქრობდა და ვერაფერს ამჩნევდა. მან ყვავილები სევიმს მიართვა.

— მონახე რომელიმე ვაზა და ჩადე შიგ, — ყვავილებს არც შეხედა, ისე თქვა სევიმმა.

საითმა ვერაფერი ნახა ისეთი, რომ ყვავილები ჩაეწყო შიგ. ხან რას წააწყდებოდა და ხან — რას.

— ჰო, კარგი, კარგი გაანებე თავი, თორემ რაღაცას დამიმტვრევ, — შესძახა სევიმმა, — ფანჯრის რაფაზე ჩამოსდე, დედაჩემი მოვა და მოუნახავს ადგილს.

საითი არ იყო საცოლის ყურადღებით გათამამებული, და ახლა ეს ბრძანებაც კი ესიამოვნა — სევიმი საერთოდ არც ამჩნევდა ხოლმე მას. ოთახში გაიარ-გამოიარა და კარადის მიღმა თავისუფალი სავარძელი იპოვნა. გასაოცარი ის იყო, რომ სევიმიც უცებ მივიდა და მის წინ სავარძელში ჩაჯდა.

— რა არის ახალი? — იკითხა მან.

საითს უკვე დაცდილი ჰქონდა, — თუ საცოლეს უამბობდა, ესა და ეს ფათერაკი გადამხდა და ასე და ასე გავმაიმუნდიო, სევიმი უმალ კარგ გუნებაზე დადგებოდა! ხოლო თუ იმას უამბობდა, როგორ მოხვდა ერთხელ სტადიონზე, გულიანად ახარხარდებოდა.

— კი გეტყოდით, მაგრამ...

— მითხარი, რა არის...

— მერიდება... ჩემი საიდუმლოა...

— მერე და, მე მიმალავ?

— თქვენ არაფერს არ დაგიმალავთ, მაგრამ...

— ჰო, რა იყო? დააყენე საშველი!

— მე მინდა მთლიანად დავიპყრო თქვენი გული, ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ, თუ საჭიროა, ფეხბურთელიც კი გავხდები, — ბოლო ფრაზა საითმა საკმაოდ დამაჯერებელი ტონით წარმოთქვა.

სევიმმა კი გაოცებისაგან თვალები დაჭყიტა.

— რაო, ფეხბურთელიო?

— დიახ, ფეხბურთელი გავხდები! — საითის ხმაში პირველად გამოიკვეთა საკუთარი თავის რწმენა. — უფრო სწორედ, ძალიან მინდა ფეხბურთელი გავხდე.

— არ გადამრიო, ნუ მაცინებ...

საითმა თავისას მიაღწია, საცოლე გააცინა.

შემოსასვლელში ზარის ხმა გაისმა და ოთახში აჰმედ „კედელა“ შემოვარდა. გახარებული სევიმი კისერზე ჩამოეკიდა ცენტრალურ მცველს. აჰმედმა კი გულიანად დაკოცნა თავისი გუნდის კეთილი ფერია.

— რა მოგივიდა, ტიროდი?

— სიცილისაგან მდიოდა ცრემლები.

ტახტზე ჩამოსხდნენ, ისე ეხვეოდნენ ერთმანეთს, რომ საითის

არსებობაც დაავიწყდათ. საითს კი მათი ჩურჩულიც ესმოდა. „მე რომ ფეხბურთელი ვიყო, ასევე ჩამომეკიდებოდა კისერზე და მაკოცებდა, როგორც აჰმედს“, — ფიქრობდა იგი.

— რა ვქნა, ჩემო ძვირფასო, მეჩქარება, მაგრამ ქორწილს მაინც არ დაადგა საშველი.

საითს ბედნიერებისაგან სიწითლე მოერია: მაშ, ისე ვუყვარვარ, ქორწილიც კი ეჩქარება.

მათ კიდევ ერთხელ აკოცეს ერთმანეთს, საითი კი ყურს უგდებდა და ფიქრობდა: ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ფეხბურთელი გავხდე.

— რატომ აგვიანებთ, შენც ადექი და ხვალისთვის დანიშნე. აღარ შემიძლია ამდენი მოთმენა.

— დედაჩემი არ შვრება, გაიძახის, ანგელოსივით ქალიშვილი უნდა გავატანო და იმ ბოსელში ჩემს შვილს არ შევუშვებო. თუმცა, იმ ბოსელს ეგენი სასახლეს ეძახიან. სანამ ახალ ბინას არ იყიდიან, მე ქორწილს არ ვიზამო.

— შენც რა გენალვლება, იყიდოს, ოხრადა აქვს ფული, ცოტა დიდი სახლი შეარჩიეთ, მთელი გუნდის ბიჭები რომ მოვალთ, ადგილი ხომ უნდა გვქონდეს?

— დროებით მშვენიერი ბინა დაიქირავა, თუ გინდა იქ გაათენე ხოლმე ღამეები...

— მაშ, რაღას უყურებთ, გადაიხადეთ ქორწილი.

— დედაჩემი აჭიანურებს. ყოველდღე ახალ-ახალ რამეს იგონებს. საძინებელი ოთახი ასე და ასე უნდა გავაწყოთო, საწოლი კიდევ ასეო. საითის სახლში სულ ძველებური ავეჯია, კარგად ვერ გავიგე, ვინ იყვნენ მაგის წინაპრები — ფაშები თუ ფადიშაჰები... ამნაირი ავეჯი რა ხანია აღარავის უდგას, დედაჩემი იძახის, სამუზეუმო ექსპონატებისთვის არ გამიზრდია ჩემი მშვენიერი სევიმიო.

— ჰოდა, მაგ გათახსირებულმაც ახალი ავეჯი იყიდოს, — მარცხენა ფეხი ბუთამაშდა „კედელას“.

— უკვე იყიდა, ჩემო კარგო.

— თქვენ გადარევთ ადამიანს და ეგ არის, სახლიც დაიქირავა, ავეჯიც იყიდა, კიდევ რაღა გინდათ?

— დედაჩემი იძახის, ჩემმა სიძემ კარგად უნდა იცოდეს, თუ რა გოგოს ვაძლევო.

— ნაღდია, დედაშენმა იცის თავისი საქმისა, საქონელს რაც მეტ

ფასს დაადებ, მით უკეთესი გეჩვენება... ერთი ეს მითხარი, მაგ ტიპ-მა რომ ქორწინების მერე ხელი შეგვიშალოს?

— ეფენდი, მაპატიეთ, რომ თქვენს საუბარში ჩავერიე, — ვერ მოითმინა საითმა, — მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩვენი სახლის კარი ძუდამ ღია იქნება თქვენთვის, ყოველდღე...

სევიმს დავიწყნოდა კიდეც საითის არსებობა და ახლა მისმა სიტყვებმა სასტიკად გააბრაზა:

— შენ აქა ხარ?! ყველაფერი გესმოდა?

— მე არც წავსულვარ, ხანუმ ეფენდი!

— მაშ, ყურს გვიგდებდი? მერე და, არა გრცხვენია?

— გთხოვთ, მაპატიოთ, მე არ ვიცოდი, რომ ეგ თქვენი ჩურჩული საიდუმლო იყო, — ალუღლუღდა საითი, — თორემ გადავჯდებოდი, გთხოვთ მომიტევოთ.

მობოდიშებამ ცეცხლზე ნავთი დაასხა და სევიმმა იფეთქა:

— არ მინდა, არ მინდა, ვერ გავხდები ამისი ცოლი, — თითიდან ნიშნობის ბეჭედი წაიძრო და საითს სახეში ესროლა. აჰა, წაიღე და თავიდან მომწყდი.

ბეჭედი საითს სათვალეზე მოხვდა, დავარდა და იატაკზე გაგორდა.

ასეთი რამ პირველად არ მომხდარა. სვავმა სევიმმა ადრეც მიახალა ცხვირპირში ბეჭედი საითს, თავიდან მომწყდიო. ორჯერ შეარიგეს ისინი. ჯერ სასიდედრო-სასიმამრომ და შემდეგ ბერინ ხანუმმა. ყოველი შერიგების შემდეგ, საითი ძვირფასი საჩუქრით ხელდამშვენებული ეახლებოდა საცოლეს.

— მე ხომ... სევიმ ხანუმ... მე ხომ... აჰმედ ბეი, გთხოვთ, თქვენ მაინც... მე ხომ ისეთი არაფერი მითქვამს.

— არ მინდა, არ გავყვები... მომწყდეს თავიდან... აღარ დაინახოს ჩემმა თვალებმა, — გაჰკიოდა სევიმი.

ერთადერთი ქალიშვილის ყვირილი რომ მოესმა, მეჰჯერე ხანუმმა მოირბინა.

— რა მოხდა?

— არ მინდა ასეთი ქმარი, მე მაგას ცოლად არ გავყვები...

— მე ხომ არ მინდოდა თქვენთვის ყური მეგდო, ყველაფერი შემთხვევით მოხდა. — შეჰჯერე ხანუმმა საითს ხელკლავი გაუკეთა და ოთახიდან გაიყვანა, თან დაყვავებით ეუბნებოდა:

— ხომ ხედავთ, სევიმი ძალიან ნერვული გოგოა, ასე რამ გააბრაზა არ ვიცი, მაგრამ ცოტა ხნით მარტო დასტოვეთ.

— კარგით, ხანუმ ეფენდი, წავალ! — მორჩილად უპასუხა საითმა.

— ფეხი არსად გადგა, არამზადავ, შენ სევიმი შეარცხვინე, — ახლა აჰმედ „კედელა“ ჩაერია საუბარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საითს ცივმა ოფლმა დაასხა.

— ასეთი რა ვქენი, ეფენდი?

— განა არ გეუბნებოდი? განა არ გაფრთხილებდი, რომ ჩემს საქმეებში ნუ ერევი-მეთქი, — ისევ აყვირდა სევიმი, — მიყურადებასა და მაგ ენატანიობას თავი გაანებე-მეთქი?

საითს არასოდეს გაუკეთებია ასეთი რამ, რადგან არ უყვარდა, მაგრამ ახლა ყვირილით დაშინებულმა, თითქოს დანაშაულში გამოტყდაო, წამოილუღლუღა:

— კი, მეუბნებოდით, სევიმ ხანუმ.

— რამდენჯერ მოგიგდე უკან ეგ შენი ქეციანი ბეჭედი?!

— ორჯერ, სევიმ ხანუმ.

— უკანასკნელად რა გითხარი?

— რა მითხარით? — კითხვას კითხვით უპასუხა საითმა.

— აჰა, უყურეთ, ერთი ამას დამიხედეთ, რაებს მიბედავს, აქეთ მეკითხება. ესე იგი, შენ არ იმახსოვრებ რასაც მე გეუბნები?

— როგორ არა, როგორ არ ვიმახსოვრებ!..

ამ წივილ-კივილისა და შეურაცხმყოფელი სიტყვების მოსმენას ის ერჩია, მიწა გასკდომოდა და შიგ ჩაეტანა, სადმე გადაკარგულიყო, მაგრამ სევიმის წინ გაჭიმული იდგა, მისთვის ჩვეული ზრდილობისთვის ვერ ეღალატნა და ხან მეჰჯურე ხანუმს გადახედავდა იმედის თვალით, ხანაც აჰმედ „კედელას“.

— ნება მომეცით, ყველაფერი აგიხსნათ, — ლუღლუღებდა საითი და თან ღრმად პატივცემულ სასიდედროს შესცქეროდა, — რამდენადაც ვიცი, მე ამ ოჯახში შინაურივით უნდა ვგრძნობდე თავს. ამიტომაც სავსებით ბუნებრივად მივიჩნიე სევიმ ხანუმისა და აჰმედ ბეის საუბარი ჩემი თანდასწრებით. ასე არ არის, ხანუმ ეფენდი? მე არ ვიცოდი, რომ მათ შეიძლებოდა რაიმე საიდუმლო ჰქონოდათ ერთიმეორესთან. ეს რომ მცოდნოდა, რასაკვირველია, მივატოვებდი ადგილს, სადაც რამდენიმე წუთის წინ ვესაუბრებოდი სევიმ ხანუმს.

ამ სიტყვებზე თვით აჰმედმაც კი უხერხულად იგრძნო თავი.

— საკმარისია!.. — უყვირა მან სევიმს. — შენ ცოტა... შენ ძალიან.

სევიმმა უმალ ხმა გაიკმიდა.

— მადლობელი ვარ, ეფენდი, მე სულაც არ მეწადა, რომ...

— ამას ასე უნდა ელაპარაკო, — უჩურჩულა აჰმედს საპატარძლომ, — რაც უფრო მეტს უყვირებ, მეტი შიში და მორიდება იქნება.

— საით, შენც არა ხარ მართალი, — შემრიგებლური ტონით დაიწყო აჰმედმა, — ხომ ხედავ, როგორი ნერვული გახდა, არ გიწდა ეს მიყურადება, შენ ხომ კეთილშობილთა წრიდან ხარ? მერე ასეთი რამ გეკადრება? — საითს მხრებზე ხელი მოხვია და გვერდზე გაიხმო, — შენ, ძმაო, ხომ არ შეიშალე, ფეხმძიმე ქალთან ასე ლაპარაკი იქნება? მიდი და პატიება სთხოვე, ჩვენი საუბარი ხომ გახსოვს. აკი დამპირდი, ამ მდგომარეობაში მყოფ ქალს არ მივატოვებო?

საითი გაწითლდა.

— კარგით, კარგით, ახლა შერიგდით, — სასიძოსა და საპატარძლოს შერიგებაზე ზრუნავდა უახლოესი ნათესავი, — სევიმ, ხომ ხედავ, როგორ რცხვენია, სინანული სტანჯავს საითს.

საითი მზად იყო, აჰმედს დაყაბულებოდა, მაგრამ სევიმი არ ცხრებოდა:

— არ მინდა, მომწყდეს თავიდან, არ დაინახოს ჩემმა თვალებმა!

შეშინებულმა სასიძომ, კარგით, გაგეცლებითო და კარს მიაშურა, კარიც ნელ-ნელა გამოიღო და თითქოს საითი ქარმა გაიტაცა გარეთო, კარი საშინელი ხმაურით მიიხურა, დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ლამის ფანჯრების შუშა არ ჩაილეწა.

საითი გონწართმეული მიაჩერდა კარს. „უნდა შევბრუნდე და გავაგებინო, რომ კარი მე არ გამიჯახუნებია, ყველაფერი წყეული ორპირი ქარის ბრალია“, — გაიფიქრა საითმა, მაგრამ იმის არაქათიც არა ჰქონდა, რომ ზარის ღილაკისათვის თითი დაეჭირა. გაოგნებული მოტრიალდა და ნელ-ნელა კიბეს ჩაუყვა.

ისიც არ ახსოვს, როგორ მიაღწია სახლამდე, როგორ გაიხადა ტანსაცმელი, დაწვა და... იწვა და ტიროდა. შეურაცხყოფით მიყენებული ტკივილი თითქოს ყელში აწვებოდა. მისთვის სრულიად უცნობი შურისძიების გრძნობა იბუდებდა გულში. მაგრამ რა შეუძლია, რისი ძალა შესწევს? არაფრის... და მაშინ ერთ საოცარ, თითქმის ფანტასტიკურ ოცნებას ისე ჩაეჭიდა, როგორც წყალწაღებული მაშველ რგოლს. „ოჰ, ერთი ცნობილი ფეხბურთელი გავხდე და მაშინ კი ვაჩვენებდი მაგათ...“

საითმა უკვე ფეხბურთის მოედანზე წარმოიდგინა თავი, აი, ბურთი მიიღო, მოატყუა ერთი მოწინააღმდეგე, მოატყუა მეორე, მესამე და უძ-

ლიერესი დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია. მთელი გუნდი საითს მივარ-
და, ეხვევიან, კოცნიან, ტრიბუნებზე კი ერთი ამბავია. სა-ით!!! სა-ით!!!
სა-ით!!! ყვირის ამდენი ხალხი. ოცნებაში ისე ჩაეფლო, რომ ტელეფ-
ონის ზარი ძლივს გაიგონა. დუნდარ დუბარა ბეი რეკავდა, როდის-
ად შევხვდეთო, უნდოდა გაეგო.

— დიახ, დიახ. გელოდებით, ეფენდი, გთხოვთ პატივი დამდოთ...
როცა გენებოთ, მე სულ სახლში ვარ...

საითი კვლავ თავის ოთახში შებრუნდა და რომ დამშვიდებულიყო,
თავის მათემატიკურ ამოცანას „ჩაუჯდა.

რა ხდებოდა ამ დროს სევიმის სახლში?

სასიძოს უკან კარი ასეთი ძალით რომ მიიხურა, სასიდედროსა და
საპატარძლოს აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა.

აჰმედმა სიგარეტი გააბოლა, ბრაზით გადახედა სევიმს და იქედნუ-
რად ჰკითხა.

— ახლა ხომ კმაყოფილი ხარ?

აჰმედის სიტყვებმა ცეცხლზე ნავთი დაასხეს.

— ისეთი რა გავაკეთე? — თითქოს შეულრინაო, ისე ჩაილაპარაკა
სევიმმა და გაიფიქრა: როცა დედაჩემი მამაჩემს ეტყვის უბედურო,
გამეცალე, მე შენთან ცხოვრება აღარ შემიძლიაო, მამაჩემი ისეთი
თვინიერი ხდება, როგორც ფინია, დედაჩემს სულ იმას ემუდარება,
მაპატიე, ნუ გამწირავო. — არა უშავს, მობრუნდება, — დაჯერებულად
ჩაილაპარაკა სევიმმა.

— დღეს მეტისმეტი მოგვიდა, შვილო, ასე არ შეიძლება, — თქვა
მეჰჯურე ხანუმმა და გასასვლელისაკენ გაემართა, თან თავისთვის
დუდღუნებდა: „რა ახალგაზრდობა მოვიდა, ისიც არ იციან, როდის
ყვირილია საჭირო და როდის — დაყვავება“.

— ახლა მთელი კვირა ამაზე ილაპარაკებ, — გაეპასუხა დედას სე-
ვიმი.

მართალია, აჰმედი გაბრაზებული იყო საითზე, მაგრამ თანაუგრძ-
ნობდა კიდეც.

— იცი რას გეტყვი? ასეც არ შეიძლება, — მკაცრად უთხრა სევიმს.

— რა ვიცოდი, თუ ეს გადარეული კარს მოაჯახუნებდა? დარდი ნუ
გაქვს, არსად დაიკარგება, მობრუნდება, მაგისნაირებს ჭკუა უნდა ას-
წავლო, პირველად გავაგდე სახლიდან თუ? მოვა და მუდარას დამი-
წყებს. საითი და მამაჩემი ერთი ცომისაგან არიან მოზელილნი — ორი-
ვე კაი ლაყე და დოყლაპიაა.

— სხვანაირი ბიჭი უნდა შეგხვედროდა და ის გაჩვენებდა, როგორ უნდა ყვირილი. ამოსუნთქვის საშუალებას არ მოგცემდა, რას დამკივი თავს, ხომ ხედავ ეგ ბიჭი ცომივითაა, როგორც მოგეპრიანება, ისე მოზელ. მაგაზე უკეთეს ქმარს ქალი ვერ ინატრებს. მეტი რა ინდა?

რასაკვირველია, სევიმს ესმოდა, რომ აჰმედი სავსებით მართალია, მაგრამ მთელი შენი სიცოცხლე ამგვარ ლაყე კაცთან ცხოვრება არ გინდა? ეს საშინელება იყო, მიუხედავად ამისა, სევიმს არ უნდოდა... საითის განშორება...

საით სარიოღლუსა და ფსიქიატრ რეფიქის შეხვედრა

წუხელ მშვენიერი რამ ესიზმრა საითს. თითქოს საყოველთაოდ აღიარებული ფეხბურთელი გახდა. დილით წამოდგა და სტამბულის ქუჩებში იწყო ხეტიალი, თავისი განუყრელი ოცნება თან სდევდა, თვალწინ ედგა: ჩვენი ქვეყნის ახალ ვარსკვლავს საით სარიოღლუს ზედიზედ გაჰქონდა ბურთები მოწინააღმდეგის კარში, თამაშის შემდეგ ეალერსებოდა სევიმი, თამაშობდა თურქეთის ნაკრებში და რაოდენ რთულ მატჩებში, მსოფლიოში ცნობილ გუნდებთან შეხვედრისას, სწორედ გადამწყვეტ მომენტში შველოდა თავის გუნდს. აჰმედ „კედელა", მიბერ ოსმანა და ატილა იეონუ ახლა აღარაფრად მიაჩნდათ, ყველას საით სარიოღლუ აკერია პირზე, საითი უკვე ეროვნული ნაკრების კაპიტანი გახდა, ევროპის გუნდებშიც კი იწვევენ სათამაშოდ, მსოფლიოს გაზეთები ვერ აუდიან საითის ფოტოების ბეჭდვას.

საითისათვის აღარაფერი არსებობდა, მთლიანად თავის ოცნებებს შთაენთქა და ვერც ამჩნევდა, რომ საკუთარ თავს ებაასებოდა, იქნევდა ხელებს, ცხარედ ეკამათებოდა ვიღაცას, უხილავ ბურთს ურტყამდა ფეხს და მკერდწამოწეული სიხარულით იცინოდა. გამვლელნი, ვიღაც გიჟიაო და თავს შორს იჭერდნენ, ბავშვები ალაზღანდარავებდნენ, ხანშიშესულნი თანაგრძნობით აყოლებდნენ მზერას, საითისათვის კი არაფერი არსებობდა ქვეყნად და ლაღად დააბიჯებდა ქუჩებსა თუ მოსახვევებში, ბაღებსა თუ დაცარიელებულ პარკებში, ბოლოს ფართო, ხალხმრავალ პროსპექტზე აღმოჩნდა.

სამუშაო დამთავრებულიყო და პროსპექტზე მანქანებისა და ხალხის ტევა არ იყო.

გადასასვლელთან ცისფერი მანქანა გაჩერდა, საჭესთან მჯდომმა ახალგაზრდა კაცმა საითი რომ დაინახა, ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— ერთი იმ მაღალ-მაღალს შეხედე, ეგ ბიჭი და მე ერთად ვსწავლობდით ლიცეუმში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რომელი?

— აი, თეთრი ბიჭი რომ დგას, ხელებს ისე იქნევს, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ხომ არ შეიშალა? საით! საით ბეი! — ფანჯარაში თავი გადმოჰყო და დაიძახა მან. მაგრამ საითს არაფერი ესმოდა, ზარბაზნის ბათქიც კი ვერ გამოაფხიზლებდა, რადგან სწორედ ამ მომენტში ფეხბურთის ვარსკვლავმა საითმა ოსტატურად მოატყუა დამცველი, გვერდი აუარა მეკარეს და ბურთი ლამაზად შეაგორა კარში. ტრიბუნებზე ერთი ღრიანცელი ატყდა, მერე სევიმის მხურვალე კოცნამ ლამის ტუჩები დასწვა.

ცისფერი მანქანის მფლობელს რეფიქი ერქვა. რეფიქი ექიმი-ფსიქიატრი იყო, იგი ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც წარმატებით გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. პატარაობისას საითთან მეგობრობდა, ორივენი ერთ ლიცეუმში სწავლობდნენ.

საითი რომ ამ დღეში ჩავარდნილი ნახა, რეფიქს გული ეტკინა, მან ცოლს უამბო სარიოღლუთა ოჯახის თაობაზე, უამბო, როგორ ასწავლიდა საითს, რადგან მას მათემატიკის გარდა ყველა საგანში ორიანი ჰყავდა, რეფიქმა ცოლს უამბო ბერინ დეიდას თაობაზე, რომელიც ისე უვლიდა საითს, როგორც ღვიძლ შვილს. რეფიქის მშობლები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ და სარიოღლუთა ოჯახი საჩუქრებს არ აკლებდა რეფიქს, რომელიც საითს ამზადებდა, სარიოღლუებმა რეფიქს უნივერსიტეტში შესვლის დროსაც არ მოაკლეს მზრუნველობა. საითი და რეფიქი კარგა ხანს მეგობრობდნენ, რეფიქის სამხედრო სამსახურში გაწვევამ და მერე ამერიკაში გამგზავრებამ დააშორა ისინი ერთმანეთს.

აგერ უკვე რამდენი ხანია ამერიკიდან დაბრუნდა და ერთხელაც არ მოუნახულებია სარიოღლუთა საპატიო ოჯახი. ამიტომ დამნაშავედ გრძნობდა თავს და სახლში მობრუნდა თუ არა, იმწამსვე ტელეფონს მიაშურა და საითს დაურეკა.

ყურმილი მადამ ანჟელამ აიღო. რეფიქმა კი უთხრა, ესა და ეს ვარო, მაგრამ მოხუცმა მადამ ანჟელამ ვერაფრით იცნო, ბოლოს, როგორც იქნა, გაიხსენა რეფიქი და სიხარულით დაუძახა ბერინ ხანუმს.

— გამარჯობათ, ბერინ ხანუმ ეფენდი. ძალიან მინდოდა თქვენი მონახულება, თუ ნებას დამრთავთ, ახლავე მოვიდოდი.

ბერინ ხანუმმა უთხრა, დიდად ნასიამოვნები ვიქნები შენი ნახვით და როცა გენებოს, მობრძანდიო. რეფიქმაც არ დააყოვნა და ცოლთან ერთად სარიოღლუთა ოჯახში გაეშურა. ბერინ ხანუმმა ძალიან გაიხარა თავისი ძვირფასი საითის მეგობრის რეფიქის ნახვით, კიდევ უფრო გაიხარა, როცა გაიგო, რეფიქმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და ფსიქიატრი გახდა. დეიდა ბერინს ძალიან სწამდა რეფიქისა, იგი ხომ ერთგული მეგობარი და ქომაგი იყო საითისა. რასაკვირველია, ახლაც ყველაფერში დავეხმარებიო, თქვა რეფიქმა და ბერინ ხანუმმა დაწვრილებით უამბო, რა უბედურება ტრიალებდა მისი საყვარელი საითის თავს. უამბო, თუ როგორ შეუყვარდა და დაინიშნა ქალზე, რომელიც უკვე ფეხმძიმედაა, ისიც უთხრა, რომ ამ ბოლო დროს ისიც აღარ იცის, რას სჩადისო, ახლა აიჩემა, ცნობილი ფეხბურთელი უნდა გავხდეო. მე კი კარგად მესმის — ამ ჩვენი სარძლოს ფეხმძიმობის სათავე ის არის, რომ იგი ფეხბურთელით, უფრო სწორად კი ფეხბურთელებით არის გატაცებულიო. საითს კი ის უნდა, რომ საპატარძლოს მოსწონდეს და ახლა ფეხბურთი აიჩემაო. ხომ იცით, სიყვარული რას არ ჩაგვადენინებსო...

— ახლა სად არის? — იკითხა რეფიქმა.

— დილაადრიან რომ გავიდა, არ გამოჩენილა, ისიც არ ვიცით, სად ვეძებოთ, აბა, ერთი დაელაპარაკე, შვილო, შენი მუდამ სჯეროდა, შენ ხომ ასეთი დიდი სწავლული გახდი...

რეფიქმა ყველაფერს ვიღონებო თქვა და წასვლაც უნდოდა, მაგრამ ბერინ ხანუმი შეეხვეწა, ჩვენთან ისადილეო.

— იქნება ამასობაში საითიც დაბრუნდეს, — დასძინა მან.

სუფრას მიუსხდნენ თუ არა, საითის ფეხის ხმაც მოესმათ. საითმა რომ რეფიქი დაინახა, გაოცდა და ძალიან გაიხარა.

ნასადილევს მამაკაცები ბიბლიოთეკაში შევიდნენ, საითს ერთი სული ჰქონდა, როდის გადაუხსნიდა გულს თავის ძველ მეგობარს. ექიმი ყურადღებით უსმენდა და უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი მეგობარი სერიოზული ავადმყოფი იყო. ხოლო როცა საითმა დაიწყო იმის მტკიცება, რომ უსათუოდ ფეხბურთელი უნდა გავხდეო, რეფიქმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ეს კარგი აზრია, შეიძლება ფეხბურთელი გახდე, მაგრამ თავდა-

პირველად უნდა ივარჯიშო, ხოლო შემდეგ, როცა მოლონიერდები, სპორტს მოჰკიდებ ხელს... მერე კი ფეხბურთში ივარჯიშებ...

— არ მატყუებ? — წამოიძახა სიხარულით ატაცებულმა საითმა.

— როგორ უნდა მოგატყუო?.. მოდი, თუ გინდა, ხვალვე გამოგიყვანო.

არა, ხვალ საითს საქმიანი შეხვედრა აქვს, ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე უნდა ესაუბროს დუნდარ დუბარა ბეის და ეროლ იფქირან ბეის. ზეგ კი უსიკვდილოდ მოვალო.

— მაშ, შენ ფსიქიატრი გახდი და შეგიძლია დამეხმარო კიდეც? საითმა მეგობარს შეჰფიცა, შენ ყოველ რჩევას შევასრულებო.

როგორ გახდა ცნობილი აჰმედ „კედელა“

მსაჯმა კუთხური დანიშნა. მარჯვენა გარემარბი საით სარიოღლუ გარინდებული ელოდება ბურთს, აი, ისიც — კართან ჩამოაწოდეს, მეკარემ ვერ მოზომა და ფეხბურთელთა ჯგუფიდან მოულოდნელად გამოვარდნილმა საითმა მარჯვენა კუთხეში თავით გაგზავნა ბურთი. არის! სევიმი ყელზე ჩამოეკიდა.

ბერინ დეიდამ შიშით გადახედა. საითი კი სკამზე შეხტა და თავს აქეთ-იქით იქნევდა. ღმერთო დიდებულო, რა მოსდის ჩვენს საითს, გაიფიქრა დეიდამ, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

საუზმე გრძელდებოდა. საითი კი დროდადრო წამოხტებოდა და წალმა-უკუღმა იქნევდა თავს, ფეხებსა და ხელებს.

ბერინ ხანუმი წამოდგა და სამზარეულოსაკენ გაემართა, მაგრამ ოთახიდან არ გასულა, კარებში ჩადგა და საკმაო ხანს აკვირდებოდა დისწულს. „ნუთუ შეირყა ჩემი საითი? მადლობა ღმერთს, დღეს რეფიქს ეწვევა, ღმერთო, შენ შეიწყალე ჩემი საითი და იხსენი ამ განსაცდელისაგან“.

...საჯარიმო დარტყმა, მსაჯმა ბურთი გაასწორა, კარამდე ოცდახუთი მეტრია, მთელი სტადიონი სუნთქვაშეკრული შეჰყურებს საითს... აჰა, გამოექანა... საშინელი ძალით დარტყმულმა ბურთმა თითქოს გაანგრია საითის წინ ჩამწკრივებულ ფეხბურთელთა კედელი და ბადეში გაეხვია, მეკარემ განძრევაც ვერ მოასწრო. კმაყოფილი სტადიონი გუგუნებს, ღრიალებს, სევიმი კი სიხარულისგან ტირის.

დეიდა ბერინი მაგიდასთან მობრუნდა, თავისსავე ადგილზე დაჯდა

და ჩაის დასხმა რომ დაიწყო, მაგიდა შეტოკდა, ჭიქები იატაკზე გაგორდა, ჭურჭელი ერთიმეორეს შეემსხვრა.

— არიიის!!! — იყვირა საითმა და მაგიდის ფეხს მოარტყა ფეხი.

— რა მოგვიდა, შვილო, — ველარ მოითმინა დეიდამ.

— ისეთი არაფერი, — გაოცებით შეხედა დეიდას საითმა, — უბრალოდ, ძელს მოვარტყი.

ნასაუზმევს საითი თავის ოთახში გავიდა, ბერინ ხანუმი კი ტელეფონს მივარდა და რეფიქს დაურეკა.

— სულ შეიშალა ჩვენი საითი, შვილო... ფეხებსა და ხელებს ჰაერში იქნევს, ახლახან ლამის ფეხი მოიტეხა, ისე მოარტყა მაგიდას, ასე სულაც დაკოჭლდება და ეგ არის... რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდით, იხსენი ჩვენი საითი, რამენაირად იხსენი. ჩვენ აღარც გველაპარაკება, სულ გაიძახის: „არიიის!" „არიხ!" რაღაც უწმინდურმა აურია გონება.

რეფიქი შეეცადა დაემშვიდებინა ბერინ ხანუმი და ყველაფერს გავაკეთებო, აღუთქვა.

საღილი თავის კაბინეტში მიართვეს საითს. მადამ ანჟელამ რომ კარზე დააკაკუნა, „არიის!" „არიის!" მოესმა, მადამ ანჟელამ იფიქრა, საითმა ამ სიტყვებით ოთახში შესვლის ნება დამრთოო და კარი გააღო. საშინელი სანახაობა გადაეშალა თვალწინ. საითი ხომ სიცხეების დროსაც არ იხდიდა თბილ საცვალს, ახლა კი ტრუსის ამარაღა იდგა შუა ოთახში და ბალიშებს აბურთავებდა. უკვე კარგად გაცვეთილი ორი ბალიში იატაკზე ეგდო, ჰაერში ბუმბული დაფარფატებდა. საითს ისეთი საცოდავი კაცის გამომეტყველება ჰქონდა, რომ მადამ ანჟელამ სადილი მაგიდაზე დადგა და უცებ გავიდა, თან კარი ფრთხილად გაიხურა. მერე ყველაფერი ბერინ ხანუმს ჩაუკაკლა.

— ოჰ, ხანუმ ეფენდი, თქვენ რომ იცოდეთ, რა დღეშია ჩვენი საითი, რას აკეთებს...

რასაკვირველია, მადამ ანჟელამ გადააჭარბა, მაგრამ ბერინ ხანუმს მაინც არაფერი გაჰკვირვებია. მან მსახური ქალი სამზარეულოში გაგზავნა. თვითონ კი საითისაკენ გაეშურა. უნდოდა ისე ეთვალთვალა საითისათვის, რომ არავის დაენახა.

ბერინ ხანუმმა კარის ჭუჭრუტანიდან დაინახა, რომ საითი ტახტზე იწვა და მძიმედ სუნთქავდა. თავი ბალიშებში ჩაერგო და ფეხებს ციებიანივით ატოკებდა. დროდადრო ღრიალით აღმოხდებოდა: არიიის!" „არიის!"

რა წყალში ჩავარდნილიყო, არ იცოდა. წასულიყო და ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი გულის ვარამი? სტამბულის არისტოკრატიის ტრადიციები არ აძლევდა იმის უფლებას, რომ საგვარეულოს უსიამოვნებანი ხალხისთვის გაეგებინებინა და სალაპარაკო გაეხადა.

საითი ნასადილევს კაბინეტიდან გამოვიდა და ჩვეულებისამებრ იკითხა:

— დღევანდელი გაზეთები სად არის?

— მადამ ანჟელამ დღევანდელი ფოსტა მოურბენინა, მზრუნველმა დეიდამ კი, ისადილე თუ არაო, იკითხა.

— რასაკვირველია, ვისადილე, — მიუგო საითმა. მერე სასტუმრო ოთახში დაჯდა და როგორც ჩვენს ინტელიგენციას შეეფერება, გაზეთების კითხვა ბოლო გვერდიდან დაიწყო, რადგან სპორტის ამბები სწორედ ბოლო გვერდზეა მოთავსებული. ერთ ადგილას ეროლ იფქირან ბეის სახელს წააწყდა და ისე გაიხარა, თითქოს უცხო ქვეყანაში თანასოფლელს გადაყროდეს. გაზეთში დაბეჭდილი იყო იფქირან ბეის სტატია: „შეუძლია თუ არა „თოზქოფარანს“ გახდეს ევროპის ჩემპიონი?“

სპორტულ კომენტატორს მიაჩნდა, რომ „თოზქოფარანს“ ძალუძს ევროპის ჩემპიონობა თუ... და აქ იმდენი პირობა იყო ჩამოთვლილი, რომ...

იფქირან ბეი წერდა:

ყოველი დღე გვაიმედებს, რომ „თოზქოფარანი“ ევროპის ჩემპიონი გახდება. ამ გუნდმა უკვე მწარე გაკვეთილი მიიღო, როცა ანგარიშით 0 : 4 წააგო ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტ გერმანიის გუნდთან. მიუხედავად იმისა, რომ „თოზქოფარანს“ კენჭისყრაზე არ გაუმართლდა, მერე მაინც შესძლებს, რომ ევროპის ტურნირში წარმატება მოიპოვოს. გუშინდელი მატჩი „ჰაჯიქადინთან“, გუნდთან, რომელმაც მოახერხა მესამე ლიგაში შესულიყო და აგრეთვე ემზადება ჩემპიონატისათვის, რასაკვირველია, სხვა გუნდებთან ერთად, როგორც ცნობილია, დამთავრდა ანგარიშით 0:0. სწორედ ეს საყაიმო ანგარიშია იმის უტყუარი დადასტურება, რომ „თოზქოფარანი“ ჩემპიონობის სერიოზული პრეტენდენტია. — ეროლ იფქირან ბეი განაგრძობდა: — თუ გერმანელები, რომლებმაც გაჭირვებით მოუგეს ჩვენებს ანგარიშით 4:0 წააგებენ უნგრელებთან, ხოლო ჩვენები კი ძალიან დიდი ანგარიშით მოუგებენ მონაკოელებს, მონაკოელები კი გააცამტვერებენ იტალიელებს, ხოლო იტალიელებს გაანადგურებენ ალბანელები, ინ-

გლისელები და ფრანგები კი ბერძნებთან წააგებენ, მაშინ „თოზქოფარანს“ საშუალება ექნება განმეორებით შეხვდეს გერმანელებს. და თუ მეორე და შემდეგ ნეიტრალურ მოედანზე გამართულ მესამე მატჩში გერმანელები დავამარცხეთ, „თოზქოფარანი“ უსათუოდ გავა მეოთხედფინალში და თუ იგი მეოთხედფინალში გასულ სხვა გუნდებსაც დაამარცხებს (მოგეხსენებათ — ბურთი მრგვალია და შეიძლება ყველაფერი მოხდეს), „თოზქოფარანი“ ნახევარფინალში მოხვდება. საკუთარ მოედანზე თამაშის უფლება რომ გავინაღდოთ, ამისათვის საჭიროა, დავამარცხოთ ახლანდელი ჩემპიონები — ინგლისელები. და აი, ამის შემდეგ იწყება მთავარი რამ — ალაჰის შემწეობით, მაყურებელთა მხარდაჭერით, კომშისა და ხილის წყლების თადარიგიანი გამოყენებით (რასაკვირველია, გარკვეული როლი აჰმედ „კედელამაც“ უნდა შეასრულოს), მატჩს მოვიგებთ და გავალთ ფინალში. და თუ ჩვენი ფეხბურთელები ფინალური შეხვედრისათვის კარგ მორალურ-ფიზიკურ ფორმაში იქნებიან, თუ მატჩის წინაღამეს რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, თუ მოწინააღმდეგემ ცუდად ითამაშა, ხოლო ჩვენ კი ჩინებულად, თუ მზემ თვალები ჩვენ არ მოგვჭრა და ქარმაც მოწინააღმდეგის კარისაკენ დაუბერა, თუ ჩვენმა მეკარემ ბურთები აიღო, ხოლო მოწინააღმდეგისამ კი პირიქით — გაუშვა, თუ ჩვენი ფორვარდები ბურთს ფეხს არ ააცილებენ, მერე მას ცხრა მთას იქით არ გადააგდებენ და კარგად დაარტყამენ, მაშინ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „თოზქოფარანი“ უსათუოდ გახდება ჩემპიონი“...

— რა სტატიაა! — კითხულობდა საითი იფქირან ბეის ნაწერს და აღაფრთოვანებდა ავტორის ერუდიცია. ან როგორ ძალუძს ასე ზუსტად და მრავალმხრივ ამოიცნოს და შეაფასოს მოვლენები და მათგან გამომდინარე შედეგები. მაგრამ ამავე დროს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ავტორმა რაღაც დაუმალა მას, ბოლომდე ვერ გაუმხილა. ცოტა არ იყოს და, იფქირან ბეი აბდაუბდას წერდა. ამიტომ მის სტატიას ყველა ისე გაიგებდა, როგორც ეწადა. საითმა ხუთჯერ წაიკითხა, მაგრამ ვერაფრით გაიგო, რისი თქმა სურდა ავტორს. საითი სპორტის საკითხებში აბსოლუტურად უვიცი იყო, მაგრამ ამ სტატიის მეოხებით მის თვალში იფქირან ბეის ავტორიტეტი ერთიორად გაიზარდა, რადგან ვერაფერი გაიგო და იგი ყველაზე ურთულეს მათემატიკურ ამოცანად მიიჩნია. „თოზქოფარანის“ ჩემპიონობას იმ-

დენი „თუ“ ეღობებოდა წინ, რომ ევროპის ფინალში გასვლა სპორტ-ლოტოს ექვსი ციფრის ამოცნობაზე უფრო ძნელი იყო.

სარიოღლუთა კარზე ვიღაც ახალგაზრდა კაცმა დარეკა.

— საით ბეი სახლშია? მე ეროლ იფქირანი ვარ, დათქმული გვქონდა, რომ ერთმანეთს შევხვდებით...

მადამ ანჟელამ სტუმარი შინ შეიპატიჟა და საითისაკენ გაემართა. საითმა ძვირფასი სტუმარი გულწრფელი და ღრმა პატივისცემით მიიღო.

— დღეს თქვენი სტატია წავიკითხე, — თქვა საითმა, — და ბევრი რამ საინტერესო შევიტყვე. გამაოგნა თქვენი აზროვნების უნარმა.

— იცი, რა გითხრა, ძმაკაც, მე უბრალოდ ვიშაყირე, ეგ სტატიაც მეტი არაფერია. მინდოდა გამებითურებინა „თოზქოფარანი“, რადგან მათ ჰგონიათ, რომ მსოფლიოს მასშტაბის ფეხბურთელები არიან.

— „აი, თურმე რა ხდება, მე კი სუფთა წყლის შეფასებად მივიღე ყველაფერი“, გაიფიქრა საითმა, მაგრამ არ უნდოდა თავის სიყეყეჩეში გამომტყდარიყო და თქვა:

— ნაღდია, მართლა ძალიან კი გააბითურე, ისეთი სიამოვნება მივიღე, რომ... კარგა ხანია ამდენი არ მიცინია.

— როგორ შეიძლება „თოზქოფარანს“ რაიმე პრეტენზიები გააჩნდეს მსოფლიოს ფეხბურთში. აი, ნახავ, ევროპის ჩემპიონატზე პირველსავე თამაშს წააგებს, თანაც საკუთარ მოედანზე. ეს იმიტომ, ძმაკაც, რომ, — და იფქირან ბეიმ დაწვრილებით დაუხასიათა მთელი გუნდი. შემდეგ უცებ მოაგონდა და წამოიძახა: — სულ დამავიწყდა, მე ხომ დუნდარ ბეისთან ერთად უნდა მოვსულიყავი აქ, მაგრამ დამირეკა, ცოტა შემაგვიანდებაო.

სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: დუნდარ დუბარა ბეიმ დილაადრიან დარეკა ფერფერიკებთან და სევიმს უთხრა, დღეს საითს უნდა შევხვდეო. დუნდარ დუბარას მოსვენებას არ აძლევდა საით სარიოღლუს „თოზქოფარანის“ საპატიო წევრად გახდომის აზრი. ამიტომაც სევიმს შესთავაზა, შენს საქმროსთან მიმყევიო.

— რა კარგია, რომ დარეკეთ, დუნდარ ბეი, — უპასუხა სევიმმა, — ვერც კი წარმოიდგენთ, ისე მჭირდებით. აი, აჰმედიც ჩემთან არის, თქვენ გარდა, ქვეყნად ვერავინ გამიკეთებს ამ საქმეს. გთხოვთ, ვიდრე საითთან წახვიდოდეთ, ჩემთან შემოიარეთ, მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრათ...

სწორედ ამის გამო შეაგვიანდა „თოზქოფარანის“ გენერალურ თავმჯდომარეს.

ვიდრე დუნდარ ბეი ფერფერიკების სახლში დარეკავდა, სევიმ აჰმედს ეხვეწებოდა, საქმროსთან შემარიგეო. ცხადია, ამ სალამის მეტისმეტი მომივიდა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდაო, იმ დღის მერე საითი აღარ ჩანს, არც მოდის და არც რეკავს, მხოლოდ აჰმედს თუ შეუძლია მათი შერიგება, ოღონდ ერთი რამეც არ დაივიწყოს აჰმედმა — საითს საკმაოდ ცხადად უნდა აგრძნობინოს, რომ ყველაფერი მისი ბრალია და არა სევიმისა. სევიმი კი, თუ საითი მოვა და მოინანიებს, ამ შეცოდებას მიუტევებს, ქორწილს რომ გადაიხდიან, სევიმი აინუნშიც არ ჩააგდებს საითის განაწყენებას, მაგრამ ჯერჯერობით... ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შესდგეს ქორწინება?

აჰმედი კი სევიმზე ბრაზობდა და არც მალავდა, რომ საითი ებრალებოდა. ამიტომაც, სულაც არ უნდოდა სევიმის შუამავალი ყოფილიყო. ამ დროს იღბლად დუნდარ ბეიც გამოჩნდა. სევიმისა და საითის ამბავი რომ გაიგო, შეშინდა, ვაითუ, ეს ქორწინება ჩაიშალოს, ხოლო ამ ქორწინების გარეშე საითის ფულებს ჩვენს კლუბს ვინ მიაშავებსო. დუნდარ ბეიმ იფიქრა, იფიქრა და თქვა:

— დარდი ნუ გაქვთ, ყველაფერს ისე მოვაწყობ, თვითონვე გაგიკვირდებათ, ოღონდ ხვალ ჰასიფ ბეიმ სადილი ან ვახშამი გამართოს. არავინ დაპატიჟოთ. მხოლოდ შინაურები ვიქნებით — შენი მშობლები, შენ, აჰმედი, იფქირანსაც დავუძახოთ, სხვათა შორის, იფქირანი ახლა საითთანაა. სასიძოს კი მე მოვიყვან რამენაირად. სუფრასთან ყველაფერი მოგვარდება.

ვიდრე დუნდარ ბეი აქ გეგმებს აწყობდა, იფქირან ბეი საითს უამბობდა, თუ როგორ გახდა სპორტული მიმომხილველი.

— ძმაკაც, იცი ვინ არის სპორტული კომენტატორი? სპორტული კომენტატორი ან ის კაცია, ვინც სპორტში ვერ იხეირა, ან კიდევ ის, რომელსაც სპორტისა არაფერი გაეგება. საერთოდ, თუ მიგიქცევია ყურადღება, რა საგნებსა, და მოვლენებზე ლაპარაკობენ ადამიანები აზარტითა და გატაცებით? სწორედ იმაზე, რაც მათ არასოდეს არ გაუკეთებიათ და რისი გაკეთებაც ვერ მოუხერხებიათ. აბა, ერთხელ მიუგდე ყური, როგორ ყვებიან მოხუცები ამა და ამ ქალთან ასე და ასე მქონდა საქმე დაყენებული, იმასთან კი ასეო... რატომ ლაპარაკობენ ასეთი ეშხით? იმიტომ, რომ აღარაფრის თავი აღარა აქვთ.

საითმა უცებ გაიფიქრა: მაშ, ყველაზე უკეთესი სპორტული მიმომ-

ხილველი მე დავდგები, რადგან ამ საქმისა არაფერი გამეგებაო. ეს აზრი უცებ მოეწონა კიდეც, მაგრამ უმალ გადაიფიქრა. არა, იგი ფეხბურთელი უნდა გახდეს!

— განსვენებულ მამაჩემს ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა, — განაგრძობდა ეროლ ბეი. — იმ საბრალოს ერთი ცოლი ჰყავდა და მწარედ განიცდიდა ამას. გულმოდგინედ კითხულობდა ყურანს, ამიტომ თავისი ხუთი თითივით იცოდა ჩვენი წინასწარმეტყველის მუჰამედის ცხოვრება, იცოდა რამდენი ცოლი ჰყავდა მას. ხშირად იტყოდა ხოლმე: ამბობენ, თითქოს ისლამისათვის უცხოა წმინდა საოცრებანი, მაშინ როცა ქრისტიანობა სავსეა ამგვარი ფაქტებითო. ნეტავ, რომელმა ყეყეჩმა წამოროშა ასეთი რამ! ქრისტიანები ერთ ცოლს ძლივს ერევიან, ჩვენი მუჰამედი კი ოთხს ისე უსწორდებოდა, რომ კარგად მეყოლეო. მოკლედ, ამას ჩვენს საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს. მამაჩემი მუდამ მიბრაზდებოდა, რატომ წიგნს არ აიღებ ხელში და არ კითხულობ, უწიგნური და ვირი ხარ, შენგან კაცი არასოდეს დადგებაო. ლიცეუმი ვერ დავამთავრე, რადგან მასწავლებლები ძალიან უსამართლოდ მექცეოდნენ. ამიტომ დამოუკიდებელი ცხოვრება ადრე დავიწყე. რა საქმისთვისაც არ უნდა მომეკიდნა ხელი, არაფერი გამომდიოდა. ყველა დიდი ამერიკელი მწერალი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, ჩემსავით იყო — ათას საქმეს წამოიწყებდა და რა? ხელმოცარული რჩებოდა, ბოლოს კალამს ჰკიდებდა ხელს. მეც, მიუხედავად იმისა, რომ საძაგელი ხელი მაქვს, ჩემს ნაჯღაბნს კაცი ვერ გაარჩევს და არც მშობლიური ენა ვიცი ხეირიანად, წერას მივყავი ხელი. ვერც აქ ვიხეირე, სამაგიეროდ, სპორტული კომენტატორი კი გავხდი. ერთ გაუბედურებულ გაზეთში დავიწყე თანამშრომლობა, ის გაზეთი სულს ღაფავდა და აგერ-აგერ შეწყვეტდა კიდეც არსებობას. იმ წელიწადს ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა. ყოველმა გაზეთმა რამდენიმე საკუთარი კორესპონდენტი გაგზავნა ოლიმპიადაზე, ჩვენს რედაქციას კი იმის თავიც არ ჰქონდა, რომ ერთი კორესპონდენტი გაეგზავნა. მაშინ მე ეშმაკობა ვიხმარე. გაზეთის არქივში მოვნახე ფოტო, რომელზეც გამოსახული იყო ქალი და კაცი. ისინი თვითმფრინავის ტრაპზე იდგნენ და გამცილებლებს ხელს უქნევდნენ. სურათზე მამაკაცის ნაცვლად ჩემი ფოტო ჩავსვი და მეორე დღეს ჩვენს გაზეთში დავაბეჭდინე. სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა: „მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, ჩვენი გაზეთი მაინც გზავნის საკუთარ კორესპონდენტს ოლიმპიადაზე. ეროლ იფქირანი იეშილქოის აეროპორტში“.

საუბედუროდ, ერთი შეცდომა მომივიდა — სურათზე შორეულ პლანში, მაგრამ მაინც, ცხადად ჩანდა ამერიკული ცათამბჯენი. გეოგრაფიაში მარტო მე არა ვარ ბითური და ამ შეცდომას ვერავინ ვერ მიხვდებოდა, ამერიკის პრეს-ცენტრიდან რომ არ დაერეკათ და არ ეკითხათ, თუ მერილინ მონრო სტამბულში ნიუ-იორკიდან იმიტომ ჩამოვიდა, რომ ეროლ იფქირანი აეროპორტში გაეცილებინა, რატომ არაფერი გაგვაგებინეთო? აზრზე ხარ? თურმე ვის გვერდით ჩამისვამს ჩემი ფოტო. თავად მერილინ მონროს გვერდით! ამერიკელების აურზაურს ძლივს დავაღწიეთ თავი. ოლიმპიადის მასალებს სხვა გაზეთებიდან გადმოვიწერდი და ისე ვბეჭდავდი, თითქოს ოლიმპიადაზე ვიყავი და იქიდან ვგზავნიდი. ჩვენს გაზეთს არაფერმა უშველა, მალე დაიხურა, მაგრამ მე მაინც მოვასწარი რაღაც პოპულარობის მოპოვება და სხვა გაზეთში მიმიღეს. ეს უკეთესი გაზეთი იყო.

თავისი აღსარება რომ დაამთავრა, ეროლ იფქირან ბეიმ ფრიად ობიექტური დახასიათება მისცა დუნდარ დუბარა ბეის.

— ახლა კი დუნდარ ბეიზე გეტყვი ორიოდე სიტყვას: მაგნაირ გენიალურ ხელმძღვანელს, სანთლით რომ ეძებო, ვერსად იპოვი. ეს ხომ ნაღდი პოლიტიკოსია. ეჰ, ჩვენს ქვეყანაში რომ ფეხბურთზე არ გიჟდებოდეს ხალხი, ეგ უკეთეს საქმეს მოჰკიდებდა ხელს. დუნდარ ბეი რომ ინგლისში, ბრაზილიაში, ან ესპანეთში ცხოვრობდეს, სერის წოდებას დაირტყამდა. გაუგებარია, რატომ ჩააცივდა ასე ამ „თოზქოფარანს". თავისი კლუბის ნამდვილი ფანატიკოსია. მაგრამ... ფულზეც გიჟდება, კარგად ქაფავს... რაც მოეპრიანება, იმას გააკეთებს. „თოზქოფარანმა" კიდეც რომ წააგოს, ეგ საქმეს ისე დაატრიალებს, გუნდი სათავეში მოექცევა. დუბარა ბეის არაფრად უღირს თამაშის შედეგის გაუქმება — ან მსაჯს დააბრალებს ყველაფერს, ან იმაზე ატეხს ერთ ალიაქოთს, ბურთი აფსაიტიდან შეაგდესო. ეგ რომ არ მოიფიქრებს, ისეთი არაფერია! ხშირად უყვარს იმის გახსენება, თუ როგორ თამაშობდა ახალგაზრდობაში „თოზქოფარანის" ცენტრალურ მცველად. მისი სახელი ოქრის ასოებითაა ჩაწერილი თურქეთის ფეხბურთის ისტორიაში. თურქეთს არ ახსოვს ასეთი გენიალური პიროვნება. აი, ერთ ამბავს მოგიყვები და თვითონვე მიხვდები ყველაფერს.

საითი ყურადღებით უსმენდა იფქირან ბეის, მისი ყოველი სიტყვა წმინდა წყლის სიმართლედ მიაჩნდა და სულაც ვერ გრძნობდა სარკაზმს იფქირან ბეის სიტყვებში.

— შენ, ალბათ, არ გახსოვს, მაგრამ იყო დრო, როცა ჩვენს ფეხბურთელებს კოჭებამდე ტრუსები ეცვათ, მხოლოდ დუნდარ ბეიმ შესძლო ეს ტრუსები შვიდნახევარი სანტიმეტრით დაემოკლებინათ. იმდენი მოახერხა, რომ ფიზიკური აღზრდის სამმართველოს გენერალურ დირექტორთან შევიდა და უთხრა: „როცა ფეხბურთელი შეტევაზეა ან ბურთისთვის იბრძვის, გრძელი ტრუსები ხელს უშლის მათ, შეიძლება ჩასძვრეს კიდეც, შიშველ ადგილს ხომ ვერ ვაჩვენებთ მაყურებელს?“ გენერალურმა დირექტორმაც სათანადო ბრძანება გასცა. ასე რომ, დუნდარ დუბარა ბეი ჩვენი სპორტის ზნეობრივი სიწმინდისათვის თავგამოდებული კაცია.

ეროლ იფქირან ბეი რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა „თოზქოფარანზე“ საითს მით უფრო მოსწონდა ეს გუნდი. მართალია, მას არც ერთი თამაში არ უნახავს, მაგრამ მაინც ამ გუნდის თავგამოდებულ ქომაგად მიიჩნია თავი. მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა „თოზქოფარანისათვის“. საითი ჯერ კიდევ ლიცეუმში იყო ცნობილი თავისი გულუხვობით და ნუთუ ახლა ვერაფერს განდება და თავისი ქონებით „თოზქოფარანის“ ახლობელ ადამიანად არ მიიჩნევენ?

— კაცმა რომ თქვას, ვერავინ გაიგებს, „თოზქოფარანია“ დუნდარ ბეისგან დავალებული, თუ დუნდარ ბეი „თოზქოფარანისაგან“. დუნდარ დუბარას ყოველთვის შეუძლია პრესაში საქმე ჩააწყოს. თუ თავისი კლუბის პრეზიდენტის გადმოყირავება მოინდომა, ამას ძალიან უბრალოდ აკეთებს: გაზეთში გამოჩნდება ასეთი კითხვა: „რაში დაიხარჯა ასი ათასი ლირა?“ და იწყება ერთი ალიაქოთი. სპორტული წრეები, პრესა მოითხოვენ, რომ შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელიც შეისწავლის, თუ რამდენად სწორად ხარჯავს კლუბი ფულს. გაიძახიან, რატომ არის, რა საჭიროა რომ თერთმეტკაციან გუნდს უცხოეთში კლუბის ხელმძღვანელებიდან ორმოცდათერთმეტი კაცი მიჰყვებაო. ერთი სიტყვით, ასი ათასი ლირა სად გაქრაო. არის ერთი აურზაური და წიოკობა. სინამდვილეში ფული თავის ადგილზეა, არავის არაფერი დაუშავებია; მაგრამ ამ აურზაურს საპატიო პრეზიდენტი მაინც ეწირება. დუნდარ ბეი კი ამასობაში თავის კაცს წამოჭიმავს პრეზიდენტად. ეს კაცი კი ყოვლად პატიოსანი პიროვნება უნდა იყოს.

საითი უსმენდა ამ გულახდილ ლაპარაკს და უკვირდა, როგორ შეიძლება კაცთან მეგობრობდე და ასე აძაგებდე? მაგრამ იფქირან ბეის არაფრად ენაღვლებოდა კლუბის გენერალური დირექტორი, მას სულ სხვა რამ აწუხებდა.

— იფქირან ბეი, — ფიქრი გააწყვეტინა საითმა, — დუნდარ დუბარა ბეიმ ერთხელ თქვა, რომ აჰმედი თქვენი მეოხებით გახდა ცნობილი კაცი. მითხარით, როგორ მოახერხეთ ეს?

— ეჰ, განა მხოლოდ აჰმედი გავხადე პოპულარული, [illegible] რაჰდენია, ახლა თურქეთში ისეთ კაცს ვერ იპოვი, აჰმედ „კედელას“ რომ არ იცნობდეს.

— დეიდაჩემმა და მადამ ანჟელამაც კი იციან, თუ ვინ არის აჰმედი. იმათ კი სტადიონზე ქუდი რომ შეუგდო, მაინც არ შევლენ. — საითმა ლამის ისიცა თქვა, ისე როგორც მეო, მაგრამ ენას დროზე დააჭირა კბილი. — ერთხელ დეიდაჩემს ვკითხე, აჰმედს საიდან იცნობ-მეთქი, და იცით, რა მიპასუხა? „გაზეთები იმდენს წერენ მასზე, ძალიანაც რომ არ გინდოდეს, მაინც გაიცნობო. ერთხელ რომ გამოტოვო და არ წაიკითხო, მეორედ ვერსად გაექცევი, გინდა თუ არა, წაიკითხავ. მის სურათებს გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ. ზუსტად ისევე, როგორც პრემიერ მინისტრის სურათებს“.

— თავის ქება აუგიაო, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, ფეხბურთელების დიდება ჩვენს ხელთაა. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ცაზე ფეხბურთელის ვარსკვლავი ავაკიაფოთ.

საითს იმედი მიეცა: „მაშ, იფქირან ბეის შეუძლია მთელ ქვეყანაში ცნობილი კაცი გამხადოს, ცოტას იფქირან ბეი წამეხმარება, ცოტას დუბარა ბეი, მერე კიდევ რეფიქი და ფეხბურთელიც გავხდები“. საითს მუდამ სჯეროდა რეფიქისა. ყველა იმას გაიძახის, სად შენ და სად ფეხბურთი! მხოლოდ რეფიქმა თქვა დარწმუნებით, ფეხბურთელი გახდები, რატომაც არ გახდებიო.

— ერთხელ, — დაიწყო ეროლ იფქირანმა, — დუნდარ ბეი თურქეთის ქალაქებში გაემგზავრა, იქნებ ვინმე ხეირიანი ფეხბურთელი შევარჩიო. მაშინ აჰმედ კედელას უბრალოდ აჰმედი ერქვა და ერთ პროვინციულ, მესამე ლიგის გუნდში თამაშობდა. „თოზქოფარანის“ ხელმძღვანელობას მოეწონა აჰმედის გამძლეობა, უხეში თამაში და ძლიერი დარტყმა, გუნდი კი უკვე დაკომპლექტებული იყო და აჰმედს რას უზამდნენ? მაგრამ დუნდარ ბეიმ მოახერხა და აჰმედი მეორე ლიგის გუნდში გადმოაყვანინა. ერთი თუ ორი წლის შემდეგ აჰმედი პირველ ლიგაში აღმოჩნდა, ახლა იგი ჩინებულად თამაშობდა და დუნდარ ბეი მუდამ იმას გაიძახოდა, ხომ გეუბნებოდით, რომ ამ ბიჭისგან ფეხბურთელი დადგება-მეთქი. დუნდარსაც არ უნდა დაუკარგო თავისი და თქვა — თუ მაგან ვინმეს თვალი დაადგა, უსათუოდ მოიყვანს

„თოზქოფარანში“, მაგრამ აჰმედის გადმოყვანა გაუჭირდა. არაფერით არ უშვებდა თავისი გუნდი, კლუბის ხელმძღვანელობას ასი ათასი ლირა შეაძლია, მაინც უარი სტკიცეს, მაშინ დუნდარ ბეი ჩემთან მოვარდა და მეუბნება: „შენ მიუდგომელი კაცი ხარ, თანაც „თოზქოფარანს“ ქომაგობ, მეგობრულად ერთი კაცური საქმე გამიკეთე“... ამის მერე აჰმედის გუნდის არც ერთ თამაშს არ ვაკლდებოდი, თამაშის მერე კი ვწერდი, რომ აჰმედზე უარესი ფეხბურთელი თურქეთში არ მეგულება-მეთქი. ალბათ, მიმიხვდი, რომ ამით ქომაგთა თვალში აჰმედის ავტორიტეტი დაეცა, ხოლო თავად აჰმედმა კი წონასწორობა დაკარგა, მაგრამ „თოზქოფარანში“ მაინც არ გადმოვიდა. და აი, ამ დროს დუნდარ დუბარა ბეიმ სვავი სევიმი ჩარია საქმეში. სევიმი კი ისეთია, თუ რამე მოინდომა, ნაღდად გააკეთებს. ასე რომ, აჰმედს ერთი მხრივ გაზეთები აძაგებდნენ, მეორე მხრივ კი სევიმი აცლიდა არაქათს. ამ დროს აჰმედის გუნდი „თოზქოფარანს“ შეხვდა. აჰმედი ისე იყო გასავათებული, რომ მოედანზე ფეხიც ვერ გაანძრია. თამაშის მერე ხმა დაირხა, ფული აიღო და ამიტომ არ ითამაშა წესიერადო. ალბათ, იმასაც მიმიხვდი, რომ ეს ხმა ჩვენ დავაგდეთ, ამიტომ სხვას არ გადავაბრალებ. ამის მერე იმ გუნდს მეტი აღარაფერი დარჩენოდა და აჰმედს დაემშვიდობა. ეს ამბავი „თოზქოფარანს“ 150 ათასი ლირა დაუჯდა. თუ აქამდე აჰმედის სახელის გატეხვას ვცდილობდით, ახლა პირიქით დაიწყო — გაზეთში დავბეჭდე წერილი სათაურით: „სად უნდა ითამაშოს აჰმედმა?“ ერთი ალიაქოთი ატყდა, აუარებელი წერილი მივიღეთ. ერთნი სწერდნენ, მაგის ადგილი დაცვის ხაზზეაო, მეორენი ამტკიცებდნენ, ნაღდი თავდამსხმელიაო, ზოგი ამბობდა, მარჯვენა გარემარბი უნდა იყოსო, ზოგი კი — მარცხენაო. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა ჩვენი მოქალაქეებისათვის, რომ დისკუსია გაზეთის ბოლო გვერდებიდან პირველ გვერდზე გადმოვიტანეთ. სწორედ ამ დროს ჩვენს სახელმწიფოს, როგორც შიგნით, ისე გარეთ, მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, ჩვენი მთავრობა რიგით კრიზისს განიცდიდა. პრემიერ-მინისტრი ყოველდღე სიტყვით მიმართავდა ხალხს და ყველას ბრალს სდებდა, კომუნისტურ პარტიას უჭერთ მხარსაო. ამაზე პოლიციამ ხალხის დაპატიმრებას მოუხშირა. ერთი სიტყვით, მთავრობა ცუდ დღეში იყო, მე ეს ამბავი არაფრად მენაღვლებოდა და ერთსა და იმავეს გავიძახოდი: „სად უნდა ითამაშოს აჰმედმა?“ კამათმა ისეთი ფართო ხასიათი მიიღო და ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ ქალებიც კი ჩაერივნენ საქმეში. ქალები გაიძახოდნენ, ზედ შუაში ურტყას, იქიდან დარტყმა

ოლად ხვდება მიზანშეო. და აი, ერთ მშვენიერ დღეს გაზეთის რედაქციას თვით პრემიერ-მინისტრი ეწვია, ჩემი ნახვა მოისურვა და გაზეთის მფლობელისა და კოლეგების თვალწინ გამომიცხადა: „მოგილოცავთ. თქვენ დიდი ჟურნალისტი ხართ, თქვენ ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეთ სამშობლოს და მთავრობას“. გადამეხვია და გადამკოცნა. მერე თურმე ჩემს შეფს გულახდილად უთხრა: „ღმერთი იყოს იფქირანის შემწე, სწორედ რომ სულზე მოგვისწრო ამ თავისი აჰმედით“. ისიც უნდა ითქვას, რომ რედაქციაში ზოგიერთი სულმოკლე კაცის წერილიც მოდიოდა: რა დროს ვიღაც აჰმედზე ლაპარაკია, ხალხს შიმშილით სული ძვრება, ქვეყანაში უმუშევრობაა გაბატონებული, თქვენ და თქვენი მთავრობა კი ამ ვიღაც ოხერ აჰმედას გადაყევითო. ჩვენ ამგვარი წერილები, რასაკვირველია, პოლიციას გადავუგზავნეთ, რადგან ამნაირ ავტორებთან საქმის დაჭერა სწორედ რომ მათი საქმეა. ამით სამშობლოს წინაშეც მოვიხადეთ ვალი. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ჩემს მიერ ატეხილი აჟიოტაჟი ბოლოს ყველას ისე მობეზრდა, რომ ერთხმად იყვირეს, „ოღონდ თავი დაგვანებეთ და სადაც უნდა, იქ ითამაშოს“. აი, მაშინ ვკითხეთ აჰმედს, სად გირჩევნია თამაში-თქო. თავდაცვაშეო. რა გვენაღვლებოდა, თავდაცვაში ეთამაშნა, რა?!.. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ. მთელს სახელმწიფოში არ იყო კაცი, რომ აჰმედის ვინაობა არ სცოდნოდა. აი, რისი გაკეთება შეუძლია გაზეთის რეპორტიორს, აი, საიდან იწყება აჰმედის დიდება, — დაამთავრა იფქირან ბეიმ და თითქოს ვინმეს უნდა წამოეწიოსო, უმალ განაგრძო: — პირველი მატჩი „თოზქოფარანს“ დასავლეთ გერმანიაში ჰქონდა. უცხოეთში ყოველი თამაშისას მთავარია, ფეხბურთელები ღამ-ღამობით ღუქნებსა და ქალებში სირბილს არ გადაჰყვნენ. იმისათვის, რომ აჰმედი კარგ სპორტულ ფორმაში ჰყოლოდა და იგი მართლა გუნდის ხერხემალი ყოფილიყო, დუნდარ დუბარა ბეიმ სევიმს შესთავაზა, დასავლეთ გერმანიაში გამომყევიო. დუბარა ბეიმ სწორად იანგარიშა — სევიმი თამაშამდე არც თვითონ გაეკარება აჰმედს და არც სხვებთან გაუშვებსო. დასავლეთ გერმანიაში მეც გავემგზავრე როგორც სპორტული კომენტატორი. კარგად მახსოვს — თამაში რომ დაიწყო, აჰმედს მუხლები ეკვეთებოდა, გეგონებოდათ, მთელი კვირა არ უძინიაო, ისე იყო არაქათგამოცლილი. მძინარე ბუზივით დაღოღავდა მოედანზე, ამიტომაც პირველ ტაიმში ხუთი ბურთი გაგვიტანეს, მოგებაზე აღარავინ ფიქრობდა. ახლა ჩვენი საზრუნავი ის გახდა, რომ ასეთი მშრალი ანგარიშით არ წაგვეგო. უცებ გამოცოცხლდა ჩვენი აჰმედი და ისე

ლამაზად დაარტყა და ისეთი მშვენიერი ბურთი გაიტანა, რომ ევროპელებმაც კი ხახა დააფჩინეს.

— ყოჩაღ, აჰმედ კედელა! — იყვირა საითმა, — მაშ, ერთი ბურთიც მაინც გაქვითა, არა?

— რა გაქვითა — ჩვენს კარში გაიტანა! ყველაფერი გერმანელი ფეხბურთელის ბრალი იყო, იმან აჰმედს მოარტყა ბურთი, აჰმედი უცებ გამოცოცხლდა, მაგრამ ვერ გაარკვია, რომელ მხარეს ვისი კარი იყო და ამიტომაც, რომელი კარიც ახლოს მოეჩვენა, იქით დაარტყა და გაგვიტანა კიდეც. ამ გოლმა მთელი დასავლური პრესა აალაპარაკა.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვის კარში გაიტანა, ხომ გაიტანა. აი, ეს არის მთავარი, ღმერთმა ჯამრთელობა მისცეს აჰმედს! — იყვირა საითმა.

— მნიშვნელობა როგორ არა აქვს, ძმობილო, ჩვენ ხომ მშრალი ანგარიშით 6:0 წავაგეთ. პირველი ტაიმის მერე დუნდარ ბეიმ აჰმედს უთხრა: „შენ, შვილო, ბურთს ფეხს ნუ დაარტყამ, დაგვანებე თავი, იქნებ, იმდენი მაინც მოახერხო, რომ გარე-გარე ირბინო“, მაგრამ აჰმედი არაფერ ბრალში იყო, ყველაფერი სევიმმა გაგვიფუჭა.

— სევიმმა რა დააშავა? — გულუბრყვილოდ იკითხა საითმა.

იფქირან ბეი ახლალა მიხვდა, რომ სევიმზე ზედმეტი წამოროშა, — რაც არ უნდა იყოს, სევიმი საითის საცოლეა. ამიტომ შეეცადა უმალ გამოესწორებინა თავისი შეცდომა:

— შენ გლახა არაფერი იფიქრო, ძმაკაც, სევიმისნაირი გოგოები სად არიან, ცუდი არაფერი მოხდარა. თურმე მთელი ღამე — გათენებამდე, აჰმედი არ დააძინა და ჩასჩიჩინებდა: აჰმედ, არ დაგავიწყდეს, შენ უკან შენი სამშობლოა, 32 მილიონი ადამიანის გული ახლა ხვალინდელი დღის მოლოდინში ძგერს. ზოგჯერ ხდება, რომ ფეხბურთელი ვარჯიშში გადაიღლება ხოლმე, ასე მოუვიდა სევიმსაც — მას უნდოდა აჰმედი შთაეგონებინა, მეტისმეტი კი მოუვიდა, სამაგიეროდ, მეორე ტაიმში აჰმედმა მაინც გვიშველა. იმ გერმანელ ფეხბურთელზე გაბრაზებული, ვინც ბურთი მოარტყა, ყველა ფეხბურთელს გამოენთებოდა ხოლმე, იმათ კი ეშინოდათ აჰმედისა და გარბოდნენ. ამიტომ მეორე ტაიმში ვერც ერთი ბურთი ვერ გაგვიტანეს. თამაშის მერე დუბარა ბეიმ შემომჩივლა: „მოვტყუვდით, იფქირან, მეტისმეტად ბევრი ფული გადავიხადეთ ამ ყეყეჩის შესაძენად, ეგ აჰმედი ერთი ყურუშიც კი არა ღირს“. მე დავამშვიდე, ეგ ბიჭი ივარგებს, ხომ ხედავ, მეორე ტაიმში ისე დააფრთხო ხალხი, ბურთი ვერ გაგვიტანეს-თქო. ამაზე დუნდარ დუბარა ბეიმ მითხრა: „შენ გარდა არც ერთ თურქ ჟურნალისტს

ეგ თამაში არ უნახავს. ამიტომ შენ უნდა დაწერო, აჰმედი ძალიან კარგად თამაშობდა, კედელივით იდგა დამცველებს შორის-თქო". სწორედ ამ მატჩის მერე დავარქვი აჰმედს „კედელა". რეპორტაჟში კი ასე დავწერე: „მიუხედავად იმისა, რომ „თოზქოფარანმა" წააგო ანგარიშით 0:6, გუნდმა თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა საკუთარი რწმენა, აჰმედი კი კედელივით ედგა თავის კარს".

იცი, რას გეტყვი, ძმობილო? ამ ამბის მერე აჰმედმა თამაშს უმატა. გაცილებით უკეთ თამაშობდა. ერთადერთი ნაკლი აქვს — მისი სპორტული ფორმა ძალზე არასტაბილურია. ამის გამო რაებს არ სჩადის ხოლმე, ეს რომ არ უშლიდეს ხელს, ექსტრა კლასის მოთამაშე იქნებოდა. გარბენი კარგი აქვს, უხეშობა არ აკლია, „თოზქოფარანი" რომ „ჰაჯეთბაბას" ხვდება, ფეხბურთის მოედანი ბრძოლის ველს ემსგავსება. აი, სად არის ძლიერი აჰმედ „კედელა"! არავის ინდობს — არც ფეხბურთელებს და არც — მსაჯებს. ცხადია, ამას დისციპლინარული სასჯელი მოსდევს და აჰმედს მოედანზე გამოსვლას უკრძალავენ, მაგრამ დუნდარ ბეი ენაამოვარდნილი მოირბენს ხოლმე და მეხვეწება: „ალაჰის გულისათვის, მიშველე რამე". ამას მოჰყვება ჩემი ცნობა გაზეთში: „ერთდროულად ორმა გუნდმა — იტალიის ქალაქ პალერმოსა და ესპანეთის ნაკრებმა აჰმედ „კედელას" შესთავაზეს უზარმაზარი თანხა და სთხოვეს, ჩვენს გუნდში გადმოდიო. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში აჰმედ „კედელამ" განაცხადა, რომ განზრახული აქვს იტალიაში გაემგზავროს. ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარი ღერძის წასვლა აუნაზღაურებელი დანაკლისია. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, „თოზქოფარანი" მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს, ოღონდ „კედელამ" არ დასტოვოს თურქეთი". ამგვარი სტატიის მერე აჰმედს უმალ აძლევენ თამაშის ნებას.

ამ დროს საითის სახლში დუნდარ ბეიც მობრძანდა.

— მეგობრებო, გთხოვთ მაპატიოთ ასეთი დაგვიანება, სასწრაფო საქმეები მქონდა და ვერაფრით ვერ დავაღწიე თავი. თქვენთვის ცნობილია, რომ ამ სეზონში რუმინეთში უნდა ვითამაშოთ. ამიტომ გამალებული ვემზადებით.

მადამ ანჟელამ ჩაი შემოიტანა. იგი ძალიან გახარებული იყო, რომ ასეთ ძვირფას სტუმრებს მოემსახურა:

— რატომ აჰმედ „კედელა" არ მოვიდა? — იკითხა მან.

საითს ძალიან გაეხარდა აჰმედ „კედელას" ხსენება, რახან აჰმედზე ჩამოვარდა სიტყვა, სევიმზეც იტყვიან რამესაო.

— რა საწყენია, რომ აჰმედ „კედელაც“ არ მოიყვანეს თან, ძალიან მოხარული ვიქნებოდით, — თქვა მან.

— კინაღამ დამავიწყდა, — „გაიხსენა“ დუნდარ დუბარა ბეიმ, ხვალ ჰასიფ ბეი სადილს მართავს და ძალიან მთხოვა თქვენც ეწვიოთ. უსათუოდ გელოდებათ.

— მე მელოდება? — იკითხა საითმა და სიხარულისგან ლამის სუნთქვა შეეკრა.

— რასაკვირველია, თქვენ. აჰმედიც იქნება, იფქირან ბეიც გვეწვევა, სადილი კაზინოში გაიმართება.

საითს ერთი სული ჰქონდა გაეგო, იქნებოდა თუ არა სადილზე სევიმი, მაგრამ საკუთარი თავი არ გავცეო, შორიდან დაიწყო.

— ჰასიფ ბეის ფრიად ლარსეული მეუღლე მეჰჯურე ხანუმი თუ გაგვაბედნიერებს თავისი სტუმრობით?

— რასაკვირველია, მეჰჯურე ხანუმიც იქნება, სევიმ ხანუმიც მოვა, იმედი მაქვს, ხვალ საღამოს დაკავებული არა ხართ. ხოლო თუ თქვენ ხვალ ვერ შესძლებთ, ჰასიფ ბეი მზად არის სადილი სხვა დროს გამართოს.

— თავისუფალი ვარ, რასაკვირველია, თავისუფალი ვარ! აბა, სხვა რა საქმე უნდა მქონდეს, ჩემო ძვირფასებო.

ყველაფერი რიგზე იყო და დუნდარ დუბარა ბეიმ სიტყვა „თოზქოფარანზე“ ჩამოაგდო.

— თურქეთში ჩვენს გუნდს ასი ათასობით გულშემატკივარი ჰყავს. „თოზქოფარანი“ ხომ უძველესი საკლუბო გუნდია. ბევრი ცნობილი ადამიანი იყო კლუბის საპატიო წევრი. კლუბის წევრი რომ გახდე სულაც არ არის აუცილებელი, სპორტისა რამე გაგეგებოდეს, საკმარისია გიყვარდეს „თოზქოფარანი“ და მთელი გულით და სულით მას ეკუთვნოდე. მართალია, ჩვენი გუნდი პროფესიონალთაგან შედგება, მაგრამ მის წევრებს შორის მოყვარულთა სულისკვეთება სუფევს. ამის მეოხებით ვცოცხლობთ. ამ ბოლო დროს გუნდს ცოტა გაუჭირდა, — რამდენიმე ფეხბურთელი ძვირი დაგვიჯდა, მაგრამ გუნდის ჭეშმარიტ მოყვარულთა და დამფასებელთა წყალობით ეს ფინანსური დაბრკოლებაც გადალახული იქნება.

საითი სუნთქვაშეკრული უსმენდა. ამ დროს დუნდარ დუბარა ბეიმ სწორედ ისა თქვა, რასაც საითი ელოდა.

— საით ბეი, თუ თქვენ სურვილი გექნებათ, ყოველთვის შეგიძლიათ „თოზქოფარანის“ საპატიო წევრი გახდეთ.

— ნუთუ ამ დიდი პატივის ღირსად მცნობთ? — აცახცახებულ ხმით იკითხა საითმა.

რა არის ფსიქოანალიზი?

საითი ბედნიერი კაცი იყო. დილით რეფიქთან წავა, იქიდან სადილად ეწვევა ფერფერიკებს და კვლავ ნახავს სევიმს: არასოდეს, აწი აღარასოდეს აღარ ანერვიულებს სევიმს.

რეფიქის ცოლმა გულთბილად მიიღო სტუმარი. საითი გაოცებული და გახარებულიც კი იყო, როცა ნახა, რომ მის მეგობარს ოჯახი ჩინებულად მოუწყვია. მას კარგად ახსოვდა, თუ როგორ ხელმოკლეობაში გაატარა რეფიქმა სიყმაწვილე. საითმა ჯერაც არ იცოდა, რომ რეფიქი ცნობილი ფსიქიატრი გახდა, უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ამერიკაში სახელი მოიხვეჭა, როგორც ფსიქოთერაპიის საუკეთესო სპეციალისტმა.

საუბრისას რეფიქი შეუმჩნევლად ადევნებდა თვალს საითის ყოველ მოძრაობას. გამოცდილ ექიმს არ გამოეპარა ის, რომ საითი ფსიქიურად დაავადებული კაცი იყო და მისი მკურნალობა დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო. ყავის სმა რომ მოათავეს, ექიმის კაბინეტში გავიდნენ, საითი იმედის თვალით შესცქეროდა მეგობარს. ვისაც არ უთხრა, ფეხბურთელი უნდა გავხდეო, ყველა დასცინოდა, „შენ და ფეხბურთი!“ „შენ ბურთს როგორ უნდა სდიო, შე ოთხთვალა, შენა!“ „სიბერეში ბურთის თამაშს რომელი ჭკუათამყოფელი იწყებს?“ გაიძახოდნენ ისინი და სიცილით იჭაჭებოდნენ. მხოლოდ რეფიქი მოეკიდა სერიოზულად საითის განზრახვას. რაც უფრო მეტს იცინოდნენ საითის ნაცნობ-მეგობრები საითის ამ გადაწყვეტილებაზე, მით უფრო უძლიერდებოდა მიზნის, თავისი უძლურებისა და მორიდებულობის დაძლევის წყურვილი. უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და ისევე შეეძლო ყველაფრის კეთება, როგორც სხვებს.

ალბათ, ამიტომაც იყო — საითი რეფიქის მხარდაჭერას, რჩევას და დახმარებას ელოდა — იგი ხომ ლიცეუმში სწავლის წლებშიც ეხმარებოდა საითს.

— შენ როგორ გგონია, ვითომ შევძლებ ფეხბურთის თამაშს?

— რასაკვირველია, შესძლებ.

— მე რომ ასეთი გამხდარი და სუსტი ვარ, ალბათ, ბურთსაც ვერ წამოვეწევი.

— მე, როგორც ექიმი, გეუბნები, წამოეწევი კიდეც და დაარტყამ კიდეც.

— არა, ვერ შევძლებ, მზიან ამინდშიც კი ვერაფერს ვხედავ.

— ამაზე ნუ ვიკამათებთ, ერთს კი გეტყვი: თუ მოიწადინებ, უსათუოდ ჩინებული ფეხბურთელი გახდები, რასაკვირველია, ეს იოლად არ მოხდება. მთავარია მონდომება. ახლა შენ ფიზიკურად უძლური ხარ, მაგრამ გიმკურნალებ, მომაგრდები, თვალში სინათლე მოგემატება, ყველაფერი იქნება, მხოლოდ ეს არის, რომ საკუთარი თავის უნდა გჯეროდეს. — რეფიქი ლაპარაკობდა და თან დაჟინებით ცდილობდა გაეგო მეგობრის სულიერი მდგომარეობა. ცდილობდა გაეგო, თუ რომელი ცენტრები დააზიანა ავადმყოფობამ. მას არ სურდა და არც შეეძლო ისე დაეკითხა საითი, როგორც სხვა სულით ავადმყოფებს ესაუბრებოდა ხოლმე. ჰიპნოზირება რომ დაეწყო? მაგრამ ჰიპნოზით მკურნალობისათვის საჭიროა, ავადმყოფმა თვითონ იცოდეს თავისი სენის შესახებ... დაე, საითის ეგონოს, რომ მას მხოლოდ სიბეცე სჭირს და სწორედ ამას მკურნალობენ.

სიტყვა ფსიქოთერაპიაზე ჩამოვარდა. რეფიქმა ჰიპნოზის შესახებ უამბო, საითი ინტერესით უსმენდა და არც სჯეროდა, რომ შეიძლება ადამიანი შეგონებებით დააძინო.

— რა საინტერესოა, არა... მე შენ... ვერ დამაძინებ... ძილის წამალიც ვერაფერს მაკლებს... შენ კი გინდა სიტყვებით, ან თუნდაც, გამოხედვით დამაძინო... მაგით ბითური ხალხი მოატყუე, ჩემთან არ გაგივა...

— მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ხალხი არ ემორჩილება ჰიპნოზს, — უპასუხა რეფიქმა. ვიდრე რეფიქი ფიქრობდა, როგორ მოვიქცეო, საითმა მთქნარება დაიწყო. ექიმის მეგობრულმა ტონმა, ყვავილებმა, მჭრქალმა შუქმა და, საერთოდ, კაბინეტის მოწყობილობამ (ეს კაბინეტი ბავშვის ოთახს უფრო ჰგავდა), საითი ძილის ბურანში გახვია. საითს მთელი ღამე ფეხბურთის მოედანი ესიზმრებოდა, ყოველ წუთს ბურთი გაჰქონდა კარში, ახლა კი ყველაფერი დაავიწყდა, დამშვიდდა. ტახტის საზურგეს მიეყრდნო და ქუთუთოები დაუმძიმდა.

რეფიქთან პაციენტი მოვიდა, რეფიქმა საითს ბოდიში მოუხადა და ოთახიდან გავიდა. მას ჰიპნოზის სეანსი უნდა ჩაეტარებინა.

— თქვენ ახლა დაიძინებთ, — ამბობდა ექიმი, — დაიძინებთ... დაიძინებთ... დაიძინებთ... მე თვლას ვიწყებ, თქვენ კი მხოლოდ ერთი და იგივე ფრაზა გაიმეორეთ, ყველაფერი კარგად მიდის, ყველაფერი ტიგ-ზეა... ერთი, ორი... სამი...

უცებ ხვრინვა გაისმა. რეფიქმა პაციენტს შეხედა, პაციენტმა კი ექიმს. ვიღაცა მეზობელ ოთახში ხვრინავდა. ეს თურმე საითს ჩასძინებოდა. რეფიქმა ავადმყოფი გაისტუმრა და კაბინეტში შებრუნდა. მძინარი საითის წინ სავარძელში ჩაჯდა და სხვადასხვაგვარ კითხვას აძლევდა. მძინარე საითიც პასუხობდა. ადამიანს ეგონებოდა, ორი ძველი მეგობარი ტკბილად ბაასობსო.

საითი ბავშვობას იგონებდა — მას უყვარდა ბავშვობის მოგონება.

სარიოღლუთა სასახლე ერთ დროს ხალხმრავალი იყო, ამ სასახლეს უამრავი ოთახი ჰქონდა და ყოველ ოთახში შესული ქალ-ვაჟის წყვილი გარეშე თვალს არც ერიდებოდა, ისე სჩადიოდა ცოდვას. სახლის თითქმის ყოველ კუთხეში გარყვნილება დაბუდებულიყო. საითი რომ წამოიზარდა, რცხვენოდა იმისა, რაც სახლში ხდებოდა, მაგრამ ოთახების საკლიტურში მაინც შეიჭყიტებოდა ხოლმე. ყველაზე მეტად საკუთარი დედის ქცევა აცოფებდა. თავისი ასაკისათვის მან ბევრი რამ იცოდა და ასეთ გარემოცვაში აღზრდილი, გულჩათხრობილი, მორიდებული, ერთი სიტყვით, ავადმყოფი კაცი დადგა.

მან რეფიქს თავისი პარიზული თავგადასავლებიც უამბო. რასაკვირველია, მადლენზე ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ არ ვიმჩნევდიო. ოჰ, როგორ უნდოდა თუნდაც ერთხელ, თავის ცხოვრებაში ერთხელ მიკარებოდა ქალს. თითქმის იგივე ხდება ახლა, როცა სევიმს გადაეყარა. რასაკვირველია, მან კარგად იცის, რომ სევიმი ატყუებს, იგი არ არის სევიმის ბავშვის მამა, მაგრამ ყველაფერს ითმენს, ცდილობს ყურადღება არ მიაქციოს დაცინვას, ყეყეჩად მოაქვს თავი, რადგან ძალიან უნდა მამა გახდეს, თუნდაც ერთხელ გახდეს მამა.

საითს საღამო ხანს გამოეღვიძა. ტკბილად დაამთქნარა, გაიზმორა, მიმოიხედა, ეს სადა ვარო, რეფიქი რომ დაინახა, იკითხა:

— მეძინა?

— გეძინა, — ექიმმა საათს დახედა, — მთელი ორსაათნახევარი გეძინა.

საითი აფორიაქდა.

— ნუთუ დამაგვიანდა?

— სად მიდიოდი?

— ჰასიფ ბეიმ სადილზე მიმიწვია.

— ჯერ ადრეა, მოასწრებ.

— როდისღა უნდა გამსინჯო?

— მე შენ თითქმის აღარ მჭირდები, თუ უბრალოდ გამოგელაპარაკ-
ი იქნება, ვიმუსაიფოთ, ლიცეუმი გავიხსენოთ...

— აკი გიმკურნალებო?

— ეგ ამბავი ნუ გეფიქრება, შენ სხვა ექიმი გიმკურნალებს, ჩემს
კარგ ამხანაგთან მიგიყვან. სწორედ ის გიმკურნალებს.

საითმა მადლობა გადაუხადა და წასვლისას კიდევ ერთხელ ჰკითხა:

— მაშ, შენ გგონია, რომ შეიძლება ფეხბურთელი გავხდე?

— თუ ძალიან მოინდომებ, შესძლებ. აი, ჩემს ამხანაგთან მიგიყვან,
ის გაგსინჯავს და ვნახოთ, რას იტყვის.

საითმა ეშმაკურად გაიცინა.

— ტყუილად დაკარგე დრო იმ ამერიკაში, შენმა ხელოვნებამ ვერ
გასჭრა, მე ჩემით ჩამეძინა, აბა, დროებით!

— ნახვამდის!

საითი რომ წავიდა, რეფიქი დიდხანს ფიქრობდა მასზე, უცნაური
კაცია ეს საითი — ვერ გაიგებ ხუმრობს, თუ სერიოზულად ლაპარა-
კობს. რაღაც ყეყეჩურად ბოდავს ამ ფეხბურთზე. თან ფეხბურთელობა
სწადია, თან საკუთარ თავსა და სხვებსაც არწმუნებს, ვერ შევძლებო.
ბავშვობის მოგონება კი საშინელებაა, რამდენი სიბინძურე ძლებს ადა-
მიანის სულში. იქნებ, ბოლოდ თავი მოიმძინარა, რათა სხვისთვის
გაეზიარებინა ის, რაც გულზე ლოდად აწევს? რასაკვირველია, საითი
არ არის ჯანმრთელი კაცი.

ამასობაში სასიძო მანქანაში ჩაჯდა და სახლში გაქანდა. ფერფერი-
კებთან სტუმრად წასვლა ჯერაც ადრე იყო, აბაზანა მიიღო და ისე
იგრძნო თავი, თითქოს ხელახლა იშვაო. დიდი ხანია ასეთ ჩინებულ
ხასიათზე არ ყოფილა. დეიდასა და მადამ ანჟელას თავაზიანად აკოცა
და მხიარულად, სტვენა-სტვენით გამოვიდა სახლიდან.

ბერინ ხანუმ ეფენდი ძველი ადათების ქალი იყო და ამგვარ რა-
მეებს ვერ იტანდა, ამიტომ საითის კოცნა მისი არანორმალური მდგო-
მარეობის კიდევ ერთ დადასტურებად მიიჩნია.

ფერფერიკები და სხვა დაინტერესებული პირები დიდხანს ბჭობდნენ იმაზე, თუ სად სჯობდა სადილის გამართვა — მეჰჯურე ხანუმს [illegible] და, სწორედ შინ უნდა ვისადილოთო. არა, იგი ძუნწი არ იყო, [illegible] ბობდა... რახან საითს ჩვენი სიძეობა განუზრახავს, თავადაც ნედავთ, სევიმისთვის როგორ ლევს სულს, ჩვენს სახლში ჯდომა უფრო ესიამოვნებაო. აჰმედს კი გემრიელი ქეიფი ეწადა და კაზინოში წავიდეთო, გაიძახოდა. იქ კარგადაც უკრავენ და თურქულ სიმღერებსაც მღერიანო. სევიმი ამტკიცებდა, ევროპული რესტორანი აჯობებს ყველას, იქ ჯობიაო. თან დასძენდა: მე ჩემი საქმროს გემოვნება ვიცი, იმიტომ მინდა რესტორანში წასვლა, თორემ თვითონ, მოგეხსენებათ, ეგ ამბავი დიდად არ მეპიტნავებაო. ჰასიფ ბეის ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი აზრი არ გააჩნდა და კამათში მონაწილეობა არ მიუღია.

— ეგ საქმე მე მომანდეთ, — დამრიგებლური ტონით თქვა დუნდარ დუბარა ბეიმ, რომელიც ნაჩვევი იყო ხელმძღვანელობას, — ეგ სადილი უმიზნო ჭამა-სმისთვის ხომ არ იმართება. ჩვენ უნდა შევარიგოთ სევიმი და საითი. ამიტომ საჭიროა ორი რამ. პირველი: უნდა შეისვას ძალიან ბევრი ღვინო და რაქი; მეორე: საითს ისე უნდა ვასვათ, რომ ლაპარაკის საღერღელი აეშალოს. ბოლოს და ბოლოს უნდა გავარკვიოთ მისი ჭეშმარიტი ზრახვები. ხოლო რაქის სმა სასიამოვნოა მაშინ, როცა ჯაზი უკრავს.

ასე რომ, კაზინოში წასვლა გადაწყდა.

დილით საითმა ყვავილების კალათა გამოაგზავნა. საღამოს კი ფერფერიკთა ოჯახის ყოველი წევრისათვის საჩუქრით ხელდამშვებული მოვიდა.

— ეგ ჩვენი სასიძო სულაც არ არის ძუნწი, — თქვა ყურადღებიანმა მეჰჯურე ხანუმმა.

საითს ძალზე დაბნეული და მონანიე კაცის გამომეტყველება ჰქონდა — საცოლესთან ხელის საკოცნელად რომ მივიდა, თავის აწევაც ვერ გაბედა, სევიმის სახეში შეხედვისა შეეშინდა. სევიმს კი ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დიდი ხანია, რაც ეს არასასიამოვნო ინცინდენტი დაავიწყდა და ახლა იგი ხმამაღლა იცინოდა.

— შეეშვი მაგ ჭიხვინს, — კბილებს შუა გამოსცრა აჰმედმა, — მე ხომ ვიცი, მერე ტირილს დაიწყებ.

კაზინოსაკენ დუნდარ დუბარა ბეის მანქანით გაემართნენ. აჰმედი

წინ დაჯდა, დანარჩენები უკან მოთავსდნენ. საითი და სევიმი ფეიფეერიკებს შუა ისხდნენ. ვერც მეჰჯურე ხანუმსა და ვერც ჰასიფ ბეიზე ვერ იტყოდით ძვლებზე გადაუკრავთ ტყავიო, სიმსუქნე კარგად მიეცა ღმერთს მათთვის, ამიტომ საითი და სევიმი ერთმანეთს მიკვროდნენ. ბედნიერებისგან მთვრალი საითი ღმერთს სულ იმას ევედრებოდა: ღმერთო, ამ გზას ნუ დაასრულებ, ნეტავ, სულ ასე ვისეირნოთ მთელი ცხოვრებაო. დუნდარ დუბარა ბეის ადრევე დაურეკნია კაზინოში, ერთი მაგიდა ჩვენთვის გადაინახეთო და, რადგან იგი საქვეყნოდ ცნობილი კაცი გახლდათ, გამოსაჩენ ადგილას, ზედ ესტრადის ცხვირწინ დასვეს — ასეთი პატივი თავად პოლიტიკურ მოღვაწეებსაც კი იშვიათად ხვდომიათ წილად.

და აი, სადილიც დაიწყო. გამუდმებით სვამენ საითისა და სევიმის სადღეგრძელოს. საითი პირველად იყო კაზინოში. რასაც დაუსხამდნენ, სულმოუთქმელად სვამდა, ამიტომ მალე შეთვრა. აჰმედს მიუბრუნდა და შეუსვენებლივ ელაპარაკებოდა. ისიც კი არაფრად ჩააგდო, სევიმი რომ ძალიან მიეკრო. ამაზე დედიკომ ასე დაარიგა სევიმი:

— შენ ძალიან ანებივრებ, შვილო, მაგ ბიჭს. მამაკაცები სანდონი არ არიან, თუ კაცმა დაინახა, რომ ქალი ჭკუას კარგავს მისთვის, ძალიან უწყინარიც რომ იყოს, ღმერთმა იცის, რამდენ სისულელეს ჩაიდენს.

— ეგ ხომ საკუთარ ცხვირსაც ვერ ხედავს, დედი!

— ეგეთ ხალხს უფრო უნდა ერიდო, — განაგრძო გამოცდილმა მეჰჯურე ხანუმმა. — მაგათ არაფრად ულირთ საბრალო ქალიშვილის მოტყუება. გულახდილად რომ გითხრა, ეგ ბიჭი სულაც არ მიმაჩნია სანდო კაცად. ვნახოთ, რა მოხდება, ღმერთმა ქნას, რომ ქორწილიც გადავიხადოთ.

ბოლოს, როგორც იქნა, საითი საცოლეს მოუბრუნდა, მისი ხელი ნაზად აიღო და უთხრა:

— უნდა გამოგიტყდეთ, სევიმ ხანუმ... ერთ ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე უნდა მოგელაპარაკოთ.

— თქვი, ნუ გერიდება, — გაამხნევა საცოლემ.

გაბედულებისათვის საითმა რამდენიმე ყლუპი ღვინო მოსვა და უცებ თქვა:

— მე ფეხბურთელი გავხდები, თქვენი სიყვარულის ღირსი რომ ვიყო, ფეხბურთელი გავხდები.

სევიმმა გადაიხარხარა.

— ბურთზე ფეხი თუ დაგირტყამს ოდესმე?

— კი, ერთხელ... ლიცეუმში სწავლის დროს... ბავშვებმა შეადგინეს ორი გუნდი სწორედ იმ მოსწავლეებისგან, რომლებმაც თამაში არ იცოდნენ. მე გაქცევა მინდოდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ითამაშე?

— მერე როგორ? ხუთი ბურთი გავიტანე.

სევიმი გაოცდა.

— ხუთი ბურთი? აბა, რატომ აღარ თამაშობდი?

— იმიტომ, რომ ვიდრე თამაში დამთავრდებოდა, იმდენი მირტყეს, იმდენი...

— ვინ გირტყა? მოწინააღმდეგე გუნდმა?

— არა.

— გულშემატკივრებმა?

— არა.

— მსაჯმა?

— არა, ჩემი გუნდის ბიჭებმა მცემეს.

— მაგათ რაღაზე გირტყეს? — სიცილით იკითხა სევიმმა.

— იმისთვის, რომ ხუთი ბურთი გავიტანე.

— ალბათ, შურიანი ბიჭები იყვნენ.

— არა, სევიმ ხანუმ, ხუთივე ბურთი ჩემს კარში გავიტანე, მზე თვალებში მიჭყიტინებდა და ბურთს ვერ ვხედავდი, სირბილმა კი სულ გადამრია. მოთამაშეებს რომ ხელი არ შეეშალათ, მეორე კარშიც გავიტანდი ბურთს. სულ კუდში მდევდნენ, საითაც გავიქცეოდი, უკან მომდევდნენ. რომელ კართანაც მივირბენდი, იქ ვარტყამდი, თითქოს ჯიბრზეო, ხუთივე ბურთი ჩვენს კარში დავარტყი და გავიტანე კიდეც.

— მაშ, შენს კარში გაგქონდა ბურთები? — სიცილისაგან იფხრიწებოდა სევიმი.

— განა ასე მინდოდა? ყველა რომ დარბის და ღრიალებს, იმის დროც აღარ გრჩება, მეკარეს ჰკითხო, ეს ჩემი კარია თუ მოწინააღმდეგისაო.

საითი საკმაოდ მხნედ გრძნობდა თავს, რისგან იყო ასე? ღვინისგან თუ იმის გამო, რომ რეფიქთან გამოიძინა? ეს კია, თვითონაც ველარ შეამჩნია, შენობით როგორ დაელაპარაკა სევიმს, რამდენიმეჯერ ასეც კი უთხრა: „ჩემო კარგო სევიმ“.

— იმისათვის, რომ შენი ღირსი ვიყო, მე უთუოდ გავხდები ფეხბურთელი, ჩემო კარგო.

მამაკაცები სევიმს ხშირად მიმართავდნენ, ჩემო კარგოო და სევიმ-

საც ბუნებრივად მიაჩნდა ეს, მაგრამ ახლა საითის ნათქვამი არ მოეწონა.

— ერთი რამ უნდა გთხოვო, — თქვა საითმა.

— აბა, მითხარი.

— გაზეთებში ხშირად იბეჭდება განცხადებები, რომ ესა და ეს კაცი თანამედროვე ან კლასიკური ცეკვების გაკვეთილებს ატარებსო.

— შენ რა, ცეკვა გინდა ისწავლო?

— არა, მე ფეხბურთის თამაში უნდა ვისწავლო... ამიტომ ფეხბურთის მასწავლებელი მჭირდება... შენ ალბათ იცნობ ამგვარ ხალხს, ჩემო ძვირფასო, დამეხმარე...

სევიმმა სიცილი შეწყვიტა. უცებ მოუნდა კარგად დაკვირვებოდა ამ კაცს, — მართლა ასეთი სულელია, თუ თავს ისულელებს, სევიმსა და მთელს ქვეყნიერებას დასცინის? ნუთუ მართალია მეჰჯურე ხანუმი და ამ კაცს მართლა შეუძლია სევიმი გაამაიმუნოს? გაამაიმუნოს სვავი სევიმი, ქალი, რომელსაც არაფერი დაჰკლებია ამქვეყნად, მას ყველაფერი უნახავს, ყველაფერი განუცდია და ამან უნდა გააბითუროს? არა, თუ საითი მაცთუნებელი არ არის, ეს არ მოხდება. უცებ სევიმს შიში დაეუფლა.

— საით, მოიხსენი ეგ სათვალე, — ბრძანა მან.

— სათვალე რომ მოვიხსნა, ვეღარ დაგინახავთ, სევიმ ხანუმ, ვერაფერს დავინახავ.

— მე რომ გეუბნები, მოიხსენი, — ხმა აუკანკალდა სევიმს.

— კი ბატონო, ახლავე... მომიტევეთ... ახლავე, აჰა... მაგრამ ასე მგონია, რომ ხალხით სავსე მოედანზე შიშველ-ტიტველი ვდგავარ. რაც თავი მახსოვს, სათვალე არ მომიხსნია, თითქოს ამით დავიბადე.

საითმა სათვალე რომ მოიხსნა, სევიმმა თვალის ორი პაწია გუგა დაინახა. ასე ეგონა, ბრმა მომჩერებიაო. არა, ასეთი კაცი საკუთარი თავის გარდა ვერავის მოტყუებას ვერ შესძლებს.

— ჩქარა, ჩქარა გაიკეთე სათვალე, — ნერვიულად თქვა მან და შეტრიალდა.

ვერავინ მიხვდა, რა მოხდა სასიძოსა და საპატარძლოს შორის, დუნდარ დუბარა ბეიმ კი იგრძნო, რომ სალამოს განწყობილება შეიცვალა, ამიტომაც მყისვე შეავსო სირჩები და წამოიძახა:

— დავლიოთ, მეგობრებო, ბედნიერების სადღეგრძელო.

საითმა დღეს გაცილებით მეტი დალია, ვიდრე ნიშნობის დღეს და ახლა ენას ძლივს აბრუნებდა.

— მე საერთოდ ასეთი კაცი ვარ, — ლუღლუღებდა იგი. — მე საერ-

თოდ არაფერი არ მინდა, მაგრამ... თუ მე რამე მოვინდომე... უსათუოდ მივაღწევ... უსათუოდ მივაღწევ... მინდოდა და მათემატიკოსი გავხდი. ახლა კი ფეხბურთელი გავხდები... დიახ, ფეხბურთელი გავხდები...

— გააჭირე საქმე და ეგ არის, რას აიჩემე ეს შენი არითმეტიკა, — სიტყვა გააწყვეტინა სევიმმა.

— მათემატიკა... არითმეტიკა, — ენას ძლივს აბრუნებდა საითი, — არითმეტიკა მეცნიერებაა... მეცნიერება... და მე არავის მივცემ ნებას, რომ...

— თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი, ისედაც თავი მტკივა.

— ჰო, კარგი, კარგი! ჩემო ძვირფასო, ძალიან გთხოვ ფეხბურთის მასწავლებელი მომანახვინო, — კვლავ დაიწყო ხვეწნა-მუდარა საითმა, — ვივარჯიშებ და ვნახოთ...

— ფეხბურთის მასწავლებელი კიდევ სად გაგონილა!

— არის... თქვენ უსათუოდ გეცოდინებათ, სევიმ ხანუმ... იფქირან ბეიმ მითხრა, ჩვენს აჰმედს ფეხბურთის პროფესორს ეძახიანო, სთხოვეთ რომ დამეხმაროს, უარს არ გეტყვით, გასამრჯელოსაც ხეირიანად გადავუხდი.

— თუ ღმერთი გწამს, მომაშორე ეგ ტიპი, თორემ მეც არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ, მეტი აღარ შემიძლია, — აჰმედს მიუბრუნდა სევიმი. სევიმი აჰმედთან გადაჯდა, საითს კი დუნდარ დუბარა ბეი და ეროლ იფქირან ბეი მიუსხდნენ. ორივემ „თოზქოფარანის“ გეგმებზე ჩამოაგდო სიტყვა.

— ძალიან დიდი შეხვედრა გვიძევს წინ, რუმინელებს უნდა ვეთამაშოთ, — ამბობდა დუნდარ ბეი. — თამაშამდე ორიოდე თვეღა დარჩა, სევიმი აპირებს ჩვენთან ერთად წამოვიდეს ბუქარესტში, რათა გაამხნევოს თურქეთის საუკეთესო გუნდი. თქვენც ხომ არ წამოხვიდოდით?

დუნდარ ბეის ნათქვამმა საითი ააღელვა. ეს როგორ, ჩემი საცოლე სევიმი „თოზქოფარანთან“ ერთად რუმინეთში წასვლას აპირებს და მე არაფერი უნდა ვიცოდე?

იფქირან ბეიმ უმალ აუღო ალღო ყველაფერს, ჭიქები შეავსო და წამოიძახა:

— სახიმოსა და საპატარძლოს სადღეგრძელო იყოს!

მაგრამ საითს სმა აღარ შეეძლო.

კაზინოს ესტრადაზე წითელხალათიანი მომღერალი ავიდა და სიმღერა დაიწყო:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ შენ ხარ ჩემს გულში,
დავკარგე მოსვენება,
გზა დამეხშო მიჯნურთან,
არა მაქვს ნახვის ნება.
გამინათე ღამე ბნელი,
მომიშუშე იარა,
შემიბრალე მიჯნური,
ცხოვრებამ ჩაიარა!

საითს არასოდეს გაეგონა ეს სიმღერა და გულზე მოხვდა, თითქოს მასზე შეუთხზავთ. ნომღერალი უკვე სულ სხვა სიმღერას მღეროდა, მაგრამ საითს მაინც ის მელოდია ჩაესმოდა ყურში: „მხოლოდ შენ ხარ ჩემს გულში, არა მაქვს მოსვენება"... და თვალწინ სევიმი წარმოუდგებოდა. ღვინო უფრო და უფრო ერეოდა.

„გამინათე ღამე ბნელი, მომიშუშე იარა", — ღიღინებდა საითი, მერე უცებ ხმამაღლა თქვა: — აი, ნახავთ, ექიმმაც მითხრა... ნახავთ, ფეხბურთელი თუ არ გავხდები, მხოლოდ მე... — და კვლავ სიმღერა წამოიწყო: „გზა დამეხშო მიჯნურთან, აღარ ვუყვარვარ მას".

სასიძოს უჩვეულო საქციელმა სევიმი გააოცა. ნუთუ ალაჰს არ შეეძლო ოდნავ მომხიბვლელი მაინც გაეჩინა საითი?

კაზინოდან ნაშუაღამევს გამოვიდნენ. დუნდარ დუბარა ბეიმ ყველანი ბოსფორზე შეიპატიჟა:

— არ არის აუცილებელი ყველანი ერთ მანქანაში ჩავეყაროთ, საითი და სევიმი ტაქსით გამოგვყვებიან, თან თავისუფლად იგრძნობენ თავს.

ასეც მოიქცნენ. სევიმის გვერდით მჯდარი საითი იმ ლექსის სტრიქონებს ღიღინებდა განუწყვეტლივ: „მხოლოდ შენ ხარ ჩემს გულში, არა მაქვს მოსვენება". ღიღინებდა და თვალთაგან 'ცრემლი სდიოდა.

— მანქანას რატომ არ ყიდულობ? — ჰკითხა მოულოდნელად სევიმმა.

— მანქანას? მე ტარება არ შემიძლია და ვინ უნდა ატაროს?

— მე ვატარებ.

— თუ ასეა, ვიყიდი, რატომაც არ ვიყიდი, აქამდე გეთქვა, ჩემო ძვირფასო.

სევიმმა დაკვირვებით შეხედა.

— პირობას მაძლევ?

— რასაკვირველია, შენ თუ გინდა, გიყიდი...

სევიმმა ისე გადაუსვა საითს თავზე ხელი, როგორც პატარა ბიჭს მოეალერსებიან. საითს კვლავ ცრემლი მოერია. რატომ? „გზა დამეხშო მიჯნურთან, აღარ ვუყვარვარ მას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევიმმა აკოცა საითს!

— როდის?

საითმა ვერაფერი გაიგო.

— რა როდის?

— მანქანას როდის იყიდი-მეთქი?

— დღესვე... „შემიბრალე მიჯნური, ცხოვრებამ ჩაიარა“.

ბოსფორის სანაპიროდან რომ ბრუნდებოდნენ, სევიმმა დედას უთხრა, საითმა მანქანა უნდა მიყიდოსო და დასძინა:

— ასეთი საჩუქრის აღსანიშნავად ამაღამ საითი ჩვენსა უნდა დავტოვოთ.

მშობლებმა უარი განაცხადეს, ეს მორალი, ეს ზრდილობაო, ეს ზნეობაო, მაგრამ სევიმს არაფრის გაგონება არ უნდოდა და თავისას გაიძახოდა:

— რა მოხდა, რა არის ამაში ცუდი, ჩემს ფეხბურთელებს ჩემთან ღამე არ გაუთენებიათ?

— ფეხბურთელები სხვაა, საქმრო კიდევ სულ სხვა.

აჰმედმაც კი სევიმს დაუჭირა მხარი. ცხადია, სევიმმა თავისი გაიტანა და იფქირან ბეიმ და აჰმედმა საითი ძლივს აათრიეს კიბეზე და ტახტზე დააწვინეს. ფერფერიკებმა აჰმედს სთხოვეს, ყოველი შემთხვევისათვის შენც დარჩიო, მაგრამ აჰმედმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, როგორ გეკადრებათო.

საითმა დილაადრიან გაიღვიძა. ყველას ეძინა. გაბრუებული წამოჯდა ტახტზე. არ იცოდა, სად იყო. უსათვალოდ ვერაფერს ხედავდა, ხელების ფათურით სათვალე იპოვნა, იატაკზე ეგდო. მხედველობა რომ დაიბრუნა, წამოდგა, ჩაიცვა და ჩუმად, ისე რომ არავინ გაეღვიძებინა, კარი გამოაღო და ქუჩაში გამოვიდა.

რამდენიმე წუთში სახლში მივიდა. ღვინო ჯერაც არ განელებოდა. ბერინ ხანუმმა რომ მთვრალი საითი დაინახა, ერთი კი შეჰკივლა და ლამის გრძნობა დაკარგა.

სევიმი, აჰმედი და საითი განუყრელი გახდნენ, ყველგან ერთად დადიოდნენ, ამიტომ „წმინდა სამებაც“ კი შეარქვეს. ამ სამეულში ერთს მამის როლი მიენიჭა, მეორეს კეთილი ფერიისა, ერთსაც — მორჩილი შვილისა. რასაკვირველია, პრესამ ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დასტოვა და დაწვრილებით აუწყა მკითხველს იმ განყოფილების მეშვეობით, მაღალი საზოგადოების ყოფას რომ აშუქებს. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სევიმი აჰმედს უფრო მეტ დროს უთმობდა, ვიდრე საითს, მაგრამ საითსაც არ ივიწყებდა, მით უმეტეს, თუ ფულის ხარჯვა იყო საჭირო. ასეთ ადგილებში საითი უსათუოდ დაყავდა ხოლმე.

ფერფერიკების ოჯახში კი ამ ბოლო დროს დედას და ქალიშვილს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ორჯერ-სამჯერ დედა-შვილი ერთიმეორეს წაეკიდა კიდეც. სევიმი დედამისს ბრალად სდებდა, ჩემს ქორწინებას განგებ აჭიანურებო. საითმა რა არ მოიმოქმედა, რომ ქორწილი დაეჩქარებინა, რადგან დარწმუნებული იყო, ქორწილის მერე სევიმი მხოლოდ ჩემი იქნებაო (აჰმედი ანგარიშში ჩასათვლელი არც არის, იგი ხომ შინაური კაცია). სევიმსაც ძალიან სწადია ქორწილის დაჩქარება, მაგრამ სულ სხვა მიზეზის გამო — როგორც კი თავის ახალ სახლში გადავა, ბოლოს და ბოლოს თავისუფლებასაც მოიპოვებს, თორემ დედ-მამის გარეშე ერთი ნაბიჯი ვერსად გადაუდგამს, სული ამოხადა ამგვარმა მეურვეობამ.

სევიმი ფეხებს აბაკუნებდა და დედას უკიოდა:

— ქორწილი ძალიან მალე უნდა იყოს. რა გაუწყალე. გული იმ ტიპს (ტიპი საითი იყო), სახლი მიყიდეო მოსთხოვე და იყიდა, ქუჩა არ მოგეწონა და სხვა ქუჩაზე იყიდა სახლი, ეს პატარა არისო, ბრძანე და ახალი იყიდა, ეს კიდევ ძალიან დიდიაო ბრძანე და მომცრო სახლი იყიდა, ავეჯიც შეიძინა, სახლი რიგიანად მოაწყო და ახლა, როცა ყველაფერი მზად არის, მაინც რაღაცა არ მოგწონს: ეს სასადილო ოთახის გარნიტური ძალიან ღია ფერისაა, სამზარეულოში მუშამბა ძალიან მუქიაო, აღარ მოეღება ამ ამბებს ბოლო?

მეჰჯურე ხანუმი რის მეჰჯურე ხანუმი იქნებოდა, რომ ვალში დარჩენოდა:

— შენ რა, სულ გააფრინე თუ! ხომ არ შეგიყვარდა ეგ აყლაყუდა, მოასწრებ ქორწინებას.

— მეტი აღარ შემიძლია. ასე ველარ ვიცხოვრებ, გადაიხადეთ ეგ

ქორწილი და ეგ არის. არსად მიშვებთ, არც შენთან მოვიდეს ვიწმეო, სტადიონზეც ვერ წავსულვარ, რომ ჩემი ბიჭები გავამხნევო. წარმოგიდგენიათ? ჯერ გათხოვდი და მერე ირბინე სტადიონზეო, გამათხოვეთ, ბატონო, გამათხოვეთ, რაღას უყურებთ.

— შენ, ჩემო შვილო, ნაღდად გააფრინე და გინდა ჩირქი მოსცხო საქვეყნოდ პატივსაცემ ფერფერიკთა ოჯახს. განა შეიძლება მე, მეჰჯურე ხანუმმა ასე უბრალოდ გავისტუმრო ქალიშვილი? შენ დარდი ნუ გაქვს. სწორედ ისეთი ბინა უნდა იყიდოს, როგორიც მე მინდა და სწორედ შენი სურვილებისამებრ უნდა მოვაწყობინო, შენ კი, ჩემო სიხარულო, ამდენი ითმინე და ცოტაც რომ მოითმინო, არაფერია.

— არა, ვერ მოვითმენ, — იყვირა სევიმმა და კარზე ზარიც დარეკეს. დედა-შვილმა თავისი მაინც არ მოიშალა.

— თუ ასეა, ის ტიპი არ დავინახო ამ ოჯახში, თუ სხვას არა აქვს მოსვლის უფლება, არც ის მოვიდეს, არ მინდა. იმის სიფათს რომ დავინახავ, გული ცუდად მიხდება.

ზარი კვლავ დარეკეს. მსახურმა კარი გააღო და სევიმმა აჰმედი რომ დაინახა, მივარდა.

— აჰმედ, ჩემო აჰმედ, შენ მაინც მიშველე რამე, უთხარი დედაჩემს, რომ...

— შენი კივილი ქუჩაში ისმის, — შეაწყვეტინა აჰმედმა.

სევიმი აქვითინდა და თავის მართლება დაიწყო:

— მე ქორწილის დაჩქარება მინდა, დედაჩემი კი ყოველ დღე ახალ-ახალ რამეებს იგონებს. იმ ტიპმა მთელი სახლი შპალერებით მორთო, დედაჩემს კი შპალერის ყვავილის ფერი არ მოეწონა, ვითომ დედამისს სულ ამგვარი შპალერებით მორთულ სახლში ამოხდა სული. იმ ტიპმა ის შპალერი სულ ჩამოფხრიწა და ახალი გააკვრევინა. ერთი მითხარი, აჰმედ, ვტყუივარ რამეში? ქორწილისათვის მანქანას დამპირდა ეგ ჩემი ტიპი, დედაჩემი კი მაინც თავისას გაიძახის.

— ბარემ ის გეთქვა, რომ შენ მანქანის ხელში ჩაგდება გეჩქარება, — მეჰჯურე ხანუმი სიტყვას არ ღალატობდა და საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამდა: — სარიოღლუთ ნუ ეგონებათ, რომ ფერფერიკები ასე იოლად გასაცურებელი ხალხია.

ეს ოჯახური აურზაური რომ გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ტკბილეულით ხელდამშვენებული სასიძოც გამოცხადდა. ასე რომ, „წმინდა სამება“ სახეზე იყო. სევიმი ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო და დღეს კიდევ უფრო ცივად შეხვდა საქმროს, ვიდრე სხვა დროს.

მსახურმა ყავა შემოიტანა. საითმა ჯერ ყოველი დამხვდურის ჯანმრთელობა მოიკითხა თავაზიანად, მერე კი სასიდედროს აცნობა, ახალ სახლში ავეჯის გაწყობა უკვე დამთავრებულიაო და მეჰჯურე ხანუმს სთხოვა, ახალი ბინის დასათვალიერებლად მობრძანდითო. სასიდედრომ ეს ამბავი არაფრად ჩააგდო და გულგრილად დაუქნია თავი. ამაზე სევიმი ისე გაბრაზდა, რომ ფერიც კი დაჰკარგა. მეჰჯურე ხანუმი, იმის შიშით, ხელახლა არ წავიჩხუბოთო, სასტუმრო ოთახიდან გაიძურწა.

აჰმედი სავარძელში გემრიელად ჩაჯდა და კლუბის ახალ ამბებს მოჰყვა:

— ნაღდად არანორმალური კაცია ჩვენი ახალი მწვრთნელი ტომპსონი, სულ ერთსა და იმავეს გაიძახის: „გახსოვდეთ, რომ სუნთქვა უნდა გქონდეთ ჩინებულად დაყენებული!“ „გახსოვდეთ სუნთქვა, გახსოვდეთ სუნთქვა!“ შუალამემდე ისე გვარბენია მოედანზე, თითქოს ძაღლებსა წვრთნისო, ხან დავხტოდით, ხან ას მეტრზე სირბილში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს და არ ვიცი კიდევ რა! ამის მერეკი გუნდი ორად გაყო და თამაში დაიწყო, ერთი მითხარი, ყოფილა თუ არა ასრამზადა? ასეთ წვრთნას ვინ გაუძლებს. ღმერთმანი, მუხლები მეკვეთება, ისე ვარ.

— ალაჰმა ძალა მოგცეს მაგ ფეხებში, ჩემო ძვირფასო.

— გმადლობ, ჭირიმე.

საითმა კი გაიფიქრა, ამდენი ხანი ხმას რომ არ ვიღებ, რაიმე ცუდი არ იფიქრონო და სავსებით გულუბრყვილოდ იკითხა:

— აჰმედ ბეი, თქვენი ძირითადი პროფესია რა არის? — საითს რომ სცოდნოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა ამ კითხვას, რასაკვირველია, კრინტს არ დასძრავდა. „თოზქოფარანის“ ცნობილი დამცველი სასტიკად ალაშფოთა ამ კითხვამ, საითს ისიც კი მოეჩვენა, რომ აჰმედს მარცხენა ფეხი აუტოკდა.

— რაო? პროფესიაო? და თანაც ძირითადიო? შენ რა, განა არ იცი, რომ მე ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობ? მე ფეხბურთელი ვარ და თანაც ვარსკვლავი, გაიგე?

ჩვენმა გულუბრყვილო მათემატიკოსმა არ იცოდა, რა არის შრომა და იმას როგორღა იფიქრებდა, რომ შეიძლება კაცმა მოედანზე ბურთს სდიოს და ამით პური ჭამოს.

— უკაცრავად... არ ვიცოდი... მაგრამ... განა თქვენ მუდამ თამაშობთ? თამაშის მეტს არაფერს აკეთებთ?

ამან სულ გააცოფა აჰმედი.

— შენ გგონია, ეს ცოტაა? ალაპ, რა ხალხში ვცხოვრობ. ყური მიგდე, ძმაკაც, შენ ზეციდან ხომ არ ჩამოფრინდი. ერთხელ ხომ დაწვრილებით აგიხსენი, ვინც ვარ და რასაც სწერენ გაზეთებში. ღმერთო, ეს ვის გადავეყარეთ, სევიმ, ჰა?

— იქნებ ისა გგონია, რომ ფეხბურთი პროფესია არ არის? — ახლა სევიმის ჯერი დადგა. — გადი ქუჩაში, ნებისმიერი კაცი გააჩერე და ჰკითხე, აჰმედ „კედელა“ ვინ არის-თქო.

— არა... არა... მე სულაც არ მინდოდა ეს მეკითხა, — ალუღლუღდა საითი.

— ათას კაცს რომ ჰკითხო, ვინ არის აჰმედ „კედელა“-თქო, დაწვრილებით მოგიყვება მის ამბავს, მერე კი ის უთხარი, ამა და ამ მინისტრზე რას მეტყვი-თქო. აბა, ნახე, მინისტრზე თუ რამე ეცოდინებათ. იქნებ მაშინ მაინც ჩაიდო თავში, ვინ არის აჰმედ „კედელა“. — კვლავ გაბრაზდა სევიმი.

— ამაზე რაღას იტყვი, ძმაკაც? — იკითხა სევიმის მხარდაჭერით კმაყოფილმა აჰმედმა.

სასიძო სასიდედრომ იხსნა, რადგან მოკამათენი სასადილოდ მიიწვია.

საითმა ბოდიში მოიხადა, ასეთ სასიამოვნო საზოგადოებაში სადილობა არ შემიძლიაო, რადგან რეფიქთან მიეშურებოდა.

რეფიქი და მისი მეგობარი პროფესორი მთელი კვირა იკვლევდნენ საითის ჯანმრთელობას, ყოველმხრივ შეისწავლეს მისი მდგომარეობა და დაასკვნეს, რომ პაციენტს შინაგანი სეკრეციების ჯირკვლები ჰქონდა დაზიანებული, ამასთან ვერც კუჭქვეშა ჯირკვალი იყო რიგში. აი, ამან განაპირობა საითის არასწორი განვითარება, ფიზიკური უძლურება, ცუდი მხედველობა და უფერულობა. დიაგნოზი რომ დაადგინეს, პროფესორმა განაცხადა, სიამოვნებით ვუმკურნალებო.

სარიოღლუთა ნაშიერის ავადმყოფობათა მიზეზი არასწორი კვება იყო, უწინარესად კი ის, რომ მუდამ ერთსა და იმავე საკვებს ღებულობდა. თავის დღეში არ უჭამია ხორცი და კვერცხი, დაიბადა თუ არა, დედამ მოიშორა და ძიძას ჩააბარა, ძიძას კი რძე არა ჰქონდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბავშვი არასოდეს გასჩენია, არც ძიძაობა გაუწევია როდესმე, ახლაც შემთხვევით მოხვდა ძიძად — მთელი სტამბული სარიოღლუთა სიმდიდრეზე ლაპარაკობდა, ეს ქალიც ერთი ჭორიკანა ვინმე იყო, გაგონილს ნანახი სჯობიაო და სარიოღლუთა ოჯახში ძიძად შემოვიდა. ასე რომ, საითს დედის რძე არ ღირსებია.

ბერინ ხანუმი რომ არა, საითი იმქვეყნად წერილსაც წაიღებდა, მაგრამ ბერინ ხანუმ ეფენდიმ სხვა გაუთხოვარი ქალებივით ოჯახში კატების მოშენებას კი არ მიჰყო ხელი, დისწულს მიხედა, ძროხის რძეზე კვებავდა და ათასი ავადმყოფობისგან იხსნიდა ხოლმე.

ერთ ზაფხულს საითს დიზენტერია შეეყარა. სიკვდილს ძლივს გამოსტაცეს ხელიდან, მაგრამ რად გინდა! რაც სამედიცინო ცნობარში ბავშვთა ავადმყოფობანია ჩამოთვლილი, საითმა ყველა მოიხადა. ჩვენმა მედიცინამ ვერაფრით ახსნა, როგორ გადარჩა საითი და განა მხოლოდ გადარჩა? 184 სანტიმეტრიც კი გაიზარდა. ასეთი რამ მედიცინაში გაუგონარია.

სარიოღლუთა სასახლეში იმდენი ხალხი მიმოდიოდა, რომ სასტუმროსავით იყო. იდგა ერთი გნიასი და აურზაური. ვერ გაიგებდი, ვინ სტუმარი იყო და ვინ მასპინძელი, ვინ ვისი ნათესავი და რა ნათესავი. საითი გათამამებული და ჭირვეული ბავშვი იყო და მისი კვება სარიოღლუთა ოჯახის წევრების გასართობ საქმედ იქცა. რას არ აკეთებდნენ, ოღონდაც საითს საჭმელი ეჭამა — გადამდგარი დიპლომატები ცალ ფეხზე ხტუნავდნენ, მოხუცები მამლის ყივილს ბაძავდნენ, ქალები მუცლის ცეკვას იწყებდნენ, ყველანი ტაშს უკრავდნენ და თან მღეროდნენ: „ვაშა, ვაშა, საით, ვაშა!“ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ეს ცეკვა-თამაში საითის გამო კი არ იმართებოდა, არამედ თვითონ სიამოვნებდათო.

ამასთან ერთად, საითი მშიშარა ბავშვი იყო. დეიდა ბერინის გარდა ყველასი ეშინოდა. ჯერ კიდევ ექვსი თვისა იყო, ძიძამ რომ შეაშინა: ბავშვის საწოლს რომ მიუახლოვდა და საითის სახეზე გრიმასა დაინახა, ერთი წივილ-კივილი ატეხა: „დიდება ალაჰს, საით ფაშამ გაიღიმა, დიდება ალაჰს“. ყველანი ბავშვის საწოლს შემოეხვივნენ და აყაყანდნენ. იმ დღეს საითი ავად გახდა. და მას შემდეგ დეიდა ბერინის გარდა თუ ვინმე მოირბენდა მის საწოლთან, ტირილს და კივილს იწყებდა.

ბერინ ხანუმმა რეფიქსა და პროფესორს დაწვრილებით უამბო საითის ბავშვობა. ეს კი ორივეს დაეხმარა, მკურნალობის სწორი გეზი აეღოთ. პროფესორი ამბობდა, მკურნალობის პირველი კურსის დამთავრებისთანავე საითი ამერიკაში უნდა გაემგზავროსო, იქ ერთ-ერთ ინსტიტუტში ახლებური მეთოდით მკურნალობენო. რეფიქმა კარგად იცოდა, სევიმის გარდა ვერავინ დაიყოლიებდა ამერიკაში გამგზავრებაზე, ამიტომ ჰიპნოზირების კურსი რომ დაიწყო, პირველსავე დღიდან სასიძოს ჩააგონებდა: თუ გინდა ცნობილი ფეხბურთელი გახდე, ამერი-

კაში უსევიმოდ უნდა გაემგზავრო, თუ არადა, ეს მკურნალობაც უაზრობა არისო. რეფიქის კაბინეტში შესვლისთანავე საითს ქუთუთოები უმძიმდებოდა, თვალები ეხუჭებოდა. ტახტამდე ძლივს მიაღწევდა, თან გაიძახოდა: „არაფრით არ მჯერა, რომ შეგონებით კაცის დაძინება შეიძლება". ამას იტყოდა თუ არა, ხვრინვას ამოუშვებდა. საითზე მაგიურად მოქმედებდნენ ციფრები — ერთხელ რეფიქმა ცოლს ჰკითხა, ამა და ამ კაცის ტელეფონი რა ნომერიაო. ცოლმა ციფრები დაასახელა თუ არა, საითს ჩაეძინა. ერთგული მეგობარი მძინარე საითს წარსულსა და მომავალზე ელაპარაკებოდა. ყოველი სეანსის შემდეგ საითი ისე მხნედ გრძნობდა თავს, თითქოს რაიმე ტვირთი ჩამოხსნესო.

ერთხელ საითს რეფიქთან მიეჩქარებოდა. სასადილო მაგიდას მიუჯდა, დეიდა ბერინი სახლში არ იყო, მადამ ანჟელას კი სადილი არა და არ მოჰქონდა. მთელი ნახევარი საათი იცადა საითმა და მერე თვითონ გავიდა სამზარეულოში, მადამ ანჟელას სათვალე გაეკეთებინა და გატაცებით კითხულობდა გაზეთს.

— მადამ ანჟელა, რა მოხდა? რა ხანია გელოდებით, თქვენ კი სადილი არ მოგაქვთ.

— ახლავე, ჩემო ფაშა, აღლავე, სადილს ვაღღელებ, აი, ამ წერილსაც ჩავიღითღავ და... აჰმედ „კედელას" შესახებ სწერია, ვერ გადაუწყვეტიათ, წაიღვანონ თუ არა რუმინეთში, მას ხომ ორ თამაშში მონაწილეობის უფლება ჩამოართვეს.

აჰმედ „კედელაზე" დაწერილი სტატია რომ წაიკითხა, მადამ ანჟელამ სადილი მოიტანა. ამასობაში დეიდა ბერინიც მოვიდა, საითი გაზეთის პირველ გვერდს ათვალიერებდა.

— „ცვლილებანი მთავრობაში", — წაიკითხა საითმა უზარმაზარი ზომის შრიფტით აწყობილი სათაური.

— რა სთქვი, შვილო? — იკითხა ბერინ ხანუმმა.

— მთავრობაში ცვლილებანი მოხდა. განათლების მინისტრი იუსტიციის მინისტრი გახდა, იუსტიციის მინისტრი კი — განათლებისა.

— ხომ არ გახსოვს, ვინ არიან ეს მინისტრები? — იკითხა დეიდამ. საითს გაახსენდა, ყველამ იცის აჰმედ „კედელა" ვინც არის და რა არის, მაგრამ ვერც ერთი მინისტრის გვარს ვერ დაგისახელებსო. სევიმი მართალი ყოფილა. არც დეიდამ და არც მადამ ანჟელამ არც ერთი მინისტრის გვარი არ იცის, სამაგიეროდ, ძალიან კარგად იციან, ვინ არის აჰმედი, რა გაუკეთებია მას და როგორი მარცხენა ფეხი აქვს.

მადამ ანჟელამ დაწვრილებით უამბო ბერინ ხანუმ ეფენდის, თუ

რას წერდნენ დილის გაზეთები აჰმედ „კედელას“ თაობაზე და მერე ერთმანეთს შეეკამათნენ იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი იყო ასეთი სასჯელის დადება აჰმედზე.

ELIBRARY.GE

— ალაჰ, დეიდა, ნუთუ თქვენ, თქვენი ასაკის ქალს გაინტერესებთ აჰმედის ამბავი? — გაოცდა საითი.

— როგორ თუ ასაკის, მე ყველაფერიც მაინტერესებს, აი, შენ მათემატიკაში ჩარგე ცხვირი და მეტი აღარაფერი იცი ამქვეყნად. როგორ შეიძლება თურქი არ იცნობდეს აჰმედ „კედელას?“

— ერთხელ მაინც თუ ყოფილხართ სტადიონზე?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, როგორ შეიძლება მე არ ვიცოდეის, რაც ქვეყანამ იცის. ყოველდღე გაზეთები ან აჰმედზე დაწერილ წერილს ბეჭდავენ, ან კიდევ აჰმედის სურათს. გინდა თუ არა, გეცოდინება, მაშ!

ნასადილევს საითმა ტაქსი დაიქირავა და რეფიქისკენ გაეშურა. წვიმა დაიწყო. ავტობუსის მომლოდინე ხალხი სველდებოდა. საითმა უნალ უხერხულობა იგრძნო — იქ ხალხი სველდება, მე კი აქ მარტოკა გამოვჭიმულვარო.

— იქნება ვინმე ჩავისვათ, ჰა? — ჰკითხა მძღოლს.

შოფერმა მანქანა გააჩერა და იგი უმალ აივსო ხალხით. საითის გვერდით ბავშვიანი ქალი და ხნიერი კაცი მოთავსდა, შოფრის გვერდით კი ერთი ქალი და გოგონა. მგზავრებმა დაიწყეს მუნიციპალიტეტის წყევლა-კრულვა, ქალაქში ტრანსპორტის საქმე ვერაფრით ვერ მოაგვარესო. ხალხი მუდამ ავტობუსს ელოდება, მით უმეტეს, ამგვარ ამინდში ლოდინი როგორიაო.

— ერთი მითხარი, თუ კაცი ხარ, ვინ არის ახლა ჩვენი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე? — ჰკითხა ხნიერმა კაცმა მძღოლს.

— რა ვიცი, რაში მეპრიანება, ძმაკაცია თუ ნათესავი, რატომ უნდა ვიცოდე?

— მუნიციპალიტეტის რა ბრალია, — ჩაერია საუბარში მძღოლის გვერდით რომ ქალი იჯდა, — მთავრობა რას ფიქრობს, გზები რატომ არ გაჰყავს, რომელ მინისტრს ეხება ეს საქმე?

— შინაგან საქმეთა მინისტრს, ან კომუნალური მეურნეობების მინისტრს, — თქვა გოგონამ.

— კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვიღა არის? — მძვინვარედ იკითხა ქალმა.

ყველა გაირინდა.

— კაცმა არ იცის მაგ მინისტრების თავი და ბოლო, კი არიან, მაგრამ რას გვიკეთებენ? — ეს საითის გვერდით მჯდომი კაცი იყო.

— მართალი ხართ, რას დაიმახსოვრებ, ყოველდღე იცვლებიან.

მძღოლმა რადიო ჩართო. დიქტორი თურქი ფეხბურთელების მომავალი თამაშების თაობაზე ლაპარაკობდა. ამიტომ მანქანაშიც სიტყვა უმალ ფეხბურთზე ჩამოვარდა. წინ რომ ქალი იჯდა, იმან თქვა, ორი ბიჭი მყავს და მუდამ ერთიმეორეში ჩხუბობენ, რადგან სხვადასხვა გუნდებს ქომაგობენო.

— თქვენ რომელი გუნდის ქომაგი ხართ? — ჰკითხა ხნიერმა კაცმა საითს.

— „თოზქოფარანის", — ამაყად უპასუხა საითმა.

— სწორია, ძმაო, — თქვა მძღოლმა და არა მარტო „თოზქოფარანის", არამედ მთელი ეროვნული ნაკრების სიამაყის აჰმედ „კედელას" ქებას მოჰყვა. — რომელიღაც იდიოტმა თამაშში მონაწილეობა აუკრძალა და ახლა რუმინეთში არ მიჰყავთ.

— კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ძალიან უხეშია, — თქვა „თოზქოფარანის" ქომაგმა ქალმა.

— არა, ქალბატონო, ეგ უხეში კი არა, მკვეთრი ფეხბურთელია, ეს კი ერთი და იგივე როდია, — ხმა აიმაღლა კაცმა.

— ჩვენი ფეხბურთის ვარსკვლავია, პროფესორია! — თქვა შოფერმა.

— თქვენ ნახეთ, რუმინელებს როგორ გაამწარებს, — თქვა ბავშვმა.

— როგორ, აჰმედს შენც იცნობ? — გაოცდა საითი.

— აჰმედს ვინ არ იცნობს, აი, ჯერ კიდევ სევიმთან რომ...

საითის გარდა ყველას გაეღიმა. რა ერუდიციას ამჟღავნებდა ეს ბავშვი.

— ვისთან, ვისთან?

— აი, რესტორან „დალტონში" ნიშნობაზე, სევიმი და აჰმედი...

— ხმა გაიკმინდე, რაც არ იცი, რატომ ლაპარაკობ? — შეაწყვეტინა დედამ.

— როგორ არ ვიცი, გაზეთში წავიკითხე, — დაიჩივლა ბავშვმა.

— ამნაირი სისულელე არ უნდა იკითხო.

საითი გაწითლდა, თითქოს ეშინოდა, არ მიცნონო. ჯიბიდან ფული ამოიღო, შოფერს გაუწოდა და უთხრა:

— გააჩერეთ, მე აქ უნდა ჩავიდე.

მანქანიდან გადმოვიდა, ცოტა ხანს დაიცადა და სხვა ტაქსი დაიქირავა. სევიმსა და აჰმედზე ფიქრი მაინც ვერ მოიცილა.

„მართლაცდა, მინისტრების სახელი არავინ იცის, აჰმედ „ქედელას“ კი ყველა იცნობს, მთელი მისი ცხოვრება იციან“.

რეფიქის კაბინეტში რომ შევიდა, იგრძნო, როგორ დაუძძდა ჭუთუთოები, თვალები ეხუჭებოდა.

— არა, არ მჯერა, რომ შეიძლება შეგონებით დაიძინოს კაცმა, — თქვა და ჩაიძინა კიდეც.

თურქული ფეხბურთის პირველი გაკვეთილები

— არ შემიძლია, ტყუილუბრალოდ ფულს ვერ ავიღებ.

— ნუ სულელობ, ჩემო ძვირფასო. ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება როგორ იქნება. გაკვეთილებს ჩაუტარებ და ფულს მიიღებ. რა მოხდა?

— მაგისგან არ მიკვირს, ცალტვინა კაცია, მაგრამ შენ რამ გადაგრია? როგორ შეიძლება ეგ ფეხბურთელი გახდეს, სიცოცხლეში ბურთისთვის ფეხი არ დაუკარებია.

— ახლა დააკარებს... მიეცი ბურთი და თავის ბაღში რამდენიც უნდა, იმდენი ირბინოს, — თავისას არ იშლიდა სევიმი.

— ვერ შესძლებს, ბურთს რომ ფეხი დაარტყას, ისე წაიქცევა, ვეღარაფერი უშველის.

— რა გენაღვლება. შენ ფული ჯიბეში ჩაიდე. ვიღაცას უთქვამს, აჰმედი ფეხბურთის პროფესორიაო, ჰოდა, მასაც უნდა, თქვენ ასწავლოთ, ბატონო პროფესორო. სული ამომხადა, მოელაპარაკე, იქნება მავარჯიშოსო. შენ ეს მითხარი, კიდევ რამდენი წელიწადი შესძლებ თამაშს? დროა მომავალზე იფიქრო. მდიდარი საცოლე რომ მოგეძებნა, არც ის გაწყენდა, თორემ მერე გვიანი იქნება.

— მართალი ხარ, დრო უცებ გარბის.

— ჩემი ტიპი კი მდიდარი კაცია, ცოტა რომ შენც იხეირო, მაგით არ გაღარიბდება. მაგათ ფული არ აკლდებათ, ხან მაღაზიას ყიდიან, ხან რომელიღაც სახლს.

— თამაშს რომ თავს დავანებებ, მწვრთნელი გავხდები.

— მაინც ბურთთან გექნება საქმე. სპორტული მაღაზია რომ გახსნა?

ჰოდა, ეგ ფული მაგ საქმეში გამოგადგება, უფულოდ ვერაფერს გახდები.

მართლაცდა, რატომ არ უნდა გახსნას მაღაზია? განა მისი სახელი ყოველგვარ რეკლამას არ სჯობია? ამის გამო მუშტარი, ალბათ, არასოდეს დაელევა. ამ ცოტა ხნის წინათ თხელ-თხელი იყო, ნიავივით მსუბუქად დაქროდა მოედანზე, ვინ წამოეწეოდა, მაგრამ ახლა გასუქდა და ისე მკვირცხლად ველარ მოძრაობს, ხანი რომ მოემატა, ამიტომაც თამაშობდა უხეშად. თუ დარწმუნდება, ბურთს ველარ მოვეწევიო, მოთამაშეს ფეხებში ურტყამს, დარტყმა კი ტექნიკური იცის — ყოველი მსაჯი როდი შეამჩნევს.

სევიმი მიხვდა, აჰმედს ჭკუაში უჯდებოდა მისი ნათქვამი და კიდევ უფრო დაჟინებით განაგრძო ლაპარაკი.

— დიდი ვარჯიშიც ეგ არის — კვირაში ერთხელ მიდი, ერთი-ორი საათი არბენინე თავის ბაღში და მორჩა!

აჰმედი რომ დაიყოლია, სევიმი ტელეფონს ეცა და საითს დაურეკა. ყურმილი ბერინ ხანუმმა აიღო და, საითი უნივერსიტეტში წავიდა ლექციის მოსასმენადო, უთხრა სევიმს.

— გადაეცით, რომ დავურეკე.

— უსათუოდ გადავცემ, — მშრალად უპასუხა ბერინ ხანუმმა, ეს გაუზრდელი გოგო თავიდანვე არ მოსწონდა და მასთან საუბარიც არაფრად ეპიტნავებოდა.

სევიმმა ყურმილი დასდო და თქვა:

— ამ ჩემმა ტიპმა სულ ააფრინა. ახლა უნივერსიტეტში წასულა ლექციის მოსასმენად. — სევიმს ცხოვრებაში ერთხელაც არ მოუსმენია ლექცია და ასეთი რამ უცნაურად ეჩვენებოდა.

— ბიჭებმა რომ გაიგონ ეს ამბავი და გამაბითურონ? — ჰკითხა აჰმედმა.

— საითს ვეტყვი, კრინტი არსად დასძრას, საიდუმლოს შენახვა კარგად იცის.

ვიდრე იქ სევიმი და აჰმედი იმას ბჭობდნენ, თუ როგორ დაედგათ რქები საითისათვის, საითი რეფიქის ლექციას ისმენდა. რეფიქი სწორედ იმ ავადმყოფობის შესახებ ლაპარაკობდა, რომელიც საითს დამართნოდა. ლექციის პირველ ნაწილში ავადმყოფობის ნიშნებზე იყო ლაპარაკი, საითი ვერაფერს ხვდებოდა და დიდის ინტერესით უსმენდა მეგობარს. ალბათ, ვერც მიხვდებოდა, რეფიქი რომ მასზე ლაპარა-

კობდა, მაგრამ როცა ექიმმა მკურნალობის მეთოდებზე დაიწყო ლაპარაკი, საითს ძალიან ეცნო ყველაფერი.

— ამგვარი ავადმყოფის მკურნალობისას აუცილებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვა ხერხი, ამ დროს გამოგვადგება სპორტული ვარჯიშიც, ფსიქოთერაპიაც, ორგანიზმში წამლების შეშხაპუნებაც.

ლექციის მერე სტუდენტები რეფიქს შემოეხვივნენ — ჩინებული ლექცია მოვისმინეთო. საითმაც მიულოცა მეგობარს, მაგრამ თუ რამეს მიხვდა, არ შეამჩნევინა. უნივერსიტეტიდან ბაასით გამოვიდნენ, რეფიქს რომ დაშორდა და სახლში წავიდა, საითი გონების თვალით კვლავ ლექციას დაუბრუნდა, აგერ უკვე ერთი თვეა, რაც მკურნალობს და გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ახლა მხედველობაც უკეთესი აქვს. საჭირო აღარ არის, რომ წიგნი თუ გაზეთი ცხვირთან მიიტანოს. ბურთს ფეხს აღარ აცდენდა და კარგად ურტყამდა. ერთადერთი, რაც ვერ გაეგო, ამერიკაში გამგზავრება იყო. ორივე ასე დაუინებით რატომ ეუბნებოდა, ოკეანის გაღმა უნდა გაემგზავროო? რაში სჭირდება ეს ამერიკა? იგი მზად არის კვლავ რეგულარულად მიიღოს წამლები. აიტანოს ყოველნაირი ნემსის ჩხვლეტა, ოღონდ სევიმს არ დააშორონ. დეიდა ბერინმა უთხრა, სევიმმა დარეკაო და სადილი თვითონ მიართვა. ერთი ბოთლი ღვინოც დაუდგა მაგიდაზე. ახლა საითი სადილობისას ორიოდე ჭიქა ღვინოსაც კი სვამდა ხოლმე. ბერინ ხანუმმა რომ რეფიქს შესჩივლა, ამ ბოლო დროს ღვინოს ეჩვევაო, რეფიქმა ძალიან გაიხარა და ისიც კი თქვა, ძალიან კარგი იქნება, ბანქოს თამაში, ცეკვა და ქალებთან არშიყიც რომ დაიწყოს, ყველაფერი კარგად მიდის, მკურნალობას შედეგი მოაქვს და საითი ცხოვრებას უბრუნდებაო.

ტელეფონის ზარი გაისმა.

— საით, ჩემო ძვირფასო, — ეუბნებოდა სევიმი საითს, — უნდა გაგახარო, როგორც იქნა, დავიყოლიე, ჰო, დავიყოლიე. — ამ „ჩემო ძვირფასომ“ ისეთი თავბრუ დაახვია საითს, რომ ვერაფრით გაიგო, ვინ დაიყოლია სევიმმა და რაზე. შეკითხვა კი არ უნდოდა, უხერხულიაო.

— ჯერ გაიძახოდა, დრო არა მაქვსო, მაგრამ მე ძალიან ვთხოვე, ბევრი ვეხვეწე და აი, როგორც იქნა, დამყაბულდა. ალო, ალო, საით, არ მისმენ? არ გიხარია, რომ ეს საქმე გაგიკეთე?

— ძალიან მიხარია, ძალიან.

— რატომ მადლობას არ მიხდი? მე იმდენი ვეცადე შენთვის, იმდენი, რომ... შეგიძლია ხვალვე შეუდგე. აი, აჰმედი აქ არის, დაელაპარაკე.

საითი ახლალა მიხვდა ყველაფერს.

— ახლავე, ახლავე თქვენთან გავჩნდები... ამ წუთში.

გზაზე ყვავილების მაღაზიაში შეირბინა, სიჩქარეში ხურდაც დაავიწყდა და გამყიდველი ქუჩაში წამოეწია. სევიმთან მისული მსახურ ქალს გადაეხვია. ამით ის ქალიც შეაცბუნა და თვითონ — არანაკლებ უხერხულად იგრძნო თავი, მერე სულ ბოდიშებს უხდიდა, სევიმი მეგონეთო...

— სევიმ ხანუმი და აჰმედ ბეი იქ არიან, — სასტუმრო ოთახზე მიუთითა მსახურმა. მაგრამ სასტუმრო ოთახში ისინი არ აღმოჩნდნენ. სხვა ოთახში მორიდებით შეიხედა, მაგრამ ვერც იქ იპოვნა საცოლე და აჰმედი. სასტუმრო ოთახში მოუთმენლად ბოლთას სცემდა, მოულოდნელად შეამჩნია, რომ მთელი ოთახი სურათებით იყო მოფენილი. სურათები იყო კედლებზე, მაგიდებზე, ბუხარზე, ადრე ეს სურათები არ შეუმჩნევია. მკურნალობამ მხედველობაზეც იმოქმედა. ყოველ ფოტოსურათზე ორი სპორტულ სამოსში გამოწყობილი ადამიანი იყო გამოსახული. მამაკაცს ქალისათვის წელზე მოეხვია ხელი. საითი ყურადღებით დააკვირდა და პირველ სურათზე სევიმი იცნო. სურათს ასეთი წარწერა ამშვენებდა: „ჩემს ძვირფასს, ულუდაღში სათხილამურო კვირეულში გატარებული დღეების სახსოვრად — შენ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინე ჩემზე, შენ ჩემი უმთავრესი რეკორდი ხარ“.

„ოჰო, ყოჩაღ სევიმ, ეგ თურმე მოთხილამურეც ყოფილა“, — გაიფიქრა საითმა. აღმოჩნდა, რომ ამ სურათებში სევიმი სპორტის სულ სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებთან ყოფილა გადაღებული: აი, სევიმი ტანმოვარჯიშესთან ერთად, ქვეშ კი ასეთი წარწერა: „იმ დღის აღსანიშნავად, როცა მე და შენ ტანვარჯიშში მეცადინეობა დავიწყეთ“. აგერ, საბანაო კოსტიუმში მორთული სევიმი იახტის ცხვირზე დგას, წარწერა კი ასეთია: „რა გემრიელად გავატარეთ დღევანდელი დღე“.

„ალაჰ, რა მრავალმხრივი სპორტსმენია სევიმი, მოთხილამურეც, ტანმოვარჯიშეც, იახტსმენიც, მე საითი არ ვიყო, თუ ფეხბურთელი არ გავხდე“. მერე აღმოაჩინა, რომ ერთ კედელზე მხოლოდ ფეხბურთელთა სურათები ეკიდა. ყოველ სურათს წარწერა ამშვენებდა და საითი ისე დაბეჯითებით კითხულობდა ამ წარწერებს, როგორც მუზეუმში მოსული კაცი.

კარმა გაიჭრიალა და ოთახში ქალი შემოვიდა... საითი სიხარულით მოეხვია მას. სევიმმა ხომ ახლახან ჩემო ძვირფასო უწოდა. მაგრამ შემოსულმა ქალმა ერთი კვილი ატეხა, არიქათ, მიშველეთო. ეს ქალი

სევიმი კი არა, ფერფერიკების შორეული ნათესავი აღმოჩნდა. ამ ქალს სიყვარული მაინცდამაინც არ უძნელდებოდა, უკვე ოთხჯერ გათხოვდა და ოთხჯერვე დაქვრივდა.

— უკაცრავად, მეჰჯურე ხანუმი მეგონეთ, — ალუღლუღდა დაბნეული საითი.

ქალის ყვირილზე სევიმმა მოირბინა.

— რა ამბავში ხარ შენ აქა? — დაუცაცხანა საითს.

— ეს მე... მე ისე... მე მეგონა, რომ...

სევიმი სიბრაზისგან გაფითრდა. როდემდე უნდა აიტანოს ასეთი რამ? ჯერ იყო და, დედამისს ეხვეოდა, ახლა დედა აღარ იკმარა და ნათესავებს დაერია. საითი და დაზარალებული ერთმანეთს ბოდიშს უხდიდნენ. ამ მობოდიშებას ბოლო აღარ ჰქონდა, დაზარალებული ნანობდა კიდეც, რად მინდოდა ეს ყვირილი რომ ავტეხეო.

განრისხებული სევიმი ბობოქრობდა. უკვე დაეჭვდა კიდეც — მართლაც ყეყეჩია ეგ ტიპი, თუ მე მაყეყეჩებს. და ვისაც მოეპრიანება, იმას ეხვევაო.

დაბნეულმა საითმა აღარ იცოდა, რით ემართლებინა თავი და სევიმს ჰკითხა:

— დღეს თავს როგორა გრძნობთ, სევიმ ხანუმ? ჩვენი აჰმედი სად არის?

ამაზე საპატარძლოს ისტერიული სიცილი აუტყდა. საქანელა სავარძელში ჩაჯდა, რომ დამშვიდდა, უპასუხა.

— დაგაგვიანდა, აჰმედი ახლახან წავიდა.

საითი მის ფეხებთან ბალიშებზე მოკალათდა. სავარძელი ქანაობდა და საითის თვალთან დროდადრო გაიელვებდა ხოლმე სევიმის სავსე ბარძაყები, მოკლე კაბა რომ ვერ ფარავდა. საითს შერცხვა და თავი დახარა, ეს კიდევ უფრო ართობდა სევიმს.

— აჰმედი თანახმაა გავარჯიშოს, როგორც იქნა, დავიყოლიე, ეს ძერძო გაკვეთილებია და შენ ფული უნდა გადაუხადო, თუმცა, ალბათ, ხვდები, რომ ამას ფულის გულისთვის არ აკეთებს აჰმედი. მხოლოდ იცოდე, ეს ამბავი არავინ არ უნდა გაიგოს, თუ ვინმესთან სიტყვა წამოგცდა...

— ჩემგან ვერავინ ვერაფერს გაიგებს, სევიმ ხანუმ. პირობას გაძლევ, დეიდას და მადამ ანჟელასაც კი არაფერს ვეტყვი.

აჰმედი ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს ნასადილევს მოდიოდა, ბაღში ჯერ კიდევ ციოდა და მადამ ანჟელამ მესამე სართულზე ერთი

დაცარიელებული დარბაზი გაუღო სპორტსმენებს. თავიდანვე მადამ ანჟელამაც და დეიდა ბერინმაც არად ჩააგდეს აჰმედის ასეთი სტუმრიანობა. მაგრამ მერე დაინტერესდნენ, თუ რატომ იკეტებოდნენ დარბაზში აჰმედი და საითი, მართალია, მადამ ანჟელას ხან ჩაი შემოაჭრეს და ხან ყავა, მაგრამ მაინც ვერაფრით ვერ მიხვდა, რას აკეთებდნენ აქ. დეიდა ბერინს მიყურადება და თვალთვალი უგვანოთა საქმედ და ცოდვად მიაჩნდა, მაგრამ ახლა ესეც დაავიწყდა — დისწულის გულისათვის რას არ მოიმოქმედებდა.

და აი, რა გაიგონა ერთ დღეს.

— ფეხბურთში, მაშასადამე, თამაშის დროს არის ზოგიერთი ისეთი წესი, ესე იგი, რომელიც შენ უნდა იცოდე. პირველი, მაშასადამე, როგორც კი დაინახავ, რომ ბურთი მოწინააღმდეგეს აქვს, ესე იგი, რა უნდა გააკეთო? უნდა ეცადო, ის კი არაფრით გაძლევს ბურთს, მაშასადამე, რა უნდა მოიმოქმედო?

— არ ვიცი, ღმერთმა ქნას და მოწინააღმდეგემ ფეხი წამოჰკრას რასმე და წაიქცეს.

— სულელი! ყური მიგდე და კარგად დაიმახსოვრე ყველაფერი, მაშასადამე, რასაც გეტყვი, როგორც კი მის გვერდით მოხვდები, კუდუსუნში ფეხი ამოარტყი და იმ წუთში დაეცი, მიწაზე იკოტრიალე და ისეთი ყვირილი მორთე, მაშასადამე, თითქოს ვინმე დასაკლავად მოგდევდეს. გაიგე? თუ წვიმს და ტალახში მოგიწია კოტრიალი, რას იზამ, ასეთია ფეხბურთელის ყოფა. მენავეს ერთი ადგილი მუდამ სველი ექნება... მაშ ასე, მაშასადამე, შენ მიწაზე კოტრიალობ, დრო კი მიდის, კაცი არაა იმის გამრჩევი, ვინ ვის ამოარტყა წიხლი, ეს მხოლოდ შენ იცი და იმან, შენ ვისაც ამოარტყი, ჩვენს გულშემატკივარს კი მუდამ ის ებრალება, ვინც მიწაზე აგდია.

— რატომ?

— ეგ იმიტომ, ჩემო ძმობილო, რომ ფეხბურთის გულშემატკივარსაც, მაშასადამე, მწარე ცხოვრება აქვს. იგი იწყებს, მაშასადამე, სტვენას, რომ შენი მოწინააღმდეგე მოედნიდან გააძევონ. შენ კი მიწაზე გდიხარ და ყვირი, ხომ არ დაგავიწყდა? როცა შენი მოწინააღმდეგე ეცემა, ქომაგი ფიქრობს, გვატყუებსო და კიდევ უფრო უმატებს სტვენას და ყვირილს. ამასობაში შენთან საკაცით მორბიან. შენ ძლივს წამოდგები, ორივე ხელი წელზე გიდევს, რადგან გტკივა, მაგრამ ისევ დაეცემი, რადგან წამოდგომა ვერ შესძელი. მერე კვლავ წამოდგები და კოჭლობით იწყებ თამაშს. ახლა შენ, მაშასადამე, მკითხავ, რატომ

კოჭლობო? იმიტომ, რომ ხალხს აჩვენო, როგორ თავდადებული ხარ შენი გუნდისათვის. მზადა ხარ არაფერი დაზოგო გუნდისათვის, აი, ამის გამო გულშემატკივრები გაფასებენ და აღფრთოვანებულ[illegible]ლიც კი ერევათ. მერე ტაშს გიკრავენ. გაიგე?

— მგონი, კი.

— ეს ეშმაკობა ჩვენთან მუდამ ჭრის, მაგრამ როცა გერმანელებს ეთამაშები, ასეთი რამ არ უნდა ჩაიდინო, გერმანელები სულ სხვა ყაიდის ხალხია, ჩვენებს ეცოდებათ ის, ვინც მიწაზე აგდია, გერმანელები კი ასეთ კაცს უსტვენენ, დაცემული მათ არ ებრალებათ, თუ გლახაკი ხარ, ეგდე მაგ მიწაზეო; თურქებს ებრალებათ გუნდი, რომელიც აგებს, გერმანელები კი შვილს არ ინდობენ, თუ წააგებს. გერმანელი ძლიერს უჭერს მხარს. გამარჯვებული მუდამ მართალიაო. გაიგე? ჩვენები ამბობენ, გამარჯვებულს ისიც ეყოფა, რომ მოიგოო და დამარცხებულს თანაუგრძნობენ. რატომ? იმიტომ, რომ თურქები თვითონ არიან გაწამებულნი.

საითი რამდენიმე წელი საფრანგეთში ცხოვრობდა და ამიტომ ძალიან დაინტერესდა, ფრანგები როგორნი არიანო.

არც ფრანგები გვანან თურქებს. ამ ხერხით ვერც ფრანგს გააცურებ. მან კარგად იცის, ვინ ვის ამოარტყა წიხლი და ვინ იტყუება. აი, მსაჯს თუ მოატყუებ, ტაშს დაგიკრავენ, მაგრამ თუ მსაჯი ეშმაკობას მიგიხვდა, სჯობს თვითონვე დასტოვო მოედანი, თორემ იქნება სახეშიც მოგაფურთხონ.

— ინგლისელები?

— ინგლისელებს ვერაფრით ვერ მოატყუებ, იმიტომ რომ ეგ ამბები მაგათი მოგონილია. მაგათ ყველაფერი ადრევე იციან. დაიმახსოვრე, რომ ინგლისელი მსაჯი ლაქუცს არ დაგიწყებს და უმალ გაგაძევებს მოედნიდან, ასეთია ფეხბურთის ანაბანა, საით ბეი. ეს სიბრძნე მთელი ოცი წლის გამოცდილებით შევიძინე, შენ კი ოც წუთში გასწავლე. წიხლის ამორტყმა შენ უბრალო საქმე ნუ გგონია, რაც დღეს გასწავლე, კარგად დაიხსომე, თუმცა, სწავლა შენი საქმეა, ეგ უფრო იოლია, ვიდრე მოედანზე სირბილი.

შემდეგ გაკვეთილზე საითმა წაიკითხა პირველი წესი, რომელიც წინა გაკვეთილზე ჩაუწერია.

„თუ ბურთი მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელს აქვს და შენ არ ძალგიძს აართვა, საჭიროა კუდუსუნში წიხლის ამორტყმა, ამის შემდეგ წიხლის ამომკვრელი მოვალეა წაიქცეს და ღრიალი მორთოს,

რათა ვერც მაყურებელი მიხვდეს რაიმეს და ვერც მსაჯი. ეს ხერხი არ გამოდგება გერმანელებთან თამაშისას“.

— ყოჩაღ, ძმობილო, მეცნიერულად ჩამოგიყალიბებია. მხოლოდ ერთი რამ უნდა დაიხსომო: ჩვენ მაგ ხერხს არავის ვუმხელ. მე არ მინდა ტყუილუბრალოდ მივიღო ფული, ამიტომ ახლა მეორე წესს გასწავლი: მოწინააღმდეგეს შენს კარში ზედიზედ გააქვს ბურთები, ისე მოგქანცა, რომ არაქათი გამოგელია, სუნთქვაც აღარ შეგიძლია, ძალა აღარ გყოფნის. რა უნდა ქნა?

— შევეცდები, დავისვენო.

— შენ ყავახანაში კი არ ზიხარ, ფეხბურთს თამაშობ და დასვენება პირველსა და მეორე ტაიმს შორის, გასახდელში! მაშ, როგორ უნდა მოიქცე?

— არ ვიცი.

— მაშ, დაიხსომე, მოწინააღმდეგე გუნდის რომელიმე ფეხბურთელთან მიირბინე და დაეცი.

— პირველი წესიც ხომ წაქცევას ითვალისწინებს.

— პირველი წესის მიხედვით, შენ ჯერ ურტყამ და მერე ეცემი, აქ კი მიირბენ და ეცემი, ეგდე მიწაზე, სანამ ყურადღებას არ მოგაქცევენ. გაიგე? აგდიხარ ბალახზე და ისვენებ. ერთხელ მე ასე ვისვენებდი და მხოლოდ მაშინ მოვედი გონს, როცა ბურთი მომარტყეს თავში. როცა მიხვდები, ძალა გელევა, დაწექი და დაისვენე, შეიძლება ორი ტაიმის მანძილზე ორმოც წუთზე მეტი არც ითამაშო. ნურაფრის მოგერიდება, ეს წესი არავის გაუმხილო, თორემ ფეხბურთის მოედანი პლაჟს დაემსგავსება. გამიგე?

— კი, გავიგე.

— მომავალ გაკვეთილამდე ასჯერ გადაწერე და ზეპირად ისწავლე.

ყოველი გაკვეთილის შემდეგ აჰმედი თავის ჯიბეში კონვერტში ჩადებულ ფულს აღმოაჩენდა ხოლმე. საითი იმდენს უხდიდა აჰმედს, რომ ამდენი ფული არც ერთ მწვრთნელს არ დაესიზმრებოდა. ვარჯიშის შემდეგ აჰმედი სევიმთან მიდიოდა.

— კიდევ ერთი გაკვეთილი ჩავუტარე შენს ტიპს, ისეთ სისულელეს ვეუბნები, რომ მოისმინო, ჭკუას დაკარგავ. ეგ კიდევ არა მარტო იწერს, ზეპირად სწავლობს.

მალე აჰმედს მოეჩვენა, საითი დამცინისო. ოცი გაკვეთილის შემდეგ კი ისე მოსწყინდა ეს თამაში, რომ ლამის ჭკუიდან შეშლილიყო.

— მეტი აღარ შემიძლია. თუ გინდა, მომკალი, მე აღარ შემიძლია.

ათი წესი ვასწავლე, მეტი ვეღარაფერი მომიფიქრებია, არც მაგისი ფული მინდა.

— აჰმედ, საყვარელო, ცოტაც მოითმინე, ფულს შოულობ, ასე ბრაზი არ ყარი, რა გენაღვლება, სასაცილო ამბავია!

— არ ვიცი ვინ ვის დასცინის. ასე მგონია, ეგ შენი ტიპი მე დამცინის. მეტად აღარ გავეკარები, შენც ნუღარ მთხოვ.

— ახლა უბრძანე, ჩვენი ფეხბურთის ისტორია შეისწავლოს.

აჰმედს ეს აზრი მოეწონა და ვარჯიში გაგრძელდა.

— ახლა კი, ძმობილო, ჩვენი მშობლიური, სახელოვანი ფეხბურთის ისტორია უნდა შევისწავლოთ.

საითი ბიბლიოთეკაში ჩაიკეტა, იგი ათავალიერებდა გაზეთებს, კითხულობდა ჟურნალებს და აოცებდა ის, თუ რაოდენ ბევრს წერდნენ აჰმედ „კედელას“ შესახებ.

ერთხელ, ვარჯიშის მერე დარბაზში ბერინ ხანუმი შემოვიდა და დაინახა, რომ იატაკი ცარცით იყო დახაზული. ბერინ ხანუმმა სასწრაფოდ გამოიძახა მადამ ანჟელა. მისმა გამოცდილმა თვალმა უმალ დაადგინა, რომ ეს ფეხბურთის მოედნის გეგმა იყო.

დეიდამ არ დააყოვნა და ყველაფერი ეს რეფიქს აცნობა. ექიმი ამ უკანასკნელი ცნობითაც კმაყოფილი დარჩა და თქვა, საითი სრული გამოჯანმრთელების გზაზე დგასო.

საითი კი ასე ბედნიერი არასოდეს ყოფილა! მოცლა აღარა ჰქონდა. ორშაბათობით და ხუთშაბათობით მასთან მოდიოდა პროფესორი აჰმედ „კედელა“, სხვა დღეებში კი თვითონ დადიოდა რეფიქთან და პროფესორთან.

მწვრთნელ ტომპსონის ფათერაკები

ბოლოს ის დღეც დადგა, როცა აჰმედ „კედელამ“ დაბეჯითებით განაცხადა, მაგ გიჟების სახლი ყელში ამომივიდა, საითს აღარ ვავარჯიშებო.

— მილიონიც რომ მომცეს, აღარ გავეკარები, მომწყდეს თავიდან.

— კი მაგრამ, ძვირფასო!..

— არავითარი ძვირფასო, ერთადერთი, რაც მე შემიძლია გავაკეთო, ის არის, რომ ინგლისელ მწვრთნელ ტომპსონს შევახვედრებ. მაგ გიაურს შაინც არ მოვწონვართ, ვარჯიშებზე არ დადიხართო, ჰოდა ავარ-

ჯიშოს საითი, ეგ ინგლისელი ჩვენთან დიდხანს აღარ დარჩება, ხელ-შეკრულების ვადა იწურება.

— გემუდარები, აჰმედ, ეგ ტომპსონი ხომ სულ გაასავითებს ჩემს ტიპს, იგი სერიოზულად მოეკიდება ამ საქმეს, ნამდვილად ვარჯიშებს საითი ირბენს, იხტუნავებს, სადა აქვს ამდენის თავი მაგ საცოდავს, სული ძლივს უდგას, ქორწილამდე გაფშიკავს ფეხს და მე რაღა ვქნა... ღმერთმანი, მებრალება კიდეც.

— ნუ გააჭიანურეთ ეს ქორწილი. დედაშენს უთხარი, ნუ აუხირდა! აი, შეალამაზებს სახლს, ავეჯს გააწყობს და მორჩა! ტომპსონი თავად მიხვდება, რა სჭირდება შენს ტიპს.

აჰმედმა თავისი სიტყვა შეასრულა, — მან დაწვრილებით უამბო ტომპსონს საითის თაობაზე. ტომპსონი ფულზე ჭკუას კარგავდა, მაგრამ ახლა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მაგ მუდრეგ მდიდარს არაფრით არ ვავარჯიშებო. იგი მხოლოდ და მხოლოდ პროფესიულ ფეხბურთელებს სცემდა პატივს, მაგრამ როცა აჰმედმა საითი შეაბრალა, აუწერა თუ რაოდენ კრიტიკულ მდგომარეობაშია ჭაბუკი და ერთადერთ გამოსავალს ექიმებიც და თვითონაც ფეხბურთში ხედავენო, ინგლისელი დათანხმდა.

ფეხბურთის მეცნიერებათა დოქტორმა აჰმედ „კედელამ“ საითს ყველაფერი ასე აუხსნა: ვარჯიშის თეორიული ნაწილი დამთავრებულია, ახლა პრაქტიკული მეცადინეობა არის საჭირო, ამიტომ „თოზ-ქოფარანის“ მწვრთნელს ტომპსონს მოველაპარაკე და დღეიდან ის გავარჯიშებსო. აჰმედმა ერთი რამ სთხოვა საითს: თურქული ფეხბურთის საიდუმლოებაში არაფრით არ ჩაახედო ინგლისელიო.

ტომპსონსა და საითს უმალ მოეწონათ ერთმანეთი. ჯერ ერთი, ისინი მამა-შვილივით ჰგავდნენ ერთმანეთს. განსხვავება ის იყო, რომ ტომპსონი უფრო ენერგიული კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მეორეც, ორივე — საითიცა და ტომპსონიც უწყინარნი, მაგრამ თავისი საქმით გატაცებული ადამიანები იყვნენ.

ინგლისელის ერთადერთი სიხარული ამქვეყნად ის იყო, რომ ახალ-ახალი საფეხბურთო ვარსკვლავები წარმოეჩინა. თავისი ცხოვრების მანძილზე არაერთი ვარსკვლავი აუკიაფებია საფეხბურთო ცაზე. ახლა ეს ვარსკვლავები სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთელთა გუნდებს ამშვენებდნენ. რაც უფრო ნედლი მასალა ჩაუვარდებოდა ხელთ, რაც უფრო გამოუცდელი იყო ფეხბურთელი, ტომპსონი მით უფრო სიამოვნებით

მუშაობდა მასთან და უვიცი კაცის პირველი კლასის ფეხბურთელად ქცევის პროცესი უდიდეს სიხარულს გვრიდა.

ტომპსონი თურქეთში მაშინ მოხვდა, როცა თურქებმა [illegible] თუ რა ღვაწლი დასდო მან მსოფლიო ფეხბურთის განვითარების საქმეს. „თოზქოფარანს" კი იმ დროს მსოფლიო სახელის მქონე მწვრთნელი სჭირდებოდა. ინგლისელ მწვრთნელს არაფერი გაუვიდა „თოზქოფარანში". იქნებ მისი დიდების ამბავმა ძალიან გვიან ჩამოაღწია თურქეთში და ახლა ტომპსონი ის აღარ იყო, რაც მაშინ, როცა ეს სახელი გაუვარდა? ან იქნებ „თოზქოფარანი" არ იყო ის ნედლი მასალა, რომელიც ტომპსონს უყვარდა? ასეა თუ ისე, გუნდს ტომპსონი არ მოსწონდა და ტომპსონს კიდევ — გუნდი. „თოზქოფარანი" დღითიდღე უარესად თამაშობდა, როგორც ყოველთვის ხდება, ამაში მწვრთნელს სდებდნენ ბრალს. ასე რომ, ტომპსონს უმუშევრობა ემუქრებოდა. და აი, ამ დროს გამოჩნდა საითი. საითის გაცნობამ მომავლის რწმენა ჩაუნერგა, ამიტომაც ახალგაზრდული აზარტით შეუდგა საითის წვრთნას. ხოლო როცა საითი ჯერ ფრანგულად გამოელაპარაკა, შემდეგ კი ინგლისურად, მწვრთნელი უსაზღვრო სიმპატიით განიმსჭვალა მის მიმართ. ტომპსონის სულში კვლავ გაღვივდა იმდროინდელი ნაპერწკალი, როცა იგი საფეხბურთო ვარსკვლავებს ზრდიდა. ტომპსონი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კარგი ფეხბურთელის შექმნა ნებისმიერი მასალისგან შეიძლებოდა. ხოლო რაც უფრო მორჩილი იყო მასალა, მით უფრო იოლდებოდა მოფიქრებული ფიგურის გამოყვანა. ამიტომაც დააცხრა ასე საითს. ინგლისელი წვრთნისას პედანტი და მკაცრი იყო. პირველ ხანს დაეჭვდა კიდეც, აიტანს თუ არა ეს ყმაწვილი ამდენ დატვირთვასო. საითი გაიძახოდა, ყველაფერს ავიტან, ოღონდ მალე გავხდე ფეხბურთელიო. მან რეფიქსა და პროფესორს გააცნო ტომპსონი. ამ სამმა კაცმა შეიმუშავა საითის გამოჯანსაღების მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა. საითი ბედნიერი იყო. მის ოცნებას ფრთები ესხმებოდა!

რას არ აკეთებდა საითი მწვრთნელის კარნახით — თოკზე ხტებოდა, ტანვარჯიშსაც მისდევდა, სიმძიმეებს სწევდა, დარბოდა.

პირველ ხანებში ისე იღლებოდა, რომ ხელ-ფეხის განძრევის თავი არა ჰქონდა. ზოგჯერ იმასაც გაიფიქრებდა, ყველაფერს მივატოვებო, მაგრამ უმალ სევიმი გაახსენდებოდა და სულსწრაფობას კვლავ მტკიცე გადაწყვეტილება სცვლიდა — რადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემსას უნდა მივაღწიოო!

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რეფიქი თავიდანვე ჩააგონებდა საითს, უსათუოდ დიდი ფეხბურთელი გახდებიო. კაცმა რომ თქვას, თავად ექიმს მაინცდამაინც არ სჯეროდა თავისი ნათქვამისა, [illegible] მთავარი იყო საითის განკურნება და თუ ამ მკურნალობაში [illegible] საკენ ლტოლვასა და სიყვარულს დაიხმარებდა, განა ეს არ იყო ფსიქოთერაპიის ხელოვნება?

ჩვეულებრივი დღე იდგა. უკვე დამეგობრებული ტომპსონი და მისი მოწაფე სარიოღლუთა სასახლის ბაღში ვარჯიშობდნენ. ამ ბაღში კარგა ხანია კაციშვილს არ დაედგა ფეხი. ამიტომ თითქმის გაუკაცრიელებულიყო. ბაღს შამბი და ბუჩქნარი დარეოდა, ისინი განსაკუთრებით უხვად მომრავლებულიყვნენ გალავნის გაყოლებით. საითი ჯერ სახლის ირგვლივ მდელოზე დარბოდა, მანძილს დღითიდღე ზრდიდა და მალე ეს მდელო ძალიან პატარა ეჩვენათ. ამიტომ მისტერ ტომპსონმა თქვა, გალავნის გაყოლებით უნდა ირბინოთო. საითი ადგილს მოსწყდა, სისწრაფეს მოუმატა, ხუთმეტიოდე მეტრი გაირბინა და უცებ ისე გაჭრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. მისტერ ტომპსონი მდელოზე დასეირნობდა და მშვიდად ელოდა საითის გამოჩენას, საითი რომ არ გამოჩნდა, მოუთმენლობა დაეტყო. ამ ხნის მანძილზე მთელ ბაღს ნელი ნაბიჯით მოივლიდაო კაცი. რამდენიმე ხანი საით, საითო იძახა, ხმა რომ არავინ გასცა, საითის გზას დაადგა, მაგრამ ხშირმა ბუჩქნარმა გზა გადაუღობა, კიდევ ერთხელ დაიძახა, საითო და შინ შებრუნდა, სახლში მადამ ანჟელა შეეგება.

— საით ბეი არ გინახავთ?

— განა საით ბეი თქვენთან არ არის? ამ ცოტა ხნის წინ დავინახე, ბაღში დარბოდა.

ფანჯარაში ბერინ ხანუმი გადმოდგა.

— რა მოხდა?

— ტომპსონ ეფენდი ამბობს, მგონი საით ბეი დაიკარგაო.

მწვრთნელი ერთმანეთში ურევდა ინგლისურსა და თურქულ სიტყვებს და როგორც იქნა, დეიდას გააგებინა, საითი გალავნის გასწვრივ გარბოდა და უცებ გაქრაო. ბერინ დეიდა ძალიან შეშფოთდა.

დაიწყო ძებნა. ჯერ სასახლის ყველა ოთახი მოიარეს, სხვენზე ავიდნენ, სარდაფში ჩავიდნენ, მერე ბაღში გავიდნენ და მორთეს ყვირილი: „საით, საით“.

ხმას არავინ სცემდა.

— იქნებ გალავანს გადაახტა? — იკითხა მადამ ანჟელამ.

— რას ამბობთ, მადამ ანჟელა, განა შეიძლება ჩვენს გალავანს ადამიანის შვილი გადაახტეს? — თქვა ბერინ ხანუმმა და ისე დაიწყო ხელების მტვრევა და ისეთი ტირილი მორთო, თითქოს საფლავს ცხედარი უკვე წინ ედო.

მისტერ ტომპსონი თავისთვის, ხმადაბლა იგინებოდა და საითს ეძახდა. თან ფიქრობდა, „რა ჯანდაბად ვუთხარი, გალავნის გასწვრივ ირბინე-მეთქი. რა ხანია იქ კაცს არ გაუვლია. ჩემ თვალწინ მიწამ ხომ არ ჩაყლაპა“. არაფრით არ სჯეროდა, რომ შეიძლებოდა საითი მომკვდარიყო. ინგლისელს ის აცოფებდა, რომ ასე არ უღიმოდა ბედი. „თოზქოფარანთან“ ხელშეკრულების ვადა ამოიწურა. მდიდარი კლიენტიც სადღაც აორთქლდა.

მადამ ანჟელა კვლავ სახლში დაეძებდა საითს, დეიდა ბერინი კი პირისახეს იხოკდა და ყვიროდა:

— იმ წყეულმა ქალმა წაართვა ჭკუა-გონება, ვეღარ აიტანა ამდენი წამება და თავი მოიკლა. ოი, წყეულო ქალო, ალაჰმა გადაგიხადოს სამაგიერო. ოჰ, ეს აჰმედი, ო, ეს მწვრთნელი, ალაჰ, განა წესიერ ოჯახში აღზრდილი კაცი მთელ დღეს სირბილსა და ხტუნაობაში გაატარებს? ოი, ოი...

ბერინ ხანუმი ტელეფონს ეცა, რომ სარიოღლუს საგვარეულოსთვის ეცნო ეს უბედურება. პირველად მოხუც აბდუშუქურ ბეის დაურეკა. აბდუშუქურ ბეიმ ის კი გაიგო, რომ საითი დაიკარგა, მაგრამ რომელ საითზე იყო ლაპარაკი, ამას ვერაფრით მიხვდა.

— ვინ დაიკარგა? — ჩასძახოდა ყურმილში.

— საითი, ჩვენი საითი დაიკარგა.

ამ უკანასკნელი წლებისა მოხუცმა არაფერი იცოდა, სამაგიეროდ, ჩინებულად ახსოვდა ის, რაც ადრეულ წლებში, მისი ახალგაზრდობის დროს მოხდა.

— საით ფაშა დაკარგულა. სადრაზამი საით ფაშა დაკარგულა, რა გვეშველება, რა წყალში ჩავვარდეთ!

— რომელი სადრაზამი? რა სადრაზამი! ჩვენი საითი დაიკარგა.

აბდუშუქურ ბეის ყურმილი შვილიშვილმა, ოცი წლის ქალიშვილმა აიფერმა წაართვა ხელიდან.

— ვერაფერი გავაგებინე ბაბუაშენს, ვეუბნები საითი დაიკარგა-მეთქი და ეგ ვილაც სადრიზამ ფაშა დაიკარგაო, გაიძახის.

— ეს იმიტომ, რომ ბაბუა მემუარებს წერს და ამჟამად სწორედ სადრიზამ ფაშას ცხოვრებას აღწერს.

— აბდუშუქურ ბეი მემუარებს წერს? — გაოცდა ბერინ ხანუმი.

— ჰო, რომელიღაც ჟურნალისათვის წერს, არ ვიცი რა გამოვა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — ამ ბოლო დროს ყველაფერი ერთმანეთში აურია. წერდა, წერდა და მერე განაცხადა, რესპუბლიკა მე დავაარსეო. თქვენ ხომ ამ დროს ლონდონში იყავით ბაბუა-მეთქი და იცით, რა მითხრა? ჯერ რესპუბლიკა დავაარსე და რომ შემეშინდა, ლონდონში გავიქეცი. ავდექი და ჟურნალის მფლობელს დავურეკე ასე და ასეა-მეთქი საქმე. რედაქტორმა გაიცინა და მითხრა: „ძალიანაც კარგი, ისტორიას რაც უფრო აურ-დაურევენ, მით უფრო საინტერესო საკითხავია“.

— შვილო, მე იმიტომ გირეკავდით, რომ საითი...

— ჩვენი საითი?

— ჰო, საითი დაიკარგა, უცებ გაქრა...

— განა მოზრდილებიც იკარგებიან?

— რახან დაიკარგა, ესე იგი იკარგებიან. მინდოდა ბაბუაშენისათვის მეკითხა, როგორ მოვიქცე-მეთქი, მაგრამ აბა...

ბერინ ხანუმმა ყველა ნათესავს დაურეკა. მათ უსაქმურობისა და მოწყენილობისაგან ობი მოჰკიდებოდათ და საითის დაკარგვა ჭეშმარიტად სენსაციური ამბავი იყო. ამ ფაქტის მიმართ მხურვალე ინტერესი გამოიჩინეს და უმალ შეიკრიბნენ სარიოღლუთა სასახლეში. ჯვარედინი დაკითხვის დროს ვერც ბერინ ხანუმ ეფენდიმ, ვერც მადამ ანჟელამ და ვერც მისტერ ტომპსონმა ვერ უპასუხეს, თუ რატომ გარბოდა საითი გალავნის გასწვრივ.

— მისდევდა ვინმე?

— ალაჰ, ალაჰ, ამ ხნის კაცს რა არბენინებდა? — თქვა მეორემ.

— ჩვენი საითი ვარჯიშობდა, მას ტომპსონ ეფენდი წვრთნიდა, საითს უნდოდა ფეხბურთის თამაში ესწავლა, — თქვა ბერინ ხანუმმა.

— აა... გასაგებია, მაშ, სხეულს ავარჯიშებდა.

— თქვენი მონამორჩილი ახალგაზრდობაში შვედური ტანვარჯიშით იყო გატაცებული.

— თქვენი ახალგაზრდობის დროს ტანვარჯიში საერთოდ არ არსებობდა.

— ჰო, კარგით, კარგით! რა მოუვიდა საითს, როცა მისტერ ტომპსონი წვრთნიდა?

ბერინ ხანუმს უყვარდა ამბის აუჩქარებლად და დაწვრილებით მოყოლა, ამიტომ ჩამოჯდა და ყველაფერი თავიდან დაიწყო, თან ისეთ

ახალ-ახალ ამბებს იგონებდა, რომელიც არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

— გამოდის, რომ საითი მოიტაცეს, — დაასკვნა ისმეთი ეფენდიმ.

— ვინ მოიტაცა არ ვიცი, მაგრამ ბევრნი კი იყვნენ.

— საითს რატომ მოიტაცებდნენ, ქალი ხომ არ არის?

— კი, მაგრამ საითი ყველა ქალზე ლამაზია.

— ახლა კაცებსაც იტაცებენ, რომ მერე გამოსასყიდი ფული მიიღონ.

— არა, ეს ამბავი არაამქვეყნიური ძალების საქმეა, — განაცხადა დეიდა შუქრუნ ხანუმმა, რომელიც სპირიტიზმით იყო გატაცებული. — მე ხშირად შემიმჩნევია, რომ საითი საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, ესე იგი, საითი არაამქვეყნიურ ძალებს ელაპარაკებოდა. იმათ წაიყვანეს საითი.

რომელიღაც საღად მოაზროვნემ წინადადება შემოიტანა, ეს ამბავი პოლიციას შევატყობინოთო. ატყდა ერთი კამათი. სარიოღლუებს არ უყვარდათ პოლიციასთან საქმის დაჭერა. პოლიციელებს ჟურნალისტები აედევნებიან და იქნება ამ დიდებული გვარის თრევა გაზეთის ფურცლებზეო.

პოლიციაში მაინც დარეკეს, მაგრამ პოლიციას სევიმმა მოასწრო. სახლის ზღურბლზე გადმოდგა თუ არა ფეხი, თმის გლეჯა და პირსახის ხოკვა დაიწყო, ისეთი ყვირილი ატეხა, მთელი უბანი შესძრა. სევიმი იმდენად ბუნებრივად გამოხატავდა მწუხარებას, სარიოღლუები, რომლებსაც არასოდეს გულზე არ ეხატებოდათ სევიმი, ახლა მის დამშვიდებას ცდილობდნენ.

— უჩემოდ რატომ წახვედი, მე რად დამტოვე! — ყვიროდა სევიმი.

ამ არაამქვეყნიური სიყვარულით შეძრწმუნებული სარიოღლუთი მთელი საგვარეულო საპატარძლოსთან ერთად ტიროდა.

აი, რას ნიშნავს სიყვარული. ზუსტად ისეა, როგორც ლეილი და მეჯნუნი, რომეო და ჯულიეტა, ესეც სევიმი და საითი, — ჩურჩულებდნენ მოხუცები და ინტერესით შესცქეროდნენ ნახევრადშიშველ სევიმს. საბრალო ქალს სიჩქარეში კაბის ჩაცმაც დავიწყნიაო!

სარიოღლუთა საგვარეულოს მამაკაცთა სამწუხაროდ, მადამ ანჟელამ აქვითინებულ საპატარძლოს თეთრი ზეწარი მიაფარა. სევიმის ქვითინში უკვე ისმოდა ქვრივი ქალის მოთქმა—მან მოასწრო და ზუბეიდა ხანუმს გადაუჩურჩულა, ხომ იცით, საითმა რომ ფეხმძიმედ დამტოვაო. ამ ამბავმა იგი კიდევ უფრო მეტად შესაბრალისი გახადა სარიოღლუთა თვალში.

— საბრალო გოგო, რა ახალგაზრდაა და უკვე დაქვრივდა, თანაც ბავშვს ელოდება.

საღამო ხანს პოლიციის წარმომადგენლებიც გამოცხადდნენ. ერთს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, სამს კი უნიფორმა. მოწმეთა დაკითხვის შემდეგ ყველანი შემთხვევის ადგილისაკენ გაეშურნენ. მისტერ ტომპსონმა ჩიქორთული თურქულით დაიწყო იმის დაწვრილებით აღწერა, თუ რა მდგომარეობაში დაიკარგა საითი.

— მე აქ დგას... საით ბეი იქ გარბის... უცებ მე ხედავს... მას დაიკარგა.

მწვრთნელი ზუსტად იმ ადგილას დადგა, სადაც საითი იდგა და სწორედ იქით გაიქცა, საითაც საითი. მის ზურგს კი მოჰკრეს თვალი და ისიც მოულოდნელად გაქრა.

— ოჰ, — წამოიძახა შეშინებულმა ბრბომ. ორიოდე ნაბიჯი გადადგა და შედგა.

— მისტერ ტომპსონ! — დაიძახა ვიღაცამ.

პასუხი არავის გაუცია.

პოლიციელმა იარაღის ბუდე გახსნა, რევოლვერი ამოიღო და გაბედული ნაბიჯებით გაჰყვა გამქრალი ინგლისელის კვალს, ბუჩქნარს მიუახლოვდა, შედგა, მიმოიხედა და კვლავ განაგრძო გზა. გადადგა ერთი, ორი, სამი ნაბიჯი და პოლიციელიც უმალ გაქრა.

ბრბოს ერთხმად აღმოხდა გაოცების შეძახილი და ბუჩქნარისკენ გაემართა. ვიწრო ბილიკი ერთი ძველთაძველი მიტოვებული ჭისკენ მიიკლაკნებოდა. ეს ჭა გარეული ცხოველების ხაფანგს ჩამოგავდა. სწორედ ამ ხაფანგში ჩაცვივდნენ სამივენი. საითი, მისტერ ტომპსონი და პოლიციელი.

თვით დეიდა ბერინსაც კი დავიწყნოდა ამ ჭის არსებობა და საითს როგორ ეცოდინებოდა იგი, ჭა კარგა ხნის წინათ ამომშრალიყო. ფსკერი შამბს დაეფარა. ბუჩქები და ბალახები კი ისე გადაფენოდა, რომ თვალით უხილავი გახდა.

ამ ექვსმეტრიან ჭაში ჩავარდნილმა საითმა თავი ქვას დაარტყა და უმალ გრძნობა დაჰკარგა. ამ მიზეზის გამო არ ესმოდა ამდენი ძახილი, საითი მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა ტომპსონიც გადაეშვა ჭაში, და თვალის გახელისთანავე იყვირა „არის, არის, გავიტანე," ხოლო როცა ჭაში მესამე, ახლა უკვე პოლიციელიც გადაეშვა, საითს შუბლში რევოლვერის კონდახი მოხვდა.

ჭაში ჩავარდნილთა გადასარჩენად სასწრაფოდ უხმეს სახანძრო

რაზმს. სახანძრომ არ დააყოვნა და ნაშუალამევს მობრძანდა. არემარე პროჟექტორებით გაანათეს და ჭაში კიბე ჩაუშვეს. ამ კიბეს ჯერ მისტერ ტომპსონი ამოჰყვა, შემდეგ პოლიციელი. გულწასული საითი მეხანძრეებმა ამოიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეიდამ უმალ რეფიქს დაურეკა და სთხოვა, იქნება მოხვიდეთ — საითი გულწასულია და ვერაფრით ვერ მოვაბრუნეთო.

საითი რომ გონს მოვიდა და გაკვირვებულმა გადააგლო თვალი ხალხს, ვერაფრით ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა და რა მოხდა. რეფიქი რომ დაინახა, ჩვეულებისამებრ უთხრა:

— ტყუილუბრალოდ ცდილობ, გიპნოზით ვერ დამაძინებ.

ექიმმა ყურადღებით გასინჯა საითი და საგანგაშო ვერაფერი აღმოაჩინა, უფრო მეტი, ბერინ ხანუმს ისიც კი უთხრა, ამ ტრავმამ იქნებ სასწაულებრივი გავლენაც კი მოახდინოს საითის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზეო.

მართლაც, საითმა გონს მოსვლისთანავე შეამჩნია, რომ ახლა გაცილებით უკეთ ხედავდა და უკეთ ერკვეოდა ყველაფერში, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. საითის მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდებოდა. თუ ადრე ამერიკის გაგონებაც არ უნდოდა, ახლა ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა. სევიმმა და დედამისმა რომ უთხრეს, ბოლოსდაბოლოს ქორწილიც ხომ უნდა გადავიხადოთო, საითმა ძალზე დიპლომატიურად უპასუხა, ყველაფერს მოვიფიქრებ და გეტყვითო. ყველაზე მეტად სევიმი ჩქარობდა, სადაცაა ბავშვი გაჩნდება და ქორწილის დაყოვნების დრო აღარ არისო. მართალია, საითმა სულაც არაფერი იცოდა იმაზე, რომ სევიმმა კარგა ხანია კიდევ ერთი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ უკვე აღარ ეწადა სხვისი ბავშვის მამა გამხდარიყო. ახლა იგი დღედაღამ იმას ფიქრობდა, ფეხბურთელი უნდა გავხდეო, მეტი აღარაფერი აინტერესებდა ქვეყნად. ერთ დროს ფეხბურთელობა აუხდენელ ოცნებად მიაჩნდა, მაგრამ ახლა, როცა რეფიქი, პროფესორი და მისტერ ტომპსონი ასე ყოველდღე ჩაგონებდნენ, ფეხბურთელი გახდებიო, ქორწილი სულაც არ იყო საშური საქმე. ტომპსონს ზოგჯერ „თოზქოფარანის“ ვარჯიშზეც კი მიჰყავდა ხოლმე. რამდენჯერმე მეორე შემადგენლობაშიც კი ათამაშა, მართალია, ეს ძვლებზე ტყავგადაკრული კაცი უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა ფეხბურთელებზე, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. ყველამ იცოდა, თუ როგორ ელოლიავებოდა საითს დუნდარ დუბარა ბეი. დუნდარ დუბარა

კი ფიქრობდა, იქნებ რამე დავცინცლოო. ამიტომ ფეხბურთელები ისე ექცეოდნენ, როგორც თანატოლს.

საითი ფერფერიკების სახლში თითქმის აღარ დადიოდა. ვარჯიშის, ექიმებისა და პროცედურების გამო წუთი აღარ ჰქონდა. [illegible] ბერინი სიხარულით ცას სწვდებოდა. მისი საითი დღითიდღე [illegible] ბოდა — ლოყები დაებერა, წონაში მოიმატა, მოქნილი გახდა.

სევიმი თითქმის ყოველდღე ურეკავდა, მაგრამ პასუხს მუდამ ერთი და იგივეს იღებდა:

— საით ბეი ვარჯიშზეა...

— საით ბეი მწვრთნელთან წავიდა...

— საითი დღეს თამაშობს...

— ტომპსონ ეფენდის კლუბში გაჰყვა...

— დღეს დიდი წვრთნა აქვს...

საქმეში აისელი ჩაერია

საითი შავ დღეში იყო, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ფერფერიკები და აჰმედ „კედელა" ჩასჩიჩინებდნენ, ქორწილი გადავიხადოთო, რეფიქი და პროფესორი კი ამერიკაში გამგზავრებას სთხოვდნენ დაჟინებით. მართალია, სევიმისა და საითის გაცნობის დღიდან წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ სევიმი კვლავ არწმუნებდა, ფეხმძიმედ ვარო. უკვე დრო იყო, საითს ძალა მოეკრიფა და სევიმს რიგიანად მოლაპარაკებოდა, მაგრამ იგი საპატიო გვარის ტრადიციებზე აღზრდილი კაცი იყო და ვერ შესძლებდა სევიმისათვის ეთქვა: „განა არ ვიცი, რომ ბავშვი ჩემი არ არის!" ან კიდევ: „მოსწავლეებმაც კი იციან, რომ ერთი კოცნით ბავშვი არ ჩნდება".

საითს არაფერი უთქვამს, მაგრამ სევიმი ისედაც კარგად ხვდებოდა ყველაფერს. ამიტომ ისე იქცეოდა, როგორც მამაკაცისგან მოტყუებული ქალი — ქვითინებდა, გული მისდიოდა, თმას იგლეჯდა, რას არ აკეთებდა, ოღონდ საითს შებრალებოდა. დაბნეულმა საითმაც ვეღარ აიტანა ამდენი, ერთხელ მუხლებში ჩაუვარდა და აღუთქვა:

— ჩემო ძვირფასო, ჩვენ მხოლოდ მაშინ დავქორწინდებით, როცა მე მთლიანად დაგიპყრობთ თქვენ, სათანადო ადგილს დავიჭერ თქვენს გულში. — სევიმმა ქვითინი შეწყვიტა, დამშვიდდა და დაფიქრებული შეხედა საითს. საითი ჯერაც ვერ გარკვეულიყო იმაში, რაც თქვა —

ნუთუ, ასე გამოვიცვალე, ერთი კვირის წინ ასეთ რამეს ხომ ვერაფ-
რით ვერ შევბედავდი.

სევიმმა თავზე ხელი გადაუსვა და მშვიდად ჰკითხა:

— ამერიკაში მიდიხარ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სევიმს ვინ უთხრა, რომ საითი ამერიკაში აპირებს? ამაზე ხომ მხოლოდ საითმა, რეფიქმა და პროფესორმა იცოდნენ. საითი ისე გაწითლდა, როგორც ცელქობაზე წასწრებული ბავშვი.

— ვინ გითხრა?

— მაშ, მიდიხარ?

სევიმმა კაბა აიწია, ცრემლები მოიწმინდა და საითის თვალწინ საგნები აცურდნენ, ყველაფერი ერთმანეთში აირია.

— ექიმები დაბეჯითებით მთხოვენ, რომ წავიდე.

— ერთხელ მაინც გეთქვა, საით, სხვებმა რატომ უნდა მითხრან ჩემი საქმროს ამბები, მაშ, უჩემოდ მიდიხარ? — რა სათნო ხმა ჰქონდა სევიმს.

საითი ხმას არ იღებდა.

— არა, შენ ამერიკაში არ წახვალ, — ბრძანა სევიმმა, — უჩემოდ ამერიკაში ვერ წახვალ, მალე „თოზქოფარანი" რუმინეთში ითამაშებს, — სევიმის ხმაში მუდარა გამოსჭვიოდა, — ამ დროისათვის ჩვენც დავქორწინდებით და ერთად წავიდეთ. იქიდან შვეიცარიაში გადავიდეთ, შვეიცარიიდან კი — იტალიაში. ეს ჩვენი საქორწინო მოგზაურობა იქნება, ხომ თანახმა ხარ? — თქვა სევიმმა და იმით განიარაღდა საითი, რომ ლოყაზე აკოცა.

საითმა თავი ჩაქინდრა, სევიმმა კი მისი დუმილი თანხმობის ნიშნად ჩათვალა. სიხარულით წამოხტა, მუსჩკა ჩართო და ოთახში დაუარა.

საითი შესცქეროდა სევიმს და ვგონებ, პირველად თავის ცხოვრებაში მოინდომა გაეგო, თუ როგორი ადამიანი იდგა მის წინ — რამდენიმე წუთის განმავლობაში როგორ ახერხებს კიდეც იტიროს და კიდეც იცინოს, კიდეც უბრძანოს, კიდეც მიუალერსოს. ნუთუ ამგვარ რამეებს სკოლაში ასწავლიან ადამიანებს? საითი უკვე დარწმუნდა, რომ სევიმი თვალთმაქცი იყო, მაგრამ ისიც იცოდა, რომ სევიმის ერთი გამოხედვა, მისი ერთი კოცნა ყველაფერს დაავიწყებდა და თუ სევიმი მოითხოვდა, წყალშიც გადავარდებოდა.

საითი რეფიქთან წავიდა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო, წახვალ თუ არა, — რეფიქი კატეგორიული ფორმით არასოდეს ელაპარაკებოდა საითს. — მხოლოდ

ერთი რამ არ დაივიწყო — სევიმს რომ აჰმედის ან სხვისი თანდასწრებით აეწია კაბა და ისე მოეწმინდა ცრემლები, მათ ისიც მცოდინებოდათ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, შენ კი მზადა ხარ ამის გამო წყალშიც გადავარდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საითს თითქოს ცრემლი ახრჩობდა.

— აი, ამიტომ გირჩევ ამერიკაში წასვლას, — განაგრძო რეფიქმა. — იქ მეგობრები მყავს, ჩინებული სპეციალისტები არიან. თუმცა, შენი საქმისა შენ უკეთ იცი.

საითმა გადაწყვეტით თქვა:

— წავალ! — თავისი კატეგორიული ტონი თვითონვე ეუცხოვა.

მერე რეფიქმა კითხა, ტომპსონთან სიარული ხომ არ მიგიტოვებიაო. მიმიტოვებია კი არა, ეგ ინგლისელი იმდენს მავარჯიშებს, ცხრა პირი ტყავი მძვრებაო, ზოგჯერ მოედანზე სათამაშოდაც კი მიშვებს და ფეხბურთელები დამცინიან, ჩემს სათვალეს რომ უყურებენო. ფეხბურთი კი დღითიდღე უფრო მომწონსო.

რამდენიმე დღეში საითი გულამოვარდნილი მოვარდა რეფიქთან და ზღურბლიდანვე იყვირა:

— ვხედავ, რეფიქ, ყველაფერს ვხედავ!

რეფიქი ღიმილით შესცქეროდა აფორიაქებულ მეგობარს, საითმა უამბო საწვრთნელი თამაშის დროს მოწინააღმდეგის კართან ერთი ზედახორა შეიქნა და ამ არეულობაში სათვალე დავკარგე, შეშინებულმა იმ წამსვე თვალები მოვხუჭეო, ხოლო როცა თვალები კვლავ გავახილე, დავრწმუნდი, რომ ჩინებულად ვხედავო.

— ეს ხომ სასწაულია, ნამდვილი სასწაული, — ყვიროდა იგი, — სასწაული მეწია.

— მთავარი სასწაული ადრე მოხდა, — დინჯად უპასუხა რეფიქმა, — სწორედ მაშინ, როცა შენ ჭაში ჩავარდი.

— და დღეიდან სათვალე აღარ დამჭირდება?

— მხოლოდ და მხოლოდ ზაფხულში, მზის საწინააღმდეგო.

ახლა საითი მთელი გატაცებით ვარჯიშობდა და ფერფერიკებს სულაც აღარ ეკარებოდა. სევიმი განუწყვეტლივ რეკავდა და, საითი წვრთნაზეა წასულიო, პასუხობდნენ. ერთხელ თავად მიადგა სარიოლუთა კარს, მაგრამ მადამ ანჟელამ კარი გამოაღო თუ არა, იქვე მიახალა, ახალგაზრდა ბატონი სტადიონზეაო.

„ჰეჯეთბაბასთან" შეხვედრის დღე ახლოვდებოდა, მაგრამ „თოზ-

ქოფარანის“ წამყვანი ფეხბურთელები ან სულაც არ ცხადდებოდნენ საკარჯიშოდ, ან არადა უგერგილოდ თამაშობდნენ. ვისაც არ შეხვ-ლა საბრალო ტომპსონმა, გუნდი ძალიან ცუდ დღეშია დაყენებული. ...ება მიხედვაო, ყველა ერთსა და იგივეს პასუხობდა: „...ედელა“ გუნდშია, დარდი არაფრის არ უნდა გვქონდესო.

— კარგი ვარჯიში არ იქნება, რომელი გუნდი მოიგო? — გაკვირვებით კითხულობდა გამოცდილი მწვრთნელი.

— ყველაფერი რიგზე იქნება, — ეუბნებოდნენ ტომპსონს და „თოზ-ქოფარანის“ ბრწყინვალე გამარჯვებებს იხსენებდნენ.

— ყოველ ერს თავისი ხასიათი აქვს, — ჩასჩიჩინებდნენ საყოველთაოდ ცნობილ მწვრთნელს. — შენ უცხოელი, თუნდაც ინგლისელი, ჩვენ, თურქებს ვერ გიგვიგებ. ჩვენში ამბობენ: თუ მდინარესთან ჯერაც არ მისულხარ, წყალში გასასვლელად რად ემზადებიო.

— როგორ ითამაშებს, როგორ ითამაშებს, არაფერი გავიგე, — მაინც თავისას გაიძახოდა უკმაყოფილო ტომპსონი.

— გაუგებარი რა არის, ალაჰია ჩვენი შემწე, აი, ნახავთ, როგორ გავიტანთ ბურთებს.

— მაშინ მე რალად იღებს ფულს?

— ოოჰ, — მობეზრდა დუნდარ დუბარა ბეის, — შენ კაცს გადარევ და ეგ არის, თუ თურქული არ გესმის?

— გესმის, მაგრამ ცუდად.

საყოველთაოდ ცნობილ ტომპსონს იმიტომ კი არ უხდიდნენ ფულს, რომ გუნდი ხეირიანად გაეწვრთნა, არამედ იმიტომ, რომ ასეთი კარგი მწვრთნელის სახელს მოწინააღმდეგის გუნდზე ზეგავლენა მოეხდინა — თქვენ ჩვენთან როგორ მოხვალთ, მწვრთნელები უცხოეთიდან მოგვყავსო.

ამგვარი საუბრების შემდეგ ინგლისელმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და მხოლოდ საითს ავარჯიშებდა გატაცებით, რადგან მასზე დიდ იმედს ამყარებდა. ძალიან უხაროდა, რომ ახლა საითი უსათვალოდ თამაშობდა, კუნთები უძლიერდობოდა, მაგრამ ყველაზე უფრო საითის თადარიგიანობა მოსწონდა — საითი მტკიცედ იცავდა სპორტულ რეჟიმს, ამიტომ მოწაფეს ისე ამუშავებდა, როგორც მოქანდაკე — ქვას.

ამ დღეს დიდხანს ელოდნენ. ეროლ იფქირან ბეიმ, რომელიც ამ ბოლო ხანს ერთი წუთითაც კი არ სცილდებოდა საითს, თამაშზე ერთად წავიდეთო, შესთავაზა, ეროლს ძალიან უნდოდა საითისათვის ერთი

ახალგაზრდა ქალი აისელი გაეცნო. აისელს მოლურჯო შავი თმა, ხორბლისფერი კანი და მაყვალივით შავი თვალები ჰქონდა. ამიტომაც შეარქვეს ესპანელი. იგი „ჰეჯეთბაბას“ კლუბის ერთგული და უცვლელი თაყვანისმცემელი იყო.

ამ ბოლო ხანს ეროლ იფქირან ბეიც კი „ჰაჯეთბაბას“ ეკრძალებოდა, რადგან დუნდარ დუბარა ბეისა და მას წყალი აემღვრათ. თუმცა, ეს ხელს არ უშლიდა უწინდებურად ობიექტური კომენტატორი ყოფილიყო.

სევიმი და აისელი ორი ერთმანეთის მოქიშპე ფირმასავით მტრობდნენ ერთიმეორეს. მართალია, სევიმი აისელს იმით სჯობნიდა, რომ უფრო მეტი ფათერაკი გარდახდენოდა თავს, მაგრამ აისელს სხვა დიდი უპირატესობა ჰქონდა — იგი გათხოვილი იყო და, აქედან გამომდინარე, თავისუფალი და დამოუკიდებელი ქალი. აისელი ახლახან გათხოვდა ერთ ხნიერ კაცზე. იმ კაცს უზომოდ უხაროდა კიდეც, ხალხში რომ ჩემო ძვირფასო ქმაროო ეძახდა.

ყოველი მკვლევარი ესწრაფვის თავისი ნაშრომით რაღაც ახალი აღმოუჩინოს კაცობრიობას. თუმცა, ბევრს რატომღაც მიაჩნია: ამგვარი სწრაფვა ლიტერატურაში მხოლოდ იმით არის განპირობებული, რომ ამა თუ იმ პიროვნებას საკუთარი თავის განდიდების გარდა არაფერი არ ამოძრავებსო. აისელი მკვლევარის ბუნებისა იყო—მან ფეხბურთის ბევრი ახალი ტალანტი გამოავლინა, მრავალი ვარსკვლავი აღმოაჩინა. ნუ დავიწყებთ იმის მარჩიელობას, თუ რატომ აკეთებდა ამას აისელი. ასე იყო თუ ისე, იგი ძალიან განსხვავდებოდა სევიმისაგან, სევიმს ხომ მხოლოდ ის შეეძლო, რომ კუდში ასდევნებოდა ვარსკვლავებს.

აისელმა რამდენიმე დამწყებ ფეხბურთელში ზუსტად ამოიცნო მომავალში ბრწყინვალე მოთამაშე. თუ აისელი რომელიმე ყმაწვილ ფეხბურთელს ჩაისვამდა მანქანაში, ყველა ხვდებოდა, რომ ორიოდე წელიწადში ეს ყმაწვილი ფეხბურთის ვარსკვლავი გახდებოდა. ფეხბურთის ვერც ერთი სპეციალისტი ვერ შეაფასებდა ისე ზუსტად და შეუმცდარად დამწყებ ფეხბურთელს, როგორც აისელი. ამიტომ ყოველი გუნდი ცდილობდა ხელში ჩაეგდო ის დამწყები ფეხბურთელი, რომელსაც აისელმა დაადგა თვალი. აისელი კი მთელი თურქეთის მოზარდებში ისე დაეძებდა ფეხბურთელებს, როგორც პროდუსერი — კინოვარსკვლავებს.

სწორედ მან, აისელმა აღმოაჩინა და ასპარეზზე გამოიყვანა „ჰაჯეთბაბას“ ცნობილი მოთამაშენი კაზიკ იოზერი, დირექ ალი, ბიბერ

ოსმანი და ბევრი სხვა. აისელზე ზუსტად ვერავინ შეაფასებდა, თუ რამდენი ღირს ესა თუ ის ფეხბურთელი, იგი განსაკუთრებით საჭირო იყო მაშინ, როცა მოთამაშე გუნდიდან გუნდში გადადიოდა. საჭირო იყო, აისელს ვინმეზე დასცდენოდა, მაგის ფასი გახვეტილ[illegible] ნიაო და იმ ფეხბურთელს აღარავინ იყიდდა.

აისელი ჯერ კიდევ იმ დღიდან ადევნებდა თვალს საითს, როცა იგი სევიმმა აიყოლია, მაგრამ შორიდან შესცქეროდა მოვლენების განვითარებას. აისელმა კარგად იცოდა, სევიმს საითზე გათხოვება რომ უნდოდა, ამიტომაც თხოვა იფქირანს, საითი გამაცანიო — უნდოდა ამ ქორწინებისათვის წყალი შეეყენებინა და ამითაც დაეჯაბნა თავისი მოქიშპე სვავი სევიმი. აისელი ჯერაც არ იყო დარწმუნებული, რომ საითი პირველხარისხოვანი ფეხბურთელი დადგებოდა, მაგრამ გარკვეული სიფრთხილით ის კი თქვა, რომ იმედებს იძლევაო. აისელისთვის მთავარი იყო შეესრულებინა „ჰაჯეთბაბას“ კლუბის ხელმძღვანელობის დავალება და ინგლისელი მწვრთნელი რამენაირად ამ კლუბში გადმოებირებინა.

ეროლ იფქირან ბეიმ ჯერ კიდევ მანქანაში დაიწყო იმის მოყოლა, თუ ვინ იყო აისელი.

— ოჰ, ძმაკაც, რომ იცოდე, რა ქალია! მერე და რა შორსმჭვრეტელია, საკმარისია ერთხელ შეავლოს თვალი ახალშობილს, რომ იქვე იტყვის, რამდენ ბურთს გაიტანს თავის ცხოვრებაში. ყველა ცნობილმა ფეხბურთელმა მაგის ხელში გაიარა, ყველაზე ნაცადი მწვრთნელიც კი არაფერია მასთან შედარებით. თუ ალაჰმა კეთილი თვალით გადმოგვხედა და დღეს სტადიონზე მოვიდა, უსათუოდ გაგაცნობ.

აისელი იმ დღეს ქომაგებთან ერთად კი არ იჯდა ტრიბუნაზე, არამედ საპატიო სტუმართა ლოჟაში მოკალათებულიყო. იფქირანი რომ დაინახა, ხელი დაუქნია, იფქირანმა კი საითი მიიყვანა და წარუდგინა:

— ნება მომეცით, ერთმანეთი გაგაცნოთ, — საით სარიოღლუ... აისელ ხანუმი. — აისელმა საითს მის გვერდით თავისუფალ სკამზე მიუთითა.

— რამდენჯერმე საწვრთნელ თამაშზე გნახეთ, — თქვა აისელმა, — საკმაოდ კარგად ურტყამთ.

საითი გაწითლდა.

თამაში ჯერაც არ დაწყებულიყო და სტადიონი ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა. იმის გამო, რომ საფრენი ამინდი არ იყო, ვერ ჩამოფრინდა ამ თამაშისათვის მოწვეული უცხოელი მსაჯი. ამიტომ ძლივს დაი-

ყოლიეს თურქი მსაჯი, რომელიც აგრეთვე საერთაშორისო კატეგორიისა იყო. სტამბული მკვდარ ქალაქს დაემსგავსა, რადგან ყველანი, დიდი თუ პატარა, სტადიონზე მოსულიყო. საითი კი პირველად ესწრებოდა ამგვარ მატჩს.

აჰმედმა თამაშის დაწყებისთანავე ფეხი დაუდო ოსმანს და ოსმანმაც კარგა ათ მეტრზე იგორავა.

— ძმაკაც, ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ, — ხმადაბლა უთხრა საითს ყველაზე ობიექტურმა კომენტატორმა ეროლ იფქირან ბეიმ, — ამ თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილია.

— ვერაფერი გავიგე, როგორ არის გადაწყვეტილი?

— როგორ და, ძალიან უბრალოდ, ძმაკაც. ფრიად სარწმუნო წყაროებიდან მივიღეთ ცნობები, რომ დღეს „თოზქოფარანი" უნდა გაბითურდეს და გაბითურდება სწორედ აჰმედის გამო. ასე მოისურვა ამ არამზადა დუნდარ დუბარა ბეიმ. — კომენტატორმა იგრძო, რომ საითმა ვერაფერი გაუგო და განაგრძო: — ფული, ჩემო მეგობარო, ფული! ფული ბევრ საქმეს აკეთებს. დარწმუნებული ვარ, აჰმედს ქრთამი მისცეს — ეროლ ბეი საითისაკენ გადაიხარა და ჩასჩურჩულა: — ჩვენში დარჩეს და ერთ საიდუმლოსაც გაგანდობ: „ჰაჯეთბაბას" თავდამსხმელებს დოპინგი აქვთ მიღებული, ცხენის დოზა მიუღიათ თურმე, ეგ დოზა კი ისეთია, რომ ბებრუხანაც მაგრად ითამაშებს და ვერანაირი ზამორა, თვით იაშინიც კი ვერ იხსნის კარს... გამიგე?

— როგორც ჩანს, თამაში საინტერესო უნდა იყოს, — ახლა აისელი გადმოიხარა საითისაკენ, მერე მრავალმნიშვნელოვნად დასძინა, — თქვენ, ცხადია, „თოზქოფარანს" ქომაგობთ, არა?

— დაე, მოიგოს იმან, ვინც უფრო ძლიერია, — დიპლომატიურად მიუგო საითმა, რადგან იცოდა, რომ მისი მომხიბლავი თანამოსაუბრე „ჰაჯეთბაბას" ქომაგი იყო.

პირველ ტაიმში ბურთი არც ერთ გუნდს არ გაუტანია. ცხადი იყო, რომ ბრძოლა კიდევ წინ იყო. შესვენებისას იფქირანი პრესის წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი ლოჟისაკენ გაეშურა.

— გავიგე, ამერიკაში წასვლას აპირებთ, — თქვა აისელმა.

— კი, ვაპირებ, მაგრამ ჯერაც არ ვიცი, როდის, — მიუგო საითმა, თან გულში გაიფიქრა, ნეტა საიდან იცის ეს ამბავი.

— განა სტამბულში ვინმე გაკავებთ?

საითმა პასუხი არ გასცა

— მე რომ თქვენს ადგილას ვიყო... მე ვნახე თქვენი ვარჯიში და

შემიძლია ვთქვა, რომ ფეხბურთელის მონაცემები გაქვთ. უნდა წახვიდეთ ამერიკაში.

აისელი ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა, გონებამახვილურად ხუმრობდა. და საითი მის გვერდით კარგად გრძნობდა თავს.

მეორე ტაიმის დასაწყისში გულშემატკივართა მღელვარება უფრო გაძლიერდა. მსაჯმა იგრძნო მოსალოდნელი კატასტროფა და ბრძანა, სათადარიგო გასასვლელი ღია იყოს, ვაითუ, მაყურებლები მოედანზე გადმოცვიდნენო. წვიმა დაიწყო. ფეხბურთელები ტალახში დარბოდნენ და თვითონაც გატალახიანდნენ. ბურთს აღარავინ აქცევდა ყურადღებას, რადგან ერთიმეორეს დასდევდნენ, მგრამ თუ ბურთი რომელიმე ფეხბურთელთან მიგორდებოდა, უსათუოდ დაარტყამდნენ და თავიდან იშორებდნენ. მეთხუთმეტე წუთზე ბურთი ტრიბუნებში გადავარდა, მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია. და უცებ, თითქოს ქვეყნიერებას რაღაც უბედურება დაატყდა თავსაო, გაისმა შემაზრზენი ღრიალი „არიის"!!! ათიათასობით ადამიანის შეძახილმა გადაუარა სტადიონს. მსაჯმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, სასტვენს ჩაბერა.

სინამდვილეში კი, აი, რა მოხდა. „ჰაჯეთბაბას" ერთ-ერთ თავდამსხმელს დაევალა მიერბინა ბურთთან, რომელიც მისგან ხუთ, ათ ნაბიჯზე მიგორავდა, ამიტომ ტალახის გუნდას გაჰკრა ფეხი. გუნდა კი „თოზქოფარანის" კარში შეგორდა. მაყურებელმა იღრიალა, მსაჯმა სასტვენს ჩაბერა.

„თოზქოფარანის" მოთამაშეები მსაჯს მიეჭრნენ, ჩვენს კარში ბურთი არა და არ გასულა, მოდით და ნახეთ, კარი ცარიელიაო. ხანგრძლივი და მომქანცველი მოლაპარაკებისა და მუქარის შემდეგ ბურთი გატანილად აღარ ჩათვალეს. თამაში განახლდა და ხუთიოდე წუთში ერთმანეთის დევნა უფრო ინტენსიური გახდა. წვიმა კი შეწყდა, მაგრამ ფეხბურთელები მებუხრეებს დაემსგავსნენ. მიუხედავად ამისა, ორივე გუნდი თავგამოდებულად იცავდა თავის კარს. აისელი სიცილით გადმოსცემდა იმას, რაც სტადიონზე ხდებოდა. მისი სიტყვებით აჰმედი არაფერს აკეთებდა გარდა იმისა, რომ ურტყამდა „ჰაჯეთბაბას" ყველა იმ ფეხბურთელს, რომელსაც წააწყდებოდა, ხოლო ვინც ფეხებში არ მოედებოდა, იმათ აფურთხებდა და მუშტით ემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც „თოზქოფარანის" საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება და მომავალშიც ასევე მიიჩნევენო. საითი ისმენდა აისელის რეპორტაჟს და იცინოდა.

— ეეჰ! — უცებ იყვირა აისელმა, — ვიღაცას სცემენ.

— ვისა?

— ვერ გავარჩიე, ალბათ, რომელიმე ჩვენთაგანი თუ ჩავარდა „თოზქოფარანის“ ხელში.

მოედანზე პოლიციელები გამოცვივდნენ. ფეხბურთელი კი საკაცეთ გაიყვანეს. თურმე „თოზქოფარანის“ ბიჭები თავიანთსავე დამცველს შესდგნენ. კაცმა ვერ გაიგო, რატომ ურტყეს — ვერ იცნეს, თუ თავი მობეზრდათ. მოედანს მკაცრი ბრძოლის ახალ-ახალი მსხვერპლი სტოვებდა. ბოლოს ორივე გუნდში ჩვიდმეტი მოთამაშეღა დარჩა.

საითმა შეამჩნია — აისელს ესპანელს კი ეძახდნენ, მაგრამ ტემპერამენტით სევიმი დასჯაბნიდა. „ჰაჯეთბაბას“ კართან რომ ბურთი დატრიალდებოდა და სახიფათო მომენტი შეიქმნებოდა, იგი ადგილიდან არ წამოხტებოდა, წივილ-კივილს არ მორთავდა, სახეზე გამომეტყველებაც არ ეცვლებოდა. ეგ იყო, რომ საითს უფრო უჭერდა ხელს — ეს კი ძალიან მოსწონდა საითს, რადგან მას არ უყვარდა თავშეუკავებლობა და საკუთარი გრძნობების იოლად გამომზეურება.

— ალბათ... ამ მშრალი ანგარიშით დამთავრდება თამაში, — თქვა საითმა და აისელის ხელს ხელი მოუჭირა. ასეთ რამეს საითი თვითონაც არ ელოდა.

— არა, ჩვენები მოიგებენ, — თქვა აისელმა და თვითონაც მოუჭირა ხელი საითის ხელს.

— „თოზქოფარანის“ დაცვას ეგრე იოლად ვერ გაარღვევ.

— დაცვა აქ არაფერ შუაშია, ჩემო ძვირფასო, — თქვა აისელმა, შეხედეთ, რას აკეთებს „თოზქოფარანი“. — კარს ღიად სტოვებს, არ იცავს, უბედურება ის არის, რომ ბურთი არ გადის კარში. არა, მე ვგრძნობ, რომ ჩვენებისგან დღეს ხეირს არ უნდა ელოდოს ადამიანი.

— მაშ, როგორღა მოიგებთ?

— „თოზქოფარანის“ დახმარებით.

აისელმა ვერც კი მოასწრო ფრაზის დამთავრება, სტადიონზე თითქოს დაიქუხაო, ერთხმად იყვირეს: „არიის“!

— აი, ხომ გეუბნებოდით, აჰმედმა თავის კარში გაიტანა ბურთი.

მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთი რჩებოდა, მაგრამ მსაჯმა მაინც დამთავრების ნიშანი მისცა, რადგან იფიქრა, არ ღირს საკუთარი თავის ხიფათში ჩაგდებაო და სათადარიგო გასასვლელისაკენ გავარდა. ჩვენს ქომაგებს კი აგრე იოლად ვერ გააცურებს კაცი, მათ ზვავივით მოუჭრეს გზა მსაჯს, მსაჯმაც უმალ იცვალა მიმართულება და მოკურცხლა. ორჯერ შემოურბინა სტადიონს, ბრბო მოსდევდა უკან, მე-

რე უცებ ღია კარში გავარდა და ქუჩაში აღმოჩნდა. როგორც იქნა, თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ მისი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. გააფთრებული ქმაგნი აგერ-აგერ წამოეწეოდნენ. [illegible] ადამიანებს გაქცევა უფრო ეიოლებათ, ვიდრე წამოწევა [illegible] რომ იმ დღეს არავის აღუნუსხავს ახალი მსოფლიო რეკორდი გრძელ დისტანციაზე რბენაში. ახლა გულშემატკივრებს ქუჩაში გამვლელნიც გაეკიდნენ. დიდი ხანია სტამბულს არ უნახავს ასეთი მასობრივი სირბილი. მსაჯი გარბოდა და ფიქრობდა: „ოჰ, ერთი თავისუფლების ობელისკამდე მივირბენდე და მერე რაღა მიჭირს". თაქსიმის მოედანზე შევარდა, სამჯერ შემოურბინა თავისუფლების ობელისკს და თავის მდევართა კუდში მოექცა. „დაიჭით, ეგ უგვანო, ეგა!" ყველაზე ხმამაღლა იყვირა მსაჯმა, და ამით გადაირჩინა თავი. ბრბო ცოტა ხანს კიდევ დარბოდა, მაგრამ ულიდეროდ ტემპი დაკარგა და მალე დაღლილ-დაქანცული მიმოიფანტა კიდეც.

მატჩის შემდეგ აისელმა საითი შინ მიიწვია, თითო ფინჯანი ჩაი დავლიოთო. ეს მიწვევა იმდენად დიდი იმედის მომცემი იყო, რომ საითმა უარის თქმა ვეღარ გაბედა.

აისელმა შინამოსამსახურე გაისტუმრა, ტანსაცმელი უმალ გამოიცვალა, პენუარი ჩაიცვა და საოჯახო საქმეს შეუდგა: თვითონ გაშალა სუფრა, მოიტანა ღვინო და რაქი. აბა, ჩაის ვინ სვამს? ამ ქალის სიახლოვეს საითს საოცარი სიმშვიდე ეუფლებოდა. ასე ეგონა, ამ ქალს უხსოვარი დროიდან ვიცნობო. მხოლოდ რეფიქთან თუ გრძნობდა თავს ასე თავისუფლად. მის ცხოვრებაში პირველად ხდებოდა ასეთი რამ — ქალი არ დასცინოდა და თანასწორად მიაჩნდა იგი.

საითმა ჩინებულად გაატარა ის ღამე — პირველი ბედნიერი ღამე თავის სიცოცხლეში.

რომ გაიღვიძა, ნაშუადღევი გადასული იყო.

— აისელ, ძვირფასო, მომიტანე ერთი ჭიქა წყალი! — დაიძახა საითმა და თვითონვე შეეშინდა. იგი ხომ მადამ ანჟელასაც არ დაასაქმებდა ასე უბრალოდ. „ამ ერთ ღამეში ასეთი რა გამიკეთა?" აისელი ღიმილით ჩამოჯდა საწოლზე და წყალი გაუწოდა.

— ერთი მითხარი, შენი აზრით, რა კაცი ვარ მე? — მორჩილად ჰკითხა აისელს.

აისელმა გულში ჩაიკრა საითის თავი და ისე მიუალერსა, როგორც ბავშვს ეალერსებიან ხოლმე.

— შენ ხარ ერთ-ერთი იმ მოსულელო ადამიანთაგანი, რომლებიც

ფიქრობენ, ქალს თუ ვაკოცე, ცოლადაც უნდა შევირთოო. განა ასე არ არის?

საითი გააოგნა ამ მომხიბლავი ქალის ნათქვამმა, რადგან იგი სრულ სიმართლეს ლაპარაკობდა.

ნასაუზმევს საითი მიხვდა, რომ მის არსებაში რაღაც საოცარი ცვლილება მოხდა. ნუთუ მისი მორიდებულობა ასე უკვალოდ გაქრა? რაოდენ ამაყი და დამოუკიდებელი კაცის იერით მიაბიჯებდა ქუჩაში? და როგორც ეს არაერთხელ ყოფილა, ძალიან მოუნდა ყველაფერი რეფიქისათვის ეამბნა. ტაქსი დაიქირავა, თავის მეგობართან შევარდა და ოთახის ზღურბლიდანვე იყვირა!

— არის! სასწაული მოხდა! არის!

რეფიქს არაფერი უკითხავს, ისედაც მიხვდა ყველაფერს და საითზე ნაკლებ როდი გაიხარა.

დილის გაზეთები მხოლოდ გუშინდელ თამაშზე წერდნენ. „თოზქოფარანს“ მწარედ და სამართლიანად აქიაქებდნენ. „არა, „თოზქოფარანს“ არ ჰქონდა უფლება წაეგო თუნდაც მინიმალური ანგარიშით“, — წერდა ერთი მიმომხილველი. იგივე მიმომხილველი გადაკვრით ლაპარაკობდა, რომ „ჰაჯეთბაბას“ თავდამსხმელებმა დოპინგი მიიღეს, ხოლო „თოზქოფარანის“ დამცველებმა კი ქრთამიო. „თოზქოფარანელები“ თავიანთ კართან ისე ცეკვავდნენ, თითქოს „ჰაჯეთბაბას“ ბიჭებს ეხვეწებოდნენ, მოდით, ბურთი გაიტანეთო. „ჰაჯეთბაბა“ კი ამაზე ასე პასუხობდა: „თუ ასე გულით გინდათ ბურთების გატანა, თვითონ გაიტანეთ, ჩვენ თავი დაგვანებეთ“.

რაც უფრო მეტს წერდნენ ამ მატჩზე, კამათი მით უფრო ცხარდებოდა. კამათში მინისტრებიც ჩაერივნენ. ერთმა გავლენიანმა პირმა განაცხადა: „ფეხბურთელი, რომლის ძარღვებშიც თურქული სისხლი ჩქეფს, ფულს არ გაუყადრებს თავს“, ამ დიდკაცების ჩარევამ ცეცხლზე ნავთი დაასხა, მაგრამ ყველაფერი ერთმა მემარცხენე ჟურნალისტმა აურდაურია. ამ ჟურნალისტზე გავრცელებული იყო აზრი, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი აჭმევს პურსო. ამ მემარცხენე ჟურნალისტის სტატიას ასე ერქვა: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგას“. იგი აჭმევდს ულოცავდა, რომ ბოლოს და ბოლოს თავის კარში გაიტანა ბურთი, საყოველთაოდ ცხადი იყო, რომ ამგვარი განცხადება პრესტიჟს უკარგავდა თურქულ ფეხბურთს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ასეა თუ ისე, მთავარი იყო სახელმწიფოს ჩემპიონის არამარტო დამარცხების მიზეზების პოვნა, არამედ დამნაშავის მონახვაც. ამჯერად

მიზეზად არ გამოდგებოდა იმის თქმა, რომ მზე თვალებში გვაჭყიტებდა, ან ქარი არ გვეხმარებოდაო. ამიტომაც ბრალი ინგლისელ მისტერ ტომპსონს დასდეს. ამან კი ძალზე გაახარა „თოზქოფარანი".

საბრალო ტომპსონს ორი გზაღა დარჩენოდა: ან უნდა შეეკრა თავი ხი ბარგიბარხანა და თურქეთიდან აბარგებულიყო, ამის სურვილი კი ტომპსონს არ ჰქონდა, ან კიდევ „ჰაჯეთბაბას" მწვრთნელი გამხდარიყო.

ხალხს ვერაფერს გამოაპარებს ადამიანი. ჰოდა, ამასობაში ხალხში უკვე ჩურჩულებდნენ აისელისა და საითის ურთიერთობაზე. ეს ამბავი სევიმის ყურსაც მისწვდა. სევიმი კი, როგორც ყველამ ვიცით, გაბედული ქალი იყო და არავის უთმობდა იმას, რაც კანონიერად ეკუთვნოდა. თუმცა, პირველ ხანს ყურადღება არც მიაქცია ხალხისა და პრესის ჭორაობას (განა ცოტა რამეს წერდნენ მასზე?), მაგრამ როცა აისელის მანქანაში საითი საკუთარი თვალით დაინახა, სიბრაზისგან ლამის გული გაუსკდა. დღისით, მზისით, თვალსადახელშუა საქმროს აცლიდნენ. ამ ტიპს მუდამ ბრმად და სულელად მოჰქონდა თავი და აი, უცებ...

სევიმი თავის ოთახში ჩაიკეტა და მისი ქვითინი მთელს უბანს ესმოდა. ფერფერიკებმა სასწრაფოდ აჰმედი გამოიძახეს.

— აბა, კარი გააღე! — მტკიცედ დაუძახა აჰმედმა.

სევიმმა იცოდა, თუ კარს არ გააღებდა, აჰმედი მარცხენა ფეხის ერთი დაკვრით შეამტვრევდა, ამიტომაც დანებდა. ამის შემდეგ აჰმედმა და სამივე ფერფერიკმა ერთობლივად განიხილეს შექმნილი მდგომარეობა.

ჰასიფ ბეიმ თქვა:

— რასაკვირველია, ყველაფერი შენი ბრალია, მეჰჯურე, განა ტყუილად ამბობენ, პური მანამ ჩააკარი, ვიდრე თონე ხურსო. განა, ასე არ არის, აჰმედ? შენ კი შენსას არ იშლიდი. ხან უნიტაზი არ მოგწონდა, ხანაც ბროლის ჭურჭელი. ჰოდა, აი, შენც...

ცრემლმორეულმა სევიმმა თქვა:

— თვით მისი დეიდაც კი ამბობს, ამ ვარჯიშებმა, აბებმა, მიქსტურებმა და ათასნაირმა ვიტამინებმა ჭკუა დააკარგვინაო. შენი ბრალია, აჰმედ, შენ გააცანი ის ინგლისელი.

აჰმედი დამნაშავის მდგომარეობაში ყოფნას არ იყო დაჩვეული. ამიტომაც თქვა:

— შენ რა, იმ ბოშა აისელზე ხომ არ ეჭვიანობ?

— იმ ჯოჯოხეთის მაშხალაზე როგორ ვიეჭვიანებ... მაგრამ... ეს ამ-ბავი ქორწინების მერე რომ მომხდარიყო, კრინტსაც არ დავძრავდი. ხედავ რა გააკეთა? აკი ბრმა იყო? თვალის სინათლე როგორ დაბრუ-ნა? აი, ეს მაგიჟებს!

ბიბლიოთეკა

ჰასიფ ბეიმ კვლავ თქვა:

— ვაჭრობაში არის ერთი ხელშეუხებელი, წმიდათა წმიდა კანონი: გაყიდული საქონლის დაბრუნება, ან გაცვლა აკრძალულია, რახან დაი-ნიშნეთ, ეგ ტიპი ვალდებულია, ცოლად შეგირთოს.

— მე საქონელი არა ვარ, — დაიღრიალა სევიმმა.

— საქონელი ხარ, საქონელი! — დაამშვიდა აჰმედმა სევიმი და სწო-რედ იმ ადგილას შემოკრა ხელი, სადაც მამაკაცები სახალხოდ ქალებს არ შემოჰკრავენ ხოლმე.

— ეგ საქმე მე მომანდეთ, მე ყველაფერს მოვაგვარებ, — თქვა ჰასიფ ბეიმ.

— შენ სულ გაიძახი, მე მომანდეთ, ყველაფერს მოვაგვარებო, რას იზამ?

— სასამართლოს გადავცემ, იხადოს ფულები!

— რაც არ გეკითხებათ, ნუ ერევით, თქვენთვის დაეტიეთ, — მტკი-ცედ მოითხოვა სევიმმა, — ჩემს საქმეს მე მოვუვლი.

ამის შემდეგ სევიმი ერთ ხანს შორიდან შესცქეროდა თავისი საქმ-როსა და აისელის სამეჯნურო ოინებს. თავის მომხიბვლელობაში იმ-დენად იყო დარწმუნებული, რომ არ შეიძლება საითმა ზურგი მაქციო-სო, ფიქრობდა. ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს უნდა გაირკვეს ჩვენი ურთიერთობაო და საითის სახლისაკენ გაეშურა.

ბერინ ხანუმ ეფენდიმ ალერსიანად მიიღო, სასტუმრო ოთახში შეიყვანა.

— როგორა ხართ, ჩემო გოგონი? — იკითხა მან.

— მადლობელი ვარ, ხანუმ ეფენდი, თქვენ როგორ ბრძანდებით? იმედი მაქვს, არაფერი გაწუხებთ.

— მადლობა ალაჰს, ჩვენკენ ყველაფერი რიგზეა. თქვენი ღრმად-პაცივცემული დედიკო როგორ არის?

— გმადლობთ, ხანუმ ეფენდი, პატივისცემით მოგიკითხათ.

— მადლობელი ვარ, შვილო, ჩემგანაც ისეთივე პატივისცემით მოი-კითხეთ. თქვენი პატივცემული მამიკო რასა იქმს?

სევიმს მოეჩვენა, რომ ამდენი თავაზიანობით სადაცაა გაგიჟდებო-და, მაგრამ თავი შეიკავა:

— გმადლობთ, ხანუმ ეფენდი, მამილო კარგად გრძნობს თავს, განსაკუთრებულ მოკითხვასა და ასევე განსაკუთრებულ პატივისცემას გითვლით.

— მადლობელი ვარ, შვილო, აჰმედ ბეი როგორ არის? — კითხა დეიდა ბერინმა, რადგან სამართლიანად მიაჩნდა, რომ აჰმედიც მათი ოჯახის წევრი იყო.

სევიმს ბრაზი ყელში მოაწვა, მაგრამ ხმის ამოღება ვეღარ მოასწრო, რადგან მადამ ანჟელამ ყავა შემოიტანა. როგორც დიდებულ სარიოღლუთა შინამოსამსახურე ქალს ეკადრება, ცერემონიულად იკითხა:

— როგორ ხართ, შვილო ჩემო?

— გმადლობთ, კარგად, — კბილებში გამოსცრა სევიმმა.

— თქვენი პატივცემული მშობლები როგორ არიან?

— გმადლობთ, კარგად.

ტელეფონმა დარეკა. მადამ ანჟელა აპარატისაკენ გაეშურა, თანაც ჩაიბუტბუტა:

— ალბათ, ისევ ის ქალი ურეკავს საით ბეის... გააწყალა გული.

ბერინ ხანუმმა უკმაყოფილოდ შეიკრა შუბლი, სევიმი კი ერთიანად დაიძაბა, რომ არც ერთი სიტყვა არ გამორჩენოდა. მადამ ანჟელამ ყურმილს ხელი დააფარა, მობრუნდა და თქვა:

— ხომ გითხარით, ის არის...

დეიდა ბერინი შეიშმუშნა და გაწითლდა.

— შვილო ჩემო, ეს მერამდენედ რეკავთ დღეს, — ყვიროდა მადამ ანჟელა, — კაცს ეგონება, თურქული არც გესმით, სხვანაირად როგორ გელაპარაკოთ? — კვლავ ყურმილს დააფარა ხელი, მიბრუნდა და თქვა: — ნამდვილად შეიშალნენ ეს ქალები. ყველას ჩვენი საით ბეი უნდა. ასად ხომ ვერ გაიჭრება საბრალო საითი?

გულახდილად რომ ვთქვათ, საითს არც არავინ არ ურეკავდა, მაგრამ მადამ ანჟელამ განიზრახა, გუნება წაეხდინა სევიმისათვის, იგი ხომ ასე აწამებდა მის საყვარელ საითს.

ბერინ ხანუმმა მიიჩნია, გულითადი საუბრის დრო დადგაო და თქვა:

— შვილო ჩემო, მე მინდა გულახდილად მოგელაპარაკოთ და ნურაფერი გეწყინებათ ჩემგან, მოხუცი ქალისაგან. არ უნდა გადაგედოთ ეგ ქორწილი. ახლა საითი სულ გამოიცვალა.

მადამ ანჟელამ სიხარულით დააქნია თავი: — დიაღ, დიაღ, ძალიან გამოიცვალა ჩვენი საით ფაშა!

— ადრე ანგელოსივით იყო, — განაგრძო ბერინ ხანუმმა, — ბავშვს ხმას რომ გაიგონებდა, სიწითლე ერეოდა, ახლა კი თითქმის შეშალესო.

— ყველაფერი იმ ინგლისელმა მოიმოქმედა, იმან შეცვალა ჩვენი საითი, — არ ცხრებოდა მადამ ანჟელა, — უწყინარი ცხვარი იყო და გამონთებული ლარივით იქცა...

— მოდით, ერთად ვიხსნათ საითი, საითს უყვარხართ, შვილო, იგი ყურს გიგდებთ, თქვენი სჯერა, რაღაც უნდა მოიმოქმედოთ, ადრე ყვლაფერს მიამბობდა, ახლა კი ხმას ვერ ამოაღებინებ. შვილო ჩემო, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ იხსნათ იგი. მალე იქორწინეთ და ჩამოაშორეთ ამ ფეხბურთს.

სევიმ უსმენდა ბერინ ხანუმს, მაგრამ სულ სხვა რამეზე ფიქრობდა: ახლა, როცა მასა და საითს შუა აისელი ჩადგა, იგრძნო, რომ ვერაფრით იტყოდა უარს საითზე, მას სჭიროდა საითი.

— მე იმიტომ მოვედი, რომ მეგონა, სახლში ვნახავდი. სად არის? — იკითხა მან.

ამ კითხვამ ქალები დააბნია და ერთმანეთს გადახედეს.

— განა თქვენ ერთმანეთს არ ხვდებით?

— გუშინწინ შემოიარა ჩვენსა, — იჩქარა სევიმმა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა.

— შვილო ჩემო, განა თქვენ არ იცით? — დაიწყო ბერინ ხანუმმა.

— რა უნდა ვიცოდე?

— საითი რომ ამერიკაში გაფრინდა.

— ხო, — ამოიკვნესა სევიმმა, — კი მეუბნებოდა, რომ უნდა წავიდეო, მაგრამ... თუ... ასე... სწრაფი... თუ ასე... ჩქარა, მოულოდნელად... ჰო, თუმცა, მე სტამბულში არც ვიყავი... მარტო გაფრინდა?

— კი, მარტო...

— როდის?

საითი ერთი კვირის გაფრენილი იყო, მაგრამ რახან სევიმმა თქვა, გუშინწინ ჩვენსა შემოიარაო, პირი ალარ გაუტეხეს და თავაზიანმა ბერინ ხანუმმა უპასუხა.

— გუშინ დილით, შვილო.

— რასაკვირველია, ჩვენსას შემოივლიდა, მაგრამ მე სახლში არ დაეუხვდი ალბათ...

სევიმს არც კი ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ქუჩაში.

აეროპორტში საითის გასაცილებლად რეფიქი, იფქირან ბეი, მისტერ ტომპსონი და აისელი მოვიდნენ. საითი და აისელი ისე დაშორდნენ ერთმანეთს, როგორც მოსიყვარულე ცოლ-ქმარი. აისელმა ფეხებ-ლებზე ცხვირსახოცი აიფარა და ხმადაბლა თქვა:

— ძალიან ვნერვიულობ, ჩასვლისთანავე წერილი მომწერე.

დეიდა ბერინიც აპირებდა აეროპორტში წასვლას, მაგრამ საითმა დაუშალა. იმ ოთხმა გამცილებელმა თითქოს ერთმანეთში შეჰკრესო პირი, საითის გამგზავრების ამბავი არავის უთხრეს და ამიტომ არც გაზეთებს დაუწერიათ რამე.

სევიმი კარგა ხანს ელოდა საითის წერილს, მერე შეეცადა გაეგო. მისი მისამართი ამერიკაში. მაგრამ საითი აისელს გარდა, არავის წერდა წერილებს. ამ წერილებში ცხადად იგრძნობოდა სიყვარული.

ამასობაში „თოზქოფარანის“ ბუქარესტში გამგზავრების დღეც დადგა. სევიმმა კატეგორიული უარი განაცხადა რუმინეთში წასვლაზე. სულ იმას ფიქრობდა, სტამბულს დავტოვებ თუ არა, იმ დღესვე საითის წერილი მოვაო.

სევიმი ვერაფრით დაიყოლიეს. არც დუნდარ დუბარა ბეის თხოვნამ გაჭრა, არც აჰმედის მოთხოვნამ და არც თვით ჰასიფ ბეის რჩევამ. „ნუთუ, შენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორ ითამაშებს ჩვენი გუნდი? — ეკითხებოდნენ სევიმს. — ან იქნებ არაფრად გიღირს თურქული გუნდის ღირსება? შენ თუ არ წამოხვალ, აჰმედი უთუოდ ცუდად ითამაშებს. სევიმ, იცოდე, რომ გუნდი უშენოდ წააგებს“, ეუბნებოდნენ მეგობრები.

არა და არაო, რაც არ უნდა ეთქვათ, რა არგუმენტიც არ უნდა მოეშველიებინათ, სევიმი მტკიცე უარზე იდგა.

იფქირან ბეიმ ერთ მშვენიერ დღეს თავისი გაზეთის პირველ გვერდზე საითის ფოტოსურათი დაბეჭდა. საითს ფეხბურთელის ფორმა ეცვა. სევიმს საკუთარი თვალებისაც კი არ სჯეროდა. ფოტოსურათის ქვეშ ეწერა: „ჰაჯეთბაბას“ ახალი ვარსკვლავი საით სარიოღლუ. ამერიკა მიესალმება თურქული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს“. რამდენიმე დღის შემდეგ დაიბეჭდა კიდევ ერთი ფოტოსურათი. საითი თანაგუნდელებთან იყო გადაღებული. პატარა კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, თუ რა წარმატებებს აღწევს ახალგაზრდა თურქი ფეხბურთელი, რომელმაც რამდენიმე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. საითის გუნდმა შთამაგონებელი გამარჯვება მოიპოვაო.

საითზე სხვა გაზეთებიც ალაპარაკდნენ. სევიმი სულ დაიბნა. ნუთუ მართალი იყო ყველაფერი, რასაც საითზე წერდნენ? ჯერ ერთი, ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკული ფეხბურთი ახლა [illegible] მეორეც, როდისღა მოასწრო საითმა „ჰაჯეთბაბას“ [illegible] გახდომა?

ვიდრე სევიმი საითზე ფიქრობდა, „თოზქოფარანმა“ ბუქარესტში წააგო. გაზეთებში არცთუ ორაზროვნად წერდნენ, სწორედ სევიმ ფერფერიკის ბრალია ამ დაუმარცხებელი გუნდის წაგებაო. ამის გამო რუმინეთიდან დაბრუნების შემდეგ „თოზქოფარანის“ არც ერთ მოთამაშეს არ მოუნახულებია სევიმი. მხოლოდ აჰმედი მოვიდა, რადგან გრძნობდა, თუ რაოდენ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო სევიმი.

ამას სრულიად გაუთვალისწინებელი ამბავი მოჰყვა — საითის მიერ დაქირავებული სახლის პატრონმა სასამართლოში იჩივლა, სამი თვის ქირას არ მიხდიანო. სახლის პატრონის უწყება რომ მიიღო, ბერინ ხანუმი ჯერ ძალიან დაიბნა, მერე კი თავის ადვოკატებთან გავარდა. ეს ადვოკატები ერთ დროს სარიოღლუთა ინტერესებს იცავდნენ და საკმაოდაც მოითბეს ხელი, მაგრამ ახლა დიდად არ შეუწუხებიათ თავი, რადგან იცოდნენ, სარიოღლუთა ქონება დაილია.

ბერინ ხანუმს ახსენდებოდა, თუ როგორი სიყვარულით აწყობდა საითი ბინას, რამდენჯერ გადააკეთა თავისი ოჯახური ბუდე, ოღონდ სიდედრს მოვაწონოო. აგონდებოდა ყველაფერი ეს და ცრემლებს ძლივს იკავებდა.

— შეეცადეთ, იქნებ დაიყოლიოთ სახლის მეპატრონე, რომ საითის ჩამოსვლას დაელოდოს, — თხოვა ადვოკატებს ბერინ ხანუმმა.

— ეს დროის უქმი დაკარგვა იქნებოდა, უნდა გადაუხადოთ, თორემ ყველაფერს გაგიყიდიან.

ბერინ ხანუმმა გადაწყვიტა, სევიმს მოვეთათბირებიო. საითი ხომ ამ ბუდეს მისთვისაც წნიდა. ჯერ დაურეკა, შენთან უნდა მოვიდეო და მერე ფერფერიკების ოჯახში ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებული მივიდა.

სევიმმა ძალიან გაიხარა. იქნებ საითზე გავიგო რამეო. სიხარულით შეხვდა ბერინ ხანუმს, თავაზიანად პასუხობდა უამრავ კითხვას, მოთმინებით მოისმინა მისი არეულ-დარეული საუბარი იმაზე, თუ როგორ გაუჭირდათ სარიოღლუთ ეკონომიურად. ეს ამბავი ფერფერიკებისათვის მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა, არავინ მოელოდა, რომ ქონება ასე მალე ამოიწურებოდა და მემკვიდრე უკაპიკოდ დარჩებოდა. მეჰჯურე

ხანუმს ახლა სინდისიც კი ქენჯნიდა. მისი გაუთავებელი წუნიანობა, რომ არა, სევიმი უკვე დაოჯახებული იქნებოდა. ახლა კი სევიმს არც ქმარი ჰყავდა და არც სახლი ჰქონდა. მხოლოდ დანიშნული [illegible] და ეგ!

— თქვენ კარგად იცით, ხანუმ ეფენდი, — ამბობდა ბერინ ხანუმი, — რომ საითმა წინასწარ გადაიხადა ერთი წლის ქირა, მე, მართალია, ერთხელაც კი არ მინახავს ეს ბინა, მაგრამ, როგორც საითი ამბობდა, თქვენ კმაყოფილი იყავით. ჩემს საითს, ალაჰმა ჯანმრთელობა მისცეს, დაბნეულობის გამო სულ დაავიწყდა, რომ წელიწადი კი არა, მეტიც გავიდა, სახლის პატრონი კი იმუქრება, ავეჯს გაგიყიდითო, ეს ბინა ხომ ახლადშეუღლებულთათვისაა განკუთვნილი, იმიტომ მოვედი, რომ ჭკუა გკითხოთ. არავინ იცის, როდის ჩამოვა საითი. თუმცა, ის კი მომწერა, ნივთები გაყიდე და სახლის პატრონი გაისტუმრეო.

ფერფერიკთა ოჯახის თავს ეს ამბავი ქალიშვილმა უამბო. ჰასიფ ბეიმ ცივად თქვა:

— მოვიფიქრებ.

სევიმი ატირდა.

— რა გატირებს? მე ხომ ვთქვი, მოვიფიქრებ-მეთქი? მოფიქრებაც არ შეიძლება?

ვიდრე ჰასიფ ბეი ფიქრობდა, შევიტანო თუ არა ბინის ქირაო, სევიმმა გაიგო საითის მისამართი და გრძელი, გულისამაჩუყებელი წერილი გაუგზავნა. საითის პასუხმა დააყოვნა. სევიმმა რომ პასუხის მიღების ყოველგვარი იმედი დაჰკარგა, საითისაგან პაწია ღია ბარათი მოვიდა, რომლითაც იტყობინებოდა, უახლოეს ხანს ჩამოსვლას ვაპირებო. ბინის თაობაზე არაფერს სწერდა. ამასობაში ჰასით ბეიმ დაწვრილებით გამოიკითხა სარიოღლუთა ფინანსური მდგომარეობის ამბავი და გამოარკვია, რომ მათი ფული დღეს თუ ხვალ გამოიღეოდა, ხოლო ბერინ ხანუმმა კი თავის ძვირფასეულობათა ნაწილი კიდეც გაყიდაო. ჰასიფ ბეი დარწმუნებული იყო, რომ ახლა მისი გონიერი შვილი უსათუოდ უარს იტყოდა საქმროზე, მაგრამ სევიმს ამის გაგონებაც არ სურდა და დაჟინებით ითხოვდა, მამაჩემმა ის ვალი დაფაროსო.

— იმ შენს ტიპს ალარაფერი აქვს, გაიგე, გაკოტრდა!

— გავიგე! ახლა მით უმეტეს, ვერ მივატოვებ!

მეჰჯურე ხანუმი ქმარს უჭერდა მხარს და ამბობდა:

— რამ გადაგრია? ასე რამ შეგაყვარა? არც ფული აქვს, არც სიმ-მაზე, არც სახელი! რა მოგწონს მისი?

მაგრამ სვავ სევიმს ვერაფერი აიძულებდა ელიარებინა ეს-ეს მარცხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკიდან სულ სხვა საითი ჩამოდის

პირველ ხანებში ამერიკიდან წერილების ნაკადი მოდიოდა. საითი ყოველ დღე წერდა აისელს. თანდათანობით კი მჩქეფარე ნაკადი მდინარედ იქცა, მდინარე — ნაკადულად და ბოლოს სულაც დაშრა.

საითი რომ ამერიკიდან დაბრუნდა, აეროპორტში სამი ადამიანი დახვდა: რეფიქი, ეროლ იფქირან ბეი და მისტერ ტომპსონი (ასეთი იყო საითის სურვილი, ჩემი ჩამოსვლის ამბავი არავის შეატყობინოთო, ითხოვა).

საითი იმდენად შეცვლილიყო, რომ რეფიქიც კი გაოცდა. უწინდელი საითის კვალიც არსად დარჩენილიყო. თითქოს ის საითი სამუდამოდ დარჩა ამერიკაში. რეფიქმა სულ სხვა საითი დაინახა. უწინდელი საითისათვის სულ ერთი იყო, როგორ ჩაიცმევდა — პიჯაკი მუდამ ისე ეცვა, თითქოს საკიდარზე ჰკიდიაო, შარვალი კი თითქმის ძვრებოდა. ახლა თვითმფრინავიდან ელეგანტური მამაკაცი გადმოვიდა. თვალები მკვირცხლად უელავდა, სახეზე დამატყვევებელი ღიმილი დასთამაშებდა.

ამ საითს არც სევიმი უხსენებია და არც აისელი.

ბერინ დეიდამ სახლის კარზე მომდგარი საითი რომ დაინახა, გული შეუწუხდა და მადამ ანჟელა წვეთებით აბრუნებდა. საბრალო დეიდამ საითის ამერიკაში ყოფნისას იმდენი რამ გადაიტანა, რომ გონს მოვიდა თუ არა, საითს ყველაფერი უამბო. დეიდა ბერინი სწორედ ისე მოიქცა, როგორც საითმა მოსწერა: ავეჯი გაყიდა და სახლის მეპატრონის ვალი გაისტუმრა, მაგრამ ბერინ ხანუმი იძულებული გახდა თავისი ძვირფასეულობანიც გაეყიდა.

ამ საუბრის მერე საითი თავისი ოთახისაკენ გაეშურა. კარზე დარეკეს. საამშენებლო ფირმის აგენტებს გაეგოთ საითის ჩამოსვლა და საქმიანი წინადადებით მოვიდნენ. ამ თქვენი სასახლის ადგილზე თანამედროვე ბინებს ავაშენებთო.

— საით, სულ დამავიწყდა ამ ხალხის თაობაზე მეთქვა რამე. შენი გამგზავრების მერე სული ამომხადეს თავიანთი პროექტებით. ვეტყვი, რომ დაღლილი ხარ, მერე მოვიდნენ.

საითი ქვედა სართულზე ჩამოვიდა და კარგა ხანს ესაუბრა მათ. ისინი რომ წავიდნენ, დეიდა ბერინმა იკითხა:

— შვილო, ძალიან გთხოვ, მარტო ნურაფერს გადაწყვეტ, ჩვენებს უნდა მოვუყარო თავი.

— ვინ ჩვენებს, დეიდა? — ღიმილით იკითხა საითმა.

— როგორ, ვინ ჩვენებს, აბდუშუქურ ბეის, ქისმეთ ბეის, ზიჰნი ბეის, ზუბეიდ ხანუმს, გახსოვს, შენი დანიშვნის ამბავი რომ გადაწყვიტეს?

— მოფამფალებული ბებრუხანები...

დეიდა ბერინმა სახეზე ხელები აიფარა, არ უნდოდა საითს მისი ცრემლები დაენახა. ოი, ამერიკავ, ამერიკავ, ასეთი რა უყო დეიდა ბერინის ძვირფას ბიჭუნას?

— დამშვიდდით, დეიდა, თქვენ რომ ჩვენებს ეძახით, ისინი გამოჩერჩეტებულნი არიან უკვე. მათ რომ სულ მცირეოდენი უფლება ჰქონდეთ ამ სახლზე, დღემდე დაშლიდნენ და ნაწილ-ნაწილ წაიღებდნენ. მაგათ ისედაც დიდხანს ლოკეს ჩვენი თაფლი.

ამ სიტყვებმა ბერინ ხანუმი შეაძრწუნა, ნუთუ საითი მეც ამ ოჯახში შემოკედლებულად მთვლისო?

— დეიდა, გაიხსენეთ ის დრო, ყველამ რომ ზურგი გვაქცია. რატომ მოიქცნენ ასე? დარწმუნდნენ, აღარაფერი დაგვრჩა, ჩვენ ეს დანგრევის პირას მისული სასახლე დაგვიტოვეს და თვითონ დაიფანტნენ.

ეროლ იფქირან ბეი შეეცადა საითის ჩამოსვლის ამბავი სტამბულის ყველა გაზეთში დაბეჭდილიყო. ამ ცნობას ყოველი გაზეთი დიდი სათაურებით ბეჭდავდა.

სევიმმა საქმროს ჩამოსვლა გაზეთების მეოხებით გაიგო და ჩაფიქრდა: ახლა როგორ მოვიქცე, მე თვითონ მივიდე მასთან თუ დაველოდო, აქეთ როდის მოვაო.

სევიმი დიდხანს ათვალიერებდა საითის სურათებს. როგორ არა ჰგავდა ეს საითი იმ ადამიანს, რომელსაც ტიპს ეძახდა. შესცქეროდა ამ სურათებს და გულნატკენი ფიქრობდა, რამდენი რამ დაიკლო ამ კაცის გულისთვის, რამდენ რამეზე თქვა უარი: რუმინეთში არ წავიდა, ახალი საყვარლები აღარ გაიჩინა, ეგ ერთი აჰმედი ჰყავდა და მასთან სიახლოვე ჩვეულებად უფრო ექცა! საითი კი... რა უმადური გამოდგა — ამერიკიდან ჩამოვიდა და მოსვლაც არ იკადრა. დედა მართალი ყოფილა... ფიქრობდა სევიმი ყველაფერ ამაზე და ისე შეებრალა საკუთარი თავი, რომ აქვითინდა.

დროდადრო სასტუმრო ოთახიდან ვიღაცის ხმა ესმოდა. სააბაზანოში გასვლისას დერეფნიდან თვალი მოჰკრა, რომ მაგიდასთან ვიღაც სასიამოვნო გარეგნობის კაცი იჯდა და ყავას სვამდა. სევიმი სააბაზანოში შეავიდა, გაიხადა და აბაზანაში ჩაწვა თუ არა, შინამოსამსახურემ დაუკაკუნა და ჩურჩულით თქვა:

— სევიმ ხანუმ, თქვენი საქმრო მოვიდა, საით ბეი გვესტუმრა.

სევიმი წამოხტა, უმალ სქელი ხალათი მოისხა და სასტუმრო ოთახში გამოვარდა.

— საით! — იყვირა და ყელზე ჩამოეკიდა საქმროს. — შენა ხარ? ნუთუ მართლა შენა ხარ?

სევიმმა საითი სავარძელში ჩასვა, თვითონ კი მის გვერდით ხალიჩაზე მოკალათდა, მუხლებზე ხელები დაადო და ალაპარაკდა:

— როგორ გამოცვლილხარ, როგორ გამოცვლილხარ, საკუთარი თვალებისა არ მჯერა.

მართლაცდა, სევიმის წინ ძლიერი, საკუთარ თავში დარწმუნებული ჭამაკაცი იჯდა.

— გახსოვს, რომ ამბობდი, მხოლოდ მაშინ შეგირთავ ცოლად, როცა შენს გულში ძლიერად დავიმკვიდრებო ადგილს.

ამას როგორ დაივიწყებდა საითი. ახსოვდა, რასაკვირველია, ახსოვდა, მაგრამ წარსულის მოგონებანი ახლა არაფერს ნიშნავდა საითისათვის.

სევიმი წამოხტა და ოთახში დატრიალდა. საითი მშვიდად შესცქეროდა მის ფორიაქს, უნებურად სხვა ქალებს ადარებდა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ყველა ქალი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაშინ, როცა, მათ საკუთარი გამარჯვების იმედი არა აქვთ. სევიმი კი ვერ ხვდებოდა, რომ საითმა მარტო სათვალე კი არ მოიხსნა, იგი ცხოვრების ავ-კარგშიაც გაერკვა და ეგრე იოლად ვერ მოატყუებდა.

აჰმედიც მოვიდა, სევიმმა ჩვეულებისამებრ აკოცა მას და საითი დარწმუნდა, რომ მას ეჭვიანობის გრძნობაც კი არ აღეძრა. ჰოდა, როგორ შეეძლო ასეთ ქალზე დაქორწინება?

მამაკაცებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. აჰმედი დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა საითს. თითქოს მის წინ სრულიად უცხო კაცი იდგა, ან როგორი ტანსაცმელი ეცვა!

— რას დავლევთ? — იკითხა სევიმმა.

— თუ შეიძლება, ვისკი, — დამატყვევებელი ღიმილით მიუგო საითმა.

სევიმმა ღიღინით მოიტანა ვისკი. მერე კვლავ, ჩვეულებისამებრ, აჰმედს მიუჯდა გვერდით, იმასაც კი ვერ ხვდებოდა, რომ საქმროს დასანახად ასეთი რამ არ უნდა გაეკეთებინა. საითმა კვლავ ულაპარაკოდ გაიღიმა: ამ ოჯახში არაფერი, სრულიად არაფერი არ გამოცვლილა.

— რატომ იღიმები? — ჰკითხა სევიმმა.

— ისე...

— ახლა რაზე ფიქრობდი? მითხარი, რაზე ფიქრობდი?

— არაფერზე.

საითს კი აგონდებოდა, დიდი ხნის წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ როგორ იჯდა ამ ოთახის კუთხეში და ისმენდა, როგორ ეჭიკჭიკებოდა სევიმი აჰმედს, მერე კი ნიშნობის ბეჭედი სახეში მიახალა, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან მოკრძალებულად ჩაერია მათს ინტიმურ საუბარში.

საითი დღეს ამ ოჯახში მხოლოდ მოვალეობის გრძნობას არ მოუყვანია, არც ჩვეულებრივ ზრდილობას, არა, იგი იმიტომ მოვიდა სევიმთან, რომ ეთქვა: დღეიდან თავისუფალი ხარ, ჩვენი ქორწინება შეუძლებელიაო.

საქმეებზე საუბარი, ცხადია, აჰმედმა წამოიწყო. მან ქორწილი ახსენა და საითს ჰკითხა, ქორწილი როდის უნდა შედგეს და სად უნდა იცხოვროთო.

საითმა პირდაპირი პასუხი არ გასცა და თქვა:

— წარმოიდგინეთ ასეთი რამ — თვითმფრინავი ჩამოვარდა და დაიმსხვრა. გაზეთებში ერთი ამბავია, ზოგი რას მიიჩნევს კატასტროფის მიზეზად და ზოგი — რას. ყველა ნაწილი სწორად მუშაობდა, ამიტომ დაბეჯითებით პასუხს ყველა არიდებს თავს. ძრავაც გამართული იყო. მაშ, რაღად დაიმსხვრა თვითმფრინავი? აქ შეიძლება ერთი ჰიპოთეზური ვერსია წამოაყენოს ადამიანმა — მოკვდა მეტალი.

საითს ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. საითმა ახლა სხვა მაგალითი მოიშველია.

— სრულიად მოულოდნელად დაინგრა შენობა, ვერავინ ჩასწვდა დანგრევის მიზეზს: ვერც არქიტექტორი, ვერც მშენებლები და ვერც ინჟინრები. შენობა კი მსუბუქმა მიწისქვეშა ბიძგმა დაანგრია. ეს მიწისქვეშა ბიძგი თურმე აშენების დროს არ გაუთვალისწინებიათ.

საითის ამდენი ერუდიციისა და განათლებულობისაგან სევიმსა და აჰმედს ლამის გულს შემოეყარათ. ვერაფერი გაიგეს. საოცარია, ადრე

ყველა გაიძახოდა, ამ ოთხთვალამ თავისი არითმეტიკის მეტი არაფერი იცისო. თუმცა, ახლა აღარც ის ოთხთვალა საითი არსებობს!

სევიმი ხელში ხელსახოცს ჭმუჭნიდა და საითმა იგრძნო, რომ ანერვიულდა. ამიტომ შეეცადა, კიდეც ერთხელ აეხსნა მისთვის:

— მაგალითისათვის ავიღოთ უძველესი საგვარეულო, ამ გვარის ხალხისულ გენერლები, სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები იყვნენ, მაგრამ ახლა საგვარეულო იშრიტება და დგება მთლიანი დეგრადაციის ერა, გვარი თითქმის კვდება.

სულ ტყუილად ლაყბობდა საითი — მაინც ვერაფერს მიახვედრა სევიმი და აჰმედი.

აჰმედს მობეზრდა ამდენი ლაპარაკი და წავიდა.

აჰმედმა კარი გაიხურა თუ არა, სევიმმა ერთი ალიაქოთი ატეხა, აისელზე ვეჭვიანობო, მერე ჩვეული მოძრაობით იმ თითს წაავლო ხელი, რომელზეც ნიშნობის ბეჭედი უნდა ჰქონოდა, კიდევ ერთხელ მივახლი სახეში საითსაო, მაგრამ უცებ გაიყინა, ბეჭედი თითზე არ ეკეთა. ვიდრე საითი ამერიკაში იყო, მას ერთხელაც არ გახსენებია ეს ბეჭედი.

— თავს ნულარ შეიწუხებ, — თქვა საითმა და სავარძლიდან წამოდგა. — მშვიდობით.

„თოზქოფარანის" წლიური კრება

„თოზქოფარანის" წარუმატებელმა თამაშებმა ხალხში იმდენად დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ კლუბის გამგეობაში უთანხმოება ჩამოვარდა. კლუბის ხელმძღვანელობას ოპოზიცია დაუპირისპირდა, იქმნებოდა ცალკეული დიდი თუ პატარა დაჯგუფებანი.

— აი, ნახავ, ძმაკაც, — უთხრა იფქირან ბეიმ საითს, — მანამ, სანამ „თოზქოფარანის" წლიური კრების დღე დადგებოდეს, დუნდარ დუბარა ბეი ამ ოპოზიციაში კიდევ შექმნის პატარ-პატარა დაჯგუფებებს და მისი მთავარი მტრების დაუმარცხებელი „კუდიანების" გარდა კიდევ გამოჩნდებიან ჯგუფები, რომელსაც თვითონვე შექმნის.

— ეგ როგორ? — გაოცდა საითი. — თავისივე მტრებს გაიჩენს?

— ეეჰ, ძმაკაც, თუ გინდა ნაღდად გაიმარჯვო, მტრის რიგებში უნდა შეიტანო არეულობა, ის უნდა დაანაწევრო.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც იფქირან ბეი ამბობდა. „თოზქოფარანში" ახალი დაჯგუფებანი ისე მრავლდებოდა, როგორც სოკო

ნაწვიმარზე. დაუმარცხებელი „კუდიანების“ გარდა შეიქმნა ახალი ასოციაციები, ალიანსები, ძმობა, ამხანაგობა. ასე მაგალითად: „ქარი, მხოლოდ კუდიანი“, „კუდიანი ქარი“, „კუდიანი ქარისათვის“, „ყველანი კუდიანი ქარისათვის“, „გინდა იყავ აფთარი“, ვერ დაამარცხო „ქარი“. „არ არსებობს „კუდიანი ქარი“ ქარის გარეშე“. ეროლ იფქირანბეი არ ცხრებოდა.

— ყოველ ასეთ ჯგუფში დუნდარ დუბარას თავისი ხალხი ჰყავს. იცი, რატომ ვამბობ ამას? ყოველთვის, როცა ძველი გამგეობა იშლება, დუბარა ბეი ახლის სათავეში ექცევა.

ოპოზიციური დაჯგუფებანი ისე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ საქმე სასამართლომდე მივიდა. „დაუმარცხებელმა კუდიანებმა“ იჩივლეს, კლუბის გენერალური საბჭო კლუბის ფულს ნიავქარს ატანსო. სასამართლომ დაადგინა, კლუბის სალარო შემოწმდესო.

დუნდარ დუბარა ბეიმ მოიწვია გენერალური საბჭოს სხდომა და ერთადერთი კითხვა დასვა: „ოპოზიციას საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ თუ არა?“ მერე თვითონვე უპასუხა ამ კითხვას: „რასაკვირველია, პასუხი საკადრისი უნდა გავცეთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაუმარცხებელმა „კუდიანებმა“ თვითმარქვიებად გამოგვაცხადეს. განა გენერალური საბჭოს შემადგენლობაში ფარული კენჭისყრით არ აგვირჩიეს? მეგობრებო, ჩვენ შემხვედრი სარჩელი უნდა წარვადგინოთ“.

საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს ეს წინადადება. ყველამ იყვირა, ნახეთ, რა ყოჩაღია ეს ჩვენი დუნდარ დუბარაო. დუნდარ დუბარამ კი გენერალური საბჭოს თანხმობა რომ მიიღო, ოპოზიციის წევრები შეჰყარა და დაამშვიდა: „თქვენ ნუ გეშინიათ მაგ შეხვედრა-სარჩელისა, მე გასწავლით, როგორ მოიქცეთ და რა თქვათ“.

— ასეთი კაცია დუნდარ დუბარა ბეი, — განაგრძობდა ყოვლისმცოდნე ეროლ იფქირანი, — მას შეუძლია თამამად შევიდეს ოთახში, რომელშიც არავინ იცნობს, მეგობრულად გამოესაუბროს ყველას, ნახევარ საათში ერთმანეთს წაჰკიდოს ეს ხალხი და მერე ისევ შეარიგოს. განა ტყუილად ეძახიან „დიად მესაჭეს“.

ყველა გაზეთში დაიბეჭდა ცნობა, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე, ამა და ამ ადგილას „თოზქოფარანის“ კლუბის წევრთა წლიური კრება გაიმართებაო.

— როგორ გგონია, ეროლ, აირჩევენ დუნდარ დუბარა ბეის ახალი გამგეობის შემადგენლობაში? — იკითხა საითმა.

— რასაკვირველია, აირჩევენ, — დაუფიქრებლად უპასუხა ყველა-

ზე ობიექტურმა სპორტულმა კომენტატორმა. — ძალიან მოხერხებული კაცია ეგ ჩვენი დუნდარ დუბარა ბეი. რამდენი ასეთი კრება მახსოვს და დუნდარ დუბარა ყოველთვის ახერხებს თავის გადარჩენას. ერთხელ ყველანი შეიკრიბნენ და კრების დაწყებას უცდიან, მაგრამ სხდომა არა და არ იწყება. ხან ერთ კუთხეში ატყდება თავაწყვეტილი ხარხარი და ხან — მეორეში. ნეტა, რა ამბავია-მეთქი, გავიფიქრე და ვხედავ, რომ ხალხი ვიღაცას შემოხვევია და სიცილით ჭიპზე სკდებიან. თურმე დუნდარ დუბარა ბეი პიკანტურ ანეკდოტებს უამბობს ხალხს. თანაც როგორ უამბობს! გინდა სულ იმას უსმინო, სიცილით არაქათი გეცლება. დუნდარი ხან ერთ ჯგუფთან მიდის და ხანაც — მეორესთან. თითქოს ყველას დაავიწყდა, რისთვისაც მოვიდნენ. მერე დუნდარი უცებ ტრიბუნაზე ახტა და დაიწყო: „მეგობრებო, დროს ნულარ დავკარგავთ. გთხოვთ გადავიდეთ დღის წესრიგის პირველ საკითხზე". შეკრებილთ უკვე აღარაფრად ეპრიანებათ კრება, ყველა სიცილის გუნებაზეა. დუნდარსაც ეს უნდა, თავის წინადადებას კენჭი უყარა და ყველამ მისცა ხმა.

მეორე კრების ამბავსაც მოგიყვები: მოკამათენი დუნდარს ტყავს აძრობენ, არაფრით არ უნდათ, რომ იგი გამგეობის წევრი გახდეს. აგინებენ და აგინებენ. ყველა ფიქრობს, დუნდარი გამოვა და თავს დაიცავსო. ის კი მშვიდად ამბობს, „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს". მთელი დღე აგინეს. საღამოს, ყველა რომ დაიღალა, დუნდარმა მედიჯ სალიჰს მისცა სიტყვა. ეს ის მედიჯ სალიჰია, რომელიც „თოზქოფარანის" დაარსების დღიდან თამაშობდა ამ გუნდში. ამაზე უფრო თავმომაბეზრებელსა და ლაქლაქა კაცს ვერსად იპოვი. დარბაზში მალე ყველას ჩაეძინა. სალიჰი კი ოციან წლებში სტამბულის ოკუპაციის შესახებ ლაპარაკობს. იმ დროს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა შეგვაძლებინა ის, რომ ინგლისელებს ფარ-ხმალი დავაყრევინეთ და დიდი ანგარიშით მოვუგეთო. მე რომ არ ჩამძინებოდა, საკუთარ თავს ვჩქმეტდი ხოლმე. მხოლოდ დუნდარს და ორატორს არ ეძინათ. არ მახსოვს, რამდენ ხანს ილაპარაკა სალიჰმა. ბოლოს ვიღაცამ მოიფიქრა და ტრიბუნიდან ჩამოაბრძანა. ვიდრე ყველანი გონს მოვიდოდნენ, სიტყვა დუნდარ ბეიმ აიღო. „არამზადა ხარ შენ, დუნდარ ბეი! ოღონდ თავი დაგვანებე, კრება დახურე და რაც გინდა, ისა ჰქენი", — უყვირეს დუნდარს. მაშინ თავმჯდომარემ კენჭისყრა დაიწყო და ყველამ ხმა მისცა, ძმაკაც!

შარშან, საერთო კრების დაწყებამდე კლუბის წევრებმა დაიფიცეს,

დუნდარ დუბარა ბეი არაფრით არ ავირჩიოთო. დუნდარმა ეს ამბავი გაიგო, თავმჯდომარეს კრება გახსნილი არც ჰქონდა, რომ ჩვენი დუნდარი ტრიბუნაზე ავიდა და თქვა:

— აი, თქვენ გაიძახით ფიფა, ფიფაო, ერთი მითხარით, რომელმა თქვენთაგანმა იცის, რას ნიშნავს ფიფა?

ფიფა რა არის, ვინ არ იცის, მაგრამ დუნდარ დუბარა ბეიმ ხალხი დააბნია, დაიწყო ცხარე კამათი, ლამის ხელჩართული ჩხუბი არ გაიმართა, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ვიღაც მაიმუნი სკამზე შეხტა და იყვირა: თუ ვინმემ იცის, ორი ნოლიანი რას ნიშნავსო. დუნდარ დუბარა ბეი კი განზე გამდგარა და მშვიდად შესცქერის ამ ამბავს. ჩხუბი და აურზაური შუალამემდე გაგრძელდა. მეორე დღეს დუნდარ ბეი კვლავ ახალი გამგეობის წევრი გახდა.

რა არ ჩაუდენია! ის რომ არ მოიფიქრებს, ისეთი არაფერია. დროშის ამბავი თუ გსმენია? არა? ყური მიგდე და ყველაფერს გიამბობ. დუნდარმა გადაწყვიტა კლუბის საპატიო პრეზიდენტი მოეშორებინა თავიდან, კრების დაწყებისთანავე დუნდარი წამოხტა და განაცხადა, კრება უფლებამოსილი არ არისო. ეგ როგორაო, რატომ არ არისო? იყვირა ხალხმა. იმიტომ, რომაო, განაცხადა დუნდარ ბეიმ, დარბაზში თურქეთის დროშა არა ჰკიდიაო. მეგობრებო, ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ჩვენ წმიდათაწმიდა, დიდებით მოსილ თურქულ დროშას პატივს არა სცემენო.

რომ იცოდე, რა ამბავი ატყდა! საბრალო პრეზიდენტი თვალცრემლიანი ეხვეწებოდა ხალხს, დროშა მიპოვეთ სადმეო. ყველა ცდილობდა მგზნებარე პატრიოტად ეჩვენებინა თავი და ყვიროდნენ: დუნდარი სწორია, უდროშოდ როგორ იქნება ჩვენი კრებაო. ეს ყველაფერი მემარცხენეთა ოინებია, — იყვირა ვიღაცამ, — მემარცხენენი შემოგვეპარნენ კლუბში. და ყველამ იყვირა: „სიკვდილი კომუნისტებს!“ ერთი გენახა, ძმაკაც, რა დღეში ჩავარდა ის ახალგამომცხვარი დეპუტატი, რომელიც ჩვენი კლუბის პრეზიდენტი იყო. საცოდავად იხვეწებოდა: „ღმერთი გიშველით, მიპოვეთ სადმე დროშა“.

— როგორ დამთავრდა ეს ამბავი? — იკითხა საითმა.

— როგორ უნდა დამთავრებულიყო, ძმაკაც. თავმჯდომარე ისე შეშინდა, დუნდარ ბეის შეეხვეწა: რაც გინდა ის ჰქენი, ოღონდ ახლა მიხსენიო, მაშინ დუნდარ ბეი ტრიბუნაზე დადგა და თქვა: „მეგობრებო, ჩვენი დროშა ჩვენი სინდისი და სისხლია. არ შეიძლება კომუნისტი გახდეს კაცი, რომლის ძარღვებშიც კეთილშობილური თურ-

ქული სისხლი ჩქეფს. ჩვენთან მემარცხენეებს ადგილი არ უნდა ჰქონ-
დეთ!“ ამოიღო დიდი დროშა და ტრიბუნაზე აღმართა. ვიდრე აღმარ-
თავდა, აკოცა! კრების შემდეგ გამოირკვა, რომ ეგ დროშა
დუნდარ დუბარა ბეის გადაუმალია. ამით პრეზიდენტი
შორა, თვითონ კი თავის ადგილზე დარჩა.

ამ საუბრით მიადგნენ ეროლი და საითი დუნდარ დუბარა ბეის კან-
ტორას, რომელიც ბარს უფრო ჩამოჰგავდა.

„თოზქოფარანის“ ტრადიციული ყოველწლიური კრება დაძაბულ
ვითარებაში დაიწყო.

— აი, იმ კაცს ხედავ? — მხარი გაჰკრა იფქირანმა საითს, —
ამბობენ, დუნდარის ადგილს ეგ დაიჭერს და გენერალური თავმჯდომა-
რე იქნებაო, თუ ეგრე მოხდა, ჩვენი დუნდარი გამგეობის წევრობასაც
ველარ ეღირსება. ხმა დაირხა, სელიმ ბეი გამოსვლას აპირებს და
დუნდარ დუბარას ტყავს გააძრობს, მის საქმიანობას ერთიანად გამო-
ააშკარავებსო, მაგრამ არც ჩვენი დუბარა არის კურდღელი. ასე რომ,
დღეს დიდი ამბები გველის.

პრეზიდიუმის არჩევისთანავე დუნდარ დუბარა ბეი ტრიბუნაზე
გავარდა.

— ერთი წინადადება მაქვს.

— ჩამოდი მაგ ტრიბუნიდან და ეგ შენი წინადადებაც თან წაი-
ყოლე! — უყვირა სელიმ ბეიმ.

დარბაზი ახმაურდა.

— წინადადება შემომაქვს, — დუნდარ ბეი ხმამაღლა ლაპარაკობდა,
იქნებ ამ ხმაურში ვინმეს რამე გავაგონოო, — რომ დღევანდელი კრე-
ბის თავმჯდომარედ ავირჩიოთ პატივცემული სელიმ ბეი! მეგობრებო,
ვინ არის ჩვენი კლუბის ყველაზე ღირსეული წევრი? რასაკვირველია,
სელიმ ბეი!

ხმაური უცებ დაცხრა, ყველა ორატორს შესცქეროდა.

— ვინ გაუწია ყველაზე დიდი სამსახური ჩვენს კლუბს? რასაკვი-
რველია, კვლავ სელიმ ბეიმ.

— ეს რა მტრობაა, — გაოცდა საითი, — ხომ ხედავ, როგორ
აქებს სელიმ ბეის.

— ეს რაღაც ფანდია, ძმაკაც, მაგრამ ვერაფრით მივხვდი, სად
უმიზნებს დუნდარ ბეი!

— სელიმ ბეი ჩვენი უფროსი ძმაა, — ჭიპზე სკდებოდა დუნდარ
დუბარა ბეი, — „თოზქოფარანისათვის“ მან გააკეთა ის, რისი გაკე-

თებაც შეუძლია ადამიანს. მეტსაც ვიტყვი, მან უფრო მეტი გააკეთა. ამიტომ წინადადება შემომაქვს, დღევანდელი კრების თავმჯდომარედ ავირჩიოთ სელიმ ბეი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხმა ტაში დასცხო.

— ო, რა ძაღლის შვილია?! ეს როგორ მოაფიქრდა? — წამოიძახა იფქირან ბეიმ, — ხედავ, რა უყო სელიმ ბეის? დაბა, ახლა იგი კრინტსაც ვერ დასძრავს, მიხვდი?

— რატომ, განა თავმჯდომარეს არ შეუძლია სიტყვა წარმოთქვას?

— არა, არა აქვს უფლება. მან მხოლოდ სხვებს უნდა მისცეს სიტყვა.

— არ მინდა, არ ვიქნები თავმჯდომარე, — ყვიროდა სელიმ ბეი, — მე კამათში უნდა ჩავეწერო.

მაგრამ დუნდარ დუბარა ბეიმ უკვე გააკეთა თავისი საქმე — რამდენიმე კაცმა სელიმ ბეი ხელში აიყვანა, დარბაზში გაატარა და ისე დასვა თავმჯდომარის სავარძელში. სელიმ ბეიმ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, მას კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ დუნდარ დუბარამ არ დააცადა და კვლავ ტრიბუნაზე ავარდა.

— წინადადება შემომაქვს, ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ ჩვენი დიადი გმირების ხსოვნას.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი, ხუთი. დარბაზი ელოდება, როდის ანიშნებს დუნდარ დუბარა ბეიჯ დასხედითო.

დარბაზში აჩურჩულდნენ. იფქირანმა საითს გადაუჩურჩულა:

— ეგ თავი მომჭერი, თუ მაგას რაიმე არ ჰქონდეს ჩაფიქრებული.

დუნდარ დუბარა ბეიმ დარბაზს ანიშნა, დასხედითო და იმის შიშით, სიტყვა არავინ წამართვასო, უმალ დაიწყო:

— მეგობრებო, წუხელ ბეიოღლუზე პოლიციამ ერთი მთვრალი ახალგაზრდა კაცი დააკავა. დიახ, დიახ, ჩხუბის გამო დააკავეს. პოლიციელს უნდოდა ეს ახალგაზრდა პოლიციაში წაეყვანა, მაგრამ დაკავებულმა განაცხადა, თითსაც ვერ დამაკარებთ, რადგან ეროვნულ ნაკრებში ვთამაშობო. ხედავთ, მეგობრებო? მე მინდა დავსვა კითხვა: ნუთუ არ დადგა დრო, რომ სერიოზულად განვიხილოთ ფეხბურთელის მორალური სახის საკითხი?

დაიწყო და რა დაიწყო! ერთი ამბავი ატყდა, ყველას უნდოდა თავისი აზრი გამოეთქვა. თავმჯდომარე ხალხის დამშვიდებას ცდი-

ლობდა, მაგრამ გამგონე ვინ იყო. დუნდარ დუბარა ბეი კი ამაყად იდგა ტრიბუნაზე.

— ერთი წუთით, ერთი წუთით! — იყვირა ვილაცამ ბოლო რიგებიდან, — თქვენ ხომ არ დაგავიწდათ ფიფასა და ორი ნოლის ანაბარი ატეხილი კამათი? ეს მორალიც ისეთივე ფანდია, გვატყუებენ, ჩამოდი ტრიბუნიდან, გონს მოდით, ხალხნო!

იმ კაცმა ისეთი ხმამაღალი შეძახილით დაამთავრა სათქმელი, რომ ყველა გაირინდა.

— შენ თუ ხვდები, რა ხდება? — ჰკითხა იფქირანმა საითს.

— ვერა, ვერაფერს ვხვდები.

— გთხოვთ, მომცეთ სიტყვა განცხადებისათვის, — ითხოვა ისევ დუნდარ ბეიმ.

საბრალო სელიმ ბეის სხვა აღარაფერი დარჩენოდა და სიტყვა მისცა.

— ძვირფასო მეგობრებო, ჩვენს მთავრობას არასოდეს დაუკლია ზრუნვა „თოზქოფარანისთვის". წინადადება შემომაქვს, ჩვენი კრების სახელით მთავრობას მისასალმებელი დეპეშა გავუგზავნოთ.

ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

— ჩამოდი ტრიბუნიდან, თორემ ამ კრებას ვეღარასოდეს დავამთავრებთ, — იყვირა ვილაცამ.

ამ დროს კურიერი შემოვიდა და თავმჯდომარის მაგიდაზე მთელი დასტა დეპეშები დაალაგა.

— პატივცემულო მეგობრებო, — თქვა სელიმ ბეიმ, — ჩვენი კრების სახელზე მოსულია დეპეშები, პრეზიდიუმის მდივანი ახლავე გაგაცნობთ ამ დეპეშებს.

მდივანმა დაიწყო დეპეშების კითხვა. ერთ დასტას რომ დაამთავრებდა და ხალხს ეგონა, გვეშველაო, ერთი ამდენი კიდევ შემოჰქონდათ.

— მე მგონია, რომ ეს დეპეშები თვით დუნდარ დუბარა ბეის გამოგზავნილია, — თქვა ერთმა ჟურნალისტმა.

ამასაც მოეღო ბოლო და დუნდარ დუბარა სიტყვა ითხოვა.

— მე მინდა, ერთი რამ განვაცხადო, ძვირფასო მეგობრებო, ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს — სამწუხარო ამბავი უნდა გაუწყოთ: „თოზქოფარანის" შემადგენლობაში განხეთქილებაა, შეიქმნა რამდენიმე დაჯგუფება. ეს პირველი შემთხვევაა ჩვენი კლუბის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე და იმას ნიშნავს, რომ ჩვენი

სპორტული მოძრაობის ერთიანობას დიდი საფრთხე ემუქრება. ამიტომ შესაძლოა, კენჭისყრის დროს რაიმე გაუგებრობას ჰქონდეს ადგილი. გაუგებრობა რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ახლავე დავაზუსტოთ სია. წინადადება შემომაქვს, გამგეობის წევრობის კანდიდატთა სიაში ყოველ გვარს მივაწეროთ, თუ რომელ დაჯგუფებას ეკუთვნის ესა თუ ის კანდიდატი.

კანდიდატების სიას შუაღამემდე ამოწმებდნენ. საითი იმდენად გააოგნა ნანახმა და გაგონილმა, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს იფქირანისათვის, ისე გაეცალა იქაურობას. მეორე დღეს, დილაადრიან გაზეთების მეოხებით შეიტყო, დუნდარ დუბარა ბეი „თოზქოფარანის“ კლუბის გამგეობის წევრად აირჩიესო.

და ამოგბრწყინდა ახალი ვარსკვლავი

საითს კარგა ხანია დაავიწყდა, რომ სევიმის სიყვარულმა დააწყებინა ბურთის თამაში. ახლა ფიქრობდა, ფეხბურთი გასაჯანსაღებლად, ჩემი მორიდებულობის და ფიზიკური უძლურების დასაძლევად დავიწყეო.

„თოზქოფარანის“ ყოველწლიურ კრებაზე საითმა თვალნათლივ ნახა, თუ რა ხდება პროფესიული სპორტის კულუარებში. ასეთი რამ მოულოდნელი იყო საითისათვის და ფეხბურთის ავტორიტეტებისადმი რწმენა შეერყა. მაგრამ თამაში, სპორტული აზარტი, საკუთარი ფიზიკური ძალისა და მოხერხებულობის შეგრძნება, ღირსეული ბრძოლით გამარჯვების მოპოვების ჟინი უდიდეს სიხარულს ანიჭებდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს საითისათვის წმიდათაწმიდა იყო.

ტომპსონთან მეგობრობამ სულ ჩამოაშორა „თოზქოფარანს“. ინგლისელი „ჰაჯეთბაბას“ მწვრთნელად გადავიდა და საითიც თან გაყვა საყვარელ მწვრთნელს. ტომპსონი მუდამ საითის გვერდით იყო. არასოდეს შორდებოდა, მეტწილად ორივენი მოედანზე იყვნენ და ვარჯიშობდნენ.

საითისათვის სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყო. ზონალური შესარჩევი მატჩები ტარდებოდა. ტომპსონი ახლა უფრო ხშირად ათამაშებდა საითს ძირითად შემადგენლობაში. ამის გამო საითს თითქმის სისტემატურად იხსენიებდნენ სპორტულ ქრონიკაში. ცენტრალურმა გა-

ზეთებმაც მიაქციეს ყურადღება და ატყდა ერთი ალიაქოთი: სად უნდა ითამაშოს საითმა? მწვრთნელმა თავდასხმაში მარჯვენა გარემარბის ადგილი მიუჩინა. მაგრამ დღემდე ამ ადგილას ჰაიდარი თამაშობდა, ჰაიდარს კი ისეთი ძლიერი დარტყმა ჰქონდა, რომ ხალხმა „ყუმბარა“ შეარქვა. კიდევ ერთი რამ ართულებდა მდგომარეობას — „ჰაჯეთბაბას“ კლუბმა „ყუმბარა“ ჰაიდარის შესასყიდად კარგა ძალი ფული დახარჯა. სეზონი ახლახან დაიწყო. „ჰაჯეთბაბა“ ჩემპიონობას უმიზნებდა, ამიტომ ყოველ თამაშს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ცუდ დღეში ჩავარდა ტომპსონი. რომელი აერჩია — ჰაიდარი თუ საითი? ტომპსონმა თავისი გასაჭირი იფქირანს გაუზიარა, იფიქრა იფქირანმა, იფიქრა და ასეთი რამ მოიფიქრა: შესარჩევ მატჩამდე სამი დღით ადრე ჰაიდარს რომ შეხვდა, არც დღე მოსცილებია და აღარც ღამე. სვამდნენ, დროს ატარებდნენ, ცეკვავდნენ, რესტორნიდან ბარში მიდიოდნენ, ბარიდან კაზინოში, კაზინოდან ისევ რესტორანში და ასე გაილია ეს სამი დღე.

ტომპსონმა გადაწყვიტა — თამაშის პირველ ნახევარში ჰაიდარს გამოვიყვან მოედანზე, მეორე ნახევარში კი — საითსაო. ასე უკეთ გავიგებ, რომელი ჯობიაო.

თამაშზე „ყუმბარა“ აღარ ყუმბარობდა: ბურთს ვერ აჩერებდა, მოედანზე უღონოდ დალასლასებდა. ასე რომ, მოწინააღმდეგის კარმა ვერ იგრძნო ჰაიდარის დარტყმის ძალა. ამიტომ მოწინააღმდეგის კართან ერთ-ერთი ზედახორის დროს ჰაიდარმა ტრუსი შემოიხია ტანზე და ამხანაგებით გარშემორტყმულმა მოედანი დასტოვა. ჰაიდარი საითმა შეცვალა. საითი შიშმა შეიპყრო, რადგან კარგად იცოდა, დღეს წყდებოდა მისი ბედი — თუ დღეს კარგად ითამაშებდა, „ჰაჯეთბაბას“ პირველი თავდამსხმელი გახდებოდა, ყველა მატჩში მიიღებდა მონაწილეობას და ჩემპიონობისათვის იბრძოლებდა. საითი კი არა, მუდამ მშვიდი და აუჩქარებელი ტომპსონიც კი აღელდა — საითის ჩავარდნა, მისი, მწვრთნელის ჩავარდნას ნიშნავდა. საითი თამაშში ჩაება და შიშის გრძნობა თანდათან უქრებოდა, მის ადგილს იჭერდა საკუთარ თავზე გამარჯვების რწმენა — ეს იმიტომ, რომ საითი დაეუფლა საკუთარი გრძნობების დაძლევის ხელოვნებას. რაც უფრო რთულდებოდა ბრძოლა მოედანზე, საითი მით უფრო დაჯერებულად და შეუცდომლად თამაშობდა, ცხადი იყო, რომ მისტერ ტომპსონის მეცადინეობას უქმად არ ჩაუვლია. ყველა მოხიბლა საითის ლამაზმა, ცხარე თამაშმა, იგი მუდამ კარისაკენ ისწრაფვოდა, ურტყამდა ყოველგვარი მდგომარეობიდან, მაყურებელი მუდამ აპლოდისმენტით აჯილდოებდა.

ამ მატჩის ბედი საითის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა. უსაზღვრო იყო მაყურებლის აღტაცება, საითი თანაგუნდელებმა ხელში აიტაცეს და ისე გაიყვანეს მოედნიდან. დღეიდან მარჯვენა გარემარბის ადგილს ველარავინ შეეცილებოდა.

აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ საითის ამგვარ გამარჯვებაში გარკვეული წილი ედო მეტად ობიექტურსა და მიუდგომელ კომენტატორ იფქირან ბეის, კიდევ კარგი, ეს ამბავი საითმა არ იცოდა, თორემ მისი სიხარული ასეთი ხალასი როდი იქნებოდა.

მისტერ ტომპსონი თავისი მოწაფისაკენ გაეშურა, უნდოდა ასეთი დიდი გამარჯვება მიელოცნა, მაგრამ გასახდელთან აისელს შეხვდა. აისელმა საქვეყნოდ გადაკოცნა საითი დიდი მიღწევისათვის. საითს კი სინდისი ქენჯნიდა — ამერიკიდან წერილების გზავნას ვიღა ჩიოდა, სტამბულში ჩამოსვლის შემდეგ ერთხელაც კი არ ინახულა აისელი. საითს აღარც ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ესპანელი აისელის მანქანაში. ვინც საითი აისელის მანქანაში დაინახა, ყველა დარწმუნდა, თუ რას ნიშნავდა ეს — ფეხბურთის ცაზე ახალი ვარსკვლავი ამოვიდა. აისელი სევიმს როდი ჰგავდა, მას ერთხელაც არ მოსვლია აზრად, ამერიკიდან დაბრუნებული საითი მოენახა, ან დაერეკა მისთვის.

— რას შვრები, როგორა ხარ? — ისე იკითხა აისელმა, თითქოს გუშინ დაშორდა საითს. — დღეს ჩინებულად ითამაშე.

— იყავი?

— განა შემეძლო შენი პირველი თამაში არ მენახა? მით უმეტეს, რომ დღევანდელი დღე ძალზე მნიშვნელოვანი იყო შენთვის. განა პირველმა მე არ ვიწინასწარმეტყველე შენი მომავალი?

ამ მომხიბლავი ქალის გვერდით საითი კვლავ ბედნიერად და მშვიდად გრძნობდა თავს. იგი ვერ ხვდებოდა, რომ სვავი სევიმისა და ესპანელი აისელის ორთაბრძოლა ჯერაც არ დამთავრებულიყო და დიდებას ხარკი უნდა გადაუხადოს კაცმა. დილის გაზეთებმა ქებით მოიხსენიეს საითის თამაში, იფქირანმა კი დაწერა: „ფეხბურთის ცაზე ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა“.

ფეხბურთის მეფის დაბადება

საითის საფეხბურთო კარიერა დიდი აჟიოტაჟით დაიწყო, პირველსავე სეზონში ცნობილი კაცი გახდა. ყოველდღე გაზეთში იბეჭდებოდა

მასზე დაწერილი სტატიები, ფოტოსურათები, საუბრები და ათასი სხვა რამ. ყველაზე მეტს მაინც იფქირანი ცდილობდა. იფქირანმა კარგად იცოდა, რომ ყოველ ცნობილ ფეხბურთელს მეტსახელიც უნდა ჰქონდეს, ამიტომაც ამ ყველაზე ობიექტურმა და სამართლიანმა კომენტატორმა საითს „საითი ოფსაიდი“ შეარქვა. პირველ მატჩში, როცა საითმა „თოზქოფარანის“ კარში ბურთი გაიტანა, „კუდიანები“ მსაჯს შემოეხვივნენ და ყვიროდნენ: „ოფსაიდია, ოფსაიდი!“ რასაკვირველია, არავითარი ოფსაიდი არ ყოფილა! საითმა სავსებით კანონიერად გაიტანა ბურთი. საითის ტაქტიკა ასეთი იყო — იგი მუდამ ოფსაიდის ზღვარზე იდგა, ამიტომაც ამბობდნენ ფეხბურთის სპეციალისტები, ეგ ბიჭი მუდამ ოფსაიდის ზღვარზეაო. („ჰაჯეთბაბას“ მარჯვენა გარემარბი მუდამ მოწინააღმდეგე გუნდის დამცველთა ირგვლივ თამაშობდა, გარღვევისათვის მოხერხებულ პოზიციას ირჩევდა, რათა პასის მიღებისთანავე მეკარის პირისპირ დარჩენილიყო).

ერთი სეზონის განმავლობაში საითმა სამჯერ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში მაშინ, როცა აჰმედი მხოლოდ ერთ თამაშზე მიიწვიეს. (არადა, სულ ცოტა ხნის წინათ აჰმედს ნაკრების დაცვის ქედსა და ფეხბურთის მეფეს ეძახდნენ).

მართალია, აჰმედის გვირგვინი ძველი დიდებისგან კვლავ ბრწყინავდა, მაგრამ ფეხბურთის მეფეს უკვე უჭირდა მეფის მოსასხამის ტარება. იგი მობერდა.

ამას კარგად ხედავდა სევიმიც. მართალია, სევიმს ბევრი რამ აკავშირებდა აჰმედთან, მაგრამ ახლა საკმაოდ გულგრილად ეკიდებოდა. იგი მხოლოდ საითზე ფიქრობდა, თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ მას, სვავ სევიმს, ასეთი მსხვერპლი გაუსხლტა ხელიდან. ეს ამბავი ვერც თავისი მშობლებისათვის ეპატიებინა. ფერფერიკები საითს სასიძოდ აღარ სცნობდნენ, რადგან ვერ ეგუებოდნენ გაკოტრებულ ხალხს. გაკოტრებული არისტოკრატი სულაც არ იყო ფირშა „ჰასიფ ფერფერიკი — ქალის საცვლები“-ს მემკვიდრის თანატოლი და ღირსი. რაც უფრო მაღლა მიიწევდა საითის ვარსკვლავი, მით უფრო ნათლად ხედავდა სვავი სევიმი, თუ ვინ დაჰკარგა. ასე ეჩვენებოდა, რომ სიყვარულით ჭკუას ვკარგავო და კიდეც გამოუტყდა აჰმედს: „ამქვეყნად თუ ვინმე მყვარებია არა მგონია, მხოლოდ საითი მიყვარს“. სევიმი ისე გულისამაჩუყებლად ლაპარაკობდა თავის გრძნობებზე, ისე მწარედ ღვრიდა ცრემლებს, რომ აჰმედსაც კი აუცრემლდა თვალები. აჰმედი გულწრფელად გამოუტყდა სევიმს: ამ თეთრი ბიჭის წინაშე, ადრე რომ კა-

ცად, არ მიმაჩნდა, სრული უძლური ვარო. ახლახან რომ „ჰაჯეთბაბამ“ „თოზქოფარანი“ დაამარცხა, ეს უწინარესად აჰმედის დამარცხება იყო. ერთ დროს გაუვალ კედლად აღიარებულ აჰმედს ვერაფერი გაეწყო საითთან. „დაჩაჩანაკებულ მგელს ძაღლებიც კი დასცინიან“, გახსენდა აჰმედს ანდაზა.

ამ უკანასკნელ ხანს აჰმედს ძალიან უჭირდა თამაში, მაგრამ ცდილობდა, რამენაირად დაეფარა ეს გარემოება — ეშინოდა. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა არ დამცინონო. ბევრი ვერ ხვდებოდა, თუ რატომ უჭირდა აჰმედს ასე და ამბობდნენ „აჰმედი კვლავ ფორმაში არ არის“, უკვე აღარავის ახსოვდა ის დრო, როცა აჰმედი მთელი ძალით თამაშობდა და ფეხბურთის მეფეს „კუდიანთა ხერხემალსა“ და „ფეხბურთის პროფესორს“ ეძახდნენ. უკვე კარგა ხანია თამაშს თავი დაანებეს იმათ, ვინც მასთან ერთად გამოვიდა მოედანზე. ყველამ რაღაც საქმეს მოჰკიდა ხელი: ზოგი მწვრთნელი გახდა, ზოგი საქმოსანი, ზოგმაც მდიდარი ცოლი იშოვა. ის ფეხბურთელები ყველას მიავიწყდა. ერთ დროს აჰმედსაც ჰქონდა ბევრი ფული... კლუბიდან კლუბში რომ გადადიოდა, თავის წილად კარგა ძალი საკბილო რჩებოდა, ეგონა, მუდამ ასე იქნებაო, მაგრამ ახლა აღარც ის დიდება იყო და ფულებიც ისე შემოეხარჯა, როგორც ახალგაზრდობის წლები.

სევიმს აჰმედის მუხლებზე დაედო თავი და ტიროდა. აჰმედი კი ფიქრობდა სევიმზე, ფიქრობდა საკუთარ თავზე და თავისი თავიც შეებრალა და სევიმიც. მას ხომ სევიმის გარდა არავინ ჰყავდა? და განა სევიმს ეკიდებოდა სერიოზულად? ცოლად მაინც შეერთო, სევიმი ხომ ასე ერთგული იყო მისი. რას უქადის მომავალი? გაისად გუნდიდანაც გაისტუმრებენ და მორჩა! ოთხივ კუთხივ ხსნილი აქვს გზა, საითაც უნდა, იქით წავა. ეჰ, დროზე უნდა გაეცალოს ფეხბურთს, უნდა წავიდეს, ვიდრე სახელი აქვს, ვიდრე მთელი თურქეთი პატივს სცემს. რა უმოწყალონი არიან ქომაგნი, ერთ დროს თავგამოდებით გაჰყვიროდნენ: „მიდი, აჰმედ შეუბერე“. ახლა კი გაიძახიან: „გაეთრიე მოედნიდან“, „ფეხბურთი რა შენი საქმეა!“ თვალებში ცრემლი ჩაუდგა აჰმედს. საკუთარი თავი უფრო ეცოდება, თუ სევიმი? უნდოდა სევიმი დაემშვიდებინა, მოფერებოდა, თავზე ისე გადაუსვა ხელი, როგორც ბავშვს მოეფერებიან ხოლმე, მაგრამ მისთვის უჩვეულო ეს სენტიმენტალური სურვილი უმალ დაიოკა და წამოიძახა:

— გეყოფა. შენც ნახე რა? საითისათვის სტირი?

— რა მეშველება? — ქვითინებდა სევიმი, — ჩვენ ხომ დანიშნულები ვართ. ხალხს როგორ შევხედო თვალებში?

— ახლავე მორჩი, ისე ქვითინებ, თითქოს განძი დაკარგე რამე!

— უმისოდ მე რა ვარ? — თქვა სევიმმა და თვითონვე შეაშინა თავისმა ნათქვამმა, — თქვენ ხომ მეგობრები ხართ, მოლაპარაკებოდი საითს.

აჰმედს თურქული ფეხბურთის გაკვეთილები გაახსენდა და ნირი წაუხდა, შეიჭმუხნა, სევიმის ყეყეჩურმა ლაპარაკმა დააფიქრა. რას წარმოადგენს ახლა ერთ დროს გაუვალ კედლად, საფეხბურთო მეცნიერებათა პროფესორად, ფეხბურთის მეფედ ცნობილი აჰმედი? ნუთუ დამთავრდა მისი ხელმწიფობა და ახლა სულ სხვა მეფე ავიდა ტახტზე?

აჰმედმა სევიმს ხელი წაავლო და თავისკენ მიიზიდა:

— გეყოფა, თავი გაანებე იმაზე ფიქრს. საშველი რა გჭირს! ყეყეჩი მარტო ეგ კი არ არის, რამდენიც გინდა, იმდენს ვიპოვით, შენნაირი საქონელი არ ჩაწვება.

გაირინდნენ. თავთავიანთ გასაჭირზე ფიქრობდნენ.

— არის, გენიალური აზრი დამებადა, — წამოიძახა უცებ სევიმმა, — ოჰ, რა იქნება?

— ასეთი რა მოიფიქრე?

— სარიოლლუების ოჯახი უფულოდ დარჩა.

— იქნება მამაშენს შეეხვეწო, ფული ასესხოს?

— ნუ მაიმუნობ, მე სერიოზული აზრი მომივიდა. რა იქნება, რომ საითი „თოზქოფარანში" გადმოვიბიროთ? ა, რას ამბობ? დუნდარ დუბარა სიხარულით ცას ეწევა. ასე უნდა გავაკეთოთ, ნაღდად ასე უნდა გავაკეთოთ! უფულო საითისთვისაც მისწრება იქნება ასეთი რამ.

აჰმედი პირგამეხებული დუმდა. ბრაზი ყელში აწვებოდა: „ამით რა უნდა სევიმს, ვისი გახარება სურს: დუნდარის, საითისა თუ ჩემი? განა შეიძლება ასეთი ქალი დაინდო?" — გაიფიქრა აჰმედმა და წამოდგა.

— ასე უცებ რატომ მიდიხარ?

— საქმე მაქვს, — ჩაიბუტბუტა აჰმედმა და გავიდა.

სვავი სევიმი ვერც მიხვდა, თუ რატომ წავიდა ასე უცებ აჰმედ „კედელა". სევიმმა რომ დუნდარ დუბარა ბეის თავისი იდეა გააცნო, კლუბის თავმჯდომარე სიხარულით მართლაც ცას ეწია. ახლავე, ამ წუთში უნდა შეუგდე საქმეს, ეს იქნება შენი ყველაზე დიდი სამსახური „თოზქოფარანის" წინაშეო. „თუ საითს ახლავე შთავაგონებთ, რომ მომავალი სეზონიდან „თოზქოფარანში" უნდა გადმოვიდეს, ბურთს

მაინც ალარ გაიტანს ჩვენს კარში“. — ფიქრობდა დუნდარ დუბარა ბეი. იგი ახლავე გრძნობდა, როგორი ნადირობა დაიწყებოდა საითზე სეზონის ბოლოს. „თოზქოფარანს“ ახლა სიძუნწე არაფრად არგებს, რადგან „ჰაჯეთბაბა“ აგრე იოლად არ დასთმობს საითს.

— როგორ გაგვისხლტა ეგ ბიჭი ხელიდან, — თქვა ჩაფიქრებულმა დუნდარ დუბარამ, — თუმცა, ვინ იფიქრებდა, რომ მაგ აყლაყუდა რაიმეს მაქნისი დადგებოდა. კაცი ფეხბურთში გავჭალარავდი, მაგრამ არ მახსოვს, რომ ფეხბურთელს ასე უცებ მოეპოვებინოს პოპულარობა. ყველაფერი მინახავს, მაგრამ ასეთი რამ... ან შენ როგორ დართე „ჰაჯეთბაბაში“ თამაშის ნება? (დუნდარ დუბარა ბეის რატომღაც სჯეროდა, რომ საითს კიდევ სჯეროდა სევიმისა).

— ეს ყველაფერი ინგლისელის მაქინაციებია, — უპასუხა სევიმმა.

— თუ მისი გადმობირება ვერ მოახერხე, მოვიტაცოთ, — დაბეჯითებით თქვა დუნდარ დუბარა ბეიმ, — გახსოვს, აჰმედი როგორ გადმოიბირე? ჰო, მართლა — გვინდა აჰმედი რომელიმე პროვინციულ გუნდს შევთავაზოთ. ხომ ხედავ, ველარაფერს ველარ აკეთებს, რაც უფრო ცუდად თამაშობს, მით უფრო უხეშობს. მაინცდამაინც დიდ ბაეს არ მოვითხოვთ და მოვიცილებთ თავიდან.

სევიმს თითქოს რაღაც ჩასწყდა გულში, „მოკვდა ხელმწიფე!“ — გაუელვა მას და თავისი ძველი მეგობრის დასაცავად ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია, ეშინოდა, ვაითუ, ვერ მოვითმინო და ავტირდეო.

დიდი მატჩი

„თოზქოფარანისა“ და „ჰაჯეთბაბას“ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, ვინ იქნებოდა ქვეყნის ჩემპიონი. ეს თამაში კიდევ ერთი პირველობის საკითხს გადაწყვეტდა. სამი ფეხბურთელი ერთმანეთს ეცილებოდა მოწინააღმდეგის კარში გატანილი ბურთების პირველობაში. ამ სამს შორის იყო საით სარიოღლუც. საითს რომ ერთი ბურთი მაინც გაეტანა „თოზქოფარანის“ კარში, ფეხბურთის მეფე გახდებოდა.

ყველგან ამ ისტორიულ თამაშზე ლაპარაკობდნენ. გაზეთები წერდნენ, ეს მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, უდიდესი მატჩიაო. სტამბული ციებიანივით იყო და განა მხოლოდ სტამბული? „ჰაჯეთბაბასაც“ და „თოზქოფარანსაც“ ბევრი ქომაგი ჰყავდა თურქეთში. გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ აქა და აქ ამ გუნდების

გულშემატკივრები ერთმანეთს წაეკიდნენო. იყო ერთი თავპირის მტვრევა და დანების ტრიალი. ხალხი ერთიანად აღგზნებული იყო.

მატჩის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს შექმნილი სიტუაცია და რადიოსა და ტელევიზიის მეოხებით ხალხს გააგებინეს, ფეხბურთის ბილეთების სპეკულანტებს სასტიკად დავსჯითო. ამიტომაც სპეკულანტებმა ბილეთებს ცეცხლის ფასი დაადეს. ჯერ სალაროებს ერთი ბილეთიც კი არ მიეღოთ, მაგრამ ქორვაჭრები ორას ლირაზე ნაკლებად ხელსაც არ დაგაკარებინებდნენ მასზე. პოლიცია იძულებული გახდა, დაპატიმრებულად გამოეცხადებინა სტამბა, რომელიც ფეხბურთის ბილეთებს ბეჭდავდა.

სპორტის მინისტრმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, უზომო სიხარულით მევსება გული, რომ თურქი ხალხი ასეთ დიდ ინტერესს იჩენს სპორტისადმიო. მან ხალხს შეახსენა, ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგასო და ახარა, ძალიან მალე სტამბულში კიდევ ორ სტადიონს ავაგებთ, თითოეულ სტადიონზე ას ოცი ათასი ადგილი იქნებაო.

მინისტრის ამ განცხადებას მხურვალედ გამოეხმაურა პრესა. ერთმა ჟურნალისტმა ამ განცხადების გამო დაწერილ კომენტარში იხუმრა: სტამბულს ორი კი არა, ოცი სტადიონი სჭირდება და არც ერთი მათგანი ასი ათასზე ნაკლებ მაყურებელს არ უნდა იტევდესო. ამას გარდა, ამ ჟურნალისტმა წამოაყენა სტამბულის სტადიონიზაციის საკითხი. მთელ ქალაქს ტრიბუნების რკალი შემოვარტყათ, ან იქნებ სტამბული კი არა, მთელი თურქეთი მოვაქციოთ სტადიონში და ამით დავაკმაყოფილოთ მასების ლტოლვა სპორტული სანახაობებისადმიო.

ერთმა მწერალმა, რომელიც მემარცხენეობდა, მორიდებულად შენიშნა, ამგვარ დიდ სტადიონებზე ფიქრიც კი სისულელეა მაშინ, როცა სკოლები და საავადმყოფოები არ გვყოფნის, ზოგიერთ ქალაქში კი კანალიზაცია, ხოლო სოფლებში ელექტრონი არა გვაქვსო.

ამან ძალიან გააბრაზა ევროპამოვლილი სპორტული მიმომხილველი და დიდი სტატია გამოაცხო: „მთელი ევროპა მომივლია, მინახავს მრავალი საერთაშორისო, საკონტინენტთაშორისო, მსოფლიო და ოლიმპიური თამაში და კარგად ვიცი, თუ როგორ სჭირდება ხალხს ფეხბურთი. არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ კანალიზაცია და სპორტი“, ასე ამთავრებდა თავის გამოსვლას გაბრაზებული მიმომხილველი. მატჩის მოლოდინში ქომაგნი უფრო და უფრო ცხარობდნენ.

ერთმანეთში დებდნენ სანაძლეოს ხუთიდან ათი ათას ლირამდე. გაზეთებში ასეთი ცნობებიც გამოჩნდებოდა ხოლმე: „თუ ჩვენმა „თოზქოფარანმა“ მოიგო, თითო წყვილ ფეხსაცმელს ვაჩუქებთ არა მხოლოდ ფეხბურთელებს, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც“ ერთ-ერთი რესტორნის პატრონმა განაცხადა: „ჰაჯეთბაბა“ თუ მოიგებს, ერთი თვე მთელ გუნდს უფასოდ ვუმასპინძლებ!“

სტამბულის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა თანამშრომელმა ავტორიტეტულად განაცხადა, ოღონდ „თოზქოფარანმა“ მოიგოს და ქალაქის საზოგადოებრივი სარგებლობის დაწესებულებებში უფასო შესვლის ნებართვას გავცემთო, ხოლო რაც შეეხება დუნდარ დუბარა ბეის, თავის ბიჭებს დაპირდა, თუ მოიგებთ, ექვს-ექვს ათას ლირას გჩუქნით თითოეულსაო.

ეროლ იფქირან ბეიმ თავის გაზეთში დაბეჭდა ერთი გოგონას სურათი. სურათის ქვეშ კი ეწერა: „ჰაჯეთბაბას“ ერთგულმა ქომაგმა ნურჩენმა განაცხადა: „თუ ჩემი გუნდი დამარცხდა, თაქსიმის მოედანზე ცეცხლს წავიკიდებ და თავს დავიწვავ“.

იმას ვიღა მოსთვლის, რამდენ ოჯახში ატყდა უსიამოვნება, არა ეს გუნდი მოიგებს და არა — ესაო, ბევრი ცოლ-ქმარი გაიყარა კიდეც.

ცნობილ ადამიანებს მოსვენებას არ აძლევდნენ. ყოველდღე ეკითხებოდნენ: „თქვენი აზრით, რომელი გუნდი გახდება ჩემპიონი?“ არც სევიმი დავიწყნოდათ. აი, რა პასუხი გასცა სევიმმა ამ კითხვას:

„მოგეხსენებათ, ბურთი მრგვალია, ახლა ძნელია იმის თქმა, თუ ვინ იქნება ჩემპიონი. როცა საკითხი ასეთ გუნდებს ეხება, მარჩიელობა უხერხულია. თუ „თოზქოფარანი“ ტექნიკური გუნდია, „ჰაჯეთბაბა“ ამჟამად კარგ ფორმაშია. ძნელია საით „ოფსაიდის“ დაჭერა, მაგრამ არც აჰმედ „კედელას“ მოტყუებაა ადვილი“.

— თქვენ რომელ გუნდს ქომაგობთ, რომელს უჭერთ მხარს? ალბათ, აჰმედ „კედელას“ გუნდს, არა? — ყველაფრის ერთად გაგება მოისურვა ჟურნალისტმა.

— ნება მომეცით, ამ კითხვაზე არ გიპასუხოთ, — განაცხადა სევიმმა, მაგრამ საუბარი ამით არ დამთავრებულა. იმ არამზადა ჟურნალისტმა სევიმს საშინაო ალბომიდან რამდენიმე ფოტო დასტყუა და გაზეთში დაიბეჭდა სურათი, რომელშიც აჰმედი და სევიმი ხელიხელგადახვეულნი იდგნენ პლაჟზე.

აისელსაც ჰკითხეს, ვინ იქნება ჩემპიონი. აისელმა სევიმივით კი არ მიკიბ-მოკიბა, არამედ მოკლედ მოსჭრა:

— რასაკვირველია, „ჰაჯეთბაბა“!

მაგრამ მკითხველს სულაც არ აინტერესებდა აისელის აზრი. მას აისელის ფოტოსურათები უფრო მოსდიოდა თვალში, რადგან ესპანელ-ლად წოდებული აისელი მართლა საამო დასანახი იყო. გაზეთებს მხ-ლოდ იმიტომ კი არ ყიდულობენ, რომ შიგ რაიმე გაახვიონ, ან რაიმე განცხადება ამოიკითხონ, არამედ საამო დასანახ ქალებსაც გადაავლონ თვალი. ქალს თუ რამე მომხიბლავი გააჩნია, ადამიანს არ უნდა დავუ-მალოთ. თურქ კაცს არ უყვარს გამხდარი ქალი, აისელი ამითაც სჯაბ-ნიდა სვავ სევიმს. ფაშფაშა ესპანელი მეტად საამოდ მოქმედებდა თურ-ქი კაცის გულზე. ამიტომაც გაზეთის ის ნომრები, რომლებშიც აისელის ფოტოები იყო, ორმაგი ტირაჟით იბეჭდებოდა.

ნანატრი დღეც დადგა. ქალაქში ყველაფერი ჩაკვდა, დაცარიელდა სტამბული, ყველანი სტადიონისაკენ გაეშურნენ.

მატჩის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე „თოზქოფარანი“ დუნ-დარ დუბარა ბეის მეთაურობით „ეიუბსულთნის“ მეჩეთში წავიდა ნა-მაზის ჩასატარებლად.

სევიმი რამდენიმე კვირა ამაოდ დაეძებდა საითს. მან არ იცოდა, სად ცხოვრობდა ახლა საითი. „ჰაჯეთბაბას“ კლუბში მისვლაც ვერ გაე-ბედნა. ამიტომ დღეს დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო ყველაფე-რი: თამაშის დაწყების წინ ნახავს საითს და ეტყვის, „თოზქოფარანი“ დიდძალ ფულს გთავაზობს, ოღონდ კი ჩვენს გუნდში გადმოდიო. ცხა-დია, საითი იმ წუთში დაყაბულდება, ხოლო თამაშის შემდეგ ორივენი ერთად წავლენ სახლში, რასაკვირველია, სევიმის სახლში. სევიმმა დღეს უნდა დაარწმუნოს საითი, როგორ უყვარს იგი. სევიმი ყველა-ფერს გააკეთებს, რომ საითს მოეწონოს, დაამახსოვრდეს — მოეფერება, მოეალერსება და ეს თუ ასე არ იქნა, მას სვავს ნულარ დაუძახებთ, დიახ... სევიმს დღეს ძალიან ეწადა „თოზქოფარანის“ დამარცხება.

ხალხი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა სტადიონისაკენ. უბილეთოე-ბი ისე უტევდნენ სტადიონის კედლებს, როგორც რამდენიმე საუკუნის წინათ მათი წინაპრები ბიზანტიის დედაქალაქს. დღეს მათთვის ჩინური კედელიც კი არარა იყო.

თამაშის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ზოგს სანოვაგე წამოუღია თან, ზოგს ნარდი, ბანქო და კოჭიც კი. არც რაქი დავიწყნოდათ.

სევიმი ისე ემზადებოდა ამ მატჩისთვის, როგორც ბალზე წასასვ-ლელად ემზადებიან ქალები — ჩაიცვა ყველაზე ლამაზი კაბა, ჩამოიკი-

და ძვირფასეულობანი, ნიშნობის ბეჭედიც არ დავიწყნია, სახლიდან გასვლისას დედამ უკანასკნელი დარიგებაც მისცა:

— შვილო, კაცს არასოდეს უნდა აგრძნობინო, რომ გიყვარს, თორემ თავზე დაგაჯდება. ჭკუით მოიქეცი, შვი...

— მეყო ამდენი ჭკუის სწავლება, — აფეთქდა სევიმი, — სულაც არ ვაპირებ გკითხო, თუ როგორ მოვიქცე. შენზე ნაკლებ არ ვიცი ეგ ამბები.

— როგორ მიბედავ, ასე როგორ მელაპარაკები! — აყვირდა მეჰჯურე ხანუმი, — ერთი ამ უმადურს დამიხედეთ, ჩემი გაზრდილი რა საძაგლობას მკადრებს, როგორ მიბედავს.

— გიბედავ, გიბედავ და კიდევაც გაგიბედავ, — აწივლდა სევიმი, — ყველაფერი შენი ბრალია, ახლა ეს ფერი არ მომწონსო, ახლა ეს რა სტილიაო, ახლა...

— მიშველეთ, ვკვდები, — იყვირა მეჰჯურე ხანუმმა, თვალები გადაატრიალა და სავარძელში ჩაეშვა.

სევიმს წარბიც არ შეუხრია, ისე გაალო კარი, მაგრად გაიჯახუნა და მშვიდად წავიდა.

— შენ დაგიბრმავდეს ეგ თვალები, შენა, — მიაკურთხა მშობელმა დედამ.

სევიმს ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. „თოზქოფარანის" ბიჭებთან თუ იმ ოტელში, სადაც „ჰაჯეთბაბა" იყო? „იქაც უნდა მივიდე და იქაც", ბრძნულად დაასკვნა და პირველად „თოზქოფარანისაკენ" გაეშურა.

— ღმერთი შეგეწიოთ, ბიჭებო! — შესძახა სევიმმა მოჩვენებითი მხიარულებით, „თოზქოფარანის" ბიჭების ოტელში რომ მივიდა.

მაგრამ ბიჭები არც განძრეულან. ვილაცამ მძიმედ ასწია თავი და ჩაიდუდღუნა:

— ო, ჩვენი სინდის-ნამუსი მობრძანებულა.

— როგორა ხართ, ბიჭებო? — რიხი მოაკლდა სევიმის ხმას.

აჰმედი კი მოტრიალდა, მაგრამ არ წამოდგა.

— როგორც გვიყურებ, ისე ვართ. გუშინ ჩვენს ღრმადპატივცემულ მფარველს ეიუბსულთანს ვეწვიეთ და დღეს ალაჰის შემწეობით უნდა მოვიგოთ.

აჰმედის სიტყვებზე ყველას გაეცინა.

— მოდი, ჩემო გემრიელო, გვერდით მომიჯექი, რომ დღეს იღბლიანად ვითამაშო.

სევიმი აჰმედს მიუჯდა, მაგრამ მალე მარტოობა იგრძნო. ადრე მოსვენებას არ აძლევდნენ, ელაპარაკებოდნენ, ეხუმრებოდნენ, ახლა კი... წამოდგა და ჩუმად გამოვიდა გარეთ.

ტაქსი დაიქირავა და იმ სასტუმროსაკენ გაეშურა, რომელშიც „ჯაჯეთბაბა" იყო გაჩერებული.

პორტიემ, არაფრით არ შეიძლებაო, და არ გაატარა.

— რაო? — გაბრაზდა სევიმი, — რატომ არ შეიძლება შესვლა? რას ჰქვია აკრძალულია, ასეთი წესები ვინ შემოიღო?

— ცოტა ხანს დაიცადეთ და ტომპსონ ბეის ვაცნობებთ თქვენი მოსვლის ამბავს.

— ეგ კიდევ ვინ არი?

— გუნდის მწვრთნელია.

— მერე და, როდის აქეთ დაიწყო ფეხბურთელის საქმეში ცხვირის ჩაყოფა, თუ მწვრთნელია, მოედანზე მიხედოს გუნდს, აქ კი შეეშვას.

ეს სიტყვები მისტერ ტომპსონსაც მოესმა, სევიმს მიუახლოვდა და თქვა:

— გამარჯობათ... თქვენ მართალი არ არის... მე უფროსი... ყველაფერი მეხება... თქვენ საითის ნახვა უნდა?

— დიახ.

— მე ნებართვა მომეცი თქვენ იმის ნახვა ცოტა ხნით. მალე სტადიონზე წავდივართ... გთხოვთ მეორე სართული მცირე სასტუმრო ოთახი.

მცირე სასტუმრო ოთახში რომ შევიდა, სევიმი ადგილზე გაიყინა. საითი და აისელი მაგიდასთან ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ. საითმა რომ სევიმი დაინახა, წამოდგა და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, სევიმ.

— მადლობელი ვარ, ჩემი სახელი არ დაგვიწყნია.

საითი გაჩუმდა, სევიმმა აისელს გადახედა.

— მგონი, ხელი შეგიშალეთ...

— არა, რას ამბობ, მოდი, დაჯექი ჩვენთან, გთხოვთ, — უთხრა საითმა.

— სათვალე რა უყავი? — მოულოდნელად იკითხა სევიმმა.

— შენი შემწეობით სათვალეები აღარ მჭირდება, მხოლოდ შავ სათვალეს თუ ვიხმარ, მზის საწინააღმდეგოს. — გაიღიმა საითმა და იქნებ საუბრის თემა შევცვალოო, თქვა: — მაპატიეთ, ჯერ კიდევ ვერ გაგაცანით ერთმანეთი.

— ოი, ალაჰ, ესპანელ აისელს ვინ არ იცნობს?

— რა მოგდით, სევიმ! დღეს, როცა თქვენს ბიჭებს უნდა ამხნევებდეთ, აქ მოხვედით? მისამართი ხომ არ შეგეშალათ? „ოთხქოფარანი“ სულ სხვა სასტუმროში მოთავსდა.

გააფთრებისაგან გონდაკარგული სევიმი აისელს ეცა და თმაში ჩააფრინდა. თითქოს სწორედ ამ თავდასხმას ელოდაო, აისელი მოხერხებულად შებრუნდა და სევიმს ხელში წაავლო ხელი. ქალების წივილ-კივილზე ფეხბურთელებმა მოირბინეს, მაგრამ მოქიშპეთა გაშველება არც ერთს არ უცდია. ეს ჯანიანი ბიჭები სიცილით იჭაჭებოდნენ და კიდევ უფრო აქეზებდნენ ქალებს.

— თვალში მოსდე, თვალში, აისელ!

— აბა, სევიმ, შენ იცი, არ შედრკე!

— ესპანელო, არ გაფუჭდე!

ქალები იატაკზე გაკოტრიალდნენ.

საითი ისე იყო შეძრწუნებული, რომ ადგილიდან ვერ იძვროდა. ამ დროს ოთახში ტომპსონიც შემოვარდა, ქალების ჩხუბს ყურადღება არც მიაქცია და ბიჭებს უხმო:

— აბა, ჰე, ბიჭებო, ოტობიუსი მოიტანეს, წასვლა! — და ყოველი მათგან გაჰყავდა ოთახიდან. საითს ხელი ჩაჰკიდა და ისე გაიყვანა.

ყველანი რომ წავიდნენ, ჩხუბიც შეწყდა. ორივე ქალი უგონოდ ეგდო იატაკზე.

პირველად აისელი მოვიდა გონს. დამლაგებელ ქალს დაუძახა და უთხრა:

— აი, იქ ჩემი ქმრის ტელეფონის ნომერი წერია, დაურეკეთ და უთხარით, რომ ცუდადა ვარ.

და ჩაესვენა ვარსკვლავი

ხალხით გაჭედილი სტადიონი რიტმულად გუგუნებდა. ერთიმეორის საპირისპირო ტრიბუნებზე მსხდარი ქომაგნი ჯოხს ურტყამდნენ ცარიელ ბიდონებს, კანისტრებს, ქილებს, სტვენდნენ, ყვიროდნენ, საყვირებს აჭყიპინებდნენ, აბრახუნებდნენ, ლოზუნგებს მაღლა-მაღლა სწევდნენ. ვიღაც უკბილო მოხუცმა ერთი ისეთი დასტვინა, ერთი წამით მთელი სტადიონი გაირინდა და მერე ისევ ჩვეულებრივი გნიასი დაი-

წყო. ყველას რაღაცა ეჭირა ხელში — ან ჯოხი, ან ბოთლი, ან ქილა, ან კიდევ...

მოედანზე რომ „ჰაჯეთბაბა“ გამოვიდა, ერთი ტრიბუნის ხალხი ლაბ მის სტვენით გასკდა, მეორე ტრიბუნაზე კი ტაშმა იქუნა. იგივე განმეორდა „თოზქოფარანის“ გამოსვლისას.

თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. ასი ათასი ბილეთიანი და ორმოცდაათი ათასი უბილეთო სუნთქვაშეკრული, გარინდებული ელოდა, რა მოხდებოდა. ასეთი სიწყნარე ქარიშხალს მოასწავებდა უთუოდ.

პირველი ათი წუთი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ფეხბურთელები მოედნის შუაგულს არ გასცილებიან. მეათე წუთზე კი ბურთი საითმა ჩაიგდო. „ჰაჯეთბაბას“ ქომაგებმა ერთი ღრიალი მორთეს.

— ოფ-ოფ-ოფსაიდ! ოფ-ოფ-ოფსაიდ!!!

საითი მარჯვნივ გავარდა, საჯარიმო მოედანს მიუახლოვდა და აჰმედ „კედელას“ პირისპირ დარჩა. აჰმედ „კედელა“ მიხვდა, საითს ბურთს ვერ წავართმევო და ისე ძლიერ ჩასცხო წელში, რომ საითი ტკივილისაგან დაიგრიხა და ადგილზე ჩაიკეცა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ლურსმანი ჩაეკრათ წელში. აჰმედი რომ ასე არ მოქცეულიყო, საითი უთუოდ გაიტანდა ბურთს.

— ოოჰ, — აღმოხდათ „ჰაჯეთბაბას“ ქომაგთ. აჰმედი მიხვდა, მაყურებელი საითს თანაუგრძნობდა და სულ გაცოფდა, ტრიბუნებს მუშტებით დაემუქრა.

თამაში თანდათან დაძაბული ხდებოდა, „ჰაჯეთბაბა“ „კუდიანთა“ საჯარიმოს არ სცილდებოდა, ბურთი მუდამ კართან ტრიალებდა, მაგრამ ანგარიში მაინც „თოზქოფარანმა“ გახსნა — ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს მათ „ჰაჯეთბაბას“ კარში გაიტანეს ბურთი.

გაშმაგებული ქომაგნი იხდიდნენ კოსტუმებს, ქუდებს, ხალათებს და ჰაერში ატრიალებდნენ.

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:0 „თოზქოფარანის“ სასარგებლოდ. მეორე ტაიმის მეშვიდე წუთზე საითმა საპასუხო ბურთი გაიტანა „თოზქოფარანის“ კარში. ამ ბურთმა თითქოს ახალი ძალა შეამატა „ჰაჯეთბაბას“, ისინი უფრო ძალუმად ათამაშდნენ, საითის დაჭერა შეუძლებელი შეიქნა, ისე გავარდებოდა „თოზქოფარანის“ კარისაკენ, რომ თვალს ვერავინ შეასწრებდა. რაც უფრო უკეთ თამაშობდა „ფეხბურთის მეფე“, მით უფრო უხეშობდა აჰმედი. მალე თავისივე მეთოდის მსხვერპლი გახდა — რეზაკ კოსტოლომმა ისე ამოჰკრა ფეხი

კუდუსუნში, რომ აჰმედი მოცელილივით ჩაიკეცა. მსაჯს თამაშიც არ შეუჩერებია. საითმა აჰმედთან მიირბინა, ფეხზე წამოვაყენებო, აჰმედმა რომ მისკენ დახრილი საითი დაინახა, თავისი ტკივილი დაიოკა, წამოხტა, საითს ხელი ჰკრა და ბურთს დაედევნა.

— ძალიან უხეშად თამაშობს დღეს აჰმედი, — აღნიშნა რადიოს სპორტულმა კომენტატორმა, — ყველა მისი უხეშობა ისევ მას ვნებს... ოი, ოი, ეს კიდევ რაღაა... ასეთი რამ როგორ იქნება!.. აი, ახლა მსაჯი თამაშს შეაჩერებს, თუმცა, არა! თქვენ ალბათ, გესმით, როგორ გაბრაზდა მაყურებელი. აი, ბურთი აქვს საითს, გავარდა, მოატყუა ერთი... ორი... მიდის წინ... ნამდვილად გაიტანს ბურთს... ალაჰ, ალაჰ, ეს აჰმედი საიდან გამოტყვრა?! არა, საშინელებაა... ოჰ, აჰმედ! აჰმედ! როგორ წააქცია საით ოფსაიდი, ზედ საჯარიმო მოედანზე წააქცია, საითთან მსაჯმა მიირბინა... ინიშნება თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

დასარტყმელად ემზადება „ჰაჯეთბაბას“ კაპიტანი „წიწაკა“ ოსმანა. დარტყმა!.. არის! ანგარიში გახდა ორით ერთი „ჰაჯეთბაბას“ სასარგებლოდ. ასე ცუდად და არადამაჯერებლად აჰმედს არასოდეს უთამაშნია, დრო იყო თამაშისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ აჰმედს ვერაფრით ვერ გადაედგა ეს გადამწყვეტი ნაბიჯი. ტომპსონი სიმართლეს ამბობდა: „კარგი გუნდი ისე უნდა მუშაობდეს, როგორც კარგად დაყენებული მექანიზმი, ერთი უბრალო, პაწია ჭანჭიკიც რომ გატყდეს, შეიძლება მთელი მექანიზმი მოიშალოს“. აჰმედი უმწეოდ დარბოდა მოედანზე და ასევე უმწეოდ თამაშობდა გუნდი.

— დიახ, საითი დღეს სასწაულებს ახდენს, — განაგრძობდა კომენტატორი. — როგორც ჩანს, სწორედ ის მოიპოვებს საუკეთესო ბომბარდირის წოდებას. სწორედ საითია მოედნის ბატონ-პატრონი და მთელი თამაშის მთავარი დირიჟორი. თქვენ ალბათ გესმით, როგორ ხვდება მას მაყურებელი... დიახ, დღეს ძალიან დაძაბული მატჩია. ბრძოლა თანდათან მწვავდება... ო, ბურთი აქვს საითს, მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მესამე, მიუახლოვდა კარს... ყოჩაღ საით, მიდი, საით... ჰა... დარტყმა, არის! არის!!! ძვირფასო რადიომსმენელებო, ანგარიშია სამით ერთი „ჰაჯეთბაბას“ სასარგებლოდ.

„ჰაჯეთბაბა“ ჩემპიონი ხდება, საითი კი ფეხბურთის მეფე. ამხანაგებმა ხელში აიტაცეს იგი, „თოზქოფარანის“ ქომაგნი ისე გაცოფდნენ, რომ მოედანზე ისროდნენ ბოთლებს, ჯოხებს, ქილებს და ყველაფერ ამას საითს უმიზნებდნენ. და აი, საითმა უცებ თავზე წაივლო ხელი,

წაიქცა კიდეც. ხელი სისხლით მოესვარა, ბალახზე დააწვინეს და ფეხბურთელები ირგვლივ შემოეჯარნენ.

— არაფერია, არაფერია, — ამბობდა საითი, — მე თვითონ, მე თვითონ... — მაშინვე უნდოდა წამოდგომა, მაგრამ სისხლისდენამ იმატა და ხელში აყვანილი გასახდელში გაიყვანეს.

თამაში გაგრძელდა, ტრიბუნების ღრიანცელი მაინც არ დაცხრა. ხუთიოდე წუთის შემდეგ საითი თავშეხვეული გამოვარდა მოედანზე. ისე დაუოკებლად თამაშობდა, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებდა და მალე მოწინააღმდეგის კარში ბურთიც გაიტანა.

გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. თამაში დამთავრდა. მაყურებელი მოედანზე გადმოცვივდა, იგი ვერც პოლიციამ შეაკავა და ვერც ჟანდარმერიამ. ესენი უმთავრესად „ჰაჯეთბაბას“ ქომაგნი იყვნენ. „თოზქოფარანის“ ტრიბუნებზე სამარისებური, ტრაგიკული დუმილი გამეფებულიყო.

მოედანზე ხალხი თანდათან მატულობდა. საითს ეჩვენებოდა, რომ ყველანი მისკენ მორბოდნენ. იგი არ იყო გულადი კაცი, პირიქით, შეიძლებოდა გაუბედავიც კი გეთქვა მასზე, მაგრამ ახლა გაქცევაზე არც უფიქრია. იდგა და შესცქეროდა მისკენ მიმართულ ხალხს. „რაც მოსახდენია, მოხდეს“, ამის გაფიქრებაც კი ვერ მოასწრო, რომ ათობით ხელმა უცებ ჰაერში აიტაცა, ადამიანები რაღაცას შესძახოდნენ მას, ხმამაღლა, გულიანად ხარხარებდნენ. მიწაზე რომ დაუშვეს, გადავრჩიო, გაიფიქრა და გასასვლელისაკენ გაეშურა. მაგრამ ჯერ სად იყო! კვლავ შემოეხვივნენ აღფრთოვანებული მაყურებლები, ტანზე შემოახიეს ტრუსიც, მაისურიც და ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდნენ — იქნებ, ამ ძვირფასი სუვენირის ერთი პაწია ნაფლეთი მაინც გვერგოსო. ამას რომ მორჩნენ, ხარბი ხელები გასისხლიანებულ სახვევს ეცნენ და თავიდან ააგლიჯეს. პოლიციამ ძლივს იხსნა საითი ფეხბურთის ფანატიკოსებისაგან.

პროექტორები ჩააქრეს და სტადიონი წყვდიადმა მოიცვა. საითი გასახდელისაკენ არ წავიდა. მოედნის განაპირას ბალახზე დაჯდა, ხელები მუხლებზე შემოიწყო და დაფიქრდა...

ტრიბუნებზე ქომაგნი გაზეთებს წვავდნენ, ზოგი სიხარულით, ზოგიც — ბრაზით.

საითი იჯდა და ფიქრობდა, თუ როგორ შველის ფეხბურთი ადამიანებს. სტადიონზე ხალხი თავისუფლად ამზეურებს თავის ინდივიდუალობას, გულის მოოხება, გულში დაგუბებული ბოღმისაგან განთავისუფლება, საკუთარი ჭირის შემსუბუქება, აი, რა ყოფილა მათთვის ფეხბურთი. აბა, რით უნდა აიხსნას ის, რომ ათი ათასობით კაცი მო-

დის იმის საყურებლად, თუ როგორ ამტვრევს ოცი ყმაწვილი ერთმანეთს ყბებს ერთი ციცქნა ბურთისთვის. რატომ არის, რომ ეს საბრალონი, ღარიბნი, ავადმყოფნი, უხელონი და ცალთვალანი უკანასკნელ კაპიკებს, ერთი კვირის გასამრჯელოს იძლევიან თითო ბილეთში? ეჭნებ, სტადიონი მათთვის საკუთარი სახლი ან საავადმყოფოა? მაგრამ განა აქ მოსვლით ისინი განიკურნებიან? განა საზრუნავი აღარ ექნებათ? განა მათს გასაჭირს ბოლო ეღება? რასაკვირველია, არა, მაგრამ მათ უნდათ სულში დაგუბებულ ბოღმას გზა მისცენ, მართლაცდა, აქ შეუძლიათ თავის ჭკუაზე იყვირონ, შეურაცხყოფა მიაყენონ მსაჯსაც, ფეხბურთელსაც, გვერდით მჯდომ მაყურებელსაც. ამის მერე დაცლილნი, დაცარიელებულნი რამდენიმე ხანს მშვიდად არიან. ასე გრძელდება მომავალ თამაშებამდე, აი, ამიტომაც უწყობს ხელს მთავრობა ამგვარი სანახაობების გაზრდას, გაფართოებას.

საითმა არ იცოდა, რამდენ ხანს იჯდა ბალახზე. სტადიონზე ადამიანის ჭაჭანება არ იყო, უჩვეულო დუმილი გამეფებულიყო ირგვლივ. და ამ დუმილში თავის ტკივილი განსაკუთრებით აწუხებდა. ძლივს წამოდგა და გასასვლელისაკენ გაემართა. ჩაიცვა. საითს შეეძლო მეგობრებთან წასულიყო. კარგად იცოდა სად იქნებოდნენ ისინი, მაგრამ არ ისურვა და სახლში წავალო, გადაწყვიტა. კარის დაკეტვისას „თოზქოფარანის" გასახდელიდან ხმამაღალი კვნესა მოესმა. შევიდა და დაინახა, რომ აჰმედ „კედელა" ტკივილისაგან იკლაკნებოდა. აჰმედის ირგვლივ სტადიონის ორი თანამშრომელი ტრიალებდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა საითმა აჰმედს.

— ცუდადა ვარ... ძალიან ცუდად, — ძლივს თქვა აჰმედმა.

— თქვენს გარდა თუ დარჩა ვინმე? — ახლა სტადიონის თანამშრომლებს მიუბრუნდა აჰმედი.

— არავინ დარჩა, წავიდნენ!

— რაღაც უნდა ვიღონოთ.

— სასწრაფო დახმარება გამოვიძახეთ, მაგრამ არა ჩანს.

საითი ჭუჩაში გავარდა, ტაქსს გავაჩერებო. აქ სევიმი და აიხელი ელოდნენ — ერთი საკუთარ მანქანაში იჯდა, მეორე — ტაქსში. ორივე ქალი გრძნობდა. რომ დღეს წყდებოდა თითოეული მათგანის საკითხი. საითმა იფიქრა, ტაქსი თავისუფალიაო და იქით გაიქცა. სევიმი მანქანიდან გადმოხტა.

— ჩემო ძვირფასო, ჩემთან წავიდეთ თუ შენს მეგობრებთან? — წამოიძახა სიხარულით სევიმმა.

საითმა ცივად გადახედა და სევიმი მიხვდა, წავაგეო, ამიტომ ზუსტად ისე იყვირა, როგორც დედამისი მეჰჯურე ხანუმი იყვირებდა:

— რაო, რას მომჩერებიხარ. იქნებ არ მოგწონვარ!

კვლავ წაიძრო თითიდან ნიშნობის ბეჭედი და ზიზღით ესროლა საითს, მერე სახეზე აიფარა ხელები და აქვითინდა. ალაჰ, რა ეშველება აწი? არადა, როგორ უყვარდა საითი!

თავისი მანქანიდან აისელი გადმოვიდა და ღიმილით მიუახლოვდა საითს. აისელს უნდოდა ხელკავი გაეკეთებინა საითისათვის, მაგრამ „მეფემ" მოხერხებულად აარიდა თავი და მთელი ძალით დაარტყა ფეხი მანქანას.

ეს იყო საითის უკანასკნელი დარტყმა.

საითმა ტაქსი გააჩერა და სტადიონზე დაბრუნდა. აჰმედი ხელში აყვანილი გამოიყვანა, მანქანაში ჩასვა და საავადმყოფოში წაიყვანა. ექიმმა საგულდაგულოდ გასინჯა ცნობილი დამცველი და თქვა, თუ სასწრაფო ოპერაცია არ გავაკეთეთ, შეიძლება დაიღუპოს კიდეცო.

აჰმედს რომ უთხრეს, ოპერაცია უნდა გაგიკეთოთო, სულ გაოგნდა საბრალო:

— მორჩა, ყველაფერი დამთავრდა. მე აწი ბურთს ველარ მივეკარები. ადრე უნდა მიმეტოვებინა თამაში... ვერ გავბედე... რა მეშველება... როგორ ვიცხოვრო... თავი რით ვირჩინო... დიდი მადლობა, საით, — თვალებში ცრემლი ჩაუდგა აჰმედს.

— რას ამბობ, აჰმედ, მე უნდა ვიყო შენი მადლიერი.

საითი საავადმყოფოდან გამოვიდა. თენდებოდა. სახლამდე ფეხით მივალო, გადაწყვიტა. სარიოღლუთა სასახლეს მიადგა, სასახლეს უკვე ანგრევდნენ — მის ადგილას ახალი სახლები უნდა ააშენონ. ხვალ ამ სასახლიდან აღარაფერი დარჩება. გული ეტკინა. უაზროდ იხეტიალა ბაღში, დაჯდა იმ ჭასთან, რომელშიც ერთ დროს ჩავარდა. გათენებას დაელოდა და ძლიერი კაცის ნაბიჯებით გასწია შინ.

მიდიოდა, ჩვეულებისამებრ საკუთარ თავს ებაასებოდა და ხელებს იქნევდა. ამ დილაადრიან ქუჩები ცარიელი იყო, მაგრამ ვინმე რომ შეხვედროდა, საითი უსათუოდ გააჩერებდა და ეტყოდა:

— იცით რა, ეფენდი, მე მგონია, რომ შევცდი, სულ სხვა მხარეს წავედი, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო, მაგრამ არ ვიცი, რისგან დავიწყო, ახლა რა ვითამაშო?

მეორე დღეს ყველა გაზეთმა საითი ერთობლივად აღიარა „ფეხ-ბურთის მეფედ“.

გავიდა კიდევ ერთი დღე და სტამბულსა და მთელს თურქეთს სენ-საციური ცნობა მოედო. „ფეხბურთის მეფემ“ უარი თქვა თავის ტახტ-ზე და ფეხბურთს განუდგა.

ყველაზე ობიექტურმა და პოპულარულმა ეროლ იფქირან ბეიმ თა-ვის გაზეთში დაწერა:

„და ჩაესვენა ვარსკვლავი. ჩვენი ფეხბურთის ახალი ვარსკვლავი ანთებისთანავე ჩაქრა“.

25/6

1 მაზ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა